ნაწილი I

იქ

როგორი ფერმკრთალი ხარ, როგორი მშვიდი. ვუყურებ შენს სახეს და ვხვდები, რომ ზუსტად იმავეს ვგრძნობ, რასაც ადრე ვგრძნობდი. – თან ვგრძნობ და თან მიკვირს, რომ ჩემთვის სხვა არაფერი არსებობს ამ სიახლოვის გარდა. ახლაც კი...
ვერც ვერავინ გამიგებს. უბრალოდ შეუძლებელია, რომ ეს გრძნობა ასეთი ცოცხალი იყოს. იმ ყველაფრის მერე, რაც მოხდა. და იმის გათვალისწინებით, რომ არსებობს კიდევ მომავალი, ჩემი მომავალი. მაგრამ ასეა და რა ვქნა. ვეგუები ნელ-ნელა. როგორც ჩანს, ეს ლტოლვა ყველაფერს გაუძლებს.
პირველად ვარ აქ მარტო. სულ მარტო: სულით ხორცამდე ეული. და მაინც, ახლაც კი შენს სახეს ვხედავ და ისიც აქ არის, ეს გრძნობა. ჩემი და შენი გრძნობა. შიში ვერაფერს დააკლებს. ეს უსაზღვრო, სათუთი ლტოლვა აღარასდროს გაქრება.
არ ვიცი, როგორ აღვიძებდი ჩემში ამ სათუთი სიახლოვის განცდას. გრძნობა არ შეიძლება ნაზი იყოს. სინაზე ხომ უსუსურია, წამიერია ნემსის ჩხვლეტასავით, და უკვალოდ ქრება. ის კი, რაც შენ მაჩუქე, სულ სხვაა, უფრო ხანგრძლივი, ვიდრე სხვა ყველაფერი ჩემს ცხოვრებაში. ჩემი სინაზე უსასრულოა. არ ვიცი როგორ შეძელი ეს და დიდი ხანია მიზეზსაც აღარ ვეძებ...
ერთ-ორ დღეში წავალ აქედან. ახლა კი ვზივარ ჩვენს ნაპირზე. მე და შენ აქ ვცურავდით ხოლმე. ამ ცივ ზღვაში. ქვიშა გრილია და ნოტიო. გადაუღებლად წვიმს.
ახლა თმას მოვიჭრი და თავშიშველი შევეგებები ახალ ფიქრებს და ცივ ქარს. უფრო მსუბუქი გავხდები. იქნებ უფრო თავისუფალიც. ჩვენს ყურეში ვზივარ. ისეთი ცივია და მიუსაფარი აქაურობა, რომ ჩვენ გარდა არც ერთ გზააბნეულს არ დაუდგამს აქ ფეხი; აქ ვზივარ, სადაც ჩემი სიყვარული მინდოდა მეჩუქებინა შენთვის, შენ კი ჯერ არ იყავი მზად; რამდენი დილა და საღამო გაგვიტარებია აქ ერთად, მას შემდეგ, რაც ისევ ამოიდგი ენა; აქ ვეჩურჩულებოდით ზღვას მე და შენ – ჩვენს საიდუმლოებებს, ჩვენს დაპირებებს, ოცნებებსა და ჩანაფიქრებს ვანდობდით.
ვზივარ აქ, გიყურებ, და პირველყოფილი ვნებით ვთვრები. მარტოობის საფლავთან ვცეკვავ. ჩემთვის ლტოლვა ყოველგვარი სიმარტოვის უარყოფაა. და მარტივი, დიონისური ჟინის ზეიმი.
  სინაზით აღვსილი, ბუმბულივით ფაფუკი ვარ, აბრეშუმივით ალერსიანი. როგორც ნანინანატრი ჩვილი, ხელუხლებელი ნაყოფი, სამყარო თავს რომ ევლება.
სულ მიმეორებდი, აღარც კი გახსოვს ვინ ხარო. ალბათ ასეც იყო. შეიძლება შენთან ერთად არც არასდროს ვიცოდი. იქნებ მხოლოდ მაშინ მივხვდი, როცა ამ სინაზესთან ბრძოლა შევწყვიტე, როცა გული ვიჯერე ამ ნეტარებით. არ ვიცი. სამაგიეროდ ვიცი, რომ მე არ ვარ შენ“, უკვე აღარ. და ამის ცოდნა სულ არ მაშინებს. ისევე, როგორც არ მაშინებს მარტოობა, სიჩუმე, შეკითხვები, რომლებიც აუცილებლად დაისმება ამ ყველაფრის შემდეგ, და რომელთაც ალბათ ერთი სიტყვა მომავალი“ – გააერთიანებს. ვიცი, რომ ტირილი მომიწევს. მიუღებელის ამორწყევა მომიწევს და შუბლსაც არავინ დამიჭერს. ვიცი. მერე რა?
რა ლამაზი ხარ. ისევ ისეთი ლამაზი ხარ. ვიღიმი. გიყურებ და ვგრძნობ, როგორი მადლობელი ვარ შენი. ამ სათუთი სიახლოვისთვის. ამ დაუნდობელი სიშორისთვის. განწირულია ეს სიახლოვე, ვეღარავის გავუნაწილებ, უნდა დავემშვიდობო.
და მაინც, თვალს ვერ გაშორებ.

1
ყველაფერი დასასრულით დაიწყო.

დილით თულიამ დამირეკა და მითხრა, ჩამოვიდაო. მისმა ზარმა გამაღვიძა. მარკმა თეო წაიყვანა სკოლაში, მე ლოგინში დავრჩი. სინდისი კი მაწუხებდა, რომ არ ავდექი, საუზმე არ მოვამზადე და არანაირი წვლილი არ შევიტანე ჩემი ოჯახის დილაში, – მაგრამ მაინც. სინდისის შემოტევა ბევრად უფრო სუსტი აღმოჩნდა, ვიდრე ველოდი, ჩემი დილის ძილი კი ნამდვილად ღირდა იმად, რომ ჰამბურგის ჩაჟამებული დილა არ დამენახა. მაგრამ ის-ის იყო კარი დაიკეტა, რომ ტელეფონმაც დარეკა. და აღარ გაჩერდა. ძლივს გადმოვბობღდი ლოგინიდან და ტელეფონთან მივფორთხდი კომოდზე აღმოვაჩინე. როგორც წესი, უადგილო ადგილას. ძილის ესოდენ ძვირფასი წუთების დაკარგვით გამწარებულს ტირილი მინდოდა.
– გაიღვიძე, ვიცი, რომ მანდ ხარ. დაბრუნდა.
– თულია, რას მერჩი? ბოლო ასი წლის განმავლობაში პირველად მომეცა წაძინების საშუალება, შენ კი მაინცდამაინც ამ დროს მაღვიძებ. გეხვეწები, მერე დამირეკე...
– არა, არ შემიძლია. როგორ არ გესმის! გამოფხიზლდი, ღმერთო ჩემო, ჩამოვიდა! ვერც კი ვიჯერებ. აი, ასე უბრალოდ ადგა და ჩამოვიდა. ჩვენი პატარა ადონისი. ვერ წარმოიდგენ, რა კარგად გამოიყურება. დილის შვიდ საათზე დამირეკა, აქ ვარ და ცოტა ხანი დარჩენას ვაპირებო...
– ვინ, თულია? ვისზე ლაპარაკობ? ნუ გადამრიე, გამაგებინე, ვინ ჩამოვიდა!
– ვინ და ივო, ივო! ჩვენი ივო!
კინაღამ ყურმილი გამივარდა ხელიდან. შეიძლება გამივარდა კიდეც და არ მახსოვს. ისე დავიბენი, რომ უკან დავიხიე და ლოგინზე დავჯექი. უფრო სწორად, დავებერტყე.
დღე არ ყოფილა, რომ არ გამხსენებოდა. სულ მაინტერესებდა, რას აკეთებს, სად არის, როგორ არის. შვიდი წლის განმავლობაში ისე გავიწაფე, რომ მასზე ფიქრი მშვიდ, აუღელვებელ, ჩვეულებრივ ყოველდღიურობად მექცა. თუმცა დარწმუნებული ვიყავი, რომ რეალობასთან ამას არავითარი კავშირი არ ჰქონდა. მე ჩემი“ ივო მყავდა, რომელზეც ვდარდობდი და რომელიც მხოლოდ ჩემს წარმოსახვაში არსებობდა. საკუთრივ ივო კი, – ნამდვილი, ცოცხალი ივო, – შვიდი წელი არ მენახა. ის გაქრა ჩემი ცხოვრებიდან, თავის გზას დაადგა, ძალიან შორ გზას. და იმ გზაზე გადაგმული ყოველი ნაბიჯი კიდევ უფრო აშორებდა ჩემგან.
– აქ რა უნდა? – ამაზე ჭკვიანური ვერაფერი მოვიფიქრე.
– მე რა ვიცი! სულ რაღაც ერთი საათია, რაც ჩემთანაა. ახლა სიგარეტის საყიდლად გავიდა და ხომ უნდა დამერეკა შენთვის...
– როგორ, საერთოდ არაფერი უთქვამს?
– ღმერთო ჩემო, რა მნიშვნელობა აქვს. მთავარია, რომ აქ არის. თქვა, რომ ცოტა ხანი დარჩენა უნდა, მე კი სულ არ ვაპირებ მის გადარწმუნებას.
– მე მიკითხა?
– მთელი საათი ვკოცნიდი და ვეხუტებოდი, კინაღამ დავახრჩვე. საწყალს ლაპარაკიც არ ვაცალე.
თულიას ხმაში ისევ გაიჟღერა თითქმის მივიწყებულმა მღელვარებამ, ივოს ხსენებაზე რომ ეუფლებოდა. ერთი მხრივ, მზრუნველობას არ აკლებდა ცხოვრებისგან დაჩაგრულ ბავშვს, რომელსაც მკაფიოდ გამოხატული სიყვარული ესაჭიროებოდა. და თან საკუთარი თავითაც ამაყობდა. ივო იყო იმ ყველაფრის განსახიერება, რაც თულიას ეძვირფასებოდა. და თავისი აღზრდის კვალსაც ყველაზე მეტად სწორედ ივოში ხედავდა.
– რა ვქნა ახლა? კივილი დავიწყო სიხარულისგან? მაინცდამაინც მე რატომ დამირეკე? რას ელი ჩემგან? – ვიკითხე საცოდავად, და მაშინვე ვინანე ჩემი სიბრიყვე. ერთ წამში ისევ პატარა გოგოდ გადავიქეცი, თულიას აღსაზრდელის როლში აღმოვჩნდი. ტელეფონში სიჩუმე ჩამოვარდა. საერთოდ თულია ძალიან თავშეუკავებელი იყო, მუდამ გრძნობების ტყვეობაში, ყოველთვის იმას ამბობდა და აკეთებდა, რაც მოეპრიანებოდა. ერთადერთი, რაშიც არ ვიყავი დარწმუნებული, ის იყო, თუ რას ფიქრობდა ჩემსა და ივოს შესახებ. ამდენი წლის განმავლობაში მაინც ვერ გავარკვიე, რა იცოდა ზუსტად, და რა ეგონა. რა ჰქონდა წარმოდგენილი და რისი თავიდან აცილება უნდოდა.
– ზარია კარზე, ივო იქნება. უნდა გავუღო. ერთ-ორ საათში გადმოგირეკავ. ან

თვითონ დაგირეკავს. ნებისმიერ შემთხვევაში გელოდები, მალე მოდი.
სანამ რამეს ვეტყოდი, ყურმილი დაკიდა. უკვე ისეთი გამოფხიზლებული ვიყავი, სულ აღარ მინდოდა ძილი. აზრების დალაგებას შევუდექი. გავედი სამზარეულოში, ყავა გავიკეთე და ბართან დავჯექი. იმ ბართან, რომლისთვისაც მარკმა ამდენი იბრძოლა და რომელიც მე არასდროს მომწონდა. კანკალმა ამიტანა. თვალები მეწვოდა. ყავის ჭიქას ხელები მოვხვიე და ფანჯარაში გავიხედე. ცრიდა ჩვეული სურათი, რომელსაც ვერაფრით ვეჩვეოდი. სველ თითებზე დავიხედე. ჩემი საქორწინო ბეჭედი თხელი იყო და სადა. რამდენი დრო მოვანდომე მის არჩევას, – ის ხომ მთელი ჩემი ცხოვრების ღირსეული მეგზური უნდა გამხდარიყო.
მშვენივრად ვიცოდი, რომ ახლა ყველაფერი შეიცვლებოდა. ვიცოდი, რომ აჯობებდა თავი დამეცვა მარკისთვის დამერეკა და მეთხოვა, თან წავეყვანე მივლინებაში. ბავშვი მარკის მშობლებთან დამეტოვებინა და სადმეგადავკარგულიყავი, სანამ ღრუბლები არ გადაიყრებოდა.
ხომ უნდა დაბრუნებულიყო, როცა იქნებოდა. ხომ ველოდი ამას. რამდენჯერ მიფიქრია ამაზე, რამდენჯერ გამითამაშებია ყველაფერი გონებაში. მეგონა, მზად ვიყავი და საფრთხე არ მემუქრებოდა. მაგრამ იმ დღემდე ეს ჩემს წარმოსახვაში ხდებოდა მხოლოდ. თითქოს თოჯინებით ვთამაშობდი და მათი სამართავი ძაფები ხელში მეჭირა.
ივოსთან გატარებული წლების, ერთად თუ ცალ-ცალკე გამოვლილი ომების მიუხედავად, წარსულს არ დავუფრთხივარ; თავსაც ვუშველე და ივოც დავტოვე ჩემს ცხოვრებაში. არავის რჩევა არ გავითვალისწინე და ჩვენი ბავშვობის ფოტოები გამოვფინე. მარკს ჩვენი ურთიერთობის ოფიციალური ვერსია გავაცანი. სანამ ივოს მისამართი ვიცოდი, დაბადების დღეებზე პატარა ამანათს ვუგზავნიდი მისალოცი ბარათის გარეშე. და ყოველთვის ვამბობდი მის სადღეგრძელოს, რასაც ხშირად ცხარე კამათი და ჩხუბიც კი მოჰყოლია სუფრაზე.
მე ივო წარსულში გამოვკეტე, განვითარების შესაძლებლობა მოვუსპე, ჩემს მეხსიერებაში მივუჩინე ადგილი ბავშვსაც, მოზარდსაც, და ზრდასრულსაც. ის ჩემში არსებობდა, ჩემს სამყაროში, თავის ცხოვრებას მინაწილებდა. მერე კი წავიდა. ადგა და წავიდა ჩემი ცხოვრებიდან. და თავისი ცხოვრებიდანაც, რომელიც ჩემი მეგონა დიდხანს.
ფიქრებიდან გამოვერკვიე, სააბაზანოში შევედი, შხაპი მივიღე, კიდევ ერთი ჭიქა ყავა დავლიე. შავი შარვალი ჩავიცვი. ზემოდან ჩასაცმელს ვეძებდი. დავდექი კარადასთან და თაროებზე დაწყობილ სვიტრებს, მაისურებს და ბლუზებს გათიშული მივაჩერდი. ვიდექი და ვუყურებდი. თითქოს სწორედ იქ იმალებოდა გამოსავალი, პრობლემის გადაწყვეტა და სიმშვიდე, რაც ასე ძალიან მჭირდებოდა. თვალწინ მისი სახე დამიდგა, ისეთი, როგორიც ბოლოს ვნახე. პირზე ხელი ავიფარე, რომ არ მეყვირა.
მართლა დასასრულით დაიწყო ყველაფერი. თუმცა ჩემს ცხოვრებაში ყოველთვის ასე ხდებოდა: ოჯახში, სადაც მე ვიზრდებოდი, – ჩვენ ვიზრდებოდით, – ყოველთვის უკუღმართი ურთიერთობები იყო. ერთ მშვენიერ დღეს ჩემი ნათესავების კუთვნილებითი ნაცვალსახელებით მოხსენიებაც კი შევწყვიტე. იმიტომ რომ როცა ვამბობდი „დედაჩემი“, „მამაჩემი“, „ჩემი ძმა“, „ბებიაჩემი“, – ყოველთვის უნდა მიმეყოლებინა „სინამდვილეში“.
– მამაშენთან რატომ არ ცხოვრობ?
– იმიტომ რომ ჩემი მშობლები გაშორებული არიან.
– მაშინ დედაშენთან რატომ არ ცხოვრობ?
– იმიტომ რომ დედაჩემი ამერიკაში ცხოვრობს.
– და შენ რატომ არ წაგიყვანა?
– იმიტომ რომ ჩვენ ასე გადავწყვიტეთ.
– ჩამოდის ხოლმე?
– არა, ყოველთვის ჩვენ ჩავდივართ.
– და თულიასთან რატომ ცხოვრობთ?
– მამაჩემის დეიდაა, ანუ ბებიაჩემია.
– კი მაგრამ, ნამდვილ ბებიასთან რატომ არ ცხოვრობ?
– თულიაა ჩემი ნამდვილი ბებია, სხვა ბებია არ გვყავს.

– რატომ გაქვთ შენ და შენს დას ერთი გვარი და შენს ძმას კი სხვა?
– იმიტომ რომ ჩემი ძმა ნაშვილებია და თავისი მშობლების გვარზეა.
მერე უკვე ამ ყველაფრის თავიდან ასაცილებლად უბრალოდ ვამბობდი: ეს ლენია. ეს თულიაა. ეს ივოა...
კომატოზური მდგომარეობიდან გამოვედი და მუქი ლურჯი მაისური გადავიცვი, რომელიც ხელში აღმომაჩნდა, და რომელმაც ქმარი, შვილი და საკუთარი თავი გამახსენა. გამახსენა, აწმყოში რომ ვიმყოფებოდი, ხოლო ის, რასაც ჩემი გონება ეპოტინებოდა, უკვე წარსული იყო. ღრმად ჩავისუნთქე და ნაძალადევად გავიღიმე. წონასწორობა უნდა აღმედგინა.
მოვძებნე ტელეფონი, რომელიც ამჯერად საბნის ქვეშ აღმოჩნდა, და რედაქციაში დავრეკე.
– ლეო, როგორ ხარ? ერთი-ორი დღე მჭირდება, მასალას ვეძებ ბიენალესთვის და ოთხშაბათამდე რომ არ მოვიდე ოფისში, პრობლემა ხომ არ იქნება?
– კაი, გასაგებია... მაგრამ ხვალ რას იზამ? ვახშამზე ხომ მოხვალ ჩვენთან? წვეულება ნადასთან, სიურპრიზი, ზეიმი, – ხომ გახსოვს?
სულ არ მახსოვდა.
– ხვალ შემახსენე, შევეცდები ცოტა ხნით მაინც შემოვირბინო, კარგი?
– ყველაფერი რიგზეა?
– კი. რატომ მეკითხები?
– რაღაც აფორიაქებული ხარ.
– ოჯახური სტრესი, როგორც ყოველთვის. შენთვისაც ხომ ნაცნობია.
– კარგი, ხვალ დაგირეკავ. ეცადე მოხვიდე. მისთვის ამას მნიშვნელობა ექნება. კარგი?
– ძალიან შევეცდები. აბა, კარგად.
ლაპარაკს მოვრჩი და ძალიან შემრცხვა, რომ ჩემს პატარა ოჯახს ჩემი დასტრესვა დავაბრალე. კარგად მახსოვს, როგორ ვცრუობდი. ივოს გამო ვცრუობდი. მას მერე დიდი ხანი გავიდა. და მიუხედავად იმისა, რომ ამწუთას ნათქვამი ტყუილი სრულიად უწყინარი იყო, მაინც შემრცხვა. ნეტა სულ არ ამეღო ეს ყურმილი, ნეტა, სულ არ დაერეკა იმ გამოჩერჩეტებულ თულიას. ისევ რეალობას ვუპირისპირდებოდი. ვერ ვეგუებოდი ცხოვრებას, რომელიცჩემი შეხედულებების მიღმა არსებობდა. ჩემს ოთახში გავედი და ლეპტოპი ჩავრთე. ერთი საათის შემდეგ ფარ-ხმალი დავყარე. ატირებულმა შვილის ფოტო მაგრად ჩავიხუტე, როგორც ღუზა, უკანასკნელი საშველი, და თვალდახუჭული დავემხე მაგიდის ზედაპირს. მინდოდა მთელი ხმით მეყვირა და შველა მეთხოვა.

2

ჩვენს ოჯახში ივოს შემოსვლაც ის დასასრული იყო, რითაც ყველაფერი დაიწყო.
დედამისი, რომელიც მამაჩემის საყვარელი იყო, გარდაიცვალა. მამამისი ჯერ ციხეში იჯდა, რამდენიმე წელიწადში კი ისიც გარდაიცვალა, ციხეშივე. თვითონ ივო უტყვი იყო, არავის ელაპარაკებოდა. მე კი ერთადერთი ვიყავი, ვისაც მისი ესმოდა, და მის მაგივრად ლაპარაკი შეეძლო. მარტო ამიტომ დატოვეს ივო ჩვენთან.
მე შვიდი წლის ვიყავი, ჩემი და კი თერთმეტის.
ჩემი მშობლები ახალი გაშორებული იყვნენ. დედაჩემი მალევე გაემგზავრა ამერიკის შეერთებულ შტატებში, დიდ ფარმაცევტულ კომპანიაში, სამუშაოდ რაღაც მავნე ქიმიკატებს ურევდა ერთმანეთში იმის იმედით, რომ ნათელი და ჯანმრთელი მომავალი ამ ზიანს გაამართლებდა. და კიდევ ჯეიმზის გამო, რომელსაც მერე ცოლად გაჰყვა. დედამ არჩევანის წინაშე დაგვაყენა. მე და ჩემმა დამ კი, სრულიად განსხვავებული მიზეზების გამო, მამასთან დარჩენა ვამჯობინეთ. მიუხედავად იმისა, რომ სწორედ მამა იყო ჩვენი ოჯახისა და ცხოვრების დანგრევის მთავარი მიზეზი. დღევანდელი გადმოსახედიდან ძნელია ამის დაჯერება, თუმცა სწორედ ასე მოხდა...
რა თქმა უნდა, შვილებზე მზრუნველობის უფლება დედას უნდა მიეღო, მაგრამ მან თვითონ თქვა ამაზე უარი. ძალიან დაღლილი იყო, ძალიან. საერთოდ ყველანი დაღლილი ვიყავით. სასამართლომდე რომ მისულიყო საქმე, არავითარ

შემთხვევაში არ დაგვტოვებდნენ მამასთან. დედამ კი სხვაგვარად გადაწყვიტა. დღემდე არ ვარ დარწმუნებული, დაუტოვებდა თუ არა სასამართლო ივოს დედაჩემს, და, რაც მთავარია, საერთოდ თუ მოინდომებდა დედა, რომ ივო ეშვილებინა. წესით, არც მამაჩემისთვის უნდა მიეცათ ივოს აყვანის უფლება. მაგრამ, რა გასაკვირიც არ უნდა იყოს, ყველა მასთან დავრჩით.

ჩემს დასა და დედას შორის კედელი აღიმართა ლენის არ ესმოდა, რატომ უნდა მიეტოვებინა დედას მამაკაცი, რომლის გამოც ქალები თავს იკლავდნენ. მამასთან ის მხოლოდ ჯიბრზე დარჩა. ჩემგან განსხვავებით, ბავშვობაში ლენი მაინცდამაინც ახლო არ იყო მამასთან. მასთან მხოლოდ იმისთვის დარჩა, რომ ტკივილი მიეყენებინა დედისთვის. ვერ აპატია, რომ წასვლას აპირებდა, სხვა კაცი რომ შეიყვარა, რომ მზად იყო ბედნიერება მოეპოვებინა, თუნდაც ჩვენ გარეშე.

მე კი მეშინოდა, რომ დედაჩემს არ გაატანდნენ ივოს და ერთმანეთს დაგვაშორებდნენ. ამიტომ დავრჩი მამასთან.

დედა ისტერიკებს უწყობდა მამას, ალქაჯივით უწიოდა; ცხრა თვე გრძელდებოდა ეს წივილ-კივილი. ბოლოს დაგვიჯდა მე და ჩემს დას და გვკითხა, სად გვერჩია ცხოვრება. ახლა რომ ვფიქრობ, ძალიან გულწრფელად და პატიოსნად მოგვექცა: თავისუფალი არჩევანის საშუალება მოგვცა. ძალდატანებით არ გადაგვაგდო უცხო ქვეყნის დამთრგუნველ გარემოში. მიუხედავად ამისა, ჩემმა დამ მაინც ვერასოდეს აპატია. მე კი სამუდამოდ დამრჩა რაღაც ამოუვსები სიცარიელე. სწორედ იმიტომ, რომ მან ისეთი არჩევანის წინაშე დაგვაყენა, რომელსაც ჩვენ ვერასოდეს გავუმკლავდებოდით.

ასე მიგვაბარა დედამ გალოთებულ და ქალებში მორბენალ მამას, რომელმაც, თავის მხრივ, გარდაცვლილი საყვარლის შვილიც ჩაიბარა. დანაშაულის გრძნობის გამო ქალების შებმას მოუხშირა. სამსახური დაკარგა და შვილების კმაყოფაზე გადავიდა, რომლებსაც ფარმაკოლოგიური ინდუსტრიისა და ჯეიმზის წყალობით დედა ინახავდა. და როცა მამა უკვე სრულიად უსუსური და უმაქნისი გახდა, სწორედ მაშინ შემოაბიჯა ჩვენს ცხოვრებაში თულიამ.

თულია მამაჩემის დეიდა იყო მრავალგზის გათხოვილი და გამოთხოვილი, უშვილო, იმ დროს ჯერ კიდევ შუახნის ქალი. გადაკეთებულ ბეღელში ცხოვრობდა და ძველ ჯიპს ატარებდა. კატები არ ჰყავდა, თუმცა ალბათ მოუხდებოდა. უყვარდა ლექსები, მკვდარი პოეტები და არიები იტალიური ოპერებიდან. მეორე თუ მესამე ქმრის დანატოვარი ძველი ნავების გაქირავებით ირჩენდა თავს. როგორი უცნაურიც არ უნდა ყოფილიყო, თავის ქმრებზე იშვიათად ლაპარაკობდა. საერთოდ, მისი ცხოვრება უამრავი ისტორიისგან შედგებოდა. ზოგი ნამდვილი იყო, ზოგიც მოგონილი. მაგრამ ოდესღაც თვითონვე დაიჯერა და მათგან ერთი დიდი ცხოვრების ისტორია გამოადნო. ვეღარ გაიგებდი, სად იყო სიმართლე და სად ტყუილი. სინამდვილე თულიასთან ყოველთვის გამოგონილს ჰგავდა. მას სწამდა ასტროლოგიის, მისტიკისა და ბუნების ძალების. ირწმუნებოდა, რომ მის ძარღვებში სპარსული სისხლი ჩქეფდა და სახე ბაბილონის დედოფალს მიუგავდა – ამას კი ვხედავდით! მართლა განსაკუთრებული ნაკვთები ჰქონდა. ეს ნაკვთები მამაჩემსაც გამოყვა, და ქალების მოხიბვლის უნარს, სხვა ყველაფერთან ერთად, ამასაც მიაწერდნენ.

ცხრა წლის რომ გავხდი, მაშინ გადავედით თულიასთან საცხოვრებლად. ნინდორფში, მიყრუებულ სოფელში, ზღვის სანაპიროზე. ჩემი და, ივო და მე. ყოველ შაბათ-კვირას მამასთან ვატარებდით, ყოველი წლის ივლისს კი ნიუარკში, სადაც დედა ქიმიურ ექსპერიმენტებს ატარებდა ჯეიმზსთან ერთად. ზაფხულში ისე ვიქცეოდით, თითქოს მამასთან ზღაპრული ცხოვრება გვქონდა, თულია კი ამ საოცრების კიდევ ერთი პლუსი იყო. სინამდვილეში ბეღელში ვცხოვრობდით, გალოთებული მამა ყოველდღე იცვლიდა ქალებს, ჩვენდაუკითხავად ვიპარებოდით ზღვაში ნავით და თულიას კომშის ჯემიცამაზრზენი იყო. მაგრამ ეს ყველაფერი მაინც უფრო სასიამოვნოდ გვეჩვენებოდა, ვიდრე ნიუარკი და დედას ჩვენთან დაახლოების ამაო მცდელობები.

ყველაზე უცნაური ის იყო, რომ მხოლოდ ივოს წყალობით გრძნობდა თავს ისევ დედად. სწორედ ივო არწმუნებდა, რომ სხვას ვერავის ვიგუებდით და აზრადაც არ

გავივლებდით მის ჩანაცვლებას. მას შემდეგ, რაც ივო თავს მოერია და ხმა ამოიღო, ის ყოველ ზაფხულს ნიუარკში, სიახლოვის ილუზიით აჯადოებდა დედაჩვენს.
ყოველი ჩვენგანი განიცდიდა ჩვენი ოჯახის არასრულფასოვნებას. ივო დუმდა. ვცდილობდი, რაც შეიძლება ნაკლები ყურადღება მიმეპყრო ან საერთოდ შეუმჩნეველი გავმხდარიყავი. მხოლოდ ივოს გამხმოვანებლის ფუნქციას ვასრულებდი. ჩემი ოთხი წლით უფროსი და, ლენი, თავის ნაჭუჭში ჩაიკეტა. ყველაზე მეტად დაზარალებულს სწორედ ის ჰგავდა, თუმცა არაფრით არ უნდოდა ამის აღიარება. ყველას ყველაფერში ადანაშაულებდა – უპირველესად დედას და ივოს. და ღიმილსაც გადაეჩვია.
დედაც იტანჯებოდა. წარამარა ეჩხუბებოდა ჯეიმზს. განუსაზღვრელი რაოდენობის უაზრო საჩუქრებს ყიდულობდა ჩვენთვის. გამწარებული დაგვატარებდა ნაკრძალებსა და ტყე-პარკებში. ჩვენს საწოლებზე ჩამოჯდომასაც ვერა და ვერ გადაეჩვია, თუმცა უკვე დიდი ხნის გამოსული ვიყავით ძილისპირულის ასაკიდან.
დედა საშინლად მენატრებოდა, მაგრამ მეტისმეტად ამაყი ვიყავი, რომ მისთვის ეს მეჩვენებინა. ისე ვიქცეოდი, თითქოს ჩვენი ცხოვრება სრულიად ნორმალური იყო. უკომპლექსო შვილს ვთამაშობდი. ივო კი, რომელიც მაშინ უკვე არაჩვეულებრივად გრძნობდა ადამიანებს, თვინიერი, დამთმობი, ალერსიანი იყო მის მიმართ. ლაპარაკიც ეხალისებოდა და მომაბეზრებელი ექსკურსიებიც. გულწრფელად იყო აღფრთოვანებული ყველაფრით, რასაც დედაჩემი ჩვენთვის აწყობდა.
ბოლოს და ბოლოს, ლენიმ შეწყვიტა ივოს დასჯა, რომელიც მისთვის ოჯახის უბედურების განსახიერება იყო. ჩვენც შევეგუეთ და შევეჩვიეთ ისეთ ცხოვრებას, როგორიც გვქონდა. ისე, ჩვენი ბავშვობა ბედნიერიც კი იყო. ცოტა გადარეული, ცოტა თავგადასავლიანი, ცოტა უპატრონო. და გადამეტებული სიყვარულით სავსე, რითაც დაბნეული უფროსები ლამის გვახრჩობდნენ. ალბათ ეს მაინცდამაინც ნორმალური ვერ იყო, ყოველ შემთხვევაში მთლად ჯანსაღი ფორმით არ ვლინდებოდა.
ასეთია ჩემი ცხოვრების ის ვერსია, რომელიც მოგვიანებით ჩემს ქმარს, ჩემს მეგობრებს და რამდენიმე ნაცნობს გავაცანი. ძალიან ვეცადე, ისე წარმომეჩინა ყველაფერი, თითქოს ჩვეულებრივი ოჯახი გვქონდა. დანარჩენი არავის საქმე არ იყო. დანარჩენი მხოლოდ მე და ივოს გვეხებოდა.
როცა დამირეკა, ნამტირალევი სახე უკვე მობანილი მქონდა, კიდევ ერთი ჭიქა ყავა დასხმული, და იმის იმედი, რომ დღე ჩვეულებრივად ჩაივლიდა და როგორმე გადავიტანდი, უკვე სამუდამოდ დაკარგული.
არაფერი აუხსნია, უბრალოდ მითხრა, თუ სახლში ხარ, შემოგივლიო. საწინააღმდეგო ხომ არაფერი გაქვსო. მაინც ქალაქში ვარ გამოსული და ბარემ გნახავო. ხმა არ ამომიღია, მხოლოდ თავს ვუქნევდი. შემპირდა, ორმოც წუთში მანდ ვიქნებიო.
დარჩენილი დრო აივანზე გავატარე საბანში გახვეულმა. ქუჩას გადავყურებდი. შორეული გემების ხმაურმა გამაბრუა და სიზმრისეულ მდგომარეობაში ჩამაგდო. როგორც იქნა, ჩემმა ტვინმა დუღილი და გმინვა შეწყვიტა. თავი არ შემიწუხებია მაკიაჟის გაკეთებით, რომ დახატული სახის მიღმა დამემალა ჩემი შიში.
დროზე მოვიდა. სანამ გავუღებდი, დიდხანს ვიდექი კართან და ვცდილობდი მშვიდად მესუნთქა. შავი ტყავის ჟაკეტი ეცვა, თმა, როგორც ყოველთვის, მოკლედ ჰქონდა გაკრეჭილი. უფრო დიდი მეჩვენა, ვიდრე მახსოვდა. ვიფიქრე, ნეტა ზრდასრულებიც აგრძელებენ ზრდას თუ ეს ეფექტი დრომ განაპირობა-მეთქი. მიღიმოდა. ხელში პაწაწინა ყვავილი ეჭირა; ენძელა იყო თულიას ბაღიდან – გამეცინა.
ხმა არ ამოგვიღია. აფთარივით დაბორიალობდა ჩემს ბინაში, ფეხაკრეფით შედიოდა ოთახებში, ყველაფერს აკვირდებოდა. თაროებზე გამოფენილ ფოტოებთან გაჩერდა. თეოს სურათი აიღო. დიდხანს უყურა. მერე უცებ დააბრუნა თავის ადგილზე. ბოლოს ჩვენს ბარს მიუჯდა და თქვა:
– ეს ბარი სულ არ გამოიყურება სნობურად!
ეს იყო პირველი წინადადება, რომელიც თითქმის შვიდი წლის შემდეგ გავიგონე

ივოსგან. მერე მკითხა, რამეს ხომ არ დამალევინებო.
− ჯინ-ტონიკი კაი იქნებოდა. ასეთ ბინაში ჯინ-ტონიკი მოგეპოვებათ ალბათ, არა?
− ალბათ. იმიტომ, რომ მე და მარკი ხშირად ვსვამთ ჯინს, და არა ამიტომ, რომ ასეთ ბინაში ჯინი უნდა მოიპოვებოდეს. და ბარიც აბსოლუტურად ნორმალურად გამოიყურება!
− რა იყო, გეწყინა?
− მორჩი.
ამის თქმა იყო და თავდაჯერებულობაც დამიბრუნდა. მასთან ერთად კი მოგონებებიც და ავისმომასწავებელი სიმსუბუქეც. ხელი ჩავიქნიე, დავყევი და ჯინ-ტონიკი გავუკეთე. დიდხანს არ მიფიქრია, ჩემთვისაც დავისხი. დღის პირველი საათი იყო.
ივომ გაიღიმა და ჭიქა ტუჩებთან მიიტანა.
− ასაკი დაგტყობია. მაგრამ ეს პატარა ნაოჭები სიცილის ნაოჭები ძალიან მომწონს. თმაც გაგიმუქდა. არ გეგონოს, რომ ბინას გიწუნებ. უბრალოდ უცნაურად მეჩვენება, რომ ახლა ასე ცხოვრობ. თანაც, თულია მოხიბლულია შენი ქმრით, ეს კი ბევრს ნიშნავს.
თულიამ ეტყობა ურცხვად იცრუა, იმიტომ რომ მარკს ძალიან მოსაწყენ ადამიანად მიიჩნევდა.როცა ვუთხარი, ცოლად მივყვები-მეთქი, დამემუქრა კიდეც,
− სახლში აღარ შემოგიშვებო.
− ასეც არის. − ამოვიკვნესე და ერთი ყლუპი მოვსვი. შუადღის ალკოჰოლმა გამათბო, ნისლში გამხვია და საბოლოოდ გამათავისუფლა საკუთარი თავისგან.
− მიხარია, რომ გხედავ. არაჩვეულებრივად გამოიყურები. ზუსტად ისე, როგორიც წარმომედგინე ოცდაათს გადაცილებული. შენნაირი ქალები გვიან იფურჩქნებიან. საუკეთესო წლები კიდევ წინ გაქვს!
− რეებს ბოდავ! რა თავხედობაა ასე უეცრად თავს დატყდომა! სად იყავი ამდენი ხანი? რატომ არ მპასუხობდი, რატომ...
− ასეთი გარიგება გვქონდა.
− მკიდია გარიგება. მე ვდარდობდი შენზე...
− ფრანკმა ყოველთვის იცოდა ჩემი ადგილსამყოფელი. მერე უკვე თულიამაც მშვენივრად იცოდა. კვირაში ერთხელ ალბათ გესიც გიყვებოდა ჩემზე რაღაცებს.
− მშვენივრად გესმის, რასაც ვამბობ. ხომ არ გგონია ვინმეს შევეკითხებოდი, სად ცხოვრობ ან ამჯერად რომელ კონტინენტზე იმყოფები!
− შენ არ მოინდომე ასე? მე რას მსაყვედურობ, როცა შენ თვითონ გადაწყვიტე.
− მაშინ რატომ ზიხარ ახლა აქ, თუ მე გადავწყვიტე, რომ ერთმანეთს აღარ უნდა შევხვედროდით?
− იმიტომ რომ შეთანხმებების დარღვევა ჩემი პრინციპია.
ვუყურებდი და სიცილს ძლივს ვიკავებდი. ისევ ისეთი ლამაზი ჩანდა. ოღონდ ეს მარტოხელა ადამიანის სილამაზე იყო, სევდიანი და შიშის მომგვრელი. სასოწარკვეთილი სილამაზე. გრძელი წამწამები ჰქონდა. და რუხი, წყლიანი, ნუშისებრი თვალები. მათ მიღმა უამრავი საიდუმლო იმალებოდა, რომელთა ამოხსნას ამაოდ ვცდილობდი. და ისევ ისე იკრიჭებოდა, პატარა ბიჭივით. ჩემი სიყვარული ჭრილობას ჰგავდა, რომელიც არა და არ ხორცდებოდა.
− მოკლედ, ისევ ნიუ-იორკში ვცხოვრობ. თუ ამას სიცოცხლე შეიძლება დაერქვას.
ჯიბიდან სიგარეტი ამოიღო. მე კი ვცადე გამეხსენებინა, როდის მოვწიე ბოლო ღერი.
− ბევრს ვმოგზაურობ. არავისზე არ ვარ დამოკიდებული. კარგი შეკვეთები მაქვს. რასაც სხვები ხელს არ კიდებენ, მე ვაკეთებ. ბოლო სამი თვე ქაბულში გავატარე. ზოგჯერ მთლად კომფორტულად ვერ ვგრძნობდი თავს. თუმცა მე და ჩემი მეგობარი ომი კვლავაც ბრწყინვალედ ვუგებთ ერთმანეთს. ცოლი არ მომიყვანია, თორემ ცხადია, ოჯახს ქორწილში დავპატიჟებდი. გესის ხშირად ვხედავ. მართალია, ჯეიმსი ამ ბოლო დროს ავადმყოფობს, მაგრამ გესი მაინც მსტუმრობს, როცა ნიუ-იორკში ვარ ხოლმე. და ჩვენ ისევ ვჩხუბობთ ცხოველებზე ცდების ჩატარებისა და ტოქსიკური ნივთიერებების გამოყენების გამო. მაგრამ ეს არაფერს ცვლის. მსოფლიო ისევ ისეთია. გაგიკვირდება და, მეც კი ვერ შევძელი მისი გადარჩენა. როგორც ხედავ, კარგად ვარ. ზოგჯერ ძალიან მენატრები ხოლმე. პრინციპში, სულ ეს არის. სიყვარულშიც მიმართლებს ხოლმე ორი-სამი თვით,

სანამ ერთ ადგილზე ვჩერდები.
ფეხზე ამდგარიყო და ფანჯარაში იყურებოდა.
– სიამოვნებით ვნახავდი შენს შვილს! – თქვა უცებ. მაშინღა ვიგრძენი, როგორ შეერბილებინა ინგლისურ ენას მისი გერმანული, და როგორ უხდებოდა ეს მის ხმას.
– გაგაცნობ.
– შენს ქმარსაც გამაცნობ?
– ჩემს ქმარსაც გაგაცნობ.
ცოტა ხანი ორივე ფანჯარაში ვიყურებოდით. ბოლოს გამბედაობა მოვიკრიბე და ვკითხე:
– რატომ დაბრუნდი?
– განცდა გამიჩნდა, რომ აღარ ვიცი ვინ ვარ. შეუძლებელია ასე ცხოვრება, თითქოს სწრაფი წინ გადახვევა გაქვს ჩართული. აქამდე ყველაფერი კარგად იყო. მაგრამ ახლა მინდა უკან გადავახვიო. ეს კი არ გამოვა არც ფრანკის და არც თულიას გარეშე. ლენის გარეშეც კი. მაგრამ მთავარი შენ ხარ შენ მჭირდები. ისევ აქ უნდა ვიყო, ცოტა ხანი მაინც. ჯინ-ტონიკი კარგად არის შეზავებული. ადრე არ გამოგდიოდა. ეს ეტყობა ამ ბოლო წლების მონაპოვარია.
– ჩვენ ეს კარი სამუდამოდ გამოვიხურეთ, ივო. და არა მგონია ღირდეს ახლა...
– არაფერიც არ გამოგვიხურავს. თავს ნუ იტყუებ.
ხმა უცებ ცივი გაუხდა, დისტანციური, დამცინავი. როგორი უხეში ხდებოდა, როცა უარყოფის ეშინოდა. ვიცოდი, რომ ეს მხოლოდ ნიღაბი იყო, რომ განზრახ მაყენებდა ტკივილს. მაგრამ ისე დამაჯერებლად აკეთებდა ამას, რომ მაინც მოქმედებდა ჩემზე.
– დავხურეთ, ივო, მე უკვე სხვა ცხოვრება მაქვს. სხვა პრიორიტეტები. რაც მთავარია, შვილი მყავს, და მისი ბედნიერებაა ახლა ჩემთვის ყველაზემთავარი. მე სიმშვიდე მოვიპოვე.
– ესე იგი სიმშვიდე მოიპოვე, არა? კარგია, ამას რა სჯობია. მომისმინე, სტელა, შენი დახმარება მჭირდება. უნდა მიშველო. და მერე იქნებ მეც გიშველო.
– მიშველო? შენ მე? მე შველა აღარ მჭირდება, უკვე მეშველა. შენ კი... რით უნდა გიშველო? როგორ წარმოგიდგენია ეს? შენ შენი გზა გაქვს. ისეთი აღარ ხარ, როგორც მაშინ. სხვა გამოცდილება გაქვს, სხვა გრძნობები, სხვა აზრები. დრო გავიდა, და ამას ვერსად გავექცევი. ჩემთვის დღესაც რაღაცას ნიშნავს შენი აქ ყოფნა, დაბნეული ვარ და უსუსური. შენი ჩამოსვლა გამიხარდა და თითქოს შვებაცკი ვიგრძენი. მაგრამ არ ვიცი რით დაგეხმარო. თუ დალაპარაკება გინდა, კი ბატონო, ვილაპარაკოთ. მაგრამ მეტი მე არაფერი შემიძლია.
– უბრალოდ რაღაცები უნდა გავიხსენო. ამაში მაინც ხომ შეგიძლია დამეხმარო, არა?
პასუხი არ გამიცია, ერთი-ორი წუთი მდუმარედ მივჩერებოდით ჩვენს ჭიქებს. ამ დროს ტელეფონმა დარეკა, წამოვხტი და ძებნა დავუწყე. ამ საძულველმა ტელეფონმა თავის დაღწევისა და ამოსუნთქვის საშუალება მომცა. არ ვიცი, რატომ ვგრძნობდი თავს ასე უსუსურად ივოს, ჩვენი წარსულის, და იმის გამო, რაც კიდევ წინ გველოდა მაგრამ როცა ყურმილში უცხო ქალის ხმა გავიგონე, შვებით ამოვისუნთქე.
– ვინ ბრძანდებით?
მისი სახელი ჩემთვის უცნობი იყო.
– თეოს კლასის დამრიგებელი ვარ. არავინ მოაკითხა და მინდოდა, გამეგო. საერთოდ ორშაბათობით ჩემს ჯგუფში არ არის, თუ არ ვცდები, დღის მეორე ნახევარში ფეხბურთი აქვს ხოლმე. ამიტომ უბრალოდ...
არა, მაინც ვერ ვიტანდი ტელეფონს!
– ღმერთო ჩემო! ოც წუთში მანდ ვიქნები. ხომ შეგიძლიათ დამელოდოთ?
– რა თქმა უნდა, რა პრობლემაა.
– მე და ჩემს ქმარს რაღაც აგვერია.
ისევ ვიცრუე.
ივო თაროებთან იდგა და ისევ ოჯახის ფოტოებით იყო გართული.
– უნდა წავიდე. თეო უნდა გამოვიყვანო.
– ერთად გამოვიყვანოთ.

– მე მგონი, ჯობია, მარტო წავიდე.
– რატომ, ბარემ გავიცნობ.
– ივო, ახლა მაინცდამაინც შესაფერისი დრო არ არის!
მაგრამ მან ჭიქა გამოცალა და ჟაკეტი აიღო. დღისით სმას სულ არ ვიყავი მიჩვეული. თავი მიგუგუნებდა, ყურებში უცნაური ზარები მიწკარუნებდა. ოფლში ვიწურებოდი.
კიბეზე ჩავირბინეთ. პალტო გზაში შემოვიცვი. ივო, როგორც ყოველთვის, ხალისიანი იყო.
როცა მანქანის გაღება ვცადე და გასაღები ხელიდან გამისხლტა, სიცილით მანიშნა, გვერდით დაჯექიო.
– მე დავჯდები საჭესთან, – მითხრა და მეც დავემორჩილე. ისევ ბღავილი მომინდა.
სწრაფად და თავდაჯერებულად ატარებდა. მშვენივრად იცოდა, როგორ მაღიზიანებდა მისი თვითკმაყოფილება, ლამის რომ ასხივებდა ასეთ დროს; ვიფიქრე, ნეტა, იმ თავის კონფლიქტის ზონებში, სადაც ასეთ მართალ და მამხილებელ რეპორტაჟებს ამზადებდა, ასევე თავდაჯერებულად და თავისუფლად თუ იქცევა-მეთქი. დაბომბილ ქალაქებსა და გვამებით მოფენილ ქუჩებში ასევე უშფოთველად თუ დაეხეტება-მეთქი. ყოველთვის დარწმუნებული იყო საკუთარ თავში. ცოტა ზევიდან უყურებდა ყველას. სხვებისგან განსხვავებით ყოველთვის ოდნავ უფრო თავდაჯერებული, უფრო თავისუფალი, უფრო დამოუკიდებელი და ძნელად ამოსაცნობი. ზუსტად მახსოვს როდის გახდა ასეთი. მახსოვს როდის დაიწყო სიგარეტის ფილტრამდე მოწევა, ფრჩხილების კვნეტა, ქალების თვალიერება; მახსოვს მისი ნაღვლიანი გამოხედვა, რომელიც სხვებს გამომწვევად მიაჩნდათ; და მისი ბლოკნოტები, რომლებსაც ისე ავსებდა ჩანაწერებით, თითქოს პატარ-პატარა ღუზებს უშვებდა ოკეანეში.
– ახლა მარცხნივ.
ერთი-ორი მოკლე მითითების მეტი ვერაფერი ამოვღერღე მთელი გზა თეოს სკოლამდე.
ივო ეწეოდა. მანქანა მარკოსი იყო. აუცილებლად იგრძნობდა სიგარეტის სუნს და გაბრაზდებოდა, მაგრამ ივოსთვის შენიშვნის მიცემა ვერ გავბედე. თავიდან არ ამომდიოდა ბარი, რომელიც „სულ არ გამოიყურება სნობურად“. ნამდვილად არ მინდოდა მისგან კიდევ ერთი შეფასების მიღება.
ფანჯარა ჩამოწია და დაინტერესებული იყურებოდა აქეთ-იქით, როგორც სკოლის მოსწავლე. ვერ მივხვდი, იცნო ქალაქი თუ პირიქით, ვეღარ იცნო და გაოცებული უყურებდა, თითქოს პირველად ხედავსო.
ივო მანქანაში დავტოვე. თეო გახანგრძლივებულის ოთახში იჯდა პირველ სართულზე და სტაფილოს აკნატუნებდა ნაწყენი სახით. თუმცა როგორც კი დამინახა, წამოხტა და ჩემკენ გამოექანა ეტყობა ისეთი ნაწყენიც არ იყო. ჯგუფის ხელმძღვანელს მადლობა გადავუხადე. შევეცადე აუღელვებელი და დამაჯერებელი ვყოფილიყავი ვითომ უბრალოდ გაუგებრობა მოხდა.
ძალიან დიდი ხანი არ მინდოდა ბავშვის გაჩენა. პრინციპში, საერთოდ არ მინდოდა. ვგრძნობდი, რომ დედის როლს ვერ მოვირგებდი. სანამ თეოგაჩნდებოდა, უკვე ვიცოდი, რომ ვერასოდეს ვიქნებოდი საკმარისად კარგი. ვერც საკუთარი თავისთვის და ვერც ჩემი შვილისთვის. როგორც არ უნდა მომენდომებინა.
– მამა სად არის? – იკითხა თეომ და მოკბეჩილი სტაფილო ჯიბეში ჩაიტენა. დანარჩენი ბავშვები ცოტა უფროსები იყვნენ. ჩუმად ისხდნენ, ხატავდნენ ან საშინაო დავალებებს აკეთებდნენ, და ყურაღებას არ აქცევდნენ თეოს. ისიც არავის დაემშვიდობა, მასწავლებლის გარდა.
– დღეს ჩემი ჯერია, ხომ იცი.
– მაშინ რატომ დაგავიწყდი?
– არ დამავიწყდი. ხომ მოვედი. უბრალოდ დამაგვიანდა.
– მუშაობდი?
– არა, სტუმარი გვყავს და ამიტომ დამაგვიანდა.
– სტუმარი?
ლურჯი თვალები გაუბრწყინდა. წყენა გადაავიწყდა.

– ჩემთვის ძალიან ახლობელი ადამიანი. ოჯახის წევრი. მომიყოლია კიდეც ამის შესახებ, თუ გახსოვს.
– შენი და მამიკოს ოჯახზე?
– არა, ჩემს ოჯახზე.
რამდენი წელია ივოსთვის ძმა აღარ მიწოდებია. არც არავინ იხსენიებდა ჩვენს ოჯახში მას ჩემს ძმად. მაგრამ მაინც გამიკვირდა, რომ არცთეოსთან ვთქვი ახლა. ძალიან ვცდილობდი გულახდილი ვყოფილიყავი მასთან, პატივისცემითა და სერიოზულობით მოვპყრობოდი, ისე, როგორც თულიამ აღგვზარდა. შეიძლება ამას ჩვენი უდარდელობა შეეწირა, მაგრამ სამაგიეროდ სამივე დამოუკიდებელ ადამიანებად გვაქცია.
მანქანას ვუახლოვდებოდით. ივო ფანჯრიდან იყურებოდა და ისევ ეწეოდა. შორიდან მის სახეს კარგად ვერ ვხედავდი, მაგრამ დარწმუნებული ვიყავი, რომ გვაკვირდებოდა.
– ეს მამას მანქანაა, – თქვა თეომ. სიამოვნებით მივბერტყავდი ახლა, იმისთვის რომ ასე დაუფარავად ამჟღავნებდა მესაკუთრეობას, როგორც თულია იტყოდა, კაპიტალიზმის სახდელ სენს. ჩემს ბავშვობაში არცთუ ისე ბევრი რამ იყო საამაყო. ჩვენი თავისუფლება მეამაყებოდა, და ივო; მეამაყებოდა, რომ სხვებზე უკეთ ვცურავდით და ყოველთვის ყველაფერს ვუნაწილებდით ერთმანეთს. მესაკუთრეობა ჩვენს სახლში აკრძალული იყო. მარკის ბავშვობა კი ჩემსას არ ჰგავდა. ის ვერაფერს ხედავდა ცუდს იმაში, რომ მის შვილს პატარაობიდანვე გაეგო, რისი მფლობელი იყო. ხელსაც კი უწყობდა ამაში.
– ჩემი ხომ სახელოსნოშია, საყვარელო, – ვუთხარი და უფრო მაგრად მოვუჭირე ხელი მის პატარა ხელს. გამოთავისუფლებას შეეცადა, მაგრამ არ დავანებე. ამ ჭიდილში მანქანასაც მივადექით. ივო გადმოვიდა და ჩემს შვილს ხელი გაუწოდა. თეომ ახედა, წამართვა ხელი და ჩამოართვა.
– თეო, ეს ივოა, – ვუთხარი და მოლოდინით მივაცქერდი ორივეს. უცნაური იყო მათი ერთად დანახვა; და დიდი ცვლილებების მომასწავებელი. სულ არ ვიყავი ამისთვის მზად.
– რა უცნაური სახელი გქვია, – თქვა ჩემმა ექვსი წლის შვილმა და მანქანაში ჩაჯდა. – სახლში შენი ფოტო გვაქვს.
– მართლა?
– ჰო. მაგრამ იქ სხვანაირად გამოიყურები. სხვანაირი თმა გქონდა.
– მართალია. მაგრამ, მე მგონი, არა მარტო თმა მქონდა სხვანაირი.
– აბა, კიდევ რა?
ალბათ უნდა გამეფრთხილებინა ივო, რომ არავითარ შემთხვევაში არ აყოლოდა თეოს შეკითხვებს, თორემ ეს არასოდეს დამთავრდებოდა. საერთოდ, თეო დიდ ინტერესს არ იჩენდა გარემოსა და მის გარშემო მყოფი ადამიანების მიმართ, მაგრამ თუ დაინტერესდებოდა, თავის დანებება აღარ უნდოდა. რამდენჯერ მინატრია, ამ ინტერესის მართვა შემძლებოდა; იმიტომ რომ ზოგჯერ ჩემთვის სულ არ იყო საინტერესო ის, რაც მას აინტერესებდა, ან პირიქით.
– რა ვიცი, ალბათ ყველაფერი.
თეო ჩაფიქრდა. ივომ მე გამომხედა.
– აბა, საით გავწიოთ, ბატონებო? – შესძახა თეატრალურად და მომაჩერდა.
– ჯერ სახლში. სწრაფად უნდა გამოვიცვალო, და მერე ფეხბურთზე. დაგვიანება არ შეიძლება, ხომ გესმის? – ბრძანა თეომ უკანა სკამიდან. ხმა არ ამომიღია. უბრალოდ მოთმენა ვარჩიე და თავი დავაქნიე.
თეო მთელი გზა კითხვებს აყრიდა ივოს: სად იყავიო, ხშირად რატომ არ მოდიოდი ჩვენთანო, რატომ ეწევი მამას არ მოსწონს, მის მანქანაში რომ ეწევიანო; მერე ფეხბურთის ვარჯიშების შესახებ მოუყვა; თავის საუკეთესო მეგობარზე ელაპარაკა, რომლის მამაც კურდღლების მოშენებით იყო დაკავებული; დაწვრილებით აუხსნა, რამხელა პავილიონში მუშაობდა მამამისი, სადაც რამდენჯერმე იყო ნამყოფი; გაანდო, რომ ერთხელ ხელი გადაუწია თულიას, და რომ ლენის უფროს შვილს სულელად მიიჩნევდა, იმიტომ რომ იმას გოგოები მოსწონდა და ახალი ნაყიდი მოპედით ტრაბახობდა.
სახლში რომ მივედით, ბუტერბროდი გავუკეთე, სხვა რამისთვის დრო და ფანტაზია აღარ მეყო. მით უმეტეს, რომ ივო იქ იყო და მოსვენებას არ მაძლევდა

იმაზე ფიქრი, თუ რას ნიშნავდა ეს ჩემთვის.
თეომ ჩაკბეჩილი სტაფილო ჯიბიდან ამოიღო და დემონსტრაციულადმოათავსა ხილის კალათაში. როცა გადაგდება ვურჩიე უსიამოვნო შესახედია-მეთქი, – გაცოფდა და დაიჩემა, ჩემი სტაფილოა და რასაც მინდა, იმას ვუზამო. ივო კმაყოფილი ჩანდა, რომ ჩვენს ყოფაში ჩახედვის საშუალება მიეცა, და ინტერესით გვაკვირდებოდა ხან მე, და ხან თეოს.
ძალიან მინდოდა საძინებელში შევკეტილიყავი მარტოდმარტო, გვიან ღამემდე. ისევ უკან დავიხიე. ჩაკბეჩილმა სტაფილომ შეინარჩუნა თავისი ადგილი ხილთან კაპიტალიზმის სახდელი სენის სიმბოლოდ როგორც თულიას უყვარდა თქმა, და ჩემი უმწეობის ნიშნად.
საფეხბურთო მოედანზე ჩემი ქმრის მანქანით სამივე ერთად წავედით. ერთი შეხედვით, თითქოს არაფერი იყო უცნაური ამ სურათში. პატარა გამონაკლისის გარდა: კაცი იყო სხვა. ის კაცი, ვინც სინამდვილეში იქ უნდა ყოფილიყო, ამ დროს ალბათ თავის დოკუმენტურ ფილმს ამონტაჟებდა სტუდიაში. ის კაცი ჩემი ქმარი იყო. მაგრამ მან არ იცოდა, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული ერთად ყოფნა, ჩვენი ყოველდღიურობა, ჩვენი ჩვევები, ჩვენი დაპირებები, ჩვენი მსგავსებები და განსხვავებები, ჩვენი ღამეები, ჩვენი საშვებულებო გეგმები და ჩვენი ზეიმები, სიამოვნებით რომ ვმართავდით ხოლმე ერთად, იმ დილას კითხვის ნიშნის ქვეშ დადგა. მე კი არაფერი ვიღონე ამის წინააღმდეგ. პირიქით, ნათხოვარ ცხოვრებაში ნათხოვარი მანქანით ნათხოვარ კაცთან ერთად სტადიონისკენ გავეშურე. რატომაღმოჩნდა უცებ ყველაფერი ასეთი ყალბი, აბსოლუტურად ყველაფერი. რატომ ვწირავდი ამდენ რამეს წარსულის გატაცებას, რომელსაც ჩემთვის ბედნიერება არ მოუტანია; იმ ადამიანს, რომელსაც მთელი ჩემი ცხოვრების განმავლობაში სახელი ვერ მოვუძებნე.

3

დანარჩენი ბუნდოვნად მახსოვს.
ივომ სახლში მიმიყვანა, ჩემი ქმრის მანქანა გარაჟში დააყენა და გაქრა. თქვა, რომ კიდევ რაღაც საქმეები აქვს. ისეთი გაბრუებული ვიყავი, არც არაფერი მიკითხავს.
მერე მარკი მოვიდა, თეო ფეხბურთიდან მოიყვანა, ჩემი მანქანა კი სახელოსნოდან.
ვივახშმეთ. მარკმა ტვინი წამიღო ივოზე შეკითხვებით. აინტერესებდა, რატომ მოგვევლინა ასე მოულოდნელად. მე მგონი, ეჭვიანობდა. მერე ჩემი ლოგინში ჩაწვენით მოინდომა თავის დარწმუნება, რომ ყველაფერი ძველებურად იყო. დასტური სჭირდებოდა, და მეც მივეცი ეს დასტური. ვიწექი მასთან და ვცდილობდი მართლა მასთან ვყოფილიყავი. როცა ჩაეძინა, წამოვჯექი და დიდხანს ვაკვირდებოდი ჩემს შიშველ სხეულს. არც კი ვიცი, რატომ. არ ვიცი, რას ვამოწმებდი, რას ვეძებდი. მეორე დღეს სრული საგიჟეთი დაიწყო. ოჯახი ისევ გაერთიანდა. დედამაც კი დარეკა. აინტერესებდა, როგორ იმგზავრა ივომ და როგორ შევხვდით ჩვენ.
ჩემდა გასაკვირად, ჩემი ცხოვრების ჩვეული რიტმი არ დარღვეულა. ისევ მივუჯექი ლეპტოპს, ისევ წავიყვანე თეო სკოლაში, ვიღაცებს დავურეკე, მივხედე მარკს.
საღამოს ჩემი და მესტუმრა. ინით შეღებილი თმა წითლად უბრდღვიალებდა, ჩანთა უმცროსი შვილის სათამაშოებით ჰქონდა გამოტენილი.
ლენი მთელი ცხოვრება დაკარგული ბავშვობის როგორც თვითონ მიაჩნდა ანაზღაურებას ცდილობდა. სოციალური მეცნიერებები შეისწავლა და საბავშვო წიგნების წერას მიჰყო ხელი. თუმცა წარმატებას მხოლოდ მას შემდეგ მიაღწია, როცა თავისი მომავალი ქმარი გაიცნო, რომელიც საბავშვო წიგნების გამომცემლობას ხელმძღვანელობდა. თანდათან ჩამოშორდა თულიას, რომელსაც, ეტყობა, უკვე სამარცხვინოდ თვლიდა. სამი შვილი გააჩინა და პრესტიჟულ უბანში გადავიდა საცხოვრებლად. ახალ როლს შესანიშნავად მოერგო: ყველა შეხვედრაზე ოჯახის ყველა წევრს და ყველა დამსწრე პირს ჭკუას ასწავლიდა როგორ აღეზარდათ ბავშვები, როგორ უნდა დაემყარებინათ

მსოფლიოში სამართლიანობა ბავშვებისთვის, როგორ უნდა დაეწერათ საბავშვო წიგნები. თითქოს ჩვენი ცხოვრების მიზანი მხოლოდ ბავშვების გაჩენა, ბავშვების აღზრდა და საბავშვო წიგნების წერა ყოფილიყო.
ლენისთან ურთიერთობა მხოლოდ იმიტომ არ გავწყვიტე, რომ მე ის მჭირდებოდა. ლენი ჩემი წარსულის მოწმე იყო. ყველაფრის, რაც მოხდა, და რაზეც არასოდეს ვლაპარაკობდით. რაც ყველამ იცოდა, და რისი გახსენებაც არავის უნდოდა ჩვენს ოჯახში. რაც მან ჩვენთან ერთად გამოიარა. და რამაც დააზარალა მიუხედავად იმისა, რომ ჩემსა და ივოსგან განსხვავებით, მას უშუალოდ არ შეხებია. რისგან გაქცევასაც ზუსტად ისევე ცდილობდა, როგორც მე. რაც მთავარია, ლენი ერთადერთი ცხადი მოვლენა იყო ჩემს ცხოვრებაში: ის უბრალოდ ჩემი და იყო. და არავითარი სინამდვილეში ამას არ ჭირდებოდა.
ლენიმ სამი ბიჭი გააჩინა და ბოლოს შეეგუა იმას, რომ გოგო არ ეყოლებოდა. ვერ ჩააცმევდა ვარდისფერ ფუშფუშა კაბებს და ქერა თმას ლამაზად ვერ ჩაუწნავდა. სულ უფრო და უფრო მიჭირდა მისი ატანა. მაღიზიანებდა მისი ზღვარგადასული წესიერებაც და მისი სილამაზეც, თანდათან პროვინციულ იერს რომ იძენდა მომატებული წონისა და ინით შეღებილი თმის გამო. „გოლფს“ მხოლოდ იმიტომ ატარებდა, რომ უფრო დიდი მოდელით თავისი იდილიური უბანი არ გაეღიზიანებინა.
– თულია შაბათს გვეპატიჟება. ყველა უნდა მივიდეთ. უძღები შვილის დაბრუნება უნდა აღვნიშნოთ. სხვა რა გზა გვაქვს? – თქვა მან გესლიანად და დივანზე ჩამოჯდა. თუმცა იმავე წუთას წამოხტა და სამზარეულოს კარადებში ჯანმრთელობისთვის სასარგებლო ჩაის ძებნას შეუდგა. ამ ბოლო დროს რაღაც სასოწარკვეთილი სარკაზმი დასჩემდა, რომელსაც ვერაფრით ვხსნიდი.
– იყო უკვე აქ.
– რაა? უკვე ნახე? გამოგეცხადა ოპერის ფანტომი? სასწაულია პირდაპირ. და რაო, რა ბრძანა? როგორ მიდის საქმეებიო?
– კარგად გამოიყურება. სულის მოთქმა უნდა.
– ამას როგორ ვიფიქრებდი. არა, გეფიცები. გესიმაც რა არხეინად გამოუშვა ჩვენთან!
ლენის მოსწონდა მიტოვებული შვილის თამაში. ავიწყდებოდა, რომ თერთმეტი წლის ასაკში თავად განაცხადა უარი ნიუარკში გადასვლაზე, დამნაშავის როლი დედას გადაულოცა და კმაყოფილი იყო, რომ განტევების ვაცად აქცია. გაწყვიტა მასთან ყოველგვარი ურთიერთობა და შვილებიც კი არ ჩაუყვანია არდადეგებზე.
– არაფერია ცუდი იმაში, რომ გესი და ივო ხანდახან ნახულობენ ერთმანეთს.
– ისევ იწყებ.
– რას ვიწყებ?
– რას და ისევ იცავ.
– სულაც არ ვიცავ. უბრალოდ ასეთია რეალობა.
სკეპტიკურად გამომხედა და კარადებში ძებნა განაგრძო. ბავშვებისგარეშე ლენი ძალიან უცნაური სანახავი იყო. ვერაფრით გავიხსენე, ბოლოს როდის ვნახე მარტო. ლენიმ თავიდანვე დემონსტრაციულად იტვირთა დედის როლი. უნდოდა მთელი მსოფლიოსთვის დაემტკიცებინა, რომ დედის მიერ მიტოვებულ ქალსაც შეეძლო კარგი დედა გამხდარიყო. ოჯახურ ცხოვრებაში სრულყოფილებისკენ მიისწრაფოდა და ამასაც ყველას დასანახად აკეთებდა.
როგორც იქნა, იპოვა ჩაი, რომელიც მის ბიოლოგიურ მოთხოვნებს აკმაყოფილებდა და ჩემთვის არც უკითხავს, ისე გამიკეთა მეც. ესეც მისიდამახასიათებელი თვისება იყო: ყოველთვის იცოდა, ვისთვის რა იყო უკეთესი.
– გამიხარდა, რომ ჩამოვიდა.
ვცადე გულახდილი ვყოფილიყავი ლენისთან, უკვე მერამდენედ.
– ეჭვი მეპარება გესმოდეს, რა არის შენთვის კარგი და რა არა. ხომ კარგად იცნობ, არა? ყოველ შემთხვევაში, უნდა იცნობდე. ჰოდა, ახლა მისი ამ ჩამოსვლიდან დასკვნები შენ თვითონ გამოიტანე.
– რას გულისხმობ?
– იმას, რომ მისი ამერიკაში წასვლა საუკეთესო გამოსავალი იყო ყველასთვის. ძალიან კარგი, რომ წავიდა. და ძალიან კარგი, რომ იქ დარჩა. შენ მხოლოდ ამის

შემდეგ შეძელი ცხოვრების აწყობა. მამაც დაწყნარდა. თულიაც კი უფრო გაწონასწორებული გახდა, როცა ის წავიდა. ნამდვილად ასე ჯობდა. უსიამოვნების მეტი არაფერი მოუტანია ჩვენთვის! – ჩემი და დღემდე ივოში ხედავდა ყველა უბედურების მიზეზს. ისევე, როგორც დღემდე დედას ადანაშაულებდა ყველაფერში, თუმცა მას ყველაზე ნაკლები ბრალი მიუძღოდა. ლენი ძალიან ჯიუტი იყო. რამეს თუ დაიჩემებდა, მისი გადარწმუნება უკვე შეუძლებელი იყო.
ვუყურებდი მის სახეს და გული მეთუთქებოდა. ოდესღაც ძალიან ლამაზი იყო. ცისფერი თვალები ჰქონდა და დასაკოცნი ტუჩები. გარუჯული კანი და მაღალი ყვრიმალები. ახლაც ულამაზესი ქალი იყო მისი ფორმადაკარგული სხეული, ჩაცმულობა და ქცევა რომ არა საუკეთესო ნაკვთები გამოყვა ჩვენი ოჯახიდან: დედაჩემის პაწაწინა ცხვირი, მამაჩემის სავსე ტუჩები, თულიას დიდი, ნათელი თვალები. მაგრამ როცა ლაპარაკობდა და მოძრაობდა, საშინელი შესახედი იყო. დაძაბული ჟესტები, გაშეშებული მხრები, პატარა ღაბაბი, მოუვლელი ხელები და დონდლო სხეული. სინანული ვიგრძენი და ისევ მომეჩვენა, რომ ეს არ იყო ჩემი ცხოვრება. თითქოს ჩემი ქმრის მიერ გადაღებული ფილმის პერსონაჟი ვიყავი.
– სულ არ მინდა ახლა ცერეცოს ჩაი.
– გაჩერდი, რა, ზოგჯერ რაღაც სასარგებლო უნდა გაუკეთო საკუთარ თავს.
– ჩემთვის ეს სულ არ არის სასარგებლო. საერთოდ, ვერ ვიტან ცერეცოს. მუცლის გვრემა მეწყება.
– ცერეცოს ჩაი მუცლის გვრემას არ იწვევს.
– მეზიზღება ცერეცო.
ლენიმ საყვედურით შემომხედა. მის მზერაში ამოვიკითხე, რომ ძალიან ვცდები, რომ არასწორად ვიკვებები, და საერთოდ, აზრზე არ ვარ, რომელი ჩაი უნდა დავლიო.
სვამდა თავის სასარგებლო ჩაის და თან ისეთი ყურადღებით ათვალიერებდა გარშემო ყველაფერს, თითქოს ჩემი ბინა რამეს ეტყოდა ჩემი ცხოვრების შესახებ.
– შენ წამოხვალ? – ვიკითხე უხერხული სიჩუმის დასარღვევად.
– სად წამოვალ?
– თულიასთან, შაბათს!
– წამოვალ, აბა, რას ვიზამ? ხომ შემაჩვენებს წმინდა ოჯახი, რომ არ მოვიდე. თულია გონზე არ არის სიხარულისგან. თავისი საყვარელი ბიჭი დაუბრუნდა. ისე, რომ ვუფიქრდები, ივო ყოველთვის საუკეთესო შვილიშვილი და შვილი იყო. ყოველ შემთხვევაში ჩვენ გვჯობდა. პირდაპირ დაუჯერებელია.
ეჭვიანი ლენი. როგორც ყველაზე უფროსს, ჩვენი წარსულის მოვლენები და კატასტროფები, წესით, ჩვენზე უფრო ვაჟკაცურად უნდა აეტანა... ალბათ ამიტომაც ვერ დაძლია დღემდე დაუკმაყოფილებლობის გრძნობა. შესაძლოა, ბავშვებზე ჭკუის დაკარგვაც მხოლოდ ბავშვობის მონატრება იყო. იქნებ ამაში ეძებდა ხსნას.
– მამას უკვე ელაპარაკე? – ვიკითხე ისე, სხვათა შორის და საათს დავხედე. თითქოს თეო, რომელსაც მარკი მალე სკოლიდან მოიყვანდა, ამ ტანჯვისგან დამიხსნიდა. თეოს მოკბეჩილი სტაფილო ჯერაც აგვირგვინებდა დახლზე შემოდგმულ ხილის კალათას, გვერდით კი დაორთქლილი ჭიქები იდგა ცერეცოს მძაფრი სუნით, როგორც ჩემსა და ლენის შორის გაწყვეტილი კავშირის სიმბოლო.
– მამა თავის ფისოსთან ერთად მოვა. ღმერთო! დააკვირდი, რას ჰგავდა მამას ბოლო დაბადების დღეზე? ნამდვილი გომბეშო!
– ოცდაექვსი წლით უმცროსი მაინც არ არის მამაზე. კიდევ კარგი, რომ ასაკი მაინც აქვთ ერთი.
– რა სისულელეა. მაგ ქალში კარგი არაფერია! ჯერ ერთი, შუბლზე აწერია, რომ საშინელი მდაბიოა, კილომეტრში ეტყობა. და მერე რა კილოზე უქცევს! პირდაპირ გული მერევა!
– როგორმე მოერიე თავს. უკვე ორი წელია მამასთან ერთად არის. ამას ხომ უნდა მოხერხება!
– მამა ჯერაც წარმოსადეგი კაცია, უკეთესი შეეძლო ჰყოლოდა. ზოგჯერმგონია,

რომ უბრალოდ ეცოდება; მაგის ასაკში და მაგის მდგომარეობაში წესიერ კაცს ვეღარც იპოვის.
ლენის ძალიან უყვარდა მამა, აღმერთებდა და მიაჩნდა, რომ უიღბლობის მსხვერპლი გახდა, რომ სამყარო უსამართლოდ მოექცა, რომ ცოლ-შვილი მხარში არ ამოუდგა; მამამ, როგორც ჭეშმარიტმა რაინდმა, ბიჭი იშვილა უპატრონო, ღატაკი და ყველასგან მიტოვებული, მაგრამ იმასაც კი არ გამოუხატავს მადლიერება. ლენი ახერხებდა ფაქტებისა და მოგონებების შემობრუნებას, რომ მამა ისე წარმოეჩინა, როგორც თვითონ სურდა.
– ნუ ხარ ასეთი ღვარძლიანი. მშვენიერი ქალია.
– რას ნიშნავს ღვარძლიანი? ჩვეულებრივი ბოზია და მეტი არაფერი. იმ თავისი ქერად შეღებილი თმით და მაკიაჟით.ეტყობა ჰოლივუდის ფილმში ჰგონია თავი...
– ლენის კიდევ რაღაცის თქმა უნდოდა, მაგრამ ამ დროს მობილურმა დაურეკა. მისი ქმარი ღელავდა, – ხომ არ დაგავიწყდა, რომ შუათანას კარატეს ვარჯიში უცდება და უნდა მიაკითხოო. ლენი სრულ პანიკაში ჩავარდა, რომ დედის როლში ეს პატარა შეცდომა გაეპარა. წამოხტა და ჩანთა დაუვარდა. რეზინის იხვი, ბორბალმომტვრეული პლასტმასის მანქანა, პასტით მოხატული სათამაშო კვერცხი და ლუბრიკანტის ქილა სამზარეულოს ქვის იატაკზე გაგორდა.
ქილა თხელი იყო, ვარდისფერი და ბრჭყვიალა ვარსკვლავებით შემკული ძალიან უხდებოდა ლენის ჩანთაში განთავსებულ სათამაშოების სამყაროს. ლენიმ შეამჩნია, რომ ბრჭყვიალა ნივთს თვალი მოვკარი და ისე დაიჭირა თავი, თითქოს ამაში არაფერი იყო განსაკუთრებული. აუღელვებლად აკრიფა ყველაფერი გელი დემონსტრაციულად ყველაზე ბოლოს აიღო, და ისევ ჩანთაში ჩატენა. მას შემდეგ, რაც გავიზარდეთ, უტყვი შეთანხმება გვქონდა მე და ჩემს დას: არასოდეს გველაპარაკა იმაზე, რაც ისედაც ცხადი იყო. ამიტომ კომენტარისგან თავი შევიკავე.
მაგრამ როცა უკვე კართან მივიდა და ბინიდან გასვლა დააპირა, მაინც წამოვაყრანტალე:
– ველური სიყვარული გაქვთ, არა?
ავხითხითდი და უცებ ძალიან კარგად ვიგრძენი თავი. თითქოს ისევ თხუთმეტის ვიყავი და ისევ შემეძლო საკუთარი დის სექსუალურ ცხოვრებაში ცხვირის ჩაყოფა.
– რა სისულელეებს მეკითხები, სტელა!
ლენი გაწითლდა. ვიგრძენი, როგორ დაიძაბა და შინაგანად მუშტებიც კი შეკრა.
– რა მოხდა, უბრალოდ მაინტერესებს!
– რა გაინტერესებს? ვწევარ თუ არა ჩემს ქმართან და თუ ვწევარ, როგორ?
– რატომაც არა? მე ხომ შენი და ვარ. ადრე ხომ მქონდა შენთან ასეთ რამეებზე ლაპარაკის უფლება.
– ეგ ადრე აღარ არსებობს. – თქვა მან და გავარდა. კიბიდან ამომძახა:
– შაბათს შევხვდებით!
კარი დავხურე, მივეყრდენი და ავხარხარდი. მეტისმეტად აბსურდული სიტუაცია იყო. მაგრამ ამ სიცილის მაინც შემეშინდა; შემეშინდა, იმიტომ რომ ვიცოდი დადგენილი წესების დარღვევის მიზეზი მხოლოდ და მხოლოდ ეს ადრე იყო. და ამას ივო ერქვა.

თულიამ გამოაცხადა, რომ საუკუნის ზეიმს მართავდა და ვინც მის მიწვევას უგულებელყოფდა, სამუდამოდ დაკარგავდა ოჯახს. მე მამას დავურეკე, მამამ ლენის, ლენიმ მე, თულიამ მამას; მამა თულიას კატეგორიულობას უჩიოდა, მე მამას ვაწყნარებდი, ლენი მამას ლანძღავდა, რომ თავის დაცვა არ შეეძლო. თულიამ მოლაპარაკებები გამართა დედასთან. დედამ ისევ მე დამირეკა, გამოლანძღა ლენი უტაქტობის გამო, და შეშფოთება გამოთქვა, რომ მის გამო ივოს დაბრუნება ჩაშხამდებოდა. ეს ფორიაქი მთელი კვირა გრძელდებოდა.
ივო ნინდორფის ზღვისპირა ბეღელში დასახლდა და თულიას მზრუნველობით ტკბებოდა. თვითონ არც ერთი ჩვენგანისთვის არ დაურეკავს და შეეგუა იმას, რომ თულია მისი დაბრუნებისა და ოჯახის გაერთიანების აღნიშვნას გეგმავდა.
ამ დროს მარკმა ხელი მოაწერა კონტრაქტს ახალ დოკუმენტურ ფილმზე და კვიპროსზე გამგზავრებისა და იქ გადაღებების ორგანიზებით იყო დაკავებული.

მე და თეო ხშირად ვრჩებოდით მარტო.
ჩემი კოლეგის წვეულება, რა თქმა უნდა, გამომრჩა. რედაქციაში ყველა მკიცხავდა. განსაკუთრებით ჩემი მთავარი რედაქტორი ლეო. მან თვალი დაადგა ნადას რომლის წვეულებაც გამოვტოვე და ჩემი მაჭანკლობის იმედი ჰქონდა. იმ დროს სტატიას ვამზადებდი ბიენალეს შესახებ, რომელიც ვითომდა ძალიან თანამედროვე, ახალი გზების მაძიებელი და ახალი მიმართულებების მაჩვენებელი“ უნდა ყოფილიყო, სინამდვილეში კი ძალიან მოძველებული, დავარცხნილ-გაპრიალებული და მოსაწყენი იყო. დედლაინის გადაწევა ვითხოვე და ამან კიდევ უფრო გააუარესა საერთო განწყობა. ჩემს პროფესიაში ტყუილები ზოგჯერ დასაშვებად მიაჩნდათ, მიღებული იყო სრული უაზრობის ავანგარდად, გზის გამჭრელად და მიმართულების მაჩვენებლად“ წარმოჩენა. და არც ჩამორჩენილი და გამოშიგნული ქმნილებების, ინტერვიუების, პრემიერებისა და პრეზენტაციების უმნიშვნელოვანეს მოვლენებად აღიარება ეთაკილებოდა ვინმეს. მაგრამ ამჯერად ამ პროფესიული ტყუილის თქმა ძალიან გამიჭირდა.
თეოს რაღაც არ ასვენებდა. გაღიზიანებული ოხრავდა და წუწუნებდა. სტაფილო ისევ კალათაში იდო. პირობა ჩამოგვართვა მე და მარკს, რომ ხელს არ ვახლებდით არც გადავაგდებდით და არც შევჭამდით. იმაზე ფიქრი, თუ რაში სჭირდებოდა ეს სტაფილო, უკვე მეტისმეტი იყო ჩემი ისედაც ადუღებული ტვინისთვის. ამიტომ ეს მომავლისთვის გადავდე შაბათი ჩაივლის და მერე მივხედავ-მეთქი.
– პარასკევს მივფრინავ ნიქოზიაში. – თქვა მარკმა და ჯინსის შარვალი ჩაიხსნა. მე საშხაპედან გამოვედი მის ხალათში გახვეული. ჩემთვის პირსახოცის ხალათს არ ვყიდულობდი.
– და თულიასთან რომ ხარ დაპატიჟებული? – ვკითხე.
– ფრენას ვერ გადავდებ.
– მე უნდა მივიდე.
– რამეს ვამბობ?
– თეოსაც წავიყვან და ღამე იქ დავრჩები. კვირას დავბრუნდებით.
– კვირას ვარჯიში აქვს.
– ჰო, მართალია. ვეცდები კვირას ადრე წამოვიდე.
– დარწმუნებულიხარ, რომ გინდა იქ წასვლა?
– მარკ...
– კარგი, ჰო, უბრალოდ ვიკითხე.
– მინდოდა შენც ყოფილიყავი.
– ეს ხომ შენი ოჯახია. ყველას კარგად იცნობ. არ შეგჭამენ. – ისეთი გრძნობა მქონდა, რომ ივო“ იგულისხმა, როცა შენი ოჯახი“ თქვა. ეშინოდა იმაზე ლაპარაკი, რაც აწუხებდა.
– ყველას გადავეჩვიე. წვეულებებსაც! და იმასაც გადავეჩვიე.
– მოდი ჩემთან. რა გემართება? რატომ ფიქრობ ამდენს მასზე? მე მეგონა თქვენ შორის ყველაფერი გარკვეული იყო უკვე.
– უბრალოდ ვღელავ და მეტი არაფერი. არ მაქვს ლენის კომენტარების და მამაჩემის ქეიფის თავი. არც თულიას ძველისძველი ისტორიების მოსმენის ხასიათზე ვარ. ალბათ ძალიან გადავიღალე.
– იქნებ სააღდგომოდ ერთად წავიდეთ სადმე. ერთი კაი მოსაწყენი ოლ ინქლუზივ“ შვებულება ბავშვების მომვლელებით და სულელური ექსკურსიებით ნამდვილად არ გვაწყენდა.
კისერზე მასაჟის კეთება დამიწყო და მივხვდი, რომ ისევ მჯეროდა მისი. მჯეროდა ისეთი ბედნიერების, როგორიც ჩვენ წარმოგვედგინა. ყოველთვის მიკვირდა, რატომ მომიყვანა მარკმა ცოლად? მარკმა, აკადემიკოსი მშობლების ერთადერთმა შვილმა, რომელიც იმდენად ლიბერალური ოჯახიდან იყო, რომ მისთვის ვიოლინოზე დაკვრაც კი არ დაუძალებიათ ბავშვობაში. მარკმა, რომელიც ყოველთვის ყველაფერს სწორად აკეთებდა და არ ცნობდა სიტყვას „პრობლემა“. რად უნდოდა ჩემნაირი ცოლი მარკს, რომელიც ჰაიდელბერგსა და ლონდონში სწავლობდა ისტორიას და ანგლისტიკას, და რომელიც ახლა საუკეთესო ისტორიულ დოკუმენტურ ფილმებს იღებდა? როგორ ახერხებდა ჩემთან ერთად ცხოვრებას? შესანიშნავად გამოიყურებოდა, წიგნები უყვარდა,

მათ შორის მხატვრული ლიტერატურა თუმცა ამას მეც სიამოვნებით ვკითხულობდი, – მსოფლიოში ყველაზე უკეთ ატარებდა მანქანას, შვილს აღმერთებდა და ბევრად უკეთესი მამა იყო, ვიდრე მე დედა. ჩემგან განსხვავებით, მარკს სხვა ცხოვრება არ ჰქონია; მეტისმეტად სწორად ცხოვრობდა. თუ რამე ნაკლი არსებობდა მის ბიოგრაფიაში, ეს ალბათ მისი დეპრესიული ექს ცოლი იყო, რომელთან ერთადაც ზოგჯერ მარიხუანას ეწეოდა. და კიდევ მისი სწრაფვა სრულყოფილებისკენ, სწრაფი მანქანებით გატაცება და გადამეტებული ყურადღება საკუთარი სხეულის მიმართ. მაგრამ ამ ყველაფერს ბანალური ფსიქოლოგიური ახსნა მოეძებნებოდა: უბრალოდ ასე აღზარდეს და მორჩა. მარკი კარგად უმკლავდებოდა ცხოვრებას. სულ რამდენიმე შემთხვევა მახსოვს, როცა უყვირია ჩემთვის და გაცეცხლებული გავარდნილა სახლიდან, და ისიც ყოველთვის ჩემი პროვოცირებული იყო.
მარკი პირველად ერთ სატელევიზიო გადაცემაში ვნახე, ივოს წასვლიდან რამდენიმე კვირის შემდეგ. იმ გადაცემის პროდიუსერი იყო. საქმე ეხებოდა მმართველ წრეებში აგორებულ სკანდალს ნარკოტიკებთან დაკავშირებით. მე და ჩემმა კოლეგამ რეპორტაჟი მოვამზადეთ. მაშინ მემარცხენე გაზეთშიც ვმუშაობდი და ერთი ინფორმატორის დახმარებით ამ საქმის ხმაურიანი დეტალები მოვიძიე. პრეზენტაციაზე ჩვენი რედაქციიდან რამდენიმე კაცი დაგვპატიჟეს. წვეულების დროს მარკი ძალიან მომხიბლავი და გახსნილი იყო. სახალისო ამბებით ართობდა საზოგადოებას და ღვინის შეთავაზებაც არ ავიწყდებოდა. ასეთ კაცს ჩემს ცხოვრებაში არაფერი ესაქმებოდა. თავის ერთ კოლეგას ეჭუკჭუკებოდა და თან სულ მე მიყურებდა. მახსოვს, რამდენ ხანს გააჩერა ჩემი ხელი თავისაში დამშვიდობებისას. სახლში წაყვანა შემომთავაზა. უარი ვუთხარი. მან გამბედაობისთვის შემაქო და ტელეფონის ნომერი მთხოვა. იმ დროს ერთ კაცს ვხვდებოდი. დასარტყამებზე უკრავდა და ლოთობდა; ნამდვილად არ მეგონა, რომ ამაზე მეტს ვიმსახურებდი.

– ყველაფერი გამოგივა. დაგირეკავ, კარგი? – მითხრა მარკმა და ყურზე მომეფერა.
– კარგი, – ვუჩურჩულე და მაჯაზე ვაკოცე.

4 4
წვიმდა. თეო დაღლილი და უკმაყოფილო იყო. ერჩივნა ფეხბურთელ მეგობრებთან ერთად კომპიუტერზე ეთამაშა. მე ავტობანს გავყურებდი საჭეს ჩაფრენილი.
ტელეფონი დილიდან არ გაჩერებულა. ხან ლენი: რა ჩავიცვაო? ხან დედა: ფრანკმა რაო, მოვალო? ხან თულია: თუ არ შეწუხდები ყველი წამოიღეო. ბოლოს ავიღე და გავთიშე ტელეფონი.
– რატომ ვზეიმობთ, დედა? – იკითხა ყურებჩამოყრილმა თეომ და რაღაც მონსტრი მიახატა დაორთქლილ ფანჯარას.
– იმიტომ რომ ჩვენი ოჯახის წევრია და დიდი ხანია ჩვენთან არ ყოფილა.
– ახლა სამუდამოდ დარჩება აქ?
– ჯერ არ ვიცით; ეს-ესაა ჩამოვიდა.
– ანდრეასის თავი არ მაქვს. ისევ გამიწყალებს გულს თავისი მოპედით.
– შენც ნუ ეთამაშები, თუ არ გინდა. ალექსიც ხომ იქნება, შეგიძლია რამე ააშენო მასთან ერთად. ეს ხომ გეხალისება. – ალექსი ჩემი დის შუათანა შვილი იყო და ყველაზე იოლად ასატანი მათი ოჯახიდან. პირველი, ანდრეასი, გარდატეხის ასაკში მყოფი მუწუკებიანი არსება, ყველას ატერორებდა. ორი წლის ანტონი ჯერ ისევ ჩვილად მიაჩნდათ და სხვა ბიჭებთან თამაშის უფლებას არ აძლევდნენ. ის, რომ სამივე ბავშვის სახელი ანბანის პირველი ასოთი იწყებოდა, სულ არ იყო შემთხვევითი. ეს იმაზე მიანიშნებდა, რომ პირველი ადგილი მათთვის პრიორიტეტული უნდა ყოფილიყო.
– შეიძლება ნავით გავცუროთ? – გააგრძელა თეომ ტვინის ბურღვა.
– არა, სამაგისოდ ჯერ ცივა. თან ზღვაზე ტალღები იქნება.
– საიდან იცი! ჯერ ხომ არ მივსულვართ!

– მე იქ გავიზრდე, თეო. დედაშენმა ყველაფერი იცის ზღვის შესახებ.
ნიუ-ჯერსიში გამგზავრებამდე რამდენიმე კვირა ვმუშაობდით ხოლმე ნავების გაქირავებაზე; ლენი ყოველთვის დილის ცვლას ირჩევდა, მე და ივო კი საღამოს ცვლას. ჩვენ გარდა იქ სხვა ბავშვებიც მუშაობდნენ სოფლიდან. ჰარი გამახსენდა, ჩემი პირველი მამაკაცი. ჰოლანდიელი იყო, ორი ზაფხული მუშაობდა ჩვენთან მექანიკოსად. ძალიან ფერმკრთალი იყო – მუდამ ბნელ სახელოსნოში უწევდა ყოფნა. ზეთის სასიამოვნო სუნი ასდიოდა, ჭორფლიანი სახე ჰქონდა და დასვრილი, ტრაკზე გამოხეული ჯინსი ეცვა. ივოს ის ძალიან უყვარდა. ჰოდა, ეჭვიანობით შეპყრობილმა, იმ ზაფხულს, როცა თხუთმეტის გავხდი, გადავწყვიტე მეც შემეყვარებინა ჰარი. ოღონდ ისე არა, როგორც ივოს. სულ ორი კვირა დამჭირდა. თვრამეტი წლის ჰარიმ, რომელიც მეტალს უსმენდა და აპირებდა მეზღვაური გამხდარიყო, დამავლო ხელი და ბეტონის კედელს ამაკრა. ვიცოდი, რომ ივო სადღაც იქვე იყო, ვიცოდი, რომ ყოველ წუთს შეიძლებოდა შემოსულიყო სახელოსნოში. მხოლოდ ამიტომ ავიტანე ჰარის ზეთში ამოსვრილი ხელები ჩემს სხეულზე.
ივო სწორედ იმ დროს შემოვიდა, როცა ჰარის ახალი დაწყებული ჰქონდა. ზუსტად ერთ წამში ჰარი იატაკზე ეგდო და ივოს ჩექმა ყელზე ჰქონდა მიბჯენილი. მე კი ეზოში აღმოვჩნდი, ივო ჩემკენ გადმოხრილიყო და მიყვიროდა. რას ყვიროდა, აღარ მახსოვს, მაგრამ თვალები ცრემლებით ჰქონდა სავსე.
მესამე ღამეს სახლიდან გავიპარე და ჰარისთან წავედი, რომელიც პატარა მანსარდაში ცხოვრობდა. ხეზე ავძვერი, და როცა ჰარიმ ჯერ კიდევ დალურჯებული სახით, ფანჯარა გამიღო და შეშინებული მომაჩერდა, პალტო გავიხსენი. სხვა არაფერი მეცვა.
მის ჭრიალა, მეტისმეტად ვიწრო საწოლში ჩავწექით. ჰარიმ პირზე ხელი ამაფარა, თვითონ კი სასაცილო ხმებს გამოსცემდა. ვერაფერს ვგრძნობდი ყრუ ტკივილის გარდა. მისი სხეულის მიმართ სრულიად გულგრილი დავრჩი. უბრალოდ მივუშვი და მხოლოდ იმაზე ვფიქრობდი, რომ ამით ივოს დავამცირებდი და ვატკენდი. სწორედ იმიტომ იყო, რომ ასე უგულოდ, შეშასავით, მხოლოდ მექანიკურად ვასრულებდი ყველაფერს. მასთან სულ სხვანაირი ვიქნებოდი. ნაზი, ალერსიანი, მოსიყვარულე, ვნებიანი.
– ფრთხილად!
ავტომატურად დავამუხრუჭე და საჭე დროზე რომ არ დამეტრიალებინა, საბარგო მანქანას შევასკდებოდი; კიდევ კარგი, უკან არც ერთი მანქანა არ მოდიოდა.
– მაპატიე, ჩემო სიხარულო! – ვთქვი და შვებით ამოვისუნთქე. შიშმა აზრზე მომიყვანა. ივოს წყალობით ყველაფერი ყირაზე დადგა, და ახლა მე უნდა დამელაგებინა. უფლება არ მქონდა, მარკისა და თეოსთვის ცხოვრება ამეწეწა. დარჩენილი გზა ნინდორფის სანაპირომდე საკუთარ თავს ვუმტკიცებდი, რომ ოცდაათს გადაცილებული ვარ და ცხოვრება აწყობილი მაქვს. დედა ვარ და, ბოლოს და ბოლოს, ბედნიერი ვარ ამ ჩემი ცხოვრებით.
ყველაზე ბოლო მე მივედი. სოფელთან კიდევ შაბათის საცობში მომიწია დგომა. ლენის და მამას მანქანები სახლის წინ ეყენათ. ლენის ბიჭები ისე ხმაურობდნენ, რომ გარეთაც კი ისმოდა; თეო ჩამეხუტა და ჩემს პალტოში ჩარგო თავი.
– ისევ აქ უნდა დავრჩეთ ღამე?
ვიცოდი, რატომაც იკითხა. კომფორტი უყვარდა მამამისივით. ერთი ბეწო ცვლილებასაც კი ვერ იტანდა თავის უსაფრთხო და თბილ სამყაროში. უყვარდა ცოტა უცნაური თულია და ტრაბახა ბაბუა, მაგრამ სძულდა ის პატარა ხის საწოლი, რომელშიც დაძინება უწევდა და ცივი იატაკი საშხაპეში. ბრაზიმომერია. ისეთი გრძნობა მქონდა, თითქოს დამაღალატეს და მშველელიც არავინ იყო. ამ დროს კარში მამა გამოჩნდა და ხელი დაგვიქნია.
– მხოლოდ ერთი ღამე, თეო. ჩემთვის ძალიან მნიშვნელოვანია, რომ შენ ჩემთან ერთად ხარ. ხომ გესმის? – ვუჩურჩულე, სანამ მამას მივუახლოვდებოდით. მამა წელში გამართული იდგა, კარგად შესამჩნევი ღიპის მიუხედავად, ძველებურად ელეგანტური და თავმომწონე. იდგა და კმაყოფილი მიღიმოდა, როგორც ყოველთვის. თითქოს საერთო საიდუმლო გვქონდა, თითქოს ყველაფერი ვიცოდით ერთმანეთზე – იმიტომ რომ მართლა ძალიან ვგავდით ერთმანეთს. არასოდეს ვიყავი დარწმუნებული, უნდა გამხარებოდა თუ მწყენოდა მისი ასეთი

თავშეკავებულობა ჩემთან დამოკიდებულებაში. თეოს ფრანკის დანახვისთანავე გადაავიწყდა თავისი დარდები და კოალასავით ააბობღდა. ფრანკი მიეფერა, თავზე აკოცა და ძირს ჩამოსვა. ლენის უფროსი ბიჭები ჟივილ-ხივილით გამოექანნენ მისკენ და ალყაში მოაქციეს.
ჰაერში შემწვარი ხორცის სუნი ტრიალებდა და წუთით მომეჩვენა, რომ შობაა, და ჩვენ უბრალოდ საშობაო ვახშამზე შევიკრიბეთ. თულია გამოენთო სიცილით თუ ტირილით, კაცი ვერ გაიგებდა და ისე ჩამეხუტა, რომ სუნთქვა შემეკრა. როგორც ყოველთვის ძველებური სუნამო ესხა, რომლის სახელს არაფრით არ მიმჟღავნებდა; თულიას სურნელი დაუვიწყარი იყო. ასაკის მიუხედავად ყორნის ფრთასავით შავი თმა ჰქონდა, ისევე, როგორც მის ბებიას და დიდ ბებიას ეს უკანასკნელი თურმე სპარსეთის დედოფალი ყოფილა. ერთი ჭაღარაც კი არ გამორევია ამდენი ხნის განმავლობაში. ოქროს ძეწკვზე ჩამოკიდებული სათვალე მკერდზე უქანქარებდა. მისი მუქი წითელი ტუჩები რაღაც არაბუნებრივ შთაბეჭდილებას ახდენდა.
– როგორც იქნა, ყველა შევიკრიბეთ!
თულიას უზარმაზარი სამზარეულო ჰქონდა, გრძელი ხის მაგიდითა და ისეთივე გრძელი ორი ხის სკამით. ყველგან ყვავილები იდგა დიდი თიხის ლარნაკებით. სამზარეულო გადავსებული იყო თასებით, თეფშებით, ფქვილის პაკეტებით, სამარილეებით და პატარ-პატარა ქილებით, რომლებშიც თულიას მიერ მოყვანილი, გამომშრალი და დაფასოებული ბალახები იყო მოთავსებული. ყველას გვქონდა ჩვენს სამზარეულოებში ასეთი პატარა ქილები თულიას სუნელებით. მგონი, რამდენიმე ქილა დედაჩემთანაც კი მინახავს ნიუარკში.
ფრანკი სადღაც გაქრა, ივო მოსასალმებლად არ გამოსულა. ლენი სამზარეულოში ფუსფუსებდა, ბეჯითად აცხობდა რაღაცას. ანტონი იმ ძველისძველ მანეჟში იჯდა, რომელშიც ოდესღაც მეც ვმჯდარვარ, და ცარცით ბღაჯნიდა რაღაცებს. პრინციპში, უკვე დიდი იყო ამ მანეჟისთვის.
მამაჩემის მეგობარი ჰანა სამზარეულოს ყველაზე შორეულ კუნჭულში მოკალათებულიყო; სუსტი, მზრუნველი, ცოტა სულელი ქალი იყო, და ნამდვილად არ ჰგავდა ბოზს, როგორადაც მას ჩემი და მიიჩნევდა. მამამ ის საავადმყოფოში გაიცნო, სადაც ფილტვების ანთების გამო მოხვდა. ჰანა მომვლელად მუშაობდა, ყველას თან ყვებოდა, შვილები არ ჰყავდა. მამაჩემით მოიხიბლა და მისი საყვარელი გახდა. უსიტყვოდ იტანდა მის მრავალრიცხოვან ქალებს. ისეთი მიუსაფარი ჩანდა იმ კუთხეში. ეტყობა თულიამ მიუჩინა იქ ადგილი, საფერფლე დაუდგა და არაფრის კეთება მიუსაჯა.
მოუვლელ, გაბარდულ ბაღში გავიხედე. სამზარეულოდან იწყებოდა გრძელი ფერდობი, სადაც ჰამაკი ეკიდა. ყველგან სათამაშოები ეყარა, შორიდან ბავშვების ყიჟინი ისმოდა. ბაღის ბოლოში ვაშლის ხესთან ფრანკი და ივო იდგნენ, ეწეოდნენ და ლაპარაკობდნენ. ეტყობოდათ, რომ რაღაც სერიოზულზე ლაპარაკობდნენ.
– როგორც ხედავ, კაცებმა განმარტოება არჩიეს. იანი მოგვიანებით მოვა, გამომცემლობაში უნდა შეიაროს, – არ დამინდო ლენიმ და ცომის მოზელვა განაგრძო.
– გაუდა წამოიღე? ივო ამბობს, რომ შტატებში წესიერ ყველს ვერ იშოვი, – გამომძახა აჟიტირებულმა /!/ თულიამ.
– საწყალი, რა დღეში ყოფილა, – არ დააყოვნა ლენის დამცინავმა კომენტარმა. თულიამ ნაწყენი მზერა სტყორცნა და მაშინვე მოაკეტინა.
– რა ლამაზი კაცი ყოფილა, – გავიგონეთ უეცრად ჰანას ხმა მწეველთა კუთხიდან, და მისკენ შევტრიალდით; ფიქრებში წასული ჰანა ბაღში მდგარ კაცებს მისჩერებოდა.
ხმა აღარავის ამოგვიღია. თულია მენიუს ადგენდა, ლენი თავისი ნამცხვრით იყო დაკავებული, მე ბავშვების მოვლა ვითავე, ანტონი ხელში ავიყვანე და ბაღში გავუჩინარდი. ბიჭები ხეზე იყვნენ გამაგრებული სახლუკაში, მამამ რომ დიდი ხნის წინ ააგო ჩვენთვის, და რომელმაც სანაპიროს მკაცრ ჰავას გაუძლო. თეომ ძალიან მალე გამომაგდო. როცა დავრწმუნდი, რომ ლენი არ გვიყურებდა, ანტონი ფრთხილად ჩამოვსვი ძირს. თამამად გაბობღდა, ადგომა სცადა, დაეცა და მაინც ჯიუტად განაგრძო მცდელობა. ფრანკი და ივო ისევ ვაშლის ხესთან იდგნენ.

ფრანკმა ხელი დამიქნია, ჩვენთან მოდიო. ანტონი ხელში ავიყვანე და ვაშლის ხისკენ გავწიე. ივომ ლოყაზე მაკოცა და ჩემი მარჯვენა ხელი თავისაში მოიქცია.
– ცოტა ვილაპარაკეთ, – თქვა მამამ და თავისებურად გამიღიმა ისევ. ამის მიზეზი კარგად ვიცოდი, სამივემ ვიცოდით. მაგრამ ისე ვიქცეოდით, თითქოს არ ვიცოდით./–!/ ეს მზერაც სწორედ იმას ნიშნავდა, რომ ისეთი რამ ვიცოდით, რისი დავიწყებაც გვერჩია. თუმცა შეიძლება მე უბრალოდ მეგონა ასე. იმიტომ რომ როგორც კი ივო, მამა და მე ერთად შევიყრებოდით ხოლმე, მხოლოდწარსულზე ვფიქრობდი; იმაზე, რაც მოხდა; იმაზე, რასაც სიამოვნებით დავივიწყებდი სხვანაირად არ შემეძლო.
– რა კარგია აქ. როგორც ყოველთვის, ძალიან კარგია, – თქვა ივომ და შემომხედა. მერე ანტონს მიეფერა და იკითხა, სამზარეულოში დახმარება ხომ არ გჭირდებათო.
ფრანკმა მარტო დაგვტოვა. მე და ივო მდუმარედ გავყურებდით შორეთს და ზღვას ვუსმენდით.
– კარგად გამოიყურები.
– გმადლობ.
ისევ გავჩუმდით.
მერე მე განვაგრძე.
– ეს იყო, რაც გენატრებოდა, არა? მყუდრო ოჯახური ბედნიერება.
– უსამართლო ხარ.
– სულაც არა.
– ხარ. მიხარია, რომ აქ ვარ. რომ ისევ გხედავთ ყველას. ფრანკს, ლენის, თულიას. ბავშვებს, რომლებსაც არ ვიცნობდი. შენ.
– მშვენივრად იცი, რომ სტუმრად ჩამოსვლა ყოველთვის შეგეძლო.
– არ შემეძლო.
ხმა არ ამომიღია. ძალიან ცუდად ვიყავი. ჩვენ ოჯახში როლების განაწილების ნაცნობი სქემით დათრგუნვილი. იქ, იმ ხის ქვეშ, ბავშვების ხმებით გარემოცული. რამდენიმე ათწლეულით უკან რომ შეგვძლებოდა დაბრუნება, ეს ჩვენი ხმები იქნებოდა.
ქარმა დაუბერა და ივოს სუნი ისე მძაფრად ვიგრძენი, რომ წავბარბაცდი და წამით ხელი გავუშვი ანტონს. ისევ ისეთი სუნი ჰქონდა: ერთდროულად ტკბილიც და მკაცრიც. თითქოს ადამიანის კი არა, რაღაც მკვდარი მცენარის, უცხო ბალახის სურნელი იყო – შხამიანი და მათრობელა. ანტონს ხელი მოვკიდე ისევ და უკან დავიხიე. ივო ვერასოდეს გახდებოდა ჩემთვის უცხო. ძალიანაც რომ მომენდომებინა.
შევხედე და დარდი მომერია. მასზე დარდი, ჩვენზე დარდი. ვიღაცამ დამიძახა. თულია იყო, რომელიც თურმე ყველს ვერ პოულობდა. სახლისკენ წავბოდიალდი და თან უკმაყოფილო და აჯაჯღანებული ანტონი წავათრიე.
ის საღამო კარგად დამამახსოვრდა. თულიას შემწვარ-მოხრაკული მივირთვით და ლენის ვაშლის ნამცხვარი მივაყოლეთ. ბავშვებმა უჩვეულოდ ცოტა იჩხუბეს. დაძინებაზეც კი არ გამოუთქვამთ განსაკუთრებული პროტესტი. ანტონს ისე ჩაეძინა, არც კი უტირია. ფრანკმა თავშეკავებულად დალია. უსიამოვნო თემებზე არ გვილაპარაკია.
დარწმუნებული ვარ, რომ ეს მხოლოდ ივოს დამსახურება იყო. ივოსი, მსოფლიო რომ მოიარა და საინტერესო ამბებს გვიყვებოდა; ივოსი, რომელიც ძალიან კარგ ხასიათზე იყო. ყველა მოგვხიბლა თავისი შარმით და ბევრი გვაცინა. ჰანაც კი აღარ გრძნობდა თავს უცხოდ ჩვენს ოჯახში, იმ სუფრასთან. ერთი-ორი საათით ჩვენი წარსული აწმყოდ ვაქციეთ. ვახშმის მერე თულიამ, როგორც ყოველთვის, გაუგებარი და უჩვეულო სასმელები შემოგვთავაზა – ქლიავის კონიაკი და შავი ლიქიორი, რომელიც მე და ლენიმ ხითხითით ვწრუპეთ, თვალდახუჭულებმა და ცხვირზე ხელმოჭერილებმა.
იმ მოკლე დროით ჩვენ მართლა ერთი ოჯახი ვიყავით, და მართლა ვხარობდით ამით.
ფრანკის ჩვეულებრივ ჩახუჭუჭებული სადღეგრძელოებიც მისაღები ხანგრძლივობით გამოირჩეოდა. გესიც კი ადღეგრძელა და ყოველგვარი ირონიის გარეშე სათაყვანებელი ყოფილი მეუღლე უწოდა. გესი, რომელსაც

საერთოდ არასდროს ახსენებდა. და ამ სადღეგრძელოს არავითარი დამცინავი კომენტარი არ მოჰყოლია. ივო იჯდა თულიასა და ლენის შორის, რომელსაც წამდაუწუმ ეხუტებოდა და კოცნიდა. ხან ბიჭებს ეძახდა და რაღაცებს ეხუმრებოდა. და ისევე როგორც ადრე, ღვინო არ ათრობდა, თუმცა ძალიან ბევრს სვამდა. ზოგჯერ გავხედავდი ხოლმე და თუ შემამჩნევდა, თვალს ვარიდებდი. ძალიან მტკივნეული იყო იმის დაჯერება, რომ ისევ აქ იყო, ჩემ თვალწინ. კიდევ უფრო შორი მეჩვენებოდა, ვიდრე იმ წლებში, როცა მართლა წასული იყო. ლენი და მისი ქმარი იანიც კი, რომელიც მოგვიანებით შემოგვიერთდა, ზედმიწევნით კეთილგანწყობილი იყვნენ. როცა ღამით მარკმა დარეკა და სამზარეულოში გავედი დასალაპარაკებლად, სრულიად მშვიდად ვიყავი.
– და რას აპირებ ახლა? – იკითხა უცებ ლენიმ. თან ცალი თვალი მოჭუტა, არყის ჭიქა ივოს ცხვირწინ გაიქნია, და ჩაახველა. ფრანკმა ისევ დაიწყო მოწევა და ყველას ხელ-ფეხი გაეხსნა.
– რას გულისხმობ? – ჩაეკითხა ივო მომნუსხველი ღიმილით და თავისი ჭიქიდან მოსვა.
– დარჩენას აპირებ თუ?..
ერთმანეთს გადავხედეთ. თულიამ ხელი მოხვია ივოს. თითქოს დასაცავად გადაეფარა და ყველას დაანახა, როგორ ეძვირფასებოდა.
– არ ვიცი. მე მგონი, ეს მხოლოდ სტელაზეა დამოკიდებული.
კინაღამ დავიხრჩვე, სასულეში გადამცდა. მინდოდა წამეყრუებინა, მაგრამ დანარჩენებმა მშვენივრად გაიგონეს და ახლა დაბნეულები მომჩერებოდნენ. მეც გაკვირვებულმა გავხედე ივოს.
– სტელაზე? – იკითხა ლენიმ გამომწვევად და გაიღიმა. მზად ვიყავი ყელში ვწვდომოდი.
– ჰო, მე ვფიქრობ, რომ ჩვენ ორს რაღაც-რაღაცები გვაქვს გასარკვევი.
ვერ მივხვდი, ალკოჰოლის ბრალი იყო, თუ უბრალოდ პროვოცირებასიამოვნებდა. რა იყო ახლა ეს, რაში დაჭირდა.
– ძალიან გთხოვ, ახლა ამის დრო არ არის. – თქვა თულიამმუდარით. მე ჩემს თეფშს დავუბრუნდი, რომელზეც უკვე გამომშრალი და უვარგისი შემწვარი ხორცის ნაჭერი იდო, ძალიან რომ მომაგონა საკუთარი თავი.
– რა საჭიროა ახლა ამაზე ლაპარაკი?! – ფრანკმაც ხმამაღლა ამოიხვნეშა და ღვინო გადაყლურწა. – რაღაც გეშლება, ივო. ამაზე ცალკე ილაპარაკეთ, თუ მაინცდამაინც.
– რატომ? რა არის დასამალი?! ადრე თუ ყველას გვეხებოდა და ღიად ვკამათობდით ამაზე, ახლა რატომ უნდა მივჩქმალოთ?
– მორჩი, ივო!
როგორც იქნა, მეც მოვახერხე აზრის გამოთქმა და ივოს შევხედე. ისიც მიყურებდა. უცნაური იყო, მაგრამ მის თვალებში სიამოვნება, ზიზღი და გაუცხოება ერთდროულად ამოვიკითხე.
– გავიარეთ, მორჩა! თუ ოდესღაც ვინმე კამათობდა, მხოლოდ იმიტომ, რომ ერთმანეთს ცუდად მოექეცით. მე არც კი ჩავრეულვარ, სანამ ყველაფერი კარგად იყო. მაგრამ რომ არ იყო კარგად?! რომ დაჭამეთ ერთმანეთი?! ოჯახი ყოველთვის თქვენზე ზრუნავდა. შენც ხომ იცი, ივო.
მამაჩემის ასეთმა გულახდილობამ საერთოდ გამომიყვანა წყობიდან. ნეტა აქ არ მოვსულიყავი! მინდოდა რამე მეთქვა, მაგრამ ისეთი გაცოფებული ვიყავი, ხმა ვერ დავიმორჩილე.
– მართლა? – ჩაიცინა ივომ და ღვინო დაიმატა. თულიას ჭიქაც კი გადაამოწმა, და როცა დარწმუნდა, რომ სავსე იყო, მხოლოდ მაშინ დადგა ბოთლი.
– მე კი არ ვარ დარწმუნებული. მაგრამ ამის გარკვევა შორს წაგვიყვანს და მთელ საღამოს ჩაგვაშხამებს. ცუდად არ გამიგოთ. ძალიან გემადლიერებით ყველას. დიდი მადლობა ჩემი უზრუნველი ცხოვრებისთვის. განსაკუთრებული მადლობა კი შენ, სტელა. გმადლობ, რომ ცხოვრება მასესხე. მადლობელი ვარ.
ადგა, ჭიქა დაცალა, ბოდიში მოიხადა, დემონსტრაციულად დაგვიკრა თავი და სუფრა დატოვა. თავზარდაცემული თულია უკან გაედევნა. აღშფოთებულმა ლენიმ თავი გადააქნია. ფრანკმა ამოიხვნეშა. მე კი უბრალოდ გავქვავდი. თუმცა მშვენივრად ვიცოდი, რომ წვეულების გადასარჩენად სწორედ მე

მომეთხოვებოდა ახსნა-განმარტება. და უცებ ვიგრძენი, რომ ფეხებზე მკიდია ისევ მოვლენების ეპიცენტრში ყოფნა. მკიდია მოახლოებული კატასტროფა, მკიდია, რომ ყველა მე მომჩერებია, ყველა მე მამოწმებს. სიბრაზემ გადამიარა და დავმშვიდდი. უბრალოდ თეოზე დავიწყე ფიქრი, რომელსაც უშფოთველად ეძინა ბავშვების ძველ ოთახში ალექსის და ანტონის გვერდით, და არაფერი აწუხებდა დედამიწის ზურგზე, აბსოლუტურად არაფერი. ჩვენს სუფრასთან ატეხილი ვერანაირი აყალმაყალი ვერ ამაღელვებდა ისე, რომ თეოზე ფიქრს არ დავემშვიდებინე. ასე რომ ჩემს ადგილზე დავრჩი და ხმა არ ამომიღია. მხოლოდ ჰანას შეშინებული გამოხედვა მახსენებდა შიგადაშიგ ჩემს აბსურდულ მდგომარეობას.

– რა ძნელია. არა, ძალიან მიხარია, რომ დაბრუნდა. ძალიან მინდა, რომ ყველანი გახარებული ვიყოთ. მხარში უნდა დავუდგეთ ერთმანეთს, ასე არ არის? და სტელა, სტელა, მისმენ?

მამა ჩემკენ გადმოხრილიყო, და ლენის თვალებში მის თავმომწონე, მედიდურ ანარეკლს ვხედავდი.

– არ მინდა, რომ ისევ შეგვეშალოს რამე, გესმის? მას სრული უფლება აქვს, მოვიდეს და კითხვები დაგვისვას ჩვენ ყველას. ხაზს ვუსვამ: ჩვენ. და არა შენ.

მამა კიდევ დიდხანს ლაპარაკობდა ჩვენს ოჯახზე, ჩვენს ერთიანობაზე. ნეტა, რამდენი ქალი, რამდენი წელი და რამდენი ბოთლი ღვინო დასჭირდა ამ მოჩვენებითი მშვიდობის მისაღწევად. მისი ამაო მცდელობები მხოლოდ თანაგრძნობას იწვევდა ჩემში. მამა ყველაფერს აკეთებდა, რომ მისი სამყარო არ შერყეულიყო. დანარჩენებიც ზურგს უმაგრებდნენ, მათ შორის თულიაც, რომელიც ამასობაში უკვე სუფრასთან დაბრუნებულიყო. მე კი ზუსტად ვიცოდი, რომ თითსაც არ გავანძრევდი წარსულის შესაკავებლად. იმ წარსულისა, რომელიც ასე სწრაფად და იოლად შემოგვიბრუნდა აწმყოში. შინაგანად ნიშნის მოგების განცდაც კი მქონდა. კმაყოფილიც კი ვიყავი ამ დავიდარაბით, ივოს გამომწვევი ქცევით. იმით, რომ კითხვები დაისმებოდა და მათზე პასუხის გაცემა არავის მოუნდებოდა. და უცებ ძალიან მომინდა ნაკუწებად მექცია ეს ბადე, რომელშიც ყველანი ვიყავით გახლართული. სუფთა ჰაერის შესუნთქვა მომინდა. და ყვირილი, მთელი ხმით ყვირილი, რომ ამომეთქვა ბოლოს და ბოლოს, ამომეთქვა, რაც სათქმელი იყო.

ივო აღარ გამოჩენილა. და არც ერთ ჩვენგანს არ უცდია მისი სუფრასთან მობრუნება. ფრანკს მარტო უწევდა ჩვენი გართობა. სანამ ბოლოს თულიამ გიტარა არ გამოიტანა და სიმღერა არ დაიწყო რომელიღაც დავიწყებულ თუ უცნობ ენაზე. თუ თულიას დავუჯერებთ, ეს სპარსულ-ბოშური იყო, მისი წინაპრების ენა.

სმა გავაგრძელეთ. პატარა გაუგებრობა თითქოს დავიწყებას მიეცა. მე ვტკბებოდი სახეებით ჩემ გარშემო, თულიას ჩახლეჩილი ხმით, მამაჩემის მედიდური, სულ უფრო ხმამაღალი ლაპარაკით, ჰანას მორიდებული ღიმილით, ვტკბებოდი ჩემი დით და მისი უტყვი, ბუტია ქმრით. ვჭამდი ვაშლის ნამცხვრის ნარჩენებს, ვფიქრობდი მძინარე თეოზე, ვუსმენდი ძველი ხის იატაკის ტკაცუნს და მარტის ქარის ყმუილს.

დაახლოებით ღამის ორ საათზე ლენი და მისი ქმარი ზევით ავიდნენ,სტუმრებისთვის განკუთვნილ ოთახში; მამა და თულიაცოტა ხანი ტერასაზე დარჩნენ და სიტყვიერი ორთაბრძოლა გამართეს, როგორც ყოველთვის. მოფერებით აშაყირებდნენ ერთმანეთს, კიცხავდნენ, აკრიტიკებდნენ და პრინციპულად არ ეთანხმებოდნენ ერთმანეთს არაფერში. დილის სამ საათზე თულიამ ესპრესო შემოგვთავაზა. მაგრამ მამას უკვე თვალები ეხუჭებოდა და მისაღებ ოთახში გავიდა დასაძინებლად. მე შეთანხმებული ვიყავი, რომ ბავშვების ოთახში დავწვებოდი ჩემს შვილთან და დისშვილებთან.

ის იყო ტერასაზე შუქის ჩაქრობა დავაპირე, რომ ივოს სილუეტი დავლანდე ბაღში. ჩუმად იდგა და ეწეოდა. ასე მეგონა, მისი სხეული სიგარეტის კვამლთან ერთად ქრებოდა. დიდხანს არ მიფიქრია, სკამიდან ფრანკის დატოვებული პლედი ავიღე, მოვიხურე და მასთან მივედი.

– რა გინდა ჩემგან? – ვკითხე პირდაპირ.

– ვალის დაბრუნება, – ისე მიპასუხა, გეგონება მთელი საღამო ელოდა ამ

შეკითხვასო. და ჩემკენ გადმოიწია. ღამის სიჩუმეში კარგად ისმოდა, როგორ ღელავდა ზღვა. მძიმე, მარილიან ჰაერს ხარბად ვისუნთქავდი, თითქოს მას ჩემი შიშისგან დახსნა შეეძლო.
– მე შენი ვალი აღარ მაქვს. უკვე გადავიხადე, თუ მაინცდამაინც ამ ტერმინებით გინდა ლაპარაკი. და ეს თამაშები სულ არ მეხალისება. აღარ გაბედო ჩემს ცხოვრებაში ჩარევა.
– შენს ცხოვრებაში, სტელა? შენს ცხოვრებაში? ერთხელ მაინც დაფიქრებულხარ, მართლა შენი ცხოვრებაა თუ არა, მართლა გააზრებულად და დამოუკიდებლად ცხოვრობ თუ არა? ნამდვილად შენია ეს ცხოვრება? მხოლოდ შენი?
– რა გინდა? ვინ გგონია შენი თავი, ბოლოს და ბოლოს?
– მე სიმართლე მინდა. ეს არის ვალი, რომელიც საკუთარ თავთანაც გაქვს და ჩემთანაც.
აი, მაშინ მივხვდი, რაც ხდებოდა, და გულისრევა ვიგრძენი. ვიფიქრე, რომ ზედმეტი მომივიდა დალევა. მაგრამ ვცდებოდი. საქმე ის კი არ იყო, რაც ყველამ იცოდა, არამედ ის, რაც არავინ იცოდა.
– რას ელი ჩემგან?
– არ იცი? ჩემი კარნახი გჭირდება?
– მთვრალი ხარ, ივო. ჯობია სახლში შევიდეთ.
– არა. მითხარი, რომ იცი. აქ იმისთვის ჩამოვედი, რომ გავარკვიო. შენ უნდა გიმადლოდე იმას, რასაც ჩემს ცხოვრებად მივიჩნევდი? ან იქნებ შენი ცხოვრება მეკუთვნის მე? ხომ შეიძლება, რომ ერთ მშვენიერ დღეს ისევ ვიპოვოთ ერთმანეთი, დავიბრუნოთ საკუთარი თავი. ისეთები გავხდეთ, როგორებიც უნდა გავმხდარიყავით.
– ივო, გაჩერდი, გთხოვ.
– არ შემიძლია...
მას შემდეგ, რაც დაბრუნდა, პირველად ვიგრძენი მის ხმაში რაღაც ტკივილის მსგავსი. ხმა ჩამივარდა. დავინახე, როგორ გასრისა სიგარეტი სველ მიწაში. ვიგრძენი, როგორ მომიახლოვდა, როგორ შეეხო მხრით ჩემს მხარს. დიდი ხნის დავიწყებული ლტოლვა ვიგრძენი ისევ. როგორც მაშინ, როცა თვალებში შევციცინებდი და მხოლოდ ამით ვცხოვრობდი. ხელის შეხება მომინდა, და უკან დავიხიე. ეს სურვილი ისევ ისეთი ძლიერი იყო და ამან შემაშინა. ერთი წუთი ასე ვიდექით, ერთმანეთის გვერდით. ვუსმენდით ღამეს, ზღვას, მთვლემარე სახლს ჩვენ უკან და მისი მძინარე მობინადრეების ცხოვრებას.
– რას აპირებ? – ვკითხე ბოლოს.
– მინდა, რომ შენ დამეხმარო, – მითხრა მან.
– როგორ უნდა დაგეხმარო?
გულახდილები ვიყავით. პირველად ვლაპარაკობდით გულახდილად, მას მერე, რაც ისევ შევხვდით ერთმანეთს.
– რა იყო ეს სუფრასთან, რა ჩაატარე?
– ყველამ ყველაფერი იცის, სტელა. თავს ნუ იტყუებ.
– რა იცის ყველამ? რას ჰქვია იციან? რა იციან? ნუ მაგიჟებ!
– მაგალითად, ის, რომ აქ მხოლოდ შენ გამო ჩამოვედი, და რომ აქედან შენ გამო წავედი. იციან, რომ შენი ადგილი იქ არ არის, სადაც ახლა ხარ. და იციან, რომ მე იქ არ უნდა ვიყო, სადაც ვარ. იციან იმიტომ, რომ არც ერთი მათგანი არ არის იქ, სადაც უნდა იყოს. ასე რომ, ეს ყველას გვეხება.
– ცდები, ივო. ყველას ჩვენი ცხოვრება გვაქვს. ყველა ჩვენს საქმეს ვაკეთებთ. შენ რა იცი, ვისთვის რა არის უკეთესი. დიდები ვართ უკვე.
– სწორედაც რომ დიდები ვართ. საწყისი დავკარგეთ, ბავშვობა.
– ძალიან გთხოვ, არ გვინდა ახლა ფსიქოლოგია.
– შევეცი ფსიქოლოგიასაც, ეზოთერიკასაც და რა ვიცი, კიდევ რას. ნაგავია ყველაფერი. დებილური ტყუილი. ჩვენ ყველანი ერთმანეთზე ვართ გადაბმულები. ერთი ისტორია გვაკავშირებს. ტყეში ხომ არ წავალ დასაწყისის მოსაძებნად.
– ივო, გეყოფა, რა!
– ყველამ ბოლოდან დავიწყეთ სიარული და ახლა წრეზე ვტრიალებთ. შეხედე ფრანკს; შეხედე, ლენი რა დღეშია; თულიას მარტო ის ადარდებს, რომ მისი კოხტა სახლი ქარმა არ წაიღოს; შენს თავს შეხედე!

– შევხედე, და რა? მითხარი, რა არ მოგწონს ჩემს ცხოვრებაში? ერთი კვირაც არ არის, რაც გამოგვეცხადე, შვიდი წელია აქ არ ყოფილხარ, და უკვე იცი, როგორია ჩემი ცხოვრება, ჩემზე უკეთესად იცი, არა? შენ წარმოდგენა არ გაქვს ჩემს ცხოვრებაზე. მე მყავს ოჯახი, რომელიც მიყვარს, გაიგე, ბოლოსდა ბოლოს. მაქვს სამსახური...
– რა სამსახური? რეპორტაჟები პროვინციული გამოფენების შესახებ?
– ამაზრზენი ხარ! შენ თვითონ შეხედე საკუთარ თავს. იქნებ შენს ცხოვრებაში ვერ არის მთლად კარგად საქმე.
– მართალია. ჩემს ცხოვრებაში სულ არ არის საქმე კარგად. ეს ბოლო წლებია, ვერ მოვიშორე განცდა, რომ ამ ფილმში შეცდომით აღმოვჩნდი.
– თავის დაძვრენას ყოველთვის კარგად ახერხებ. ყოველთვის ისე ატრიალებ, როგორც შენ გინდა.
– როცა მარტო ხარ, შენი დავარცხნილ-გაპრიალებული ქმრის გარეშე, და როცა დედის ვალდებულებებისგან თავისუფლდები როცა სულ მარტო რჩები იხსენებ ხოლმე იმ საღამოს?
– მოკეტე!
– მითხარი, იხსენებ ხოლმე?
– შენ ამას ვერ იზამ. არ მოგცემ უფლებას, რომ კიდევ ერთხელ გამტეხო. გესმის? ლამის ვყვიროდი. ხმა მიკანკალებდა.
– მე მხოლოდ გამთელება მინდა, სტელა. მეტი არაფერი. – მიჩურჩულა და ჩემს ხელს შეეხო. წართმევა ვცადე, მაგრამ გაყინული თითებით ჩამაფრინდა მაჯაში და მეც დავნებდი. ასე ვიდექით გამოუცდელი თინეიჯერებივით და ერთმანეთს თვალს ვარიდებდით. ღამეს ვუყურებდით. სიბნელეს.
– მიყვარს, მიყვარს, – ვამბობდი ხმამაღლა. ისევ და ისევ ვუმეორებდი საკუთარ თავს, რომ მიყვარდა: ჩემი კაცები ჩემი ქმარი და შვილი, ჩემი სახლი, ჩემი ცხოვრება. მიყვარს სიტყვა, როგორც ზღვაში ნასროლი ღუზა.
– მჯერა. მე არ ვაპირებ შენი სიყვარულის წართმევას. მე მხოლოდ ჩემი სიყვარულის დაბრუნება მინდა.
– მოდი, სახლში შევიდეთ, – გავუმეორე ისევ და ხელი გამოვითავისუფლე.
– ჩემი ცხოვრების დაბრუნება მინდა.
წინ მედგა და გზას მიღობავდა. ვუყურებდი მის სხეულს, მისი სახის მკვეთრ ნაკვთებს, ძალიან დამახასიათებელს და სრულიად უცხოს. ჩვენი ოჯახიდან არც ერთს არ გვგავდა.
ცრემლებს ძლივს ვიკავებდი და ვგრძნობდი, რომ ვიყინებოდი სიცივისგან, შიშისგან, ივოსგან.
– რა გინდოდა, რატომ დაბრუნდი?
ივო მომიახლოვდა და მხრებში ჩამეჭიდა.
– გახსენება მინდოდა.
დავუსხლტი და სახლში გავიქეცი.
ჩემი პაწაწუნა, ჩამთბარი თეოს გვერდით, ბავშვების სხეულებს შორის დავწყნარდი. ხელი მოვხვიე თეოს. იმედი მქონდა, რომ მისი სიმშვიდე ცოტათი მაინც გადმომედებოდა.

5

ჩემი სიყვარული ღვინოს ჰგავდა. უიშვიათესს და უძვირფასესს. სიამოვნების გახანგრძლივებას რომ ცდილობ და ბოთლის გახსნას არ ჩქარობ იმ განსაკუთრებული შემთხვევისთვის ინახავ, რომელიც არა და არ დგება. იმიტომ რომ არაფერია ამ ღვინის ფასი. შენ კი ინახავ და ინახავ. მაგრამ ერთ მშვენიერ დღეს, რაღაც სისულელის გამო, ბოთლი იმსხვრევა და ღვინო იატაკზე იღვრება. მაშინ მხოლოდ სინანულის გრძნობა გრჩება და ტკივილიანი მონატრება. და კიდევ იმედი, რომ ოდესმე სადმე იპოვი ისევ ამ ღვინოს და სულმოუთქმელად დალევ.
იმ დღეს, როცა ივო გამაცნეს, თითქმის იმხელა ვიყავი, რამხელაც თეო, როცა პირველად შეხვდა ივოს. ჩვენი ფსევდოლიბერალური სკოლის პირველ კლასში

ვსწავლობდი უკვე. მოუსვენარი და აზრიანი ბავშვი ვიყავი. ვგიჟდებოდი მამაჩემზე, მემარცხენე გამომცემლობის მაშინ ჯერ კიდევ წარმატებულ და ძალიან სიმპათიურ თანამშრომელზე.
ჰამბურგში ვცხოვრობდით, აიმსბიუთელში. ამ უბანში თავი არ მოჰქონდათ სიმდიდრით და ლურჯი ფოლკსვაგენებით“ დადიოდნენ, თუმცა წითელ „კაბრიოებზე“ აბოდებდათ და ყიდვაც თავისუფლად შეეძლოთ. სახლის მფლობელი დედა იყო, განქორწინების შემდეგაც. მამას ამ სახლის ყიდვა რომ მოენდომებინა, სიცოცხლის ბოლომდე უნდა ეხადა მისი საფასური განვადებით. ცხადია, ამის გაკეთება არ მოუწია. ჯერ ერთი, იმიტომ რომ ფული არ ჰქონდა, და მეორეც დედა სხვა ქვეყანაში გადავიდა და ამ სახლში ცხოვრებას მაინც აღარ აპირებდა. ამიტომ უბრალოდ დაუტოვა მამას.
ულამაზესი სახლი იყო, ძველისძველი. ორნამენტებიანი ფასადი მეორე მსოფლიო ომში დანგრევას გადაურჩა.
ოთხი წლით ჩემზე უფროსი და გიმნაზიაში სწავლობდა. გონიერი იყო და დისციპლინირებული; ცოტა ამპარტავანი და განებივრებულიც; სწავლობდა ცხენოსნობას, ორღანზე დაკვრას და ბალეტს; ამ ყველაფერზე მისი ტარება დედას ევალებოდა. მაშინ ის ჯერ კიდევ საათობრივად მუშაობდა შედარებით უვნებელ ქიმიურ კონცერნში, და ბევრი თავისუფალი დრო ჰქონდა. იმაზეც კი ყოფნიდა, რომ შიგადაშიგ დემონსტრაციებშიც მიეღო მონაწილეობა, რომლებიც ცხოველებზე ცდების ჩატარებისა და კაპიტალიზმის წინააღმდეგ იმართებოდა. მამაჩემის მემარცხენე შეხედულებებს უწევდა ანგარიშს, მაგრამ თან უხერხულად გრძნობდა თავს, რადგან თვითონ ძალიან ცნობილი და მდიდარი ექიმების ოჯახიდან იყო. შაბათ-კვირას მათთან სახლში კონცერტები იმართებოდა, ზაფხულის არდადეგებს კი ცნობილ კურორტზე ატარებდნენ.
მშობლებისგან თავისუფლების მოსაპოვებლად დედამ ჩვენი თავისუფლად მოაზროვნე მამა შეიყვარა. პოლიტიკური მეცნიერებებისა და სოციოლოგიის ფაკულტეტის სტუდენტი, რომელიც რადიკალურ პამფლეტებს წერდა და კომუნისტობას იბრალებდა. სინამდვილეში კი არც ისეთი რადიკალი და კომუნისტი იყო.
მოკლედ: მე მამიკოს გოგო ვიყავი. მამას მიერ პრაღიდან ჩამოტანილ ბოტებში გამოწყობილი სოციალისტური ბავშვი. ლენი კი დედიკოს გოგო იყო. ექიმების შვილიშვილი, რომელსაც დედამ პონი აჩუქა. რაღაც მომენტში ჩვენი მშობლების ილუზიები საბოლოოდ დასამარდა. დედას ბურჟუაზიულობისგან გათავისუფლების ჟინმა გადაუარა. მამამ სოციალისტური კარიერა თავის პენისს გადააყოლა. დედამ შეწყვიტა დემონსტრაციებზე მამას ხათრით სიარული, სამაგიეროდ ფულს გაუგო გემო. კარიერაზე დაიწყო ზრუნვა, განყოფილების გამგე გახდა. წარმომავლობას ვერსად გავექცევიო, თავს იმართლებდა, მით უმეტეს, როცა ამდენ უპირატესობას მაძლევსო. რასაც მისი ქმრის წარმომავლობაზე ვერავინ იტყოდა ის უმამოდ გაიზარდა, დედა არშემდგარი მსახიობი ჰყავდა, ძარღვებში აღმოსავლური და ევროპული სისხლის კოქტეილი უჩქეფდა, დეიდამისი კი იმდენად უცნაური იყო და ისეთი საეჭვო რეპუტაცია ჰქონდა, რომ თავის მხარეში ლამის ღირსშესანიშნაობად ითვლებოდა.
რამდენჯერ მიფიქრია, ლენი რომ ყოფილიყო ჩემს ადგილას, მაინც ასე მოხდებოდა ყველაფერი? მაინცდამაინც მე რატომ გავხდი ასეთი თავნება და სოციალისტური, რატომ მივეწებე მამაჩემს? დედა და მამა ხომ თანაბრად იღებდნენ მონაწილეობას ჩვენს აღზრდაში, ყოველ შემთხვევაში ასეთი განსხვავებული ბავშვების აღზრდა ნამდვილად არ ჰქონდათ განზრახული. სხვადასხვა წრეზე რომ მევლო და გამოყვანილი კაბები მეტარებინა, მაინც გავყვებოდი მამას იმ სახლში? მაინც გავიცნობდი ივოს?
მამაზე ვგიჟდებოდი, სულ მასთან მინდოდა ყოფნა. მისი გამომცემლობა მემარცხენე ლიტერატურას ბეჭდავდა და ძალიან პატარა შემოსავალი ჰქონდა. მამა რედაქტორიც იყო, კონტაქტებსაც ამყარებდა, ბევრს მოგზაურობდა და წერდა. მეც თან დამათრევდა. გაკვეთილების მერე ველოსიპედით გამომივლიდა ხოლმე და სამსახურში მივყავდი, იქვე, ჩემს სკოლასთან. გვიანობამდე ერთად ვიყავით მის მეგობრებთან, ბარებში, სადაც ცხარედ კამათობდნენ პოლიტიკაზე და აპოლიტიკურ ლუდს აყოლებდნენ. ძალიან დავახლოვდით, მით უფრო, რომ

დედას მოტყუება გვიწევდა: მას არ უნდა სცოდნოდა, რომ ექვსი წლის ასაკში უკვე მოპედს ვატარებდი, ლუდს ვსვამდი და ბავშვისთვის შეუფერებელ სიმღერებს ვმღეროდი ხორციელ სიყვარულზე.
მე მამას სამყაროში ვცხოვრობდი და ძალიანაც მომწონდა. მაგრამ მალე ამ სამყარომ რღვევა დაიწყო; დედა სულ უფრო ხშირად შემოდიოდა ხოლმე ჩვენს ოთახში დასაძინებლად, მამასთან მორიგი ჩხუბისგან აწითლებული დატირილისგან თვალებდასიებული. პონისა და ბალეტის შიშით მე მამასთან დარჩენა ვარჩიე. მის გაბოლილ ბარებთან, არალეგალურ გამომცემლობებთან და ხმაურიანძმაკაცებთან ერთად.
პირველად მაშინ გავიგე, რომ ადამიანიც შეიძლება გატყდეს ფაიფურის ჭიქასავით. იმ ზაფხულს არდადეგები იტალიაში გავატარეთ, ოჯახური ბედნიერების უკანასკნელი ნამსხვრევებისთვის ბრძოლაში. მერე კი დაიწყო.
შემოდგომის ერთ თბილ საღამოს მამამ პირველად წამიყვანა იმ ქალთან. ჰამბურგის პორტთან ცხოვრობდა. პატარა სახლი ჰქონდა და ბაღი. იქვე ახლოს ისტორიული გემები იდგა. იქიდანვე იწყებოდა გრძელი, მუდამ ქარიანი გზა, სადაც თევზის ფარდულები იყო ჩამწკრივებული, სადაც გზააბნეული ტურისტები და ჩახუტებული წყვილები დაეხეტებოდნენ; იქ ჰაერი ზღვის მარილიანი სუნით იყო გაჟღენთილი და ჩამომდგარი გემების ხმაურით გაყრუებული. ვიწრო ფერდობის იქით წითელი კვარტალი იწყებოდა, პატარ-პატარა სასაუზმეებითა და კაფეებით. ამ ფერდობის შუაგულში იდგა ის სახლი. შემოღობილ ბაღში ჟოლოს ბუჩქები ერთმანეთში გადახლართულიყო და ფერადი საქანელები ქარის ყოველ დაბერვაზე ჭრიალებდა. ამ ყველაფერს უზარმაზარი შავი ძაღლი დარაჯობდა.
მამამ ქალი გამაცნო, ჩემი კოლეგააო, მითხრა. ქალი ყურძნის შაქრით გამიმასპინძლდა. ლიმონის გემო ჰქონდა, დღემდე მახსოვს.
ცოტა ხანი ძაღლთან ერთად დამტოვეს. იქაურობა მოვიარე. მზე ანათებდა და ზღვის სიახლოვე იგრძნობოდა. მალე მამა და ის ქალი ჭიქებით ხელში გამოვიდნენ სახლიდან. იცინოდნენ. ასეთი ხალისიანი მამა დიდი ხანი არ მენახა, და მეც სიცილი დავიწყე. მას მერე მეგობრებთან აღარ წავუყვანივარ. ბარის ნაცვლად ემასთან დავდიოდით ველოსიპედით. ასე ერქვა ემა. დეიდა ემა ან ქალბატონი ემა კი არა, – უბრალოდ ემა.
პატარა, სიფრიფანა ქალი იყო, ძალიან ფერმკრთალი. ტუჩებს ყოველთვის წითლად იღებავდა. ცოტა ავადმყოფური იერი დაკრავდა. ალბათ იმიტომ, რომ მუქი თმა მუდამ შეკრული ჰქონდა, დიდი თხილისფერი თვალები კი მიბნედილი. მისი გამოხედვა არაფერს მეუბნებოდა. მისი სხეული არაფრით გამოირჩეოდა. არც ლამაზი იყო და არც უშნო. რაღაცნაირი გაცრეცილი იყო, წაშლილი სკოლის დაფასავით. სამაგიეროდ კარგად მეპყრობოდა, უხვად მიმასპინძლდებოდა ტკბილეულით და ყველაფრის უფლებას მაძლევდა. ბაღში ვსეირნობდი, ძაღლთან ვთამაშობდი და ტელევიზორსაც კი ვუყურებდი, რასაც დედა სულ გვიკრძალავდა.
ასე ვერთობოდი. მამა და ემა კი სახლში იყვნენ შეყუჟული. ბნელ, დახუთულ ოთახში კორიდორის ბოლოში. და იქიდან ყოველთვის გაბრწყინებულები გამოდიოდნენ ხოლმე.
მშვენივრად ვხვდებოდი, რომ რაღაც ვერ იყო ისე. ემასთან უფრო მეტ დროს ვატარებდით, ვიდრე სახლში, და თან დედასაც ვუმალავდით ამას. მაგრამ ბავშვი ვიყავი და მომწონდა იქ ყოფნა. მამაც კმაყოფილი იყო ადრეც ხომ დავბოდიალობდით საათობით სხვადასხვა ბარში. მეგონა ასეც უნდა ყოფილიყო ყველაფერი.

ოქტომბრის ერთ ცრიატ დღეს, როგორც ყოველთვის, ემას სახლისკენ მივემართებოდით. შორიდანვე დავინახეთ ჭიშკრიდან გვიქნევდა ხელს. გვერდით კი გაჩხიკინებული ბიჭი ედგა, დიდყურა და მოღუშული.
– ეს ივოა, ჩემი შვილი. – გამაცნო ემამ. – ეს კი ფრანკის შვილია, სტელა. დარწმუნებული ვარ, დამეგობრდებით. მიდი, ივო, ჩამოართვი ხელი, მიესალმე, ნუ მორცხვობ. – ივომ თავი დაგვიკრა და სახლში შევარდა. ძაღლი აყეფდა და კუდის ქიცინით გაეკიდა.
ძალიან შევშინდი, ვიფიქრე, ეს ბიჭი ყველაფერში შემეცილება-მეთქი: ტკბილეულშიც, ბაღში სეირნობაშიც, ძაღლის კეთილგანწყობაშიც, ტელევიზორის

ყურებაშიც და უფროსებისგან დამსახურებულად მიღებულ სიყვარულშიც კი. თანაც ბიჭები არ მიყვარდა, მით უმეტეს ასეთი დაბღვერილი ყურშები.
თავიდან არც კი მელაპარაკებოდა. მეც გაცლა ვამჯობინე. როცა ის სახლში იყო, მე ბაღში გავრბოდი დამფრთხალი. თუ გარეთ იყო და ძაღლს ეთამაშებოდა, მე ჩაბნელებულ მისაღებ ოთახში ვიმალებოდი. ძალიან მოვიწყინე. ივო ტელევიზორსაც დაეპატრონა და ძაღლიც სულ მას ეკონწიალებოდა; მართალია, ყურძნის შაქარი და მსგავსი წვრილმანები არ მომკლებია, მაგრამ ეს არ მყოფნიდა სანუგეშოდ. ყურები ჩამოვყარე, მამაჩემის სიცილი უკვე დაცინვასავით ჩამესმოდა. დარდისგან ბუშტივით ჩავიფუშე. მერე დაზამთრდა და სიცივეში ბაღიც უვარგისი გახდა თავის შესაფარებლად.
– მე რომ უკვე აქ ვიყავი და შენ რომ არ იყავი, მაშინ სად იყავი? – ვკითხე ერთხელ, როცა ერთად მოგვიწია ტელევიზორთან მოწყენილებს ჯდომა.
– მამასთან.
– და მამაშენი სად არის?
– შვეიცარიაში. ბევრი საქმე აქვს.
ისევ გავჩუმდით. ფრთხილად გავხედე. ჩემზე ცოტა დიდი იყო. ისევ მოღუშული იჯდა. დედამისისნაირი თვალები ჰქონდა, ისეთივე დანისლული, ოღონდ უფრო ბაცი და ოდნავ გახელილი. ცხვირი გრძელი, კბილები უსწორმასწორო. თავდაჯერებულად იქცეოდა, დიდივით. მე ვერც სიტყვის შებრუნებას ვბედავდი და ვერც იმ ტერიტორიისთვის შებრძოლებას, რომელიც მანამდე ჩემს საკუთრებად მიმაჩნდა.
მოულოდნელად წამოდგა და თავისი ოთახის ჩვენება შემომთავაზა.მანამდე დერეფნის ბოლომდე არასოდეს მივსულვარ იქ ხომ ემა და მამაჩემი იყვნენ ხოლმე შეკეტილი. მაგრამ ივოს გამბედაობით გათამამებული ვიწრო დერეფანში გავყევი. მამას და ემას ოთახს ჩავუარეთ და მის ოთახში შევაბიჯეთ. უფრო პატარა და ნათელი იყო, ვიდრე სხვა ოთახები.ერთი პატარა საწოლი იდგა და მწვანე საწერი მაგიდა. თაროზე კი მანქანები იყო ჩაწიკწიკებული, და არც ერთი სხვა სათამაშო. ალბათ იმედგაცრუება შემატყო, მკითხა, – შენ ბევრი სათამაშო გაქვსო?
– იმდენი არა, რამდენიც ჩემს დას. იმას მართლა უამრავი აქვს. – ვთქვი და საწოლზე ჩამოვჯექი.
უცებ გვერდით ოთახიდან რაღაც უცნაური ხმები გავიგონეთ. მე შევკრთი, ივო სწრაფად მოტრიალდა და მიაყურადა. მაშინ პირველად ვიგრძენი საფრთხე, გაუცნობიერებელი და გაუგებარი. შებინდების საფრთხე, რომელიც ამ სახლში დასეირნობდა და იატაკს აჭრიალებდა. ბნელი, აკრძალული, საშინელი. ივოს შევხედე და მასშიც ეს საფრთხე დავინახე. მის მოძრაობაში, პატარა მუშტებად შეკრულ ხელებში, სერიოზულ სახეში.
– დედა? – წამოცდა და მაშინვე გაჩუმდა, შერცხვა თავისი შიშის. პასუხის ნაცვლად გვერდით ოთახიდან მოგუდული სიცილი გავიგონეთ.
– საიდან იცნობენ ერთმანეთს? – ვიკითხე ჩუმად, თან წამოვდექი და ივოს მივუახლოვდი. ასე ახლოს პირველად მივედი.
– არ ვიცი.
– მამამ მითხრა, ერთად ვმუშაობთო.
– სისულელეა!
– როგორ გგონია, რას აკეთებენ?
იმედი მქონდა, რომ ივო ტყუილს მეტყოდა.
– რას აკეთებენ და იმას, რასაც უფროსები აკეთებენ ხოლმე, როცა დადიან.
– ესენი არ დადიან.
– როგორ არა.
– არა, არ დადიან.
– ჰო, არ დადიან, წვანან.
ვხედავდი, როგორი გამწარებული იყო. გუგები გაუფართოვდა. მძიმედ სუნთქავდა. ძალიან ცდილობდა ძლიერი ყოფილიყო.
მერე, როცა სახლში წამოვედით და მდინარეს მოვუყვებოდით, მამას ვკითხე, ემას საიდან იცნობ-მეთქი. ერთად ვმუშაობთ და ვმეგობრობთო, მითხრა. – ის ხომ შენს გამომცემლობაში არ მუშაობს-მეთქი, არ მოვეშვი. – სხვა გამომცემლობაში

მუშაობსო. – ივოს მამა სადღა არის-მეთქი. – უცხოეთშია და ვერ იცლისო. – მაშინ ივო და ემა რატომ არ მიდიან იმასთან-მეთქი. – იმიტომ რომ ის იქ მუშაობს, ემა კი აქო, და ახლა ივოც აქ ივლის სკოლაშიო.
ცოტა ხანი ჩუმად გავაგრძელეთ გზა. ბნელდებოდა. მამას პასუხების ჩემ შეკითხვებთან მისადაგებას შევეცადე და ბოლოს ვკითხე, ემას ცოლად შერთვას აპირებ-მეთქი? უცებ გააჩერა ველოსიპედი. ძირს ჩამომსვა და ჩამეხუტა. მეფერებოდა, მკოცნიდა. მამშვიდებდა. ყველაფერი რიგზეა, ნურაფრის გეშინიაო. შენ ჩემი საყვარელი გოგო ხარ და მუდამ ასე იქნებაო. ლენიც და დედაც ძალიან მიყვარს, ძალიანო. ყველაფერი კარგად იქნებაო. არაფერზე იდარდოო. უბრალოდ მე და ემას კარგად გვესმის ერთმანეთისო. დედა ძალიან დაკავებულია ახალი სამსახურითო. მე კი მეგობრები მჭირდება, მარტო ყოფნა არ მინდაო.
ვხვდებოდი, რომ ტყუოდა. მაგრამ თანახმა ვიყავი ამ ტყუილზე. საფრთხე კი ისევ ჰაერში ტრიალებდა. ბასრი ბრჭყალები ჰქონდა, მოჩვენებასავით ჩასაფრებულიყო და მომძახოდა.
– სტელა! სტელა, არ გესმის?
ნახევრად ტიტველი, შამპუნით მოთხუპნული მარკი დაბნეული მიყურებდა.
– მაპატიე, მეძახდი?
– თეო გეძახის რამდენი ხანია.
– ეტყობა ფიქრებში წავედი.
სანამ სტატიას ჩავკირკიტებდი, რომელიც არაფრად ვარგოდა, არადა ხვალ უნდა ჩამებარებინა და გადავადების შანსიც არ არსებობდა, თეო აბაზანაში ჭყუმპალაობდა. მარკი კი რაღაცებს უყვებოდა, – როგორც ყოველთვის იქვე იგონებდა, ბანაობისას. თეო იცინოდა და ხელებს წყალზე ატყაპუნებდა.
– დედა, მიყურე! – დაიყვირა აღფრთოვანებულმა, როგორც კი დამინახა. ცხვირზე ხელი წაიჭირა, თვალები მაგრად დახუჭა და ჩაყვინთა. ერთ წამში ისევ ამოყვინთა, სულს ძლივს ითქვამდა.
– რა მაგარი ხარ! – შევაქე მე და პირსახოცი გავამზადე. ბევრი გვეხვეწა, ცოტა ხანი კიდევ ვიქნები წყალშიო, მაგრამ ამაოდ. ბოლოს ბედს შეურიგდა და ჩამბარდა. როცა თეო დავაწვინეთ, ისევ ლეპტოპს მივუჯექი და უხალისოდ მივაშტერდი ტექსტს. დაახლოებით ნახევარ საათში მარკი შემოვიდა ღვინის ბოთლით ხელში. მაგიდის კიდეს მიეყრდნო. იძულებული ვიყავი შემეხედა.
– რა ხდება?
ბროლის ჭიქები გამოიღო, თულიამ რომ გვაჩუქა ქორწილში, – სპარსი წინაპრების ძვირფასი მემკვიდრეობიდან შემომრჩაო. ოღონდ რატომღაც უნგრეთში უცხოვრიათ იმ სპარს წინაპრებს. მარკი მხოლოდ ორ შემთხვევაში იღებდა ამ ჭიქებს: როცა განსაკუთრებულ სექსს აპირებდა ჩემთან ან განსაკუთრებულ თემაზე ლაპარაკს.
– არა, არ შემიძლია, ხომ ხედავ, ვმუშაობ. ისედაც არაფერი გამომდის.ხვალისთვის მზად უნდა მქონდეს.
– ეგ არაფერ შუაშია.
– უბრალოდ ძალიან გადავიღალე, დასვენება მჭირდება. თან კვირის ბოლო, თან ეს სტატია, თან თეო და...
– თან ივო, არა? რაც ეგ ჩამოვიდა, უცნაურად იქცევი.
– რა თქმა უნდა, მაგასაც მიუძღვის რაღაც წვლილი. ნამდვილად უცნაური კვირა მქონდა. კი, თითქოს ძველებურად შევიკრიბეთ ისევ ყველანი, მაგრამ მთლად ისე მაინც აღარ არის, როგორც ადრე იყო, ამიტომ რაღაც-რაღაცები მაინც წამოტივტივდა. არა უშავს, დალაგდება ყველაფერი.
– გინდა წავიდეთ სადმე ერთი-ორი დღით? თეო ჩემს მშობლებს დავუტოვოთ.
– რანაირად?ისედაც ვიჭედები დროში. ძალიან ბევრი...
სახეზე ხელები მომკიდა და მაკოცა. ღვინის გემო ვიგრძენი. მაშინვე ჩვენი პირველი კოცნა გამახსენდა ორივეს ღვინის გემო გვქონდა ტუჩებზე; მაგრამ ის გემო მზიანი იყო და ტკბილი, ეს კი მწარე.
„ეტყობა, როცა იზრდები, აღარაფერი ხდება უბრალოდ ისე. ცხოვრებისთვის, გრძნობებისთვის, და საერთოდ, ყველაფრისთვის უკვე რაღაც საფუძველია საჭირო“. გავიფიქრე და მარკს შევხედე.
– კარგი, რა... – ჩაიდუდღუნა და ჩემ პირდაპირ მოკალათდა ძველ, ჭრაჭუნა სკამზე.

ფეხიფეხზე გადადებული, აუღელვებელი, თავდაჯერებული მარკი. ყოველთვის კარგად გამოიყურებოდა. ყველაფრით კარგი იყო. ჩემთვისაც კარგი იყო და თეოსთვისაც. კარგი იყო ჩვენი ცხოვრებისთვის, ჩვენი მომავლისთვის. ძალიან გულითადი, შემწყნარებელი, მუდამ მხარში მდგომი; ახალი დაქორწინებული რომ ვიყავით, დილაობით მასზე ადრე ვიღვიძებდი და მის სახეს ვაკვირდებოდი. ისეთი ძილი ჰქონდა უძილობით გატანჯული კაცი რომ ინატრებს ჯანსაღი, უდრტვინველი. ასეთ მომენტებში ძალიან ბედნიერი ვიყავი, დაუმსახურებლად ბედნიერი.

– რა?

ავდექი, ლეპტოპი დავხურე, მივედი, ხელი მოვკიდე და თვალებში ჩავხედე.

– ნუ ჩაიკეტები. ხომ იცი, რომ მე ყოველთვის შენ გვერდით ვიქნები.

– მარკ.

– მომიყევი. რატომ არ ლაპარაკობ მასზე არასოდეს. მესმის რომ ძნელია, მაგრამ მაინც. მინდა ყველაფერი ვიცოდე. როდინდელი ამბავია და დღემდე არ გაძლევს მოსვენებას. გეფიცები, არ ვიეჭვიანებ, ძალიან შევეცდები. რა თქმა უნდა, გიჭირს, და-ძმასავით იყავით...

– მეტი არც არაფერია მოსაყოლი.

– რატომ ხარ ასეთი...

– როგორი? რაც ვარ, ეს ვარ და ასეთი დედამოტყნული ფაზა მაქვს და შენ ნუღარ გამირთულებ, რა!

დავავლე მის ჭიქას ხელი და გამოვცალე. მერე ფანჯარასთან მივედი. ქუჩას გავხედე, მანქანებს, ბავშვების სათამაშო მოედანს. რამდენჯერ ვყოფილვარ იქ თეოსთან ერთად. ყოველთვის გარედან ვხედავდი საკუთარ თავს: დაბნეული სტელა. ირგვლივ კი წარმატებული, სრულყოფილი დედები, რომლებმაც კარგად იცოდნენ რა იყო სასარგებლო ბავშვისთვის. მუდამ მზად იყვნენ ჭკუის დასარიგებლად, მუდამ მომარაგებული ჰქონდათ სუფთა ტანსაცმელი, სათამაშოები, ჯანსაღი საკვები და სიამაყით იყვნენ აღვსილნი.

მარკი გაღიზიანებას ვეღარ მალავდა. თითებს იფშვნეტდა, ცდილობდა თავი შეეკავებინა. შემეცოდა. ძალიან ვწუხდი. ვწუხდი, რომ უარს ვამბობდი მასზე, არ შემეძლო მისი დახმარების მიღება, რომ მარტო ვტოვებდი თავის დარდთან.

მუხლებში ჩავუჯექი და გიჟივით დავუწყე კოცნა. ამოღერილწვერიანი სახე დავუკოცნე, ბუთქუნა ტუჩები, ფართოდ გახელილი ცისფერი თვალები მარცხი რომ არასოდეს უნახავთ ცხოვრებაში და მხოლოდ კეთილგანწყობას ასხივებდნენ, და პაწუა აპრეხილი ცხვირი, თეოს რომ ერგო მემკვიდრეობით.

დაბნეულმა მომხვია წელზე ხელი და ჩამიხუტა. სვიტრი ამიწია. შამპუნის სუნი ჰქონდა, ჩვენი შვილის სუნი. მინდოდა ჩემი ტკივილი ვნებად მექცია და მაგრად მივეკარი.

მარკი შარვალს მიხსნიდა და თან საწოლ ოთახში გადასვლას აპირებდა, იმიტომ რომ გვერდით თეოს ეძინა. მე კი, მის თმებში ჩაფრენილი, იმაზე ვფიქრობდი, როგორ მიმაჩვია ამ თავის ნაზ და ფრთხილ სიყვარულს. უმტკივნეულო სიყვარულს. და როგორ გადამაჩვია ჩემსას. ჩემს დასახიჩრებულ, დანაკუწებულ, ტანჯულ და მტანჯველ სიყვარულს. და უცებ მივხვდი, როგორ მძულდა ამის გამო. მძულდა მისი დამნდობი სექსი, მისი პრინციპები, მისი თბილი ხელები, მისი თანაგრძნობის უნარი, პასუხისმგებლობის გრძნობა, მისი უდანაშაულობა. უფრო მეტად კი ჩემი თავი მძულდა. მძულდა იმიტომ რომ ისევ ტკივილს ვნატრობდი, ჩემი დანაშაულის სააშკარაოზე გამოტანა მსურდა, რომ დაუსრულებლად გამეგრძელებინა თვითგვემა.

– მოიცადე, – ჩამჩურჩულა მარკმა და თეოს ოთახის შეღებულ კარს გახედა.

– დარჩი, – ჩავჩურჩულე და შარვალი გავხადე. ვეხებოდი მის სხეულს და ვეძებდი ჭრილობებს, შეცდომებს, ნებისმიერ ნაკლს, რომელიც ჩემს თავს მომაგონებდა. მაგრამ ვერაფერს ვპოულობდი.

დარჩა. ხმა არ ამოუღია. დამემორჩილა. ხელის ფათურით, მისხალ-მისხალ დავეუფლე მის სხეულს. სულ უფრო სწრაფად ვმოძრაობდი, სულუფრო მაგრად ვეჭიდებოდი მის ზურგს.

როცა მორჩა, ისეთი გრძნობა მქონდა, რომ საკუთარ თავთან მქონდა სექსი. ამიტომ ჩაიარა ასე უკვალოდ.

მარკი ადგა და კარი მიხურა.

6

– არაფრად არ ვარგა ეს გამოფენა და როგორ დავწერო, რომ კარგია? შეიყარნენ თვითკმაყოფილი ტიპები და თავს იწონებენ. რისი დაწერა შეიძლება ასეთი სამარცხვინო ღონისძიების შესახებ? – ხმამაღლა გამოვთქვი ჩემი აღშფოთება, როცა ლეომ სერიოზული სახით მამცნო, რომ ზედმეტი მომივიდა და სასწრაფოდ უნდა გადავაკეთო სტატია.

ლეოს გაზეთში მუშაობის დიდი გამოცდილება ჰქონდა და ყოველთვის იცოდა რა, როგორ და როდის უნდა გამოექვეყნებინა. ამიტომაც გახდა საშუალო ზომისა და დონის გაზეთის მთავარი რედაქტორი. ექვსი წელი ვმუშაობდი აქ და ყოველ წელს მპირდებოდა, რომ კულტურის განყოფილებას მთლიანად მე ჩამაბარებდა. ამ ადგილზე სრულიად დაუმსახურებლად იყო გამაგრებული ქალი, რომელიც ისეთ სტატიებს წერდა, იტირებდი. გაზეთი კარგად იყიდებოდა, ამიტომ კონცერნი მკითხველთან კიდევ უფრო დაახლოებას და ტირაჟის გაზრდას გეგმავდა. ეს ლეოს ხელფასზეც დადებითად უნდა ასახულიყო და ამიტომაც იყო, რომ ამ ბოლო დროს ასე უკირკიტებდა ჩვენს სტატიებს და სულ გვაკრიტიკებდა. თავიდან აშკარა იმედებს მაძლევდა. პრაქტიკანტებად მხოლოდ ლამაზ გოგონებს ვიღებდი, რომლებიც მის ყურადღებას იმსახურებდნენ. ეს სწორად გავთვალე და ამიტომ ერთმანეთს მშვენივრად შევეწყვეთ. გარკვეული თავისუფლება მომცა, შემეძლო ხანდახან უფრო კრიტიკულიც ვყოფილიყავი, ვიდრე ეს საგაზეთო პოლიტიკით იყო დადგენილი.

– იმედია გესმის, რომ ამის დაბეჭდვა არ შეიძლება. ამ გამოფენის სპონსორები ჩვენი უმსხვილესი რეკლამის დამკვეთები არიან ამ სეზონში.

ხმას აუწია, შრიალით ფურცლავდა ჩემს ტექსტს, უკმაყოფილოდ იქნევდა თავს, გვერდზე დებდა ფურცლებს და იმავე წუთას ისევ იღებდა.

– ჩემი აზრით, ეს ხელოვნება კი არა, საშინელებაა. კურატორი ნამდვილი კატასტროფაა, გარემო არასწორადაა შერჩეული, შეფიცულ არარაობათა სექტა, საკუთარ წვენში იხარშებიან, წლიდან წლამდე ერთი და იგივე ხდება.

– შენ რაში გადარდებს? სახელმწიფო პრემიაზე ხომ არ უნდა წარადგინო. უბრალოდ ნეიტრალური რეპორტაჟი გთხოვე.

– შეუძლებელია. ამ ღონისძიების მიმართ ნეიტრალური ვერ ვიქნები.

– სტელა, რა გჭირს?

ისევ აიღო რამდენიმე გვერდი და მაგიდაზე დააგდო.

– ხომ იცი, რა მდგომარეობაში ვართ. შეცდომის დაშვების უფლება არ მაქვს. პრობლემები გაქვს სახლში?

– რასაც შენ ითხოვ, ნამდვილი უთავმოყვარეობაა. სრული სიცრუე. ასეთი ურცხვი ტყუილების წერა მე არ შემიძლია.

– შენთან კამათის არც დრო მაქვს ახლა და არც სურვილი, კონფერენცია მეწყება. მე მინდა, რომ სტატია თავიდან დაწერო, ნეიტრალური და არაფრისმთქმელი რეპორტაჟი გააკეთო. თუნდაც მოკლე. ხვალ დასაბეჭდად უნდა გავუშვათ. შენი აზრი არ მაინტერესებს. ჩარჩოებს არ უნდა გასცდე. მომავალ თვეში შეგიძლია მოძებნო ვინმე ნიჭიერი, თავმდაბალი, ვისაც მსოფლიოს შეცვლა ძალუძს და მასთან გააკეთო ინტერვიუ ან ჩანახატი. ახლა კი გვაცადე, საქმეს უნდა მივხედოთ.

კართან მიმაცილა. ვიდექი ლიფტთან და სიბრაზისგან ვცახცახებდი. მშვენივრად ვიცოდი, არაფერ შუაში იყო. წლების განმავლობაში მაძლევდა რაღაც-რაღაცების თავისუფლად კეთების საშუალებას და ახლა ჩემგანაც ელოდა, რომ ზურგს გავუმაგრებდი და ენას კბილს დავაჭერდი. მე კი რატომღაც ვერ ვაკეთებდი ამას. საკუთარ თავზე ვიყავი გაცოფებული. ამ სამუშაოზე, რომელსაც მორჩილად ვასრულებდი. გაცოფებული ვიყავი ჩემს ცხოვრებაზე, რომელსაც, როგორც აღმოჩნდა, ვეღარ ვეგუებოდი.

ჩემს პატარა ოფისში წავედი, დერეფნის ბოლოში. ჩემი ცხოვრების ექვსი წელი ამ ოთახში ჩანაწერებად, ფოტოებად, გაზეთების ამონაჭრებად და ჩანიშნულ ბარათებად იყო გამოფენილი. ახალი პრაქტიკანტი გამოვიძახე მაღალი,

თოჯინასავით გოგო. ისეთი ორგანიზებული იყო, ისე მყარად იდგა მიწაზე და ისეთი პატივმოყვარე ჩანდა, რომ ზოგჯერ შიშს მგვრიდა.
– ამ სტატიის დაწერას შენ გავალებ. არავითარი კრიტიკა. იპოვე პოზიტივი. მიანიშნე, რაოდენ მნიშვნელოვანი ღონისძიება იყო; მერე შენი სახელი მიაწერე და ხვალ დილას რვა საათამდე ლეოს ჩააბარე. ყველა ინფორმაცია ჩემი ტექსტიდან შეგიძლია ამოკრიბო. ასე ნუ მიყურებ. გპირდები, რომ უსიამოვნება არ შეგხვდება. შანსი გეძლევა და გამოიყენე. ბოლოს და ბოლოს, ლეოც ნახავს, როგორ მუშაობ. მეტი რა გინდა? – ვიცრუე და დავინახე, როგორ შეიცვალა მისი უნდობლობა აღტაცებით. ფოიეში ჩავედი და მცველს ვთხოვე, დამარეკინე-მეთქი.
– აუცილებლად უნდა დაველაპარაკო, – ჩავძახე ყურმილში. თულია ძლივს სუნთქავდა, ეტყობა კიბეზე ჩამოირბინა ან ბაღიდან შემოვარდა.
– ორი დღეა ჩემთან აღარ არის, ქალაქშია. წერს რაღაცას და ალბათ რამდენიმე დღით სასტუმროში გაჩერდა.
– რომელში?
– მე რა ვიცი. რამე ბანძობას მოძებნიდა, ხომ იცი არა. ცოტა თავი უნდა დაიფასოს, სულ ამას ვეუბნები...
– მორჩი, თულია, არ არსებობს, რომ არ ეთქვა. ძალიან მჭირდება.
– ხომ ნახეთ უკვე ერთმანეთი. საკმარისია.
– სად არის-მეთქი?
– სასტუმრო „პასიფიკი“. თუ სწორად მახსოვს, სან პაულიში უნდა იყოს.
თულიას შესანიშნავი მეხსიერება ჰქონდა.
– დიდი მადლობა.
– რამე სისულელე არქნა, გესმის?!
ყურმილი დავკიდე და ჩემი მანქანისკენ გავექანე. სალონი მუყაოს ცარიელი ჭიქებითა და თეოს სათამაშოებით იყო მოფენილი. მანქანა დავძარი. რადიოში „ზეპელინები“ უკრავდნენ და მაშინვე მამა გამახსენდა. როცა ამ სიმღერას უსმენდა, ყოველთვის თვალს ხუჭავდა ხოლმე. დიდხანს ვეძებე და მაინც ცუდად გავაჩერე მანქანა. ბევრი სიარული მომიწია. როგორც იქნა, პატარა რუხ შენობას მივადექი. პომპეზური სახელის მიუხედავად, მართლაც, ბანძი სასტუმრო აღმოჩნდა. ივო ვიკითხე. დაურეკეს. ცოტა ხანში ჩამყაყებულ ფოიეში გამომეცხადა. გამიღიმა და ხელები გაშალა.
– აქ ნამდვილად არ გელოდი.
– რა გინდა ამ სასტუმროში? უკეთესი ვერ იპოვე?
– მე მომწონს. ასეთ ადგილებში გაბღენძილებს ვერ ნახავ.
მის ოთახში ავედით, მეორე სართულზე. მინი ბარი დავაცარიელეთ. დალევა მჭირდებოდა. რაც ივო დაბრუნდა, უკვე მეორედ ვსვამდი ასე დილაუთენია. მის საწოლზე ჩამოვჯექი. შავი ჯინსი ეცვა და დახეული მაისური. ასეთი სრულიად დაუფიქრებლად შერჩეული ჩაცმულობა ყოველთვის ძალიან უხდებოდა. შემომხედა და სახეში შემომცინა. რა კარგად მიცნობს-მეთქი, გავიფიქრე. იაფფასიანი ღვინის ბოთლს ვეცი და მოვიყუდე.
მრავლისმნახველ საწერ მაგიდაზე გახსნილი ლეპტოპი იდო. გვერდით ძალიან ძვირი „ნიკონი“. „თაიმსის“ რამდენიმე ნომერი, გადაშლილი ბლოკნოტები და უამრავი ბარათი, მთელ ოთახში იყო მობნეული. ივო კმაყოფილი მაკვირდებოდა, მე კი ფურცლებს, ფოტოებს და გაზეთებიდან ამონაჭრებს ვათვალიერებდი. ყველგან საქართველო ფიგურირებდა. ქვეყანა, რომელსაც არ ვიცნობდი, და რომლის სახელიც არაფერს მეუბნებოდა. ბოლოს მივუტრიალდი. თვალი შევავლე მის ძირში მოჭრილ ფრჩხილებს, გასაწმენდ ჩექმებს მოცვეთილი ქუსლებით. ქაღალდების ქაოსის მიუხედავად, ოთახი ისეთი მოწესრიგებული ჰქონდა, რომ სევდა მომერია. თითქოს მისი სიმარტოვე დავინახე.
– გეხვეწები, წადი რა. არ მინდა! შვილი მყავს, თეოზე მაინც იფიქრე. ისევ თავიდან იწყება ყველაფერი. ვეღარ ვმუშაობ. ყველაფერი მეორდება. ამის თავი აღარ მაქვს.
– თუ დედამ თვითონ აღარ იცის, ვინ არის და რა არის, როგორ შეიძლება მისი შვილი ბედნიერი იყოს?
– არ გინდა ახლა ეს ფილოსოფოსობა. შენ თეოს შესახებ არაფერი იცი.

– გგონია, არ ვიცი? არ ვიცი, როგორია, ექვსი, შვიდი, რვა წლის რომ ხარ და გყავს დედა, რომელიც უბედურია?
– მე უბედური არ ვარ!
ვიყვირე და წამოვხტი. მაგრამ იმავე წუთას ისევ ლოგინზე აღმოვჩნდი. ივო მომიახლოვდა და ჩემკენ გადმოიხარა. უხეში კანი ჰქონდა. თვალები ულაპლაპებდა, მომწვანო, დანისლული თვალები, უამრავ საიდუმლოს რომ მალავდნენ.
ჩაიმუხლა და ჩემი ხელი თავისაში მოიქცია. მე უკან გავიწიე და ნახევრად დაცლილი ჰატარა ღვინის ბოთლი წავაქციე. არც ერთს არ მიგვიქცევია ამისთვის ყურადღება. არც ერთს არ შეგვიხედია, კარი ღია ხომ არ იყო. მკვდარი ოცნებების სამყაროში კარები არ არსებობს. არც შვილები. არ არსებობს ნორმები და ყოველდღიურობა. ასე იყო მაშინაც, როცა საღამოობით ერთად ვიჰარებოდით ხოლმე ბაღში და უფროსების ცხოვრებაში ვიჭყიტებოდით ჩუმ-ჩუმად. თავისი გრილი, სველი ხელი მაგრად მომიჭირა ხელზე. სახით შუბლზე მივეყრდენი და გავინაბე.
– მინდა, რომ ჩემთან ერთად წამოხვიდე.
– არ შემიძლია.
– არ მოგენატრე? ფიქრობდი ჩემზე?
– ვფიქრობდი.
– ხშირად?
– ხშირად.
ერთმანეთს ვუყურებდით. მისი თვალები ისეთი დანისლული აღარ მეჩვენებოდა. ვგრძნობდი შუადღის თბილ შუქს, ვაკვირდებოდი მის მშვიდ სახეს, და სხეულში სითბო მეღვრებოდა. თვალები დავხუჭე, მოვეშვი, მაკოცა. უცნაურმა ჟრუანტელმა დამიარა, თითქოს სიგრილემ შემაკრთო. ქალაქის ხმაური თითქოს ფარდებმა შეისრუტა. ჩვენს ოთახში გარედან შემოსული ხმები თანდათან დაგვშორდა და სადღაც გაქრა.
მეგონა, უფსკრულის პირას ვიდექი. მაგრამ ვცდებოდი თურმე უკვე გადაჩეხილი ვიყავი.
როცა ჩემკენ გადმოიხარა, სახე მივაბრუნე. ესეც ჩემი სიყვარული. ჩემი დასახიჩრებული, განაწამები, დაფლეთილი სიყვარული.
– არ მიტრიალდე, ძალიან გთხოვ.
უცებ ხელები აიფარა სახეზე და აქვითინდა. ზუსტად ისე ატირდა, როგორც მაშინ, როცა ვუთხარი, რომ ვერასოდეს ვიქნებოდით ერთად, ვერასოდეს შევძლებდი მასთან ცხოვრებას. მოვეხვიე. ხალიჩაზე დაღვრილი მჟავე ღვინის სუნი მეცა. მაგრად ვიხუტებდი და ვარწევდი როგორც თეოს, როცა მუცელი ტკიოდა და ვერ იძინებდა.
ისევ მაკოცა. მისი ცრემლების გემო ჰქონდა ამ კოცნას, ყველაფრის, რაც გადავიტანეთ, ყველაფრის, მომავლის გარდა. მთელი სხეულით შემომეხვია, საწოლზე აკრული წვეტიან კიდეს ხერხემლით ვგრძნობდი. დაბრუნდასიყვარული: ბასრი და დაუნდობელი, როგორც ყოველთვის. მის სველ ტუჩებს ვგრძნობდი ყელზე. მხრებში ჩავაფრინდი.
– გაჩერდი! – ვუყვირე და გვერდზე გადავგორდი. ჩუმად იჯდა და მიყურებდა. თვალამღვრეული, პირმოკუმული. წამოვდექი და სახეზე ჩამოყრილი თმა გადავიწიე.
– უნდა წავიდე.
– არც იფიქრო!
თვალებში შემომხედა. ზუსტად იმ მომენტში მივიღე გადაწყვეტილება. ორი-სამი წამიც რომ გამეძლო, შეიძლება ეს არც მომხდარიყო. მაგრამ ჩვენ შორის ყოველთვის წამები წყვეტდა ყველაფერს.თვალის დახამხამება და ორივეს ყველაფრის შეცვლა შეგვეძლო. ერთად ყოველთვის ასეთები ვიყავით მოუთმენლები და უნებისყოფოები.
პალტო გავიხადე და წესიერად გადავკიდე სკამზე. ჯინსი ჩავიხსენი, ფეხსაცმლის თასმები შევიხსენი. სვიტრიც გულდასმით მივაკიდე პალტოს. ყველაფერი გავიხადე. შიშველი დავწექი ლოგინზე და მარცხენა ხელი გავიშვირე მისკენ. კარგა ხანს მიყურა. მერე ნელა დაიძრა, გზადაგზა ტანსაცმელს იხდიდა. გვერდით

მომიწვა.
ჩვენი სიახლოვე წმინდა ძაფივით იყო, ჩვენ კი მასზე მოცეკვავეებს ვგავდით. ისე ვიკლაკნებოდი, იმდენს ვტრიალებდი, თითქოს ვიწრო ხვრელში მინდოდა გაძრომა. და გაუჩინარება.
და როცა მასზე ჩემს ანაბეჭდებს დავეძებდი ყველგან ვპოულობდი: მე ვიყავი მის მკერდზე ის პატარა ლაქა, მე ვიყავი ის შეუმჩნეველი ნაკაწრი ჭიპთან, ნიკაპზე ის ძველი ნაიარევიც მე ვიყავი.
მე და ივო ძალიან მალე დავმეგობრდით. ჩვენი მშობლების სასიყვარულო საღამოებმა გვაპოვნინა ერთმანეთი, საერთო საიდუმლომ დაგვაახლოვა. ორივე ვგრძნობდით საფრთხეს, სახლში რომ ჩასაფრებულიყო და გვდარაჯობდა. ბავშვური გულუბრყვილობით გადავწყვიტეთ, უფროსები დაგვეცვა, რომ მათ მაინც არ ეგრძნოთ ეს გარდაუვალი საფრთხე. ივო მორიდებული იყო და თავნება, მე კი – ჯიუტი და მომთხოვნი. და ორივენი ამტანი ვიყავით. ჩვენს პატარა, ჩამოფშვნილ სამყაროში, წყალთან ახლოს, საკუთარი კუნძული ავიშენეთ. უფროსების ანაბეჭდებისგან, ქვიშაზე ჩვენი პატარა ნაფეხურებისა და ნავსადგურის შორეული ხმაურისგან შეკოწიწებული ჯადოსნური ქვეყანა.
როცა ჩვენს კუნძულზე ვიყავით, ჩვენთვის არავინ და არაფერი აღარ არსებობდა. არც სკოლა, არც მეგობრები, არც მოგონებები.
რაც უფრო შორდებოდნენ მამაჩემი და დედამისი გარე სამყაროს, მით უფრო ვცდილობდით მათ დაცვას, საკუთარი თავის დაცვას, ჩვენი საიდუმლოს დაცვას.
სახლში კი მამამ და დედამ ჩხუბს უმატეს, ლენი სრულიად აუტანელი გახდა, გაუთავებლად ავადმყოფობდა და განუწყვეტლივ ტიროდა. არასოდეს დამავიწყდება, როგორ იღვიძებდა ღამ-ღამობით შეშინებული და ჯერ დედას ეძახდა ხოლმე, მერე კი მამას მიუხედავად იმისა, რომ დღისით მამას აღარ ეკარებოდა და სულ ჯიბრში ედგა. ვფიქრობ, დედამ მშვენივრად იცოდა, რაც ხდებოდა. მაგრამ ალბათ უარესის ეშინოდა და ამიტომ იქცეოდა ისე, თითქოს არაფრის აზრზე არ იყო.
ახლა რომ ვუფიქრდები, ვრწმუნდები: დედას ყველაფერი უნდა ცოდნოდა მამას და ემას შესახებ; უბრალოდ დღემდე არ ვიცი, რატომ არ იმჩნევდა ამდენი ხანი. შემიძლია მხოლოდ ვივარაუდო, რომ ეშინოდა, რადგან თვითონაც არ იყო დარწმუნებული თავის გრძნობებში ქმრის მიმართ. ან იქნებ ჯერ კიდევ ჰქონდა ოჯახის გადარჩენის იმედი; იქნებ მაინც სჯეროდა, რომ ექიმების შვილს შეეძლო არშემდგარი რევოლუციონერი ყვარებოდა. არ ვიცი. მაგრამ რაკი განხეთქილების ნამდვილ მიზეზს არც ერთი არ ასახელებდა, რაღაც სისულელეების გამო იწყებდნენ ხოლმე ჩხუბს.
დედა მამას დაუდევრობას უჩიოდა, ოჯახის მიმართ გულგრილობას საყვედურობდა, ლოთობაში სდებდა ბრალს. არ შეურჩენია მისთვის არც გაუკრეჭავი გაზონი, არც შეუკეთებელი ბორბალი, არც გაუწმენდავი ფეხსაცმელი, საბაბი არ ელეოდა...
ზოგჯერ მიკვირს, როგორ შევინახე ექვსი-შვიდი წლისამ ჩვენი საიდუმლო, როგორ მოვითმინე წელიწადზე მეტი, როგორ არ გავთქვი. კიდევ უფრო კი მიკვირს რა არხეინად იყო მამა; სულ არ ვანაღვლებდი, არც აინტერესებდა, რა დღეში ჩამაგდო, როცა დამაფიცა, არავის არაფერი უთხრაო.
ჩემი ოჯახი სულ უფრო უცხო ხდებოდა ჩემთვის, სწავლას თანდათან მოვუკელი, ჩემს დასთან საერთო ენას ვეღარ ვპოულობდი, დედას კი თვალს ვერ ვუსწორებდი. სამაგიეროდ ვიპოვე ის, ვისზეც მთელი ჩემი ცხოვრება გახდა დამოკიდებული: ივო.
შემოდგომის მიწურულს ივოს მამა ჩამოვიდა ბერნიდან იქ რომელიღაც ელექტროკონცერნში მუშაობდა მენეჯერად. მან ჰამბურგში ერთი კვირა დაჰყო და ეს ერთი კვირა მე და მამა სახლში ვიჯექით; უცებ გაახსენდა ჩემი სწავლა-განათლება, ბეჯითად მიმოწმებდა საშინაო დავალებებს; ზრუნავდა, რომ დროულად და წესიერად მეჭამა. რაც უფრო ენატრებოდა ემა, მით უფრო უმძაფრდებოდა დანაშაულის გრძნობა.
ამ დროს კი დედა უკვე მთლად მყარად ვეღარ გრძნობდა თავს დედის როლში. ზოგჯერ უკმაყოფილებას ვერც კი მალავდა, როცა მამას ვაქებდი. ექიმების შვილის კომპლექსი რომ არა, ვფიქრობ, უფრო ადრეც გადაწყვეტდა გაყრას. ის კი

ცდილობდა ყველასთვის ანგარიში გაეწია და როგორც აღმოჩნდა, ამასობაში სრულიად დაკარგა კონტროლი საკუთარ თავზე, თავისცხოვრებაზე, ქმარსა და შვილებზე.
ზოგჯერ ძალიან მინდა დავურეკო გესის და ვუთხრა, რომ დიდი ხანია ყველაფერი ვაპატიე, საერთოდ თუ რამე ჰქონდა საპატიებელი. ის კი, მგონი დღემდე ადანაშაულებს საკუთარ თავს. ძალიან მინდა ვუთხრა, რა კარგად მესმის მისი, იმ ყველაფრის მერე; რამ აღარ გადაიარა მის თავზე; კარგად მესმის, რატომაც გაიქცა მაშინ როგორც ირემი გარბის ტყეში, როცა მანქანა ეჯახება, და სისხლის კვალს ტოვებს. მან შეძლო და გადარჩა.
დედას წლების განმავლობაშიადანაშაულებდნენ. წლების განმავლობაში ახსენებდა ლენი თითოეულ შეცდომას. მე კი ხმა არ ამომიღია...
ახლა კი ძალიან მეცოდება. იმედია, ვეტყვი ოდესმე. ცოტათი მაინც დავამშვიდებ. ვეტყვი, რომ ახლა უკვე ვიცი: რაც არ უნდა ეცადო, მაინც ვერასოდეს გახდები საკმარისად კარგი დედა. ვერასოდეს გაუმკლავდები ყველა სირთულეს, საკუთარ შვილს ცხოვრებისგან ვერ დაიცავ. ვეტყვი, რომ უკვე ვიცი, რას ნიშნავს ყველაფრის თავიდან დაწყება, ახალ ქვეყანაში, ახალ ქმართან ერთად, მომავალ შვილებზე უარის თქმა. ვხვდები, რამდენად მძიმე უნდა ყოფილიყო მისთვის ამ გადაწყვეტილების მიღება.
– რომელი საათია?
უცებ წამოვჯექი და ივოს გავხედე, რომელიც უკვე ჩაცმული და გაპარსული იჯდა საწერ მაგიდასთან და გაღიმებული მიყურებდა.
– ოთხის ნახევარია. ჩაგეძინა.
– თეო მყავს ფეხბურთიდან გამოსაყვანი!
– დალევ ყავას?
– დაყრუვდი? წასასვლელი ვარ-მეთქი.
გაღიზიანებული წამოვხტი. ნერვებმოშლილი ძლივს ჩავეკვეხე ტანსაცმელში, ორჯერ მეტი დრო დამჭირდა.
– ახლა ჯვარს ნუ ეცმევი იმის გამო, რომ ჩემთან იწექი.
– ნუ ბოდავ რაღაცას! სულ არ მჭირდება ახლა შენი რჩევები.
– იმდენ დროს მოგცემ, რამდენიც გჭირდება. ახლა უკვე დარწმუნებული ვარ, რომ არაფერი შეცვლილა. მთავარი ეს არის. დასაწყისისთვის ესეც კმარა.
– რა დასაწყისისთვის, ივო! ეს დასასრულია. ყველაფრის დასასრული.
– არასოდეს გიღალატია ქმრისთვის?
– შენი საქმე არ არის. სად ტრაკშია ეს ჩემი ფეხსაცმელი? ისევ ვაგვიანებ!
ივო დაიხარა, საწოლის ქვეშიდან ფეხსაცმელი გამომიღო, მუხლებზე დადგა და თვითონ ჩამაცვა. უაზროდ მივაშტერდი მის თმას. არაფრის თავი აღარ მქონდა.
ივომ ამომხედა, კოჭიდან წვივზე ააცურა ხელი, მერე მუხლს ააყოლა და ფეხებს შორის გააჩერა. ისევ ამაკანკალა, ისევ დამიარა ტანში სიცივემ. ისევ ვიგრძენი, რომ მზად ვიყავი ჩემი შვილი სტადიონზე დამეტოვებინა ამ წვიმაში და აქ დავრჩენილიყავი. და ამის გამო საკუთარი თავი მეზიზღებოდა. ამ ზიზღმა მომაშორებინა მისი ხელი.
– ნამდვილი ღორი ხარ. ეგოისტი ღორი.
– ძალიან მჭირდები, – მომაძახა, როცა კარი გავაღე და ლიფტისკენ გავქანდი.

7

თულიასთან ვიჯექი ტერასაზე და ვუყურებდი, როგორ ატრიალებდა ჰაერში მტვერსა და ქვიშას გაზაფხულის ქარი. ეს ქარი რომ ჩაცხრებოდა, ნაოსნობის სეზონი გაიხსნებოდა და თულიაც კარგ გუნებაზე დადგებოდა. ამის შემდეგ ქარი ღრუბლებთან ერთად მხოლოდ მშვიდ დღეებს მოუტანდა სანაპიროს. აქ, ამ გადაკარგულში გავატარე ბავშვობის მეორე ნახევარი, რომელსაც არაფერი ჰქონდა პირველთან საერთო. სრულიად არაფერი.
თულიამ ყავა და ნამცხვარი გამომიტანა. მუხლზე დამეყრდნო და საქანელაზე ჩამოჯდა ჩემ გვერდით. მერე სიგარეტი გაახვია და მოუკიდა.
– ძალიან ვდარდობ შენზე, – თქვა და გააბოლა.
იყო თულიაში რაღაც არარეალური. ისეთი სახე ჰქონდა, ისე იცვამდა, თითქოს ამ

ქვეყანას არ იყო. მით უფრო უცნაურად გამოიყურებოდა აქ, ამ პატარა სოფელში, ჩრდილოეთ გერმანიის სანაპიროზე; ჩრდილო აფრიკის უდაბნოს მომთაბარე ტომში უფრო ადვილი წარმოსადგენი იყო. ან სხვა ეპოქაში, სადმე სპარსეთის ყურეში, დედოფლად. შევხედე და თავი მხარზე დავადე. მერე ჩემს ხელში მოვიქციე მისი მარცხენა ხელი და ასე გავინაბე. თულია ერთადერთი იყო ჩვენს ოჯახში, ვისთანაც ყოველთვის ბავშვად ვგრძნობდი თავს. საკმარისი იყო შევხებოდი და თვალი დამეხუჭა, რომ ისევ მისი პატარა გოგო ვხდებოდი, რომელზეც ოდესღაც ზრუნავდა, ანებივრებდა და ჭკუას არიგებდა.
– რაღაცის გარკვევას ცდილობს, ვერ გავიგე, რა უნდა. და ეს მაგიჟებს. გამიწყალა გული, სულ იმაზე მელაპარაკება, როგორ სჭირდება ჩემი დახმარება.
ზღვის სუნი იდგა, წარსულის სუნი. ნეტა, რა მაიძულებდა მუდამ უკან მიხედვას. რატომ იყო ჩემთვის აწმყო ასეთი უსიცოცხლო, წარსული კი ასეთი სისხლსავსე?
ცხადი იყო, რომ თულიამ ძალიან ბევრი იცოდა. მაგრამ ოჯახის სხვა წევრების მსგავსად, ისიც გაჩუმებას ამჯობინებდა. ივოს მხარეზე იყო, იმიტომ რომ უყვარდა და იცავდა, რადგან სხვები ვერ ამჩნევდნენ, რასაც ის მასში ხედავდა. წლების განმავლობაში ცდილობდა, ჭრილობები არ გადაეხსნა. ახლა კი იმავეს ელოდა ჩემგანაც: გაჩუმებას, თავშეკავებას, დისციპლინას. წარსულისკენ არავითარ შემთხვევაში არ უნდა გამეხედა.
– წარმოდგენა არ მაქვს, რის გარკვევას ცდილობს. ის კი ზუსტად ვიცი, რომ შენ არავითარ შემთხვევაში არ უნდა აყვე. შენ ახლა სხვა ვალდებულებები გაქვს და ჭკუით უნდა იყო.
ხმა არ ამომიღია. აზრზე არ ვიყავი, რა უნდა მეთქვა. მგონი, საღად აზროვნების უნარიც აღარ მქონდა. ერთადერთი, რაც შემრჩა, შიში იყო. ცარიელი შიში. საკუთარი თავის, შვილის, ქმრისა და ძლივს შეკოწიწებული ბედნიერების დაკარგვის შიში.
ფხვიერი ნამცხვრის ნაჭერი ავიღე და მაგარ ყავას ხარბად დავეწაფე. სიამოვნებით დავიმალებოდი სადმე და ქარის ჩადგომას დაველოდებოდი. ბანაობის სეზონს დაველოდებოდი. დაველოდებოდი...
შემომხედა. ყურადღებით ჩამხედა თვალებში. ასე აკეთებდა ხოლმე ადრეც, როცა ცდილობდა გაერკვია, ხომ არ ვატყუებდი. თავს ძალა დავატანე, თვალები რომ არ დამემალა.
– არა. ოღონდ ეს არა. – ამოიოხრა თულიამ და შეტრიალდა. ადგა, იარა ერთხანს აქეთ-იქით, სიგარეტი მოწია და ისევ მომიჯდა კვნესით. ყველაფერი გასაგები იყო. დამალვას აზრი არ ჰქონდა: ივოსგან განსხვავებით, ჩემს თვალებს არაფრის დამალვა არ შეეძლო. ძალიან ხშირად მღალატობდნენ. მე ხომ დედაჩემის თვალები მქონდა. მეც და ლენისაც მისი თვალები გამოგვყვა, ექიმების შვილის თვალები: ცოტა დამფრთხალი, ცოტა გაუბედავი.
– რა იყო? – მაინც ვკითხე ფრთხილად.
– შენ რა, სასტუმროში მიადექი?
– ჰო.
– არა, ვერ ვიჯერებ. რატომ შვრები ამას, სტელა? დაანებე თავი, თვითონ მიხედავს თავის ცხოვრებას. შენ შენსას მიხედე. მალე ისევ წავა აქედან. თვითონ მითხრა. რაღაცას ვიკვლევ, რაღაც ამბავს ვიძიებო, ასე მითხრა. არა მგონია, ისევ აქ დაბრუნებას აპირებდეს ოდესმე. ის კი არა, მე მგონი ნიუ-იორკშიც აღარ წავა. საბუთები ვნახე მის საწერ მაგიდაზე: ბინა ჩაუბარებია. თავისი ნივთები ეტყობა გესისთან გადაიტანა.
– რა უნდა ვქნა? – ვთქვი და აწეწილ ცას ავხედე. რუხი და ლურჯი ფერები ერთმანეთში ირეოდა.
– პირველ ყოვლისა, გაარკვიე, რა გინდა.
– არ ვიცი, – ვთქვი ჯიუტად.
– შემომხედე, სტელა. შემომხედე და მიპასუხე: ივო გინდა? ისევ ივო გინდა? შენს ქმარს, შენს ოჯახს გაწირავ მის გამო? ისევ ის ადრინდელი ცხოვრება გინდა, რომელსაც არაფერი კარგი არ მოუტანია შენთვის? ეს გინდა?
ავდექი და წამოვედი. თულია გამომეკიდა. რაღას მომეშვებოდა. მკლავში მწვდა და თავისკენ შემაბრუნა. ვხედავდი, როგორი შეშინებული იყო.
უცებ გავღიზიანდი. მივხვდი, რომ თულიასაც არ უნდოდა უკან მიხედვა ის, რასაც

ივო ეძებდა, შეიძლება მისთვისაც უსიამოვნო ყოფილიყო; რომ თავის სიყვარულს თანაბრად კი გვინაწილებდა, მაგრამ ამას სათავისოდ აკეთებდა. და რომ ის ივოსგანაც და ჩემგანაც მდუმარედ ითხოვდა, მისიძლივს მოპოვებული სიმშვიდეარ დაგვერღვია.
– ნეტა, არ მინდოდეს. მაგრამ რა ვქნა? რა გასაკვირია, რომ თავის შეკითხვებზე პასუხების მისაღებად ჩამოვიდა? ასეც უნდა იყოს. ის აქ არის და მე თანახმა ვარ მივცე, რასაც ჩემგან ითხოვს.
– შენ ხომ არ გაგიჟდი? რაზე ფიქრობ საერთოდ? რა უნდა მისცე? რის მიცემას აპირებ? პატარები ხომ აღარ ხართ. დიდი ხარ უკვე, სტელა! გაახილე თვალი, შეხედე შენს ცხოვრებას, შეხედე ივოს.
– სწორედ ამას ვაკეთებ. ამას ვგულიხმობ. მთელი ამ წლების განმავლობაში არც ერთ ჩვენგანს არ უღიარებია, რომ ივოს უფლება აქვს ილაპარაკოს, უფლება აქვს გაიხსენოს. არც მამას, არც მე...
– პატარები იყავით და რა უნდა ექნა. რატომ იწყებ ახლა?
– ყველას შეგვეძლო რამე გვექნა. ყველანი პასუხისმგებლები ვართ. ერთი სიტყვა მაინც თუ დასცდენია ამაზე მამას როდისმე? არც მე! და არც ლენის! და ახლაც ასევე ვაპირებთ გაგრძელებას. არ გვინდა, რომ ხელი შეგვიშალონ. ეს ნორმალურია შენი აზრით?
– იცი, რა არ არის ნორმალური? ის, რომ ზრდასრულ ქალს არ უნდა საკუთარ ცხოვრებაზე პასუხისმგებლობის აღება იმ მიზეზით, რომ მას და იმ ექვსი წლის ბიჭს, რომელთანაც ის ოდესღაც თამაშობდა, თურმე რაღაც გაუფუჭებიათ.
– ტყუილია, რა სისულელეა. შენ რა იცი, როგორ იყო? შენ იქ არ ყოფილხარ, არც ერთი თქვენგანი არ იყო იქ. ჩვენთვის რატომ არ გიკითხავთ არასოდეს? რატომ არ გაინტერესებთ, რა მოხდა სინამდვილეში და რას ნიშნავდა ეს ჩვენთვის?!
– კარგი ეხლა, გეყოფა. საკმაოდ დიდხანს ვუმკურნალეთ, ყველაფერი გავუკეთეთ. როგორ გგონია, რატომ? არაფერი დაგვიკლია მისთვის. და არც ერთი თქვენგანისთვის. ყველაფერი მოგეცით, რაც შეგვეძლო. ის ახლა დამოუკიდებელი, წარმატებული კაცია. არა მგონია მასში იყოს პრობლემა.
– ესე იგი ჩემშია? გასაგებია, მე ვარ ამ ოჯახის პრობლემა...
– მაგას ვინ ამბობს!
– რა მნიშვნელობა აქვს თქვენ რა მოგვეცით, მთავარია, ჩვენ რა გვჭირდებოდა. არ გიფიქრიათ ამაზე?
– მთავარი ის არის, რომ თქვენ ერთმანეთს ვნებდით, ტკენდით და ზიანს აყენებდით. და არავის აღარ უნდა ისევ თქვენზე ნერვიულობა.
– ზოგჯერ არ კმარა მარტო გვერდით ყოფნა, არ კმარა სიყვარული. არ კმარა იმისთვის, რომ დაივიწყო. სხვები ძალიანაც რომ ეცადონ, მაინც არ კმარა. – ვთქვი და ავტირდი. რამდენი ხანია აღარ მიტირია ისეთი სიხშირით, როგორც იმ დღეებში. ხეს მიყრდნობილი ვსლუკუნებდი. ხიდან კი ჩვენი სახლუკა დამყურებდა, სასოწარკვეთილი და ეული. თულიამ მხარზე ხელი მომხვია. მიყურებდა და თავს აქნევდა. აქნევდა და აქნევდა თავს. ჩემ გამო. საკუთარი თავის გამო. და იმის გამო, რაც კიდევ გველოდა.
მე და თულია ისევ დავსხედით. ერთმანეთს არ ვუყურებდით. ნამცხვარი სულ შევჭამე. ცრიდა. თულია ხელზე მეფერებოდა. სიამოვნებით ავძვრებოდი ხეზე და ჩვენს სახლუკაში ჩავირაზებოდი.
– აზრი არ აქვს წარსულში დაბრუნებას, არავითარი აზრი არ აქვს. ყოველთვის წინ უნდა იყურო, ცხოვრება უნდა გააგრძელო. ყოველთვის. დამიჯერე, ასეა. – მითხრა და შემომხედა. თავისი მუქი, საოცარი თვალებით.
მაოცებდა თულია. ყოველთვის მაოცებდა. ჯერ კიდევ მაშინ, ჰამბურგში რომ ვცხოვრობდი, და ემას იდუმალებასა და დედაჩემის რეალურობას შორის ვიხლიჩებოდი. თულია მთელი თავისი დღე და მოსწრება „სხვანაირი“ იყო. და ყოველთვის ხაზს უსვამდა ამ თავის სხვანაირობას. მაოცებდა მისი სიამაყე და მხნეობა. ზღვის სიყვარული, თეატრალურობა, ველური ვარდები, მისი უდრეკი სიყვარული, მისი მოთმინება. ჩვენც გაგვიწია დედობა და მამაჩემსაც. დედამისი, თულიას და, დეპრესიული ლოთი იყო; მსახიობობაზე ოცნების დევნაში, რაღაც მიგდებულ კაბარეებში დაძრწოდა ომის შემდეგ და ხშირად ტოვებდა შვილს მარტო. მიშვებული ფილტვების ანთებით მოკვდა, როცა მამა თოთხმეტი წლის

გახდა. მას მერე თულიაა მისთვის დედა.
მისი ეს დუმილი კი მძულდა. უფრო მძულდა, ვიდრე ჩემი, დედაჩემის, მამაჩემის ან ლენის დუმილი. ალბათ იმიტომ რომ ყოველთვის მაგალითი იყო ჩემთვის, და ყველაზე მეტად მისი გულახდილობის იმედი მქონდა. ალბათ მინდოდა, რომ სწორედ მას დაესვა შეკითხვები. უცნაურია, მაგრამ ჩემი მშობლებისგან უფრო ადვილად გადავიტანე ყველაფრის დავიწყება, ვიდრე თულიასგან. რაც უფრო მემატებოდა ასაკი, მით უფრო მეპარებოდა ეჭვი მის სიმშვიდეში, მის იდილიურ ცხოვრებაში, მისი ოცნებების სამყაროში და მის განსხვავებულობაში. იქნებ ასეთი ცხოვრებით ისიც ისევე გაურბოდა სინამდვილეს, როგორც ჩემი ოჯახის სხვა წევრები.
– არ ვიცი, თულია. ვერაფერი ვერ გავიგე. რა უნდა ვქნა? რას ეძებს, რისი პოვნა უნდა?
სიტყვის დამთავრებაც ვერ მოვასწარი, რომ უკვე ვიცოდი პასუხი. ისიც ვიცოდი, რომ საერთოდ არ უნდა დამესვა ეს შეკითხვა, რომ პასუხი ჩემ ცხოვრებას დაანგრევდა. ივო ჩემი აღიარების მოსასმენად ჩამოვიდა. სულ იმაზე მელაპარაკებოდა, როგორ უსაფრთხოდ გრძნობდა თავს, და ეს გრძნობა მთელი ცხოვრება თან სდევდა. იმ საღამოს, როცა თულიას გვერდით ვიჯექი, უეცრად მივხვდი, რასაც გულისხმობდა.
ექვსის ვიყავი, როცა პირველად შემიყვარდა ივო. ის სიყვარული ეული იყო, ის სიყვარული მაშინებდა, იმ სიყვარულს ვითმენდი. ჩვენი მშობლების საიდუმლომ დაგვამუნჯა და დაგვაჭკვიანა.
მეორედ მაშინ შემიყვარდა, როცა ლაპარაკი შეწყვიტა და ჩვენთან გადმოვიდა საცხოვრებლად. როცა ტირილითა და ყვირილით იღვიძებდა ღამღამობით და ვერავინ აწყნარებდა. როცა ცხრა წლის ბიჭი, წვეტიანი კბილებითა და დიდი ყურებით, თვეობით არ იღებდა ხმას. როცა მასთან ერთად გამოვიგონე მუნჯური ენა და მის მაგივრად დავიწყე ლაპარაკი. როცა ყველა ექიმთან და მომვლელთან დავყვებოდი, იმიტომ რომ მარტო მე შემეძლო მისი მიმიკისა და ჟესტების სიტყვებად თარგმნა. სანამ ლამის მე თვითონ არ გავხდი სამკურნალო, თუმცა ყოველთვის ვცდილობდი ჩემი თვალებით დამენახა მისი სამყარო.
მესამედ, უკვე ცხრა თვე რომ ვცხოვროდით თულიასთან ნინდორფში, მაშინ შემიყვარდა. მამაჩემის სრული უსუსურობის ფონზე, ივოს დამუნჯებიდან ერთი წლის შემდეგ; როცა ნიჩბების მოსმა ისწავლა, სულ უფრო და უფრო უკეთ დაიწყო ცურვა და სკოლაში დაბრუნდა; იმ დილას, როცა მე და ლენის მოგვიკაკუნა, გამაღვიძა და მითხრა: „წამო, ზღვაზე ჩავიდეთ, ძალიან თბილა“. ეს მისი პირველი სიტყვები იყო მას შემდეგ, რაც ჩვენთან გადმოვიდა. ახალი ცხოვრების პირველი სიტყვები. და ეს სიტყვები მე მეკუთვნოდა.
მეოთხე და საბოლოო ცხელი ზაფხულის სიყვარული იყო, ოფლივით რომ ამეწება ტანზე და ვეღარასოდეს ჩამოვიბანე. თხუთმეტი წლის ვიყავი. ვუყურებდი, როგორ გაიხადა და როგორ შევიდა ზღვაში. მანამდე ასიათასჯერ მყავდა ნანახი ბანაობისას. და მაინც. ეს რაღაც სხვა იყო. მე დავინახე სხვანაირად.
შორიდან ვუყურებდი, ახლოს არ მივსულვარ, რაღაცამ გამაჩერა. არადა ერთი სული მქონდა, ტანზე გამეხადა და გავქცეულიყავი. ივოსთან. ზღვაში.
ალბათ სწორედ ეს მიყვარდა მასში იმ ზაფხულს, საღამოობით ზღვის პირას, ახლად შეღებილ ნავებს შორის თულიას სამფლობელოში დღევანდელი დღით ცხოვრების უნარი, რასაც გულუხვად გადასცემდა ყველას თავის ირგვლივ, მედიდურად აფრქვევდა, როგორც ოქროსფერ მტვერს კარნავალზე. სხვას არავის შეეძლო ასე დღევანდელობაში არსებობა. ზოგჯერ მომავლისა და წარსულის ასეთი უგულებელყოფა ყველას გვაგიჟებდა, ჩემი ჩათვლით. არასოდეს იცოდა, სად უნდა წასულიყო მეორე დღეს, რა იყო დაგეგმილი სკოლაში სამი დღის შემდეგ, ვის როდის ჰქონდა დაბადების დღე; მაგრამ როგორც კი ის დღე დგებოდა, როგორც კი ხვალინდელი დღე დღევანდელ დღედ გადაიქცეოდა, რაღაც ჯადოსნურად, ყველაფერი ახსენდებოდა, ყველაფრის აზრზე იყო, ყველაფერი აინტერესებდა.
სწორედ იმიტომ რომ ჩვენთვის არ არსებობდა „გუშინ“ და „ხვალ“, ჩვენი „დღეს“ ბევრად უფრო სავსე იყო სიცოცხლით, ვიდრე ყველა ჩემი ოცნება, რომელიც მანამდე მქონია. მისი რეალობა ისე იყო მიჯაჭვული ყოველწამიერ

არსებობაზე, თავად ცხოვრებაზე, რომ ნებისმიერ ოცნებას ჩრდილავდა. ის ცხოვრობდა, მე კი ვოცნებობდი. მერე უკვე ივოსთან ერთად ვისწავლე, რომ ოცნებები ჩემი აწმყოს ნაწილად უნდა მექცია, ან საერთოდ უარი მეთქვა მათზე. ამის გაგება ისედაც ძნელია, ჩემი ოჯახისთვის კი საერთოდ შეუძლებელი იყო.
იქნებ მშობლების ტრაგედიის გამო დამწუხრებულმა, საკუთარ თავში ჩაკეტილმა და ერთი წლით დამუნჯებულმა ივომ ყველაფერი დაივიწყა, რაც მანამდე იყო. იქნებ თავის დასჯა უნდოდა. ან იქნებ ახალი დანაკლისისგან, ახალი იმედგაცრუებისგან, ახალი განშორებისგან თავის დაზღვევა. არ ვიცი. ის კი ვიცი, რომ მისთვის მხოლოდ „დღეს“ არსებობდა. სანამ შვიდი წლის შემდეგ უკან დაბრუნება არ გადაწყვიტა.
ჩემთან. და აქედან გამომდინარე, წარსულში.
შესაძლოა ეს იყო, რაც მაშინებდა ამ სიტუაციაში, რისი ატანაც ასე მიჭირდა: სხვა ივო დავინახე. ივო, რომელმაც უცებ თავისი წარსულის ძებნა დაიწყო. ივო, რომელმაც დღევანდელ დღეზე თქვა უარი, და ხვალინდელი დღე გუშინდელ დღეზე დამოკიდებული გახადა.
იმ ზაფხულს ნაპირიდან ვუყურებდი, როგორ შეცურა შორს ზღვაში, და ყველა გუშინ, დღეს და ხვალ იმ ერთ წუთში გაერთიანდა. იმ ერთიციცქნა წერტილში, რომელიც უფრო და უფრო მშორდებოდა.
როცა წყლიდან ამოვიდა, მის პირსახოცზე ვიჯექი და ველოდი. ჩვენი ხიდან მოწყვეტილი ორი ვაშლი მეჭირა. გაყინული იყო და ზურგი გავუმშრალე. მზე კი ზღვაში ჩაესვენა. კანზე მარილის სუნი ჰქონდა და თმებში ქვიშა. უზარმაზარი იყო, იმ ზაფხულს თითქმის ერთი თავით გაიზარდა. ზემოდან დამყურებდა და შეთქმულივით მიღიმოდა. მსხვილი ძვლები ჰქონდა, თავის სიფრიფანა დედას კი არ ჰგავდა. ყოველთვის საოცრად მოქნილი იყო.
გლუვი კანის ქვეშ ნეკნები მოუჩანდა და მუცელზე წყლის წვეთები უელავდა პაწაწინა ვარსკვლავებივით. თვალს ვერ ვუსწორებდი და ვხეხავდი და ვხეხავდი პირსახოცით, სანამ ხელში არ მწვდა და არ მკითხა, რა გეტაკაო.
მარტონი ვიყავით. ის პატარა ყურე ჩვენი საიდუმლო ადგილი იყო. ტურისტები იშვიათად სტუმრობდნენ იქაურობას – მიაჩნდათ, რომ საბანაოდ უვარგისი იყო სათევზაო ნავებისა და წყალში ღრმად შეჭრილი ნავსადგომის გამო. წყალიც საკმაოდ ცივი იყო. ჩვენ კი დავეპატრონეთ ამ ადგილს და მკაცრ და გაყინულ ზღვასაც შევეჩვიეთ.
მაისური გადაიცვა და კბილების კაწკაწიც შეწყვიტა. ისეთი ლამაზი იყო, მზემოკიდებული, მოღუშული გამოხედვით. ცოტა უსწორმასწორო კბილები ჰქონდა და სავსე ტუჩები. სახეზე უკვე მუქი ბუსუსები ამოსვლოდა, რითაც ძალიან ამაყობდა, იპარსავდა, უვლიდა. იმ დღიდან ამიტანა ამ სურვილმა,რომელიც მტკივნეულიც იყო, ამაღელვებელიც და სამარცხვინოც ერთდროულად.
თავი ჩავღუნე და მუხლებს ხელები შემოვხვიე. თმა მოკლედ მქონდა შეჭრილი და ფრჩხილები დაკვნეტილი; თულიას მჭახე წითელი ლაქი მესვა. ტილოს კაბა მეცვა წელზე წითელი ბაფთით – დედამ მიყიდა ნიუ-იორკის რომელიღაც ძვირ მაღაზიაში მორიგი რომანტიკული შეტევის დროს. ამ კაბას ნიუ-იორკულ ზმანს ვეძახდი და გულის სიღრმეში ვამაყობდი კიდეც, რომ მე მერგო და არა ლენის.
ნიკაპი ამიწია და მაიძულა შემეხედა მისთვის.
– შენ რა, შეყვარებული ხარ? – მკითხა ჩვეული გულგრილობით. ხმა არ ამომიღია. ივომ გაიცინა და სწორედ ამ დროს შეეხო ჩამავალი მზის უკანასკნელი სხივი მის შუბლს. ზაფხულის ალერსიანი შუქით განათებული, წმინდანს დაემსგავსა. თვალები დაენისლა, მე კი ტირილი მომინდა. სევდა შემომაწვა. ასე მეგონა წლები მომემატა ერთ წამში; ალბათ იმიტომ რომ მაშინვე მივხვდი: ჩვენი სიყვარული არასოდეს არაფერში არ ჩაეწერებოდა და ყოველთვის ამოუხსნელ საიდუმლოდ დარჩებოდა სხვებისთვის. მე კი მძულდა ყველანაირი საიდუმლო. მძულდა იმ დღიდან, როცა ივოს მამა სახლში დაბრუნდა...
ალბათ ეს ყველაფერი წინასწარ ვიგრძენი, როცა ივოსთან პირისპირ ვიჯექი და, პირველად ჩემს ცხოვრებაში, ვერ ვეუბნებოდი რა მჭირდა. იქნებ შინაგანად გამოვიგლოვე კიდეც ყველაფერი უბრალო და მარტივი, რასაც ვთმობდით იმ წუთას, როცა ასე ვიჯექით ერთად და მე მის სხეულს ვაკვირდებოდი. შეიძლება.
ივომ იგრძნო ეს სევდა და მხრებზე მომეფერა. აღარ იცინოდა. ელოდა, როდის

ავწევდი თავს.
– ვინ არის? მიდი, გამოტყდი. – იხუმრა და ვაშლი ჩაკბიჩა.
– შენ, – ვთქვი ძალიან ჩუმად და შევხედე. ლუკმა გადაცდა, ან ვითომ გადაცდა, რომ ერთი-ორი წამი მოეგო. მერე ვაშლი პირსახოცზე დადო.
– სტელა.
სიტყვებს ეძებდა და უნებლიეთ ცოტა უკან გაიწია. მაინც რაღაც შვება ვიგრძენი და ცას ავხედე. ბნელდებოდა. სადგომთან მეთევზეების ნავები რიტმულად ქანაობდნენ აქეთ-იქით.
– ჰო, – დავუდასტურე და უცებ ვიგრძენი, რომ ამ პატარა სიტყვამ გამამხნევა და ვარსკვლავებთან ამაფრინა. გვერდზე გადავგორდი და ქვიშაზე გავიჭიმე. ივო წყალს გაყურებდა.
– არ გამოვა, – თქვა მან და გადმომხედა. დაღვრემილი იყო. თვალის გარსი თითქმის აღარ უჩანდა.
– რატომ? – ვკითხე და ისევ წამოვჯექი. შემზარავი იყო, ასე რომ დამყურებდა.
– იმიტომ. ხო არ გაგიჟდი?
– არ გამოვა იმიტომ რომ... მოკლედ ოჯახის გამო არ გამოვა თუ იმის გამო, რომ შენ იმავეს არ გრძნობ?
– ამის გამოც და იმის გამოც.
დავფრთხი. ჩემი ახლად მოპოვებული სიმხნევე წამში ისეთმა შიშმა შეცვალა, რომ სუნთქვა შემეკრა. თითების კვნეტა დავიწყე. მაინც არ მინდოდა უკან დახევა. არ მჯეროდა მისი და გამოცდის გარეშე დათმობას არ ვაპირებდი. გახდა დავიწყე. კაბის ბაფთა მოვიხსენი. და მიუხედავად იმისა, რომ ივო ხშირად შესწრებია ჩემს ჩაცმა-გახდას და წყალშიც ხშირად ჩავმხტარვართ ერთად ტიტვლები ვიცოდი, რომ სიყვარულში გამოტყდომამ ეს ყველაფერი სულ სხვა მოვლენად აქცია.
კაბა გავიხადე და გვერდზე გადავდე. ივო დაბნეული მიყურებდა. ვერ გადაეწყვიტა, როგორ მოქცეულიყო. მაგრამ მაინც მიყურებდა, ჩემს სხეულს უყურებდა თვალის დახამხამებაში რომ გადაიქცა სხეულად.
– რას აკეთებ? – იკითხა გაუბედავად და ჩაიკეცა, თითქოს თავის დაცვას აპირებდა იმ ყველაფრისგან, რაც უნდა მომხდარიყო.
გახდა განვაგრძე. უხერხულად ვმოძრაობდი, მაგრამ გამოუცდელობას არ ვიმჩნევდი და ვცდილობდი საცვლებში არ ავხლართულიყავი; მალე წელს ზემოთ შიშველი დავუჯექი წინ. ის იყო ბიკინის გახდა დავიწყე, რომ მაჯაში მწვდა და ამომიტრიალა. მომაჩერდა. გადავიხარე და ვაკოცე. ზუსტად ისეთი გემო ჰქონდა, როგორიც წარმომედგინა: მარილის, ვაშლისა და სიცოცხლის გემო. ყოველთვის, როცა ივოს კოცნას ვაპირებდი, წინასწარ მიხაროდა, ამ გემოს რომ ვიგრძნობდი.
ივომ კოცნით მიპასუხა. ჩემი მაჯიდან ხელი იდაყვს ააყოლა ლავიწის ძვლამდე და ყელზე მომხვია თითები. ისევ ვაკოცე, ფრთხილად მიბიძგა და ქვიშაზე გადამაწვინა. არ ვიცი რამდენი გოგო ჰყოლია ჩემამდე ივოს; არასოდეს უთქვამს. სკოლაში გოგოებს კი მოსწონდათ ძალიან, მაგრამ მათთვის მეტისმეტად უცნაური იყო და მასთან დაახლოება არ უცდიათ. მაგრამ ჩემთან შედარებით ნამდვილად გამოცდილი იყო. მზად იყო თავისი სურვილისთვის, მზად იყო ჩემი სხეულისთვის. მთელი ტანით შემომეხვია. მე ფეხები გავშალე, მაგრამ იმავე წუთას წამოხტა, მიტრიალდა და გაიქცა. წყალში შევარდა. მე კი ვიწექი იქ მარტო. ფეხებს შორის წვას ვგრძნობდი და უზომო სიცარიელეს მუცელში. ასე მეგონა შიგნიდან ვიწვოდი, მოვიკუნტე და ყვირილი დავიწყე. ისე ვყვიროდი, რომ ყურები მისკდებოდა ექოსგან. ვყვიროდი და მუშტებს ვირტყამდი მუცელში. მინდოდა ის წვა ჩამექრო.
როცა დაბრუნდა, ჩაცმული დავხვდი. მუხლებზე ხელები მქონდა შემოხვეული და ვაშლს ვჭამდი. იმ წუთებმა, სანამ ის ზღვაში იყო, სულშემცვალა. უკვე გავიზარდე, სწრაფად და მოულოდნელად.
– არ გამოვა, – თქვა მან. შიშველი იყო. ფეხებშორის ცივი წყლისგან შეკუმშული პენისი ეკიდა. პირსახოცი შემოიხვია და გვერდით მომიჯდა.
– არ გამოვა და ნუ გამოვა, – ვთქვი და ავდექი.
– წავედი.
– მოიცადე, სტელა! მოიცადე!
მტკიცედ მივაბიჯებდი. მეძახდა, მაგრამ უკან აღარ მომიხედავს.
ორი კვირის შემდეგ ჰარისთან მივედი და ნავზე გადახრილს უკნიდან მოვეხვიე.

სამაგიერო კი იმ ღამით გადავუხადე, როცა ფანჯრიდან შევძვერი ჰარის ოთახში. ივომ მხოლოდ რამდენიმე დღის შემდეგ გაიგო. სოფელში ერთ გოგოს მოვუყევი, რომელსაც ვერ ვიტანდი, იმიტომ რომ ივოს ეპრანჭებოდა. ისიც ვერ მიტანდა, რადგან ივოს ვართმევდი. ვიცოდი, რომ აუცილებლად ეტყოდა ივოს. ივომაც იცოდა, რატომაც მოვიქეცი ასე.

თულია ამბობდა ხოლმე, – როცა გვიყვარს, არასოდეს გვიყვარს ცალკე აღებული კაცი, ქალი, ბავშვი, დედა, მამა ან და-ძმაო. ყოველთვის ყველა ერთდროულად ერთ ადამიანში გვინდა გვიყვარდესო. სიყვარულის კატეგორიებად დაყოფა ჩვენი დროის ავადმყოფური მიდრეკილებაა ფორმას ვაძლევთ ყველა გრძნობასო. ამბობდა, რომ ჩვენ მხოლოდ იმ ერთადერთი ადამიანისგან გვინდა ყველაფერი, რომელიც გვიყვარს. ყველა დანარჩენის იმ ერთში გაერთიანებას ვნატრობთო. და რომ ნატვრა საბოლოოდ ყოველთვის ჩრდილავს სიყვარულს, რადგან ჩვენ არ შეგვიძლია ვიყოთ ყველაფერი ერთად და ერთდროულად. მაგრამ სიყვარული თავისი არსით მრავალფეროვნებისკენ მიისწრაფვის, იმ ყველაფრის გაერთიანებისკენ, რაც ისედაც არსებობს ყოველ ჩვენგანშიო. თულიას მიაჩნდა, რომ ასეთი სიყვარული შესაძლებელი იქნებოდა, სისტემები და საზოგადოებები რომ არ შეგვექმნა, და ის ელემენტარული შეგვენარჩუნებინა, რაც გვქონდა... თულია ბევრ რამეს ამბობდა.
იქნება სიყვარული მართლა ანარქიას ჰგავს?
იქნებ არასოდეს მიცხოვრია ისე, როგორც უნდა მეცხოვრა?
იქნებ ივო იძულებული იყო ყოველი ჩვენგანისგან ესესხა თავისი სიცოცხლე?
იქნებ მართლა არ ვიცი ვინ ვარ?
იქნებ მხოლოდ ახლა ვიპოვი პასუხებს, როცა უთვალავი სინათლის წელიწადით დავშორდი იმას, რაც ასე დიდხანს მიმაჩნდა ჩემ ცხოვრებად?
ვუყურებ აწმყოს, ცარიელს და არაფრის მთქმელს. მაგრამ ვიცი, რომ მხოლოდ მას შეუძლია გამცეს პასუხი. წარსულზეც და ალბათ მომავალზეც.
ჩემ ცხოვრებაში არსებობს სამი დღე, რომელთა წყალობით გავხდი ისეთი, როგორიც დღეს ვარ: პირველი ის წვიმიანი საღამოა, როცა ივოს მამა მოვიდა სახლში მოულოდნელად, მეორე ის დღე ზღვის ნაპირზე ივოსთან ერთად, და მესამე დღე, როცა ჩემი შვილი დაიბადა. ივოს არაფერი აქვს საერთო ამ მესამე დღესთან. მაგრამ როცა გონს მოვედი და ჩემი შვილი დავინახე სისხლში მოსვრილი, ექთანმა მკითხა, ივო ვინ არისო. როგორც ჩანს, ტკივილის დროს მას ვეძახდი. ექთანმა ჩათვალა, რომ ბავშვის მამაზე იყო ლაპარაკი. არ შევკამათებივარ.

8
სავახშმოდ დავსხედით. როგორც შესაძლებელი იყო, ვცდილობდი, მონაწილეობა არ მიმეღო საუბარში. თეო ბებიამისს ეჯდა მუხლებში და საგანგებოდ მისთვის განკუთვნილ თევზის ჩხირებს აკნატუნებდა. მარკი და მამამისი საუბარში ჩაებნენ, კვირის პოლიტიკურ თემებს იხილავდნენ. ამ სახლში სუფრასთან აუცილებელი იყო ეგრეთ წოდებულ მნიშვნელოვან თემებზე საუბარი, და ამას ყოველთვის ისე თვალშისაცემი მონდომებით აკეთებდნენ, რომ ნერვები მეშლებოდა. მარკის მამა ისტორიისა და პოლიტიკის პროფესორი იყო, ახლა უკვე პენსიაზე გასული. დედა – ცნობილი ფსიქოლოგი, რომელსაც კერძო პრაქტიკა ჰქონდა. თავისუფალ მოაზროვნეებად მიიჩნევდნენ თავს. ანუ განათლებული ბურჟუაზია. სახლი ბლანკენეზეში, თითო ნათლული ნიგერიასა და გვატემალაში; ინდურ კერძებს ამზადებდნენ ხშირად.
მარკის დედა დღემდე განაგრძობდა ჩემი უარყოფითი თვისებების ძებნას, რომლებიც მარკზე შეიძლებოდა ასახულიყო. ეს მას პროფესიულ დაავადებად ჩავუთვალე დეფორმატიონ პროფესსიონელლე, – და ამით გადავუხადე სამაგიერო. მარკი მათი ერთადერთი შვილი იყო, თეო კი ერთადერთი შვილიშვილი. ისინი ორივეს ისე აღმერთებდნენ და ანებივრებდნენ, რომ პირდაპირ ამაზრზენი იყო. უცებ ძალიან მომინდა მოწევა. ზუსტად მახსოვდა, როდის მოვწიე უკანასკნელად: ორსულობის დროს ისე მომინდა ერთხელ

სიგარეტი, რომ შუაღამისას გავედი საყიდლად და მერე სადღაც ქუჩაში მოვწიე ჩუმად, თინეიჯერივით, თითქოს მეშინოდა, რომ გამომიჭერდნენ.
ნამდვილი ბედნიერების დიქტატურაა ასეთი ცხოვრება, − გავიფიქრე და გადავწყვიტე, რომ მერე აუცილებლად ვიყიდდი სიგარეტს.
დესერტზე ხილის სალათი გვქონდა და მანგოს ლასი. მე მოუთმენლად ველოდი მარტინის რაც მარკის მშობლებთან მხოლოდ ჭამის დამთავრების შემდეგ იყო მიღებული. როცა პოლიტიკური თემები ამოიწურა, მარკმა თავის ახალ პროექტზე დაიწყო ლაპარაკი. ბოლო ფილმების სერიამ უმაღლესი შეფასება მიიღო, ახლა კი კვიპროსის შესახებ ამზადებდა მასალას.
მშობლები გაფაციცებით უსმენდნენ. თვალი გადავავლე სუფრასთან მსხდომთ. ისეთი კმაყოფილი ვიყავით ყველანი: ხანდაზმული ცოლ-ქმარი, რომლებიც კეთილდღეობით ტკბებოდნენ, და თავიანთ წარმატებულ, სამაგალითო, ყოველმხრივ სწორი ცხოვრების გზას სიამოვნებით იხსენებდნენ; ჩემი ქმარი, რომელმაც ასევე ყველაფერი საუკეთესო მიიღო მემკვიდრეობით; ჩემი შვილი, რომელსაც განაღდებული ჰქონდა სამაგალითო განათლების მიღება და ასეთივე სამაგალითო ცხოვრება. მარტო მე ვერ ვეწერებოდი მაინცდამაინც ამ სამაგალითო გარემოცვაში. ჩემი წარსულიდან ამ გემოვნებიან, დიზაინერის მიერ მინიმალისტურად გაწყობილ მისაღებ ოთახში წესით ვერ უნდა მოვხვედრილიყავი. სულ ცოტა ხნის წინ რომელიღაც ჩაშვებული სასტუმროს ნომერში ტკივილნარევი სექსი მქონდა. კაცთან, რომელიც ლამის ძმად მეკუთვნის; იმის წინ ჩემი სტატიის დაწერა პრაქტიკანტს გადავაბარე სიჯიუტის გამო; მე, რომელსაც უეცრად ზღვის მონატრება მომეძალა. ამ დროს კი სულის რომელიღაც კუნჭულიდან გამოთავისუფლებულმა სიბნელემ მთლიანად მომიცვა. შავზე უფრო შავი იყო სიბნელე. მეც შავი ვიყავი, სრულიად შავი. გარშემო კი ყველაფერი ისეთი ნათელი იყო, ისეთი თეთრი, ისეთი სუფთა. მე ვიყავი ერთადერთი ლაქა. შავი ლაქა.
ძალიან გავმწარდი, უცებ ისე გავმწარდი, რომ ბოდიში მოვიხადე, ავდექი და აბაზანაში გავედი. დიდხანს ვისხი ცივი წყალი სახეზე. მერე სარკეს მივაჩერდი. Vილლეროy&ბოცჰ. ალბათ ძალიან ძვირი იყო. ექსკლუზიური.
ასეთი ვინ ვიყავი, რომ გახსენებაც არ მინდოდა? უამრავი გამოუყენებელი შესაძლებლობის ტყვე. მივჩერებოდი საკუთარ თავს და ღრიალი მინდოდა. თითები სარკეს მივაჭირე და ანაბეჭდებს დავაკვირდი. მე გამიმართლა, ბედმა გამიღიმა. ყოველთვის კარგად ვიყავი. იმ ადამიანებს, რომლებიც სუფრასთან მელოდნენ და თბილად საუბრობდნენ, უყვარდათ ერთმანეთი. უყვარდათ ჩემი შვილი, ჩემი ქმარი. მათ მიმიღეს მე. თუნდაც შვილიშვილის ჩემი შვილის გამო, რომელიც არასოდეს მეყოლებოდა, რომ არა მარკი. იმიტომ კი არა, რომ კაცები დაილეოდა. არა. უბრალოდ მარკი იყო ერთადერთი, ვინც დამაჯერა, რომ შემიძლია, რომ უფლება მაქვს ვიყო დედა. ახლა კი სარკიდან უაზრო სახე მომჩერებოდა. უცნობი სახე.
გაფართოებული გუგები და მომუწული პირი. რამდენიმე ნაოჭი თვალებთან, წვეტიანი და ჩემი სახისთვის მეტისმეტად პატარა ცხვირი. ტუჩის საცხი ჩამორეცხილი. ნარჩენები კი ავადმყოფურად და უაზროდ ლაპლაპებდა.
ბავშვობაში ხშირად ვიყურებოდი სარკეში. ვარკვევდი, ვის ვგავდი. მინდოდა რომელიმეს ვგვანებოდი, მინდოდა დავრწმუნებულიყავი, რომ ჩემს ოჯახს მივეკუთვნებოდი. ჰგავდა ჩემი თვალები ლენისას? ვიწრო თვალები მქონდა და დედას უფრო მიმიგავდა. ყველას თაფლისფერი თვალები გვქონდა, მკრთალი და სველი, ტირილისკენ მიდრეკილი თვალები. რეალობისთვის ზედმეტად სევდიანი და დაღლილი. დროთა განმავლობაში ჩემი გამოხედვა უფრო მკვეთრი გახდა, ლენისი კი პირიქით დაბინდული.
ყვრიმალები თულიასნაირი მქონდა, ეს აშკარა იყო: მაღალი, გამოკვეთილი ღაწვებით ძალიან ვამაყობდი პატარობიდანვე, იმიტომ რომ თულია ლამაზი იყო და მეც ასეთივე ლამაზი მინდოდა ვყოფილიყავი. შუბლიმეტისმეტად მაღალი მამასავით. ტუჩები პატარა და დაბერილი. ვისა აქვს დასაკოცნი ტუჩებიო, − ამბობდა ხოლმე დედა. ტუჩებიც მამაჩემის გამომყვა.
მარტო ცხვირით არ ვგავდი არავის. დედას ევროპული აპრეხილი ცხვირი ჰქონდა,მამას გრძელი, ოდნავ კეხიანი, მედიდური და ლამაზი. პატარობისას

ხშირად ვექაჩებოდი ხოლმე ცხვირზე. ლენის დედას ცხვირი გამოყვა. ჩემი კი მხოლოდ ჩემი იყო. ძალიან ვდარდობდი. ზოგჯერ საღამოობით, თულიას ძველი, მოფარფატებული სახლის სააბაზანოში ვიკეტებოდი და საკუთარ თავს ვაკვირდებოდი. ძალიან მეუცხოებოდა ჩემი ცხვირი. მერე ივომ მითხრა, მსოფლიოში ყველაზე ლამაზი ცხვირი გაქვსო.

ვუყურებდი ჩემს სახეს და ვერ გამეგო, საით ვიყურებოდი, რა მომავალს შევცქეროდი. რატომ მქონდა ასე მწარედ მოკუმული პირი. რატომ ვიყავი ასე უჩვეულოდ ფერმკრთალი. რატომ მეყარა მხრებზე ასე უსიცოცხლოდ მუქი, სქელი, გრძელი თმა.

ვუყურებდი საკუთარ თავს და ვერ ვცნობდი.

მარკის მშობლებმა თეო დაიტოვეს შაბათ-კვირას. მე და მარკი ჯიპით გამოვბრუნდით უკან. გზაში მარკმა შემომთავაზა, უბავშვოდ ვართ და სადმე წავიდეთ დასალევადო. ისეთი თავგზააბნეული ვიყავი, მადლობის მეტი რა მეთქმოდა.

„ატლანტიკის“ ბარში წავედით. იქ კარგი კოქტეილები ჰქონდათ. მე ისევ მარტინი შევუკვეთე. იქაურობამ, მარკის ელეგანტურ ჩაცმულობას ასე რომ უხდებოდა, კიდევ უფრო დამთრგუნა. ამ ბარში ადრეც ვყოფილვარ. აქ მე და მარკი საღამოობით სიამოვნებით ვუსმენდით ხოლმე ჯაზს. ახლა კი აქაურობას რაღაც დაემართა. თუმცა მშვენივრად ვიცოდი, რომ მე დამემართა.

მარკი მელაპარაკებოდა, შევეცადე მომესმინა მისთვის და ჭიქას ჩავაშტერდი.

– სტელა!

– ა?

– მისმენ თუ არა? რა გემართება? მოდი ჩემთან.

სასმელი მოეკიდა. ასეთ დროს ყოველთვის სიახლოვე უნდებოდა. ერთი ხელი მხრებზე შემომხვია, მეორე ხელით ჩემი თავი ყელზე მიიხუტა. გავშეშდი.

– რატომ ხარ ჩუმად?

– ვფიქრობ.

კიდევ ერთი ვისკი შეუკვეთა. ვგრძნობდი, როგორი სასოწარკვეთილი იყო. ჩემ გამო, ჩემი გაუცხოების გამო. მის მშობლებთან სტუმრობის შემდეგ ყოველთვის საოცრად აჟიტირებული იყო ხოლმე. რაკი ეს განწყობა ჩაშხამდა, ამიტომ სვამდა. თავს იმხნევებდა. იქმნიდა ილუზიას, რომ მომენტით ტკბებოდა და უსიამოვნებებზე ფიქრი არ ჭირდებოდა. თუნდაც იმაზე, თუ როგორ უნდა წავსულიყავით სახლში.

მეც ვსვამდი და ვცდილობდი მარკისთვის არ შემეხედა.

– არა მგონია, ეს სწორი იყოს, – ვთქვი და თვითონვე გამაკვირვა სიმტკიცემ ჩემს ხმაში. სულ არ ვაპირებდი არაფრის თქმას, მაგრამ უბრალოდ ძლიერი იმპულსი ვიგრძენი და წინააღმდეგობა აღარც გამიწევია.

– რა?

მარკმა ჭიქა დადგა და შემომხედა.

– ყველაფერი. როგორც ვცხოვრობ, როგორიც ვარ.

– რას გულისხმობ?

– აგიხსნი, დამაცადე. ძალიან მიჭირს. ბევრ რამეს მხოლოდ შეგრძნების დონეზე ვხვდები, მკაფიო არგუმენტებიც კი არ მაქვს. თვითონაც არ მესმის ბოლომდე.

– კარგი, გისმენ, ხომ ხედავ.

მოთმინება არ ყოფნიდა. აშკარა იყო, რომ ხვდებოდა, საითკენაც მიმყავდა და ეს არ სიამოვნებდა, აშინებდა; შეიძლება იმიტომაც სვამდა ამდენს, რომ გაეძლო ჩემი მონოლოგისთვის აწეწილი გრძნობების შესახებ, და თავის დასაცავად მომზადებულიყო. ჩემი შინაგანი პროტესტი სულ უფრო იზრდებოდა. თანდათან ვცოფდებოდი. იმის მაგივრად, რომ ლაპარაკი გამეგრძელებინა, ჭიქა გამოვცალე. მერე თავიდან ვცადე.

– მეგონა შევძლებდი ისე ცხოვრებას, როგორც ახლა ვცხოვრობთ. მჯეროდა, რომ ეს სწორია. არა, ახლაც ასე მიმაჩნია. მაგრამ ვგრძნობ, რომ მთავარი ეს არ არის. ეს პრობლემა სწორისა და არასწორის ფარგლებს სცილდება. არ ექვემდებარება ამ განსაზღვრებებს. სიცოცხლე თვითონ არის ერთადერთი საზომი. რაღაც დამენგრა. დრო გამეპარა, და აღარ ვიცი რა ვქნა.

მარკმა შემომხედა და შევატყე როგორ იკავებდა თავს; მერე თვალი ამარიდა,

ისევ მოსვა და თავი ჩაღუნა. ცოტა ხანში ხელზე შემეხო. ამით მანიშნა, რომ ცდილობდა ჩემს გაგებას.
− ისეთი გრძნობა მაქვს, რომ არაფერი აღარ არის ნამდვილი. თითქოს გამუდმებით მათვალიერებენ და დამცინიან...
− არ გინდა. ყველაფერი რიგზეა. ყველაფერი კარგად იქნება. ძალიან კარგად მესმის შენი. არ არის ადვილი იმ ადამიანებთან შეხვედრა, ვისთანაც ოდესღაც რაღაც გქონდა. ნამდვილად რთულ სიტუაციაში ხართ, უკიდურესად რთულში... მაგრამ რაც იყო, იყო. ეს თქვენი უცნაური ურთიერთობა შეცდომა კი იყო, მაგრამ ინცესტი ხომ არ ყოფილა.
შევხედე და მივხვდი, რომ საერთოდ ვერ გაიგო რაზე ვლაპარაკობდი. იმიტომ კი არა, რომ ამის უნარი არ ჰქონდა, არა. უბრალოდ ასე ერჩივნა; ერთ მშვენიერ დღეს გადაწყვიტა, რომ არ უნდა რაღაცების გაგება. ისევე,როგორც მე გადავწყვიტე წამეშალა მეხსიერებიდან ის, რასაც წონასწორობიდან გამოვყავდი.
ჩვენ შორის უზარმაზარი უფსკრული იყო. მასზე გადებული ხიდი კი მე ავაფეთქე. იმ სიტყვებით, რომლებიც ცოტა ხანში წარმოვთქვი.
− პრობლემა ის კი არ არის, რომ შეყვარებული ვიყავი კაცში, რომელთან ერთადაც გავიზარდე. აქ სულ სხვა რამეა. ბევრად უფრო მეტი.
როცა მარკი მოთმინებითა და მამობრივი მზრუნველობით ჩამეკითხა, კიდევ უფრო გავღიზიანდი.
− მე მასთან ვიწექი. − ვუთხარი ისე,რომ თვალი არ მომიშორებია.
პირი გააღო, თითქოს მზად ჰქონდა პოლიტკორექტული პასუხი, რომელიც იძულებულს გამხდიდა მშვიდად და მორჩილად გავყოლოდი სახლში. მაგრამ ნებისყოფამ უმტყუნა. მაშინ კი ვინანე ჩემი სისულელე და თვალები დავხარე. ის კი უსიტყვოდ მომაჩერდა. მიყურებდა და ხმას არ იღებდა. მერე უცებ ადგა, მანქანის გასაღები აიღო და გავიდა ბარიდან.
მარტო დავრჩი. მივიხედ-მოვიხედე. ჩემ მეტი აღარავინ იყო. კიდევ შევუკვეთე სასმელი. და რაც უფრო ზანტი და მოთენთილი ხდებოდა ჩემი სხეული, მით უფრო საღად მუშაობდა გონება.
ბარმენი შიგადაშიგ გამომხედავდა ხოლმე. თუმცა ვერ ბედავდა ჩემს გაგდებას. იძულებული იყო ანგარიში გაეწია ცოლქმრული კონფლიქტისთვის, მით უმეტეს, რომ ქმარი მათი მუდმივი კლიენტი იყო. მეც შევრჩი და შევრჩი. ბოლოს, როგორც იქნა, ფოიეში გავბარბაცდი და პორტიეს ვთხოვე „პასიფიკში“ დაერეკა. ივო იქ იყო და შემპირდა მოგაკითხავო. ახლა უკვე უმართავი გახდა ყველაფერი. ქუჩაში ვიდექი და ყოველ გამვლელ მანქანაში ივოს ვეძებდი. ტაქსით მოვიდა. გადმოხტა და ჩემკენ გამოექანა. სიცილი ამიტყდა. არაფერი უკითხავს. პირველი, რაც ვთხოვე, სიგარეტი იყო. იმ წუთას მოკიდებული თავისი სიგარეტი გამომიწოდა.
− მთვრალი ხარ, − აღნიშნა კმაყოფილმა, როცა სიგარეტისგან ხველა ამიტყდა.
− ასეთი ფხიზელი არასოდეს ვყოფილვარ, − ვუთხარი და გავყევი. ტაქსი გააჩერა და სან პაულიში წამიყვანა, რომელიღაც ბარში აღარ მახსოვს; მახსოვს, რომ გადაჭედილი იყო და ხმაურიანი. ფანჯრის რაფაზე ჩამოვჯექით და მე მარტინის სმა განვაგრძე, ის კი ცოტას ლაპარაკობდა და მაკვირდებოდა. მერე მუხლზე შემეხო და მის ხელს დავხედე, რომელიც უკვე ზევით მიიწევდა და მუხლები მაგრად მოვუჭირე ერთმანეთს. თავბრუ მეხვეოდა.
− სახლში წაგიყვანო? − მკითხა მან და მე თავი გავაქნიე. სასტუმროში წავედით. გამხადა და ხელში აყვანილი შემიყვანა სააბაზანოში. აბაზანა გამიმზადა და შიგ ჩამაწვინა. წყალი საკმარისად თბილი არ აღმოჩნდა და წამოვიკნავლე. თმაში შამპუნი ამიქაფა და ისეთი ცხელი შხაპი მომიშვირა, რომ კინაღამ დავიწვი. ავწკმუტუნდი. კიდევ მოვითხოვე დასალევი, მაგრამ უარი მითხრა. მერე ჩემკენ გადმოვწიე და ვაკოცე. დამყვა და ერთიანად დასველდა. აღგზნებული ვიყავი და მეკიდა ყველაფერი. სიმთვრალის მიუხედავად, ვხვდებოდი, რომ ხვალინდელი დილა შემზარავი იქნებოდა. ვიცოდი, რომ მიწას დავენარცხებოდი. ჯერ ვარდნის პროცესში ვიყავი, რომელიც ძალიან ჰგავდა ფრენას. არაჩვეულებრივი გრძნობა იყო, თითქოს მიზიდულობა არ არსებობდა. მაგრამ როცა იქნებოდა, დავეხეთქებოდი და დავიმსხვრეოდი. იქნებ აღარც არაფერი დარჩენილიყო ჩემგან.

ივოსთან გატარებული ყველა ღამე ორთაბრძოლას ჰგავდა. არ მესმის ასეთ მთვრალსა და მიბნედილს საიდან აღმომაჩნდა ამ ბრძოლის ძალა და ჟინი მისი სასტუმროს მორყეულ საწოლზე.
მთლიანად დავეუფლე. დავიპყარი მისი სხეული. გავარღვიე მისი გულგრილობა სამყაროს მიმართ. ყველა შრე სათითაოდ ჩამოვაფცქვენი.
ხელები გავუკავე და მთელი ტანი დავუკოცნე. შემეწინააღმდეგა, საჩუქრებზე ყოველთვის უარს ამბობდა, მაგრამ არჩევანის გაკეთება არ ვაცალე. ხელით ვაკმაყოფილებდი და თვალს არ ვაშორებდი. ვუყურებდი მის დაღლილ სახეს. მილულულ თვალებს, გახსნილ ტუჩებს; ვხედავდი როგორ ებრძოდა საკუთარ თავს და როგორი ეული იყო ამ ბრძოლაში; და როგორ დამნებდა ბოლოს და როგორ იგრძნო მოკლე, ტკივილნარევი შვება.
დიდხანს ვიწექით გვერდიგვერდ ჩუმად. მერე წამოჯდა და შემომხედა. მე კი შიშველი და ჯერ კიდევ გაბრუებული გონს მოსვლას ვცდილობდი.
– რას აპირებ? – მკითხა და თითით ფეხებს შორის შემეხო.
– ყველაფერს გეტყვი, რაც გაინტერესებს. მაგრამ შენ არ წამოგყვები.
– მე უბრალოდ მინდა, რომ გავიხსენოთ. მეტი არაფერი.
– რად გინდა?
– რომ გავჩერდეთ, დავასრულოთ ეს სასაკლაო. მომწონს, ასე რომ მიყურებ. თითქოს ჩემზე მეტი იცი. ისიც კი, რასაც მე ვერასოდეს გავიგებ.
მის მოლოდინში ფეხები გადავწიე.
– მაგრამ არ მომწონს, რომ ამდენი რამე დაივიწყე. ის, რისი დავიწყებაც არ შეიძლებოდა. ან ისე იქცევი, თითქოს დაივიწყე.
მთელი ტანით გადამეფარა.
– არ მომწონს, რომ დანაშაულის გრძნობას ებღაუჭები, რომ არ ეშვები, საკუთარ თავს გზას უღობავ. რაღაც-რაღაცები კიდევ უნდა გავარკვიოთ მე და შენ. იმიტომ რომ სხვები ვერ იზამენ ამას და არც იზამენ. შენც ხომ იცი.
შემოვუშვი და ტკივილი ვიგრძენი.
– თუ არ იცი? ხშირად ვიხსენებ იმ საღამოს. ძალიან ხშირად ვფიქრობ ამბოლო დროს დედაჩემზე. ალბათ შევცდი, მაშინ რომ არ დავსვი შეკითხვები. – უფრო და უფრო აუჩქარა და ცოტა მოვიხარე, რომ შეეხედა ჩემთვის. ყოველთვის მიყურებდა, როცა ტკივილს მაყენებდა.
დავეხმარე და ზურგი მუშტს დავაყრდენი.
– დიდხანს ვეძებე ეს დამპალი სიმშვიდე, მაგრამ არ ვუნდივარ ეტყობა. და იცი, რა მაინტერესებს, გინდა გითხრა?
ხმა აუკანკალდა დასუნთქვა გაუხშირდა.
– მე მაინტერესებს, რა შუაში ვართ მე და შენ. რატომ ვერ განჭვრიტე შენი გამჭრიახობით, რომ დროზე უნდა მოგვეღო ბოლო ამ ყველაფრისთვის. ბოლომდე უნდა გვებრძოლა, ბოლომდე უნდა გვეთქვა სათქმელი. ბოლომდე უნდა გვეტყნაურა.
მკლავი მაგრად შემომხვია ყელზე და მთელი ტანით მომეკრო. გამოვთავისუფლდი და მოვიშორე.
– რატომ შევწყვიტეთ შუა გზაში, შუა ცხოვრებაში, შუა ტყნაურში, რატომ გავჩერდით? ხომ შეიძლებოდა სიმშვიდე მოგვეპოვებინა, მწვერვალები დაგვეპყრო, ხომ შეიძლებოდა, არა? იქნებ მაშინ ჰქონოდა კიდეც აზრი ამ დედამოტყნულ ნორმალურობას, რომელიც ასეთი ძვირფასია შენთვის?! იქნებ ჩვენ თვითონ ვყოფილიყავით ნორმალურები!
საწოლის თავს მიმაჭყლიტა და სახეში მიყვიროდა. მიყვიროდა, რომ არ მქონდა მისი ცხოვრების დანგრევის უფლება; რომ ყველაფერი წავართვი, შევიწირე და მივატოვე, ჩემს ნორმალურ ცხოვრებაში გავუჩინარდი; რომ მოსვენებაც დავაკარგინე და სამშობლოც; რომ საკუთარ თავს ვეღარ იტანს და ამაში მე ვარ დამნაშავე. მე, ჩემი ქცევით, ჩემი კორექტულობით, ჩემი შიშით წარსულის მიმართ; რომ ვერაფერი ჩაანაცვლებს ბავშვობას, ვერაფერი ჩაანაცვლებს სიყვარულს, ვერაფერი ჩაანაცვლებს ცხოვრებას, საკუთარ ცხოვრებას.
ისევ ისე მტკიოდა ზურგი, როგორც მაშინ, როცა პირველად ვიწექით ერთად. განრისხებულს არავინ და არაფერი აღარ ადარდებდა. მე კი სიცხიანივით

ვგმინავდი და ვცახცახებდი, და მაინც, მაინც ავყევი. აბსოლუტურ სიცარიელესა და გულახდილობას მივაღწიე და არანორმალური სიმსუბუქე ვიგრძენი.

9

შეიძლება არც არსებობდა არანაირი დასაწყისი ჩემთვის და ივოსთვის. შეიძლება სწორედ ამიტომ იყო საბედისწერო ის თბილი და წვიმიანი საღამო, როცა ივოს მამა მოულოდნელად დაბრუნდა სახლში. ამან წაგვართვა დასაწყისი. ეს დასასრული გახდა ჩვენთვის დასაწყისი.
სახლში მიბრუნებული დიდხანს ვიდექი შხაპის ქვეშ. მერე ლოგინში ჩავწექი. ლოგინი აულაგებელი იყო, სამზარეულო კი ლუდის ცარიელი ბოთლებით სავსე. მიკვირს, როგორ არ ამიტანა შიშმა ან სინდისის ქენჯნამ. მარკი წასული იყო. თეო ჯერ არ დაბრუნებულიყო; მარკს უნდა მოეყვანა საღამოს. ძილის წინ კი ზღაპარი.

მაშინვე ჩამეძინა. ალბათ უკვე გადავაბიჯე ზღვარს. დიდი ხნის წინ დავნებდი და ზურგი შევაქციე საკუთარ ცხოვრებას.
სრულიად გამოშიგნულმა მთელი დღე ძილში გავატარე; აპრილის ღრუბლიანი, უჩვეულოდ გრილი და მშვიდი კვირა დღე.
გასაღების ჩხაკუნმა და იატაკის ჭრიალმა გამაღვიძა. ცოტა ხანში მარკი დამადგა თავზე, ჯიბეებში ხელებჩაწყობილი, გაუპარსავი, შეშინებული სახით. ალბათ ეგონა, რომ უკვე სახლიდან გადასული ვიქნებოდი, ან ნამტირალევი სახით ვიჯდებოდი მაგიდასთან; მაგრამ ჩვენს საწოლში მშვიდად მძინარე რომ დავუხვდებოდი, ამას როგორ იფიქრებდა.
– სად იყავი? – მკითხა და დაღლილი თვალებით შემათვალიერა. ნამდვილად სვამდა მთელი ღამე.
– ლენისთან.
– იტყუები.
ნეტა, რამ მათქმევინა ეს ტყუილი. იქნებ თავმოყვარეობამ, ან შიშმა, ან თვითგადარჩენის ინსტინქტმა. იმაში კი დარწმუნებული ვიყავი, რომ მარკი ლენის არ დაურეკავდა.
– არა. არ ვიტყუები. რაში მჭირდება?
მართლაც და, რაში მჭირდებოდა?
არ შეიძლება სიყვარულის ჩანაცვლება, არ შეიძლება საკუთარი ცხოვრების ჩანაცვლება, – მიგუგუნებდა ყურებში.
წამოვდექი და კარადიდან სუფთა ტანსაცმელი გამოვიღე. ჩაცმა დავიწყე.
მარკი იდგა ერთხანს და უხმოდ მადევნებდა თვალს. მერე გავიდა. შვებით ამოვისუნთქე და საწოლზე ჩამოვჯექი, გონს რომ მოვსულიყავი.
ისევ დაიწყო ტყუილები, ისევ მოყვებოდა ტყუილს ტყუილი და ისე დახვავდებოდა, რომ ვეღარავინ გაიგებდა, სად იყო სიმართლე.
როგორც მაშინ, ივოსთან ყოფნის ბოლო ორი წლის განმავლობაში. სანამ დარდმა ბოლო არ მომიღო.
  შევკრთი. ეს აღარ უნდა განმეორებულიყო. ახლა თეო მყავდა. უცებ საშინლად მომენატრა. ტკივილივით დამიარა მთელ სხეულში. საათს დავხედე. სასწრაფოდ უნდა წამომეყვანა მარკის მშობლებისგან და ყველაფერი კარგად იქნებოდა: როგორც კი მაგრად ჩავიხუტებდი, მაშინვე დავინახავდი ჩემს ადგილს. არადა ვხვდებოდი, რომ ესეც ტყუილი იყო, მაგრამ სხვა რა გზა მქონდა, ამ ტყუილს უნდა ჩავჭიდებოდი. არა, არავითარი ჩანაცვლება, გავიფიქრე ისევ და შევამჩნიე როგორ მიკანკალებდა ხელები.
– ვერ ხვდები, რომ ეს გარყვნილებაა? – გავიგონე უცებ სამზარეულოდან და შევხტი. მარკს ცივი ხმა ჰქონდა, ზიზღით სავსე. არ ვიცოდი, გავსულიყავი თუ დავლოდებოდი, რომ თვითონ შემოსულიყო ჩემთან. სამზარეულო მაინც ნეიტრალური ტერიტორია იყო. თმა ჯერ ისევ სველი მქონდა და კისერზე მეწებებოდა, ავიწიე და სარკეში ჩავიხედე, – შევამოწმე, წინა ღამის კვალი ხომ არ მემჩნეოდა სახეზე. მაგრამ იქიდან უბრალოდ გაფითრებული ქალი მიყურებდა, გაფართოებული თვალებითა და ოდნავ შესიებული ტუჩებით.
მარკი იჯდა და ლუდს სვამდა. ძალიან მომინდა მოწევა. გამახსენდა, რომ ივოს

სიგარეტი მქონდა სადღაც. მოვძებნე და გავაბოლე. მარკმა დაბნეულმა შემომხედა. რას ელოდა ჩემგან, მონანიებას და ცრემლებს? მუდარას, მუხლებზე დამხობას, ფიცის დადებას, რომ ასეთ გაუგონარ რამეს აღარასოდეს ჩავიდენდი? მაგრამ მე მხოლოდ უზომო სიცარიელეს ვგრძნობდი და არა სინანულს. მცდელობაც კი არ მქონია, რამე ამეხსნა ან რამით მაინც გამემართლებინა წინა ღამე. არც შეწყნარება მჭირდებოდა მისგან. მე თვითონ უნდა გამეგო საკუთარი თავისთვის, უნდა შემეგნო, რომ ეს ჩემი დანაშაული, ჩემი ტკივილი, ჭრილობა, რომელიც უკვე შეხორცებული და დავიწყებული იყო, ისევ გადავიხსენი.
მარკს თავიდანვე განვუმარტე, რომ ჩემი ცხოვრება არსებითად განსხვავდებოდა მისი ცხოვრებისგან. ყველაფერი მოვუყევი ჩემი წარსულის შესახებ. მარკისთვის ურთიერთობა მართლა ურთიერთობას ნიშნავდა, მყარი ფასეულობები ჰქონდა ცხოვრებაში. არ მინდოდა, რამე დამემალა მისთვის.
თანაც ძალიან დაღლილი ვიყავი. ყელში მქონდა ამოსული გასული წლების გაუთავებელი ჩხუბები, საქმის გარჩევა, იმედგაცრუება და დამალობანას თამაში. მარკს რომ შევხვდი, მაშინვე შევატყე, რომ შემიყვარებდა, თუკი ამის საშუალებას მივცემდი. მივხვდი, რითიც მოიხიბლა: განსხვავებული ვიყავი მისგან, სხვანაირი, როგორც თვითონ ამბობდა, ჩემი ოჯახის დაღი მემჩნეოდა. ეგონა, რომ ჩემთან ერთად იმ თავისუფლებას შეიძენდა, ახალგაზრდობაში რომ არ უგემია, და რის უფლებასაც არც ზრდასრულ ასაკში აძლევდა თავს. მე კი მზად ვიყავი გამენაწილებინა მისთვის ეს განსხვავებულობა და თავისუფლება ცოტათი მაინც.
მესმოდა, რომ ეს ჩემი ცხოვრების შეცვლას ნიშნავდა, რომ მარკისსაზომით უნდა მესწავლა ცხოვრება, ის უნდა მეკეთებინა, რაც მანამდე არასოდეს მიკეთებია. სრულიად შეგნებულად მივიღე მარკთან ერთად ცხოვრების გადაწყვეტილება. სწორედ ასეთ ნორმალურობასვნატრობდი, ასეთ სწორხაზოვნებას და გეგმაზომიერებას. განკურნება მინდოდა. ვიცოდი, რომ რამე უნდა შემეცვალა, თორემ უნებისყოფობა საბოლოოდ დამღუპავდა.
მარკთან შეხვედრა საბედისწერო იყო, შინაგანად სულ ველოდი ასეთ გზამკვლევს დალაგებული ცხოვრებისკენ.
ჩვენი ურთიერთობის დაწყებიდანვე ვუყვებოდი მარკს ჩემსა და ჩემი ოჯახის შესახებ თავიდან ფრთხილად, ოდნავ შეფარულად, ცოტა შელამაზებულად. ივოსაც ვახსენებდი ხოლმე, ოღონდ ვცდილობდი, ხშირად არ მელაპარაკა მასზე.
მხოლოდ კარგა ხნის მერე გავანდე, რომ წარსულში ერთად ვიყავით, და-ძმასავით შეზრდილებს ისეთი ურთიერთობა გვქონდა, რომელიც უთუოდ სცილდებოდა ყველანაირ საზღვრებს. ვუთხარი, რომ ამ ყველაფრის დავიწყება მინდოდა და მისი მადლიერი ვიყავი დახმარებისთვის. მარკმა თავი დამიქნია და ხელზე მაკოცა. შეგნებულად მოიქცა. გამიგო.
როცა ერთხელ მკითხა, მაინც რატომ დაშორდი ივოსო, რაღაცები მივუკიბ-მოვუკიბე; აღმოჩნდა, რომ მთლად ჯანსაღი წყვილი ვერ ვიყავით, ერთმანეთს ზოგჯერ ცუდად ვექცეოდით-მეთქი. ისიც ვუთხარი, რომ დროთა განმავლობაში შეუძლებელი გახდა ოჯახის და იმ ადამიანების წინააღმდეგ წასვლა, რომლებიც ჩვენს კავშირს არ იწონებდნენ. ამაზეც თავი დამიქნია.
ერთხელ, როცა უკვე თეო გვყავდა, გრძნობები მომაწვა და ისიც გავუმჟღავნე, თუ როგორ აღმოჩნდა ივო ჩვენს ოჯახში. იმ ქარიან ღამეს, ჩვენს ლოგინში, ივოს მშობლების ამბავი რომ გაიგო, ცრემლიც კი მოადგა თვალზე.
ერთადერთხელ მკითხა, სექსი ხომ არ იყო იმის მიზეზი, რომ ასე იყავი ივოზე დამოკიდებულიო. შევხედე და ტუჩებზე ვაკოცე. ჩემი და ივოს ურთიერთობაში ჩაღრმავების მისმა მცდელობამ გული ამიჩუყა. ვუთხარი, რომ ერთ-ერთი მიზეზი ესეც იყო ნამდვილად. ოღონდ ეს ის არ არის, რაც შენ გგონია-მეთქი.
შენ რა იცი რა მგონიაო, მკითხა დაეჭვებულმა.
– მე მგონია, რომ შენ გგონია, რომ ის გჯობდა.
– მართლა მჯობდა?
– ეს არ არის მთავარი. ამის თქმა მინდოდა.
– ესე იგი მაინც მჯობდა?
– არა, არ გჯობდა. მასთან ეს უბრალოდ სხვანაირად იყო. მეც სხვანაირი ვიყავი.
– როგორ სხვანაირად?

ჩემზე და ივოზე სალაპარაკოდ სექსი ყველაზე ხელსაყრელი თემა იყო მარკისთვის, ყველაზე გასაგები რისი შეცვლაც შესაძლებელი იყო მისი აზრით.
– რა ვიცი, სხვანაირად.
– მაინც როგორ?
გამაკვირვა მისმა ასეთმა დაინტერესებამ. მანქანაში ვისხედით მეგობრებთან მივდიოდით წვეულებაზე. შაბათი იყო და ვისვენებდით.
– უფრო უხეში იყო. უფრო ჟინიანი. სრულიად არარომანტიკული. თუ მაინცდამაინც გინდა იცოდე, კარგი ამაში არაფერი იყო. ერთმანეთს ტკივილს ვაყენებდით. ძალიან ხშირად და ძალიან დიდ ტკივილს.
ამის მერე ცოტა ხანი გაჩუმდა. თითქოს კარგად აწონ-დაწონა ყველაფერი და ბოლოს მკითხა, ისე რომ გზისთვის თვალი არ მოუშორებია:
– ესე იგი მე გულჩვილი ვარ, რომანტიკული და არც თუ ისე ჟინიანი?
–კარგი, მარკ, მოეშვი ამ სისულელეებს. შენ ჩემი ქმარი ხარ. თუ არ ვცდები, საწოლში პრობლემები არ გვაქვს მე და შენ.
– აქამდე მეც ასე ვფიქრობდი.
– ესე იგი გასარკვევიც აღარაფერია.
ამ თემაზე აღარ გვილაპარაკია. მაგრამ კარგად მახსოვს, როგორ გავატარეთ ის ღამე მისი მეგობრების აგარაკზე; ბევრი დავლიეთ. მერე პატარა მანსარდაში სექსი გვქონდა, იმიტომ რომ მარკმა დამაძალა, სრული ამ სიტყვის მნიშვნელობით. ძალიან უხერხულად ვგრძნობდი თავს, იმიტომ რომ მარკიც ძალიან ხმაურობდა და საწოლიც ძალიან ჭრიალებდა. მაგრამ როგორც ეტყობოდა, მარკს სწორედ ეს უნდოდა დაემტკიცებინა ყველასთვის და რაც მთავარია, ჩემთვის, რომ შეეძლო თავაშვებული, თავშეუკავებელი და ჟინიანი ყოფილიყო.
ერთად ცხოვრების შვიდი წლის განმავლობაში მარკს ერთადერთხელ ვუღალატე. ვუთხარი კიდეც ამის შესახებ. ორი თვის შემდეგ.
ლონდონში წავედი მივლინებით და ვიღაც ფოტოგრაფი გამომაყოლეს, რომელმაც დიდი ხნის წინ დაკარგული რამ მომაგონა მუქთმიანი სიმპათიური კაცი იყო, ტალახიანი ჩექმებით დადიოდა, მკლავებს იფხანდა წარამარა, ლოსიონისა და ნიკოტინის მძაფრი სუნი და ჩემსავით დაკვნეტილი ფრჩხილები ჰქონდა. საქმე კარგად იცოდა და პასუხისმგებლობით ეკიდებოდა. სამუშაოს დაგეგმილზე ადრე მოვრჩით და სასეირნოდ წავედით. ღამის ორ საათამდე შევრჩით ერთ პაბში. ჯერ სამუშაოზე ვილაპარაკეთ, მერე ურთიერთობებზე.
ბოლოს ფეხით გავუყევით სასტუმროსკენ თოვლიანი ლონდონის ქუჩებს. ფოიეში რომ შევედით, მკითხა, – შეიძლება შენთან ამოვიდე და რამე დავლიოთო?
ერთი-ორი დღე ვერც კი ვიჯერებდი, რომ ამ კაცთან ვიწექი; თვითონ არაფერს იმჩნევდა და როცა ჰამბურგში დავბრუნდით, მხოლოდ ზერელედ გადავეხვიეთ ერთმანეთს დამშვიდობებისას. მხოლოდ მაშინ გავაცნობიერე, რომ ქმარს ვუღალატე და ეს აუცილებლად უნდა მეთქვა მისთვის. გამოვუტყდი. მიყვირა. გაცოფდა. შოკში იყო. ჩემგან ამას არ ელოდა.
ორი კვირა მეგობრებთან ცხოვრობდა, აღარ მელაპარაკებოდა და ყველანაირად მაგრძნობინებდა, რა საშინელება ჩავიდინე; მსჯიდა. თვეების მერეც კი მახსენებდა ჩემს დანაშაულს და თავის უპირატესობას: მიმტევებლის უპირატესობას. კარგახნით ჩამომართვა სიტყვის უფლება; იმასაც კი აღარ მეკითხებოდა, რომელ რესტორანში წავსულიყავით ან რომელი ფილმი გვენახა. მეც ვემორჩილებოდი. ჩემი დასჯის უფლება მივეცი, რაკი მისი სისტემიდან ამოვვარდი. მე ხომ მინდოდა, რომ ამ სისტემას გავეთავისუფლებინე ჩემი შეცდომებისგან, ახირებებისგან, ჩემი მცდარი ძიებებისგან.
ამჯერად ყველაფერი სხვანაირად იყო. გამოხედვაზე შევატყვე, რომ ისიც მიხვდა ამას. ვეწეოდი. გაღიზიანდა. თვითონ მოწევის კატეგორიული წინააღმდეგი იყო. მიაჩნდა, რომ ეს სისუსტეა და მხოლოდ უნებისყოფო ადამიანებს ახასიათებს.
– რას აკეთებ, სტელა? – გამოცრა კბილებში და ხელებით მაგიდას დაეყრდნო.
– მოწევა მინდა და რა ვქნა.
– ესეც ახალი ამბავი. კიდევ რით გამაკვირვებ? მიდი, მითხარი, მოგისმენ. მთელ დღეს შენ დაგითმობ, ჩემს ცოლს, რომელიც ღამღამობით სახლში არ მოდის და ჩუმჩუმად ბოზობს. თანაც ვისთან? – კაცთან, რომელიც ძმად ეკუთვნის. ამისთვის

ნამდვილად ღირს ერთი დღის გამოყოფა. თეო დღეს ჩემს მშობლებთან დარჩება. ვერ ვაყურებინებ, როგორ ლოთობს მამამისი და როგორ ეწევა დედამისი.
ხაზგასმით სარკასტული იყო. მამამისივით როცა ცუდად იყო, როცა თავს ვერ ერეოდა და ნერვები აღარ ყოფნიდა, მის შემწყნარებლურ ჟესტებს და თანაგრძნობით სავსე მზერას დამამცირებელი და უხამსი შენიშვნები ცვლიდა. გაღიზიანებული ცმუკავდა მაღალ სკამზე და ზიზღით მიყურებდა.
– ახლა ვერც ვერაფერს აგიხსნი, მარკ, და ვერც იმას ვიზამ, – და არც ვიზამ, – რასაც ალბათ ჩემგან ელი. კარგად ვიცი, რა საფრთხის წინაშე ვდგავარ. თუმცა შეიძლება კატასტროფის მასშტაბი ჯერ სრულად არც მაქვს წარმოდგენილი. და დამიჯერე, ძალიან მეშინია. რაღაც გამოსავალი უნდა ვიპოვოთ.
გაფართოებული თვალებით მომაშტერდა. ყველაფრისთვის მზად იყო ჩხუბისთვის, ყვირილისთვის, ლანძღვისთვის, ტირილისთვისაც კი. ოღონდ ჩემი დანაშაული უნდა მეღიარებინა. ამას ელოდებოდა. სულ არ ახსოვდა, რა ვუთხარი წინა ღამით ბარში. მთავარი იყო, რომ მე საზარელი შეცდომა დავუშვი.
– შენ თვითონ თუ გესმის, რეებს ლაპარაკობ? სულ გაგიჟდი? – დაიღრიალა და ფეხზე წამოდგა. ჩემკენ წამოვიდა. გაცლა დავაპირე, მაგრამ იდაყვში წამავლო ხელი და ძალით მიმატრიალა თავისკენ. ერთხანს ერთმანეთს ვუყურებდით. ისევ შემეპარა ეჭვი, რომ გავუძლებდი იმას, რაც თავს უნდა დამტყდომოდა. გულს ბაგაბუგი გაუდიოდა, თავში ყველაფერი ტრიალებდა და ყვირილი მინდოდა. სიცოცხლე მენატრებოდა, ქაოსი, დაცემის გემო და ის სიცხადე, რომელიც დაისადგურებდა, თუკი ქარიშხალს გადავურჩებოდი. შიში თმაში ჩამფრენოდა, მკორტნიდა და სუნთქვას მიკრავდა. ლამის კისერზე ჩამოვკიდებოდი მარკს და პატიება მეთხოვა. ალბათ ასეც ვიზამდი, მაგრამ მან ხელი მოიქნია და სახეში მლეწა. ცხოვრებაში პირველად დამარტყა. ეს ისეთი მოულოდნელი იყო, რომ წავბარბაცდი, წონასწორობა დავკარგე და მაგიდის კიდეს მივეხეთქე ზურგით. თუმცა ტკივილი არც კი მიგრძნია.
თავისივე ქცევით შეძრწუნებულმა მარკმა უკან დაიხია და ხელები სახეზე აიფარა. მე შემოვბრუნდი და მაგიდას დავეყრდენი. მარცხენა ლოყა მეწვოდა. გაბრუებული ვიყავი.
ხილით სავსე თასს შევხედე. ზემოდან სტაფილო რომ აგვირგვინებდა გამომშრალი, ჩაშავებული და დაბრეცილი. ამ ქორფა და ხასხასა ხილთან, თურქებთან რომ ყიდულობდა ხოლმე მარკი, სრულიად უადგილო იყო ეს სტაფილო. თითქოს მათ ფერსა და გემოს ართმევდა.
იყო რაღაც მომნუსხველი ამაში. ნეტა, რატომ შეინახა თეომ ეს სტაფილო და რისთვის იდო ამდენი ხანი აქ? და რატომ მაინცდამაინც აქ? რაში სჭირდებოდა?
– რატომ არ გადავაგდეთ ეს სტაფილო? – ვკითხე მარკს და გავხედე. ფერწასული და დარცხვენილი იდგა და ვერც მიხვდა, რას ვეუბნებოდი.
– ძალიან ვწუხვარ. – ჩაიჩურჩულა პასუხის ნაცვლად.
– ნუ წუხარ. მე არ ვბრაზობ.
ღვინო დავისხი და ხარბად დავლიე. ლოყა უკვე ნაკლებად მეწვოდა.
როგორ უნდა შეძლო ნაკაწრების გარეშე ცხოვრება? ისე იცხოვრო, რომ ზიანი არ მიაყენო საკუთარ თავს, შენივე ოცნებებმა არ დაგასახიჩროს?
საერთოდ თუ შეუძლია ადამიანს საკუთარი თავის აღქმა ისეთად, როგორიც არის – გულწრფელად, სრულად? შეუძლია შეხედოს საკუთარ თავს თითქოს სარკეში და მართლა დაინახოს? როგორც მე ვუყურებდი ხოლმე შენს სახეს და მეგონა, რომ საკუთარ თავს დავინახავდი. თუმცა ამაში ვცდებოდი. ჩვენ ერთნი არასოდეს ვყოფილვართ, მიუხედავად იმისა, რომ მეშენი ნაწილი ვარ, შენ კი ჩემი.
ჯიბიდან შენს ფოტოს ვიღებ და ვფიქრობ: შემეძლო კი ამ ყველაფრის თავიდან აცილება? ეს ფოტო იმ დროს არის გადაღებული, როცა შენ ჯერ კიდევ შენ იყავი, მე კი მე. როცა ჯერ კიდევ დადიოდი ჩემთან ერთად საცურაოდ და შენს ლტოლვას ებრძოდი.
ყოველთვის მესმოდა შენი. მესმოდა, რატომ არ გინდოდა დაჯერება, რომ მე შენი ნაწილი ვიყავი.
შენ წინააღმდეგობას მიწევდი, მე კიარა და არ განებებდი თავს. სანამ ჩემი არ გავიტანე და შენს განუყოფელ ნაწილად არ ვიქეცი. სანამ სხვა გზა აღარ დაგიტოვე და შენს განუყოფელ ნაწილად არ მაქციე.

ბევრი შეკითხვა დამრჩა, მაგრამ დარწმუნებული ვარ, რომ ახლა თვითონ ვიპოვი პასუხებს. ალბათ ასე უფრო ადვილიც იქნება აღარ დამჭირდება შენი დევნა და თავის მოტყუება, რომ პასუხები მხოლოდ შენ იცი. მაშინებს კიდეც ასეთი თავისუფლება.
– ახლა რას აპირებ?
ეს პირველი აზრიანი წინადადება იყო, რომელიც მარკმა იმ დღეს წარმოთქვა. ისევ მაღალ სკამზე იჯდა ბართან, თავი ხელებში ჰქონდა ჩარგული. ისიც სტაფილოს მისჩერებოდა.
– არ ვიცი. უნდა მოვიფიქრო. ვერ ვაზროვნებ.
– თეოს რას უზამ? არ ვიცი, რა გვეშველება, ხომ ხვდები, სადამდეც მივალთ?!
სასოწარკვეთილი ხმა ჰქონდა. როგორ მინდოდა, მოვხვეოდი და მეთქვა, რომ ყველაფერი კარგად იქნებოდა, რომ უბრალოდ დრო მჭირდებოდა. მაგრამ არ მინდოდა ისევ მოტყუება, ისეთი დაპირების მიცემა, რომელსაც ვერასდროს შევასრულებდი. გვერდით მივუჯექი.
– როგორ უნდა შევძლო სიყვარული, როგორ ვიყო შენი ცოლი და თეოს დედა, როცა არც კი ვიცი ვინ ვარ?
– და ამიტომ წყალში უნდა გადაგეყარა ყველაფერი, როგორც კი გამოგეცხადა? ლოგინში უწვები და რა საკუთარი თავის პოვნაზე მელაპარაკები?
– სექსი აქ არაფერ შუაშია.
– მაშინ რატომ წევხარ მასთან?
– მეგონა რომ ასე მაინც გავიხსენებდი რამეს.
– შენ ავად ხარ, ხო იცი!
უნებურად გამიელვა ნეტა მარკს ჩემთვის როდისმე თუ უღალატია-მეთქი.
– სულ არ ველოდები, რომ გამიგებ. რაც უკვე მოხდა, იმას ვეღარაფერს ვუზამ.
– რა გიქნა ასეთი? ეგ მართლა ავადმყოფია. შენმა ოჯახმაც ხომ მოიშორა თავიდან. მერე საერთოდ დაიკარგა და შენ კარგად ცხოვრობდი, მშვენივრად ცხოვრობდი! ახლა კი დგახარ აქ და სერიოზულად მიხსნი, რომ ლოგინში იმიტომ უწვები, რომ რაღაცები გაიხსენო. შევეცი ეგეთ გახსენებას! რა უნდა გაიხსენო ასეთი?
– რაც ივოს დაემართა, რატომაც გახდა ასეთი, რა გზაც აირჩია, – ეს ყველაფერი ჩემი ბრალია. ჩემ გამო გადაწყვიტა, რაც გადაწყვიტა. ძალიან უბედურია.
– უბედური? არა, ეს წარმოუდგენელია! ეს უკვე მართლა ყველა ზღვარს ცილდება! უბედურია თურმე! ჩვენს შვილზე არ გიფიქრია? როგორ გგონია, ბედნიერი იქნება იმით, რომ ივოს უწვები?
– ეგ არაფერ შუაშია-მეთქი, გითხარი! – ისე ვუყვირე, რომ კედლები აზანზარდა. პირი დააღო, თითქოს რაღაცის თქმა დააპირა, მაგრამ მხოლოდ თავი გააქნია.
– ეგ არაფერ შუაშია. როგორ გაგაგებინო, მარკ? ვიცი, საშინლად ჟღერს, მაგრამ დამნაშავედ ვგრძნობ თავს. ჰუმანიტარულ დახმარებას კი არ ვითხოვ ან ცოდვების მოტევებას. მე ძალიან დიდხანს ვცრუობდი. სიცრუემ ნელ-ნელა ყველაფერი დამავიწყა. ეს მე მეხება, მარტო მე, გეხვეწები, გაიგე. ასე მოხდა, რომ ივო ერთადერთია, ვინც მიცნობს, ვინც ყველაფერი იცის ჩემზე. ისეთი რამეებიც კი, რაც მე დავივიწყე. ისევე, როგორც მე მასზე. არა მგონია, ერთმანეთის სიყვარულის უნარი გვქონდეს. არც მინდა. ჩვენ უბრალოდ გვჭირდება ერთმანეთი. ჩვენ ვცადეთ...
როგორც კი სიტყვა სიყვარული“ გაიგო, მარკი ადგა, ისევ თავი გადააქნია და საძინებელში გაუჩინარდა.
გავყევი და ლაპარაკი გავაგრძელე. სხვა შანსი აღარ მქონდა, როგორმე უნდა ამეხსნა მისთვის. თავის ნივთებს აგროვებდა და სპორტულ ჩანთაში ალაგებდა
ისე ყრიდა, არც კი უყურებდა. როცა მივუახლოვდი, იდაყვით გამაჩერა, როცა კარადისკენ გზა გადავუღობე, გვერდზე გამწია. მხოლოდ სახლიდან გასვლისას გამიჩერდა და მკაცრად შემომხედა.
– მომბეზრდა ამ ავადმყოფური ბოდვის მოსმენა. ერთ-ორ დღეს გაცლი. მოთმინებასაც საზღვარი აქვს. კარგად დაფიქრდი. მეორე და მესამე შანსს აღარ მოგცემ. თეოს ჩემს მშობლებთან დავტოვებ. შენ კი ფეხს არ მიადგამ იქ. თეოს ვეტყვი, რომ ავად ხარ და ცოტა ხანი მარტო უნდა იყო. გასაგებია? როცა გადაწყვეტილებას მიიღებ, მხოლოდ მაშინ დამირეკავ. და თუ ამ ნაგვიდან თავს

ვერ დააღწევ, თეოს ვერ დაგიტოვებ. ამაზე ლაპარაკიც ზედმეტია, იმედია გესმის.
სანამ რამეს ვუპასუხებდი, კარი გამოაღო და სადარბაზოში გაუჩინარდა. ღია კართან ვიდექი და მის ფეხის ხმას ვუსმენდი. გავიგონე, როგორ დაძრამანქანა და წავიდა.

10

ლეომ დამირეკა და მიღრიალა, – როგორ გაბედე და შენი სტატია პრაქტიკანტს როგორ გადააბარეო, ეს ჩემი და ჩვენი სპონსორების შეურაცხყოფააო. ვუსმენდი ამ ფრიად ხმამაღალ ლექციას და იმაზე ვფიქრობდი, რომ ყვირილი ჩემი ურთიერთობების განუყოფელი ნაწილი გახდა ამ ბოლო დღეებში და ალბათ დიდხანს დარჩებოდა კიდევ.
– ძალიან ვწუხვარ, თუ ჩემ გამო უსიამოვნებები გაქვს. – ვცადე მისი დაწყნარება.
– უსიამოვნებები? რაზე ლაპარაკობ საერთოდ? ოთხშაბათს ზუსტად ათზე გელოდები ჩემს ოფისში! – შემომიღრინა და გამითიშა.
ისევ დაიწყო კარის ცხვირწინ მოჯახუნება, გვერდზე გაწევა, ყურმილის დაკიდება შუა ლაპარაკში. როგორც ერთხელ ივომ თქვა, – „გამორჩეულთა გარიყულობა“. უნებურად გამეცინა.
შუადღემდე ლოგინში ვეგდე და ვბღაოდი. ორშაბათი იყო. თეო მარკის მშობლებმა წაიყვანეს სკოლაში; თვითონ მარკი ალბათ სტუდიაში იჯდა. თვალები ამოღამებული მქონდა და ცხვირი გაჭედილი.
იატაკზე ნახევრად დაცლილი ჯინის ბოთლი იდგა, გვერდით სიგარეტი მედო. მობილურმა დარეკა. მე ჭერში ვიყურებოდი. მისაღებ ოთახში „ტრავიატა“ იყო ჩართული, თულიას ნაჩუქარი ძველისძველი დისკი. ოპერის არაფერი გამეგებოდა, მაგრამ ჩემს განცდებს ალბათ სწორედ ეს პომპეზურობა ესადაგებოდა. მობილური არ ჩერდებოდა. ნომერი დაფარული იყო.
– სტელა!
ცივი ვერცხლისფერი ნივთი ყურთან მეჭირა და ხმას არ ვიღებდი. ფრანკი რეკავდა.
– რა ხდება?
– არაფერი.
– რა არაფერი. უნდა გნახო. აქვე ვარ, ხომ იქნები სახლში?
– არა.
– როგორ არა. უნდა იყო. ათ წუთში მოვალ.
მაშინვე წამოვჯექი. რატომ გამიწყალეს გული?
ის იყო სახე დავიბანე და ცოტა კრემი წავიცხე, რომ ზარიც დაირეკა. ჯინის ბოთლი დავმალე, ღრმად ჩავისუნთქე და ღილაკს თითი დავაჭირე.
ქვემოთ შემოსასვლელი კარი გაიღო და მამაჩემის მძიმე ნაბიჯებისა და სუნთქვის ხმა გავიგონე.
სამზარეულოში გავედი და ყავა დავადგი. შემოვიდა, საწვიმარი იატაკზე დააგდო და დივანზე დაჯდა, სხვაგან ვეღარ ეტეოდა.
– თეო არ არის?
– სკოლაშია.
– მარკი წავიდა?
– რას გულისხმობ? სტუდიაშია.
– გადავიდა აქედან?
– რა? საიდან მოიტანე?
– შემოსასვლელში მისი სავარჯიშო ფეხსაცმელი არ დევს.
მარკი თითქმის ყოველ საღამოს დარბოდა.
– რატომ მოხვედი?
– გუშინ ივო ვნახე.
– და ამიტომ მოხვედი?
– მე მამა ვარ შენი და ყოველთვის დაგეხმარები, რაც არ უნდა მოხდეს. მაგრამ შენ უნდა გესმოდეს, რას ჩადიხარ. მე ესპრესო მინდა. ისევ დაიწყე მოწევა?
თითქმის გავსებულ საფერფლეს შეავლო თვალი.
პასუხს თავი ავარიდე და ავფუსფუსდი. სამზარეულოს მაგიდაზე ორი თეფში

დავდე. სტაფილო ისევ იქ იყო, გადაგდება ვერ გავბედე. მხოლოდ კალათიდან ამოვიღე ახლა მაგიდაზე ეგდო კიდევ უფრო ეული და საცოდავი. მამა ყურადღებით მაკვირდებოდა და თავს უხერხულად ვგრძნობდი.
პატარა ჭიქა გავუწოდე და ერთი ნაჭერი ნამცხვარი გადავუღე. ნამცხვარი. ეს ნამცხვარი მარკმა თეოსთვის მოიტანა, თავისი შვილისთვის, რომელიც იმსახურებდა პირის ჩატკბარუნებას ფეხბურთის ვარჯიშის შემდეგ. მე ასეთი რამეები აზრადაც არ მომდიოდა.
სახლში ყველაფერი იმას მახსენებდა, რაც ყოველთვის მავიწყდებოდა: ხილი, ბოსტნეული. სიმყუდროვე, მზრუნველობა, სრულყოფილება. გაპრიალებული იატაკის ფილები, წესიერად დაწყობილი გაზეთები დივანის გვერდით, გაუთოვებული პერანგები სკამზე, გარეცხილი ჭიქები. მე კი ამ ყველაფრის დანგრევას და განადგურებას ვაპირებდი. ვერც კი ვამჩნევდი, რამდენი შრომა იყო ყოველ წვრილმანში ჩადებული; მე ვიყავი დედა, რომელსაც შვილი ფეხებზე ეკიდა; ცოლი, ქმართან შელაპარაკების შემდეგ რომ დათვრა და სხვა კაცს ჩაუწვა – რომელიღაც ბანძი სასტუმროს ლოგინში; ჟურნალისტი, თავის მოვალეობას რომ არ ასრულებდა და ისეთ რამეებზე ლაპარაკობდა, რაც არც არავის ესმოდა და არც არავის აინტერესებდა.
ალბათ რა ადვილი იყო ჩემი გამტყუნება.
ფრანკი სულს უბერავდა ცხელ მუქ სითხეს ჭიქაში. იჯდა ასე თავისთვის. ბებერი ფაშა. კაცი, რომელსაც ამდენი წლის განმავლობაში სიტყვაც არ დასცდენია იმ საღამოს შესახებ. კაცი, რომელმაც ბიჭი კი იშვილა, ოღონდთავის დეიდას გადააბარა ასე გამოისყიდა ვალი, სინდისი მოიწმინდა. დანაშაულის გრძნობას ვისკით იკლავდა და ქალების კალთაში ეძებდა თავდავიწყებას. კაცი, რომელმაც ბავშვობა მოგვპარა.
აივანზე მტრედი ჩამოჯდა და აღუღუნდა. იქ, გარეთ, სიცოცხლით სავსე სამყარო მზეს ეფიცხებოდა. მე კი ამ დროს დამალვას ვცდილობდი.
– მამა, – შევხედე და გავჩუმდი. ვერ გადამეწყვიტა, უნდა მეთქვა თუ არა, რის თქმასაც ვაპირებდი. ბოლოს მაინც გავაგრძელე:
– შენ გესმის საერთოდ, რა ხდება? რა ხდებოდა მთელი ამ ხნის განმავლობაში? რა დაგვემართა მე და ივოს? როგორ გგონია? ძალიან მაინტერესებს, რა გეგონა ამდენი ხანი?
– ეს რა შუაშია? ჩემი ბრალია?
– შენი? არა, მარტო შენი არა. ყველამ ჩვენ-ჩვენი წვლილი შევიტანეთ. მარხილში შებმულ ძაღლებსვგავართ.
– მოდი აქ, ჩემთან დაჯექი. ცუდად გამოიყურები, ძალიან ცუდად. და არც ის ვარგა, რასაც ახლა აკეთებ. მისი ჩამოსვლით რომ ყველაფერი თავიდან დაიწყებოდა, ცხადი იყო. მაგას სხვანაირად არ შეუძლია. მესმის კიდეც მისი. ასეა თუ ისე, თვითონ გადაიტანს როგორმე. შენ სხვანაირი ხარ. შენ ვერ შეძლებ. დაეცემი. თავზე დაგემხობა ყველაფერი. როგორც მაშინ. მაგრამ მაშინ მარკი გამოჩნდა და ფეხზე დაგაყენა. ახლა კი აღარ მოვა.
გულნატკენი ვუყურებდი. ისე მშვიდად ლაპარაკობდა, თითქოს თვითონ არაფერ შუაში იყო. მოუთმენლად უტყაპუნებდა დივანზე ხელს, ელოდა, რომ გვერდით მივუჯდებოდი. ამის წარმოდგენაც კი არ შემეძლო. სკამზე დავჯექი მის პირდაპირ.
– შენ ცოლი ხარ და დედა, ოჯახი გყავს. ასე რომ, თავს ძალა დაატანე!
ხმას აუწია. ჩემდა უნებურად შიშმა ამიტანა, როგორც ყოველთვის, როცა ხმა ასეთი ცივი უხდებოდა.
– დედაშენის შეცდომებს ნუ გაიმეორებ!
ამის გაგონებაზე წამოვხტი და თავზე დავადექი. ჩემი შიში სადღაც გაქრა.
– დედაჩემის შეცდომებს? დედაჩემის? კი მაგრამ, ვინ წაართვა მას ყველაფერი? იქნებ ამაზეც ვილაპარაკოთ? ისეთი განადგურებული იყო, რომ სანამ მშობლები არ მოუკვდა, გერმანიაში ჩამოსვლასაც კი ვერ ბედავდა. შენ ვის შეცდომებზე ლაპარაკობ?
ხმა ამიკანკალდა. თავი შევიკავე, არ მინდოდა მის დასანახად ტირილი. არავითარ შემთხვევაში. ყელი ჩამეხლიჩა, გამიშრა. ცხელი ყავა გადავყლურწე და ვიგრძენი, როგორ ჩამწვა ყველაფერი.

– ამას როგორ ამბობ? – ძლივს ჩაილუღლუღა.
– არ გინდა. ვითომ არ იცოდი. – თვალს არ ვაშორებდი. მომწვანო თვალები ჰქონდა და მძიმე ქუთუთოები კუსავით. ცხოვრებისგან დაღლილი თვალები, ყველაფრის მნახველი თვალები, იმედდაკარგული თვალები. ლამის შემეცოდა, მაგრამ თავს მოვერიე; შეცოდების დრო არ იყო.
– მე მჭირდებოდა ივო, ჩემთვის მჭირდებოდა. იცი, რატომ? იმიტომ რომ გამეგო, ვინ ვიყავი, ბოლოს და ბოლოს. იმ ყველაფრის მერე, რაც მოხდა, რაც ჩვენ დაგვემართა, რაც ჩვენ ჩავიდინეთ. მჭირდებოდა, იმიტომ რომ მან მოახერხა და მთელი ეს ნაგავი უკან მოიტოვა. ყოველ შემთხვევაში მე ასე მეგონა.
– არ დაიჯერო, სტელა. ამდენი წელია გიხსნი და ვერ გაგაგებინე. ის ასე იცავს თავს და მისი სისუსტეც ესაა. როგორ ვერ ხედავ?
– ვხედავ. ახლა ვხედავ. მიუხედავად ამისა, მაინც ბედნიერი ვიყავი მასთან.
– წამალზე ჯდომა, დავიდარაბა, აგრესიულობა. ორი დაკარგული, გაუბედურებული ადამიანი. ამით იყავი ბედნიერი?
– იმ გრძნობით, რასაც ივო მაძლევდა.
– რას გაძლევდა? მითხარი, გაფიცებ, რას გაძლევდა ამისთანას, რომ ყველაფრის დანგრევა გიღირს?
– ასე ცხოვრებას ვეღარ შევძლებ.
სწრაფად შევტრიალდი და აივანზე გავედი, რომ არ ავტირებულიყავი. მამა ცოტა ხანი დივანზე დარჩა, მერე ისიც გამომყვა. მტრედი უკვე გაფრენილიყო, მე კი გაზაფხულის მზე მაცხუნებდა სახეზე, მხრებზე. მხოლოდ მზეში დავინახე, როგორი ფერმკრთალი იყო ჩემი კანი. სადღაც შორს ზარები რეკავდა. პორტში გემის საყვირი გუგუნებდა. მამა გვერდით დამიდგა, მოაჯირს დაეყრდნო და იდაყვზე შემეხო იდაყვით.
თეო მენატრებოდა. გული მეკუმშებოდა, ისე მენატრებოდა. მისი კანი მენატრებოდა, რბილი და გაოფლილი ვარჯიშის შემდეგ, მისი გაწებილი თითები, მისი სველი ტუჩები, მისი ხშირი, ხუჭუჭა, აბურდული თმა.
– ივო წავა მალე აქედან. დიდ გამოძიებას იწყებს სადღაც აღმოსავლეთში.
შევკრთი. ამ ქაოსში სულ გადამავიწყდა, რომ ივოს საკუთარი ცხოვრება ჰქონდა, თავის საქმეს აკეთებდა, თავის სამყაროში აგრძელებდა არსებობას. ეს მე ვთქვი უარი ჩემს ნორმალურ ცხოვრებაზე. ის კი დარჩა და თავისთან მეპატიჟებოდა თვითონ არაფრის შეცვლას არ აპირებდა. ეს რომ გავაცნობიერე, გავცოფდი. სულ არ აპირებდა გზიდან გადახვევას, უბრალოდ ცოტა ხნით შემოუხვია: ჩემთან, ამ ქალაქში, თავის ოჯახის სანახავად. და მალე ისევ მიგვატოვებდა. ჩვენ, ყველას, ამ ქალაქსაც და მეც.
მე მომიწევდა ყველაფერზე უარის თქმა. გადაბიჯება და წასვლა. მართლა წასვლა. ნაფიქრის სინამდვილედ ქცევა და ახალი ადგილებისთვის სახელების დარქმევა.
ივო ხომ ყოველთვის მომთაბარე ცხოვრებას ეწეოდა. დიდ გაზეთებთან და მაუწყებლობებთან თანამშრომლობდა და მთელ მსოფლიოში უწევდა რეპორტაჟების კეთება. ისეთ ქვეყნებშიც, ჩემთვის სრულიად უცნობი რომ იყო და ჯადოსნურად ჟღერდა.
უცებ მომეშვა გულზე, ამოვისუნთქე: თეოსთან უნდა დავრჩენილიყავი, რაც შეიძლება მალე დამევიწყებინა ეს ყველაფერი და ჩემს ცხოვრებას დავბრუნებოდი. ამაზე ორი აზრი არ არსებობდა; ივოსთან კამათში და სიყვარულში მთელი ღამის გატარება კი შემეძლო, მაგრამ წასვლისთვის მხოლოდ წარმოსახვაში ვიყავი მზად. სინამდვილეში ვერასოდეს მივატოვებდი ჰამბურგს, ჩემს შვილს, ჩემს ქმარს.
ზუსტი არგუმენტებიც მაშინვე ვიპოვე: ფული საიდან უნდა მომეტანა? საკმაოდ კარგი ხელფასი კი მქონდა, მაგრამ ცხოვრებისთვის მაინც ვერ მეყოფოდა, მით უმეტეს ისეთი ცხოვრებისთვის, რომელსაც მიჩვეულივიყავი. მთელ ამ ფუფუნებას მარკი უზრუნველყოფდა. თანაც თუ ჰამბურგიდან განუსაზღვრელი დროით წავიდოდი, სამსახურზეც უარი უნდა მეთქვა. ესე იგი ორმაგად დამოკიდებული უნდა გავმხდარიყავი ივოზე. ამის გაფიქრებამ ძირშივე ჩამიკლა მისი მონატრება.
– რას იძიებს, სად მიდის? – ვკითხე მამაჩემს და კინაღამ ავხარხარდი: სულ აღარ

მჭირდებოდა პასუხები თავისით დალაგდა ყველაფერი. ლოგიკური და რაციონალური მსჯელობით თავიდანვე შეუძლებელი იყო, რომ ივოს გავყოლოდი. კინაღამ ყელზე ჩამოვეკიდე მამას და მადლობა გადავუხადე იმისთვის, რომ ჩემივე სიგიჟისგან გადამარჩინა.
– კავკასიაში. ვიღაც მუსიკოსზე აკეთებს რეპორტაჟს, პოლიტიკურ დევნილზე. ძალიან ანთებულია. ამბობს, რომ მაგარი რაღაცები აღმოაჩინა.
– კიდევ რაზე გელაპარაკა?
– რა ვიცი, რაზე აღარ მელაპარაკა. ამერიკაზე. გესიზე.
– მერე, რაო?
– შენ თვითონ ჰკითხე. დარწმუნებული ვარ, შენ უფრო ხშირად ხედავ.
– ახლა ეს რა იყო?
– არაფერი. ნახე რა დღეში ხარ. თავგზა გაქვს აბნეული. შენ გგონია, ასე იოლია ყველაფერზე უარის თქმა და წარსულში დაბრუნება? ძალიან ცდები.
მშვიდად და თავდაჯერებულად ლაპარაკობდა. ზუსტად ისე, როგორც იმ დღეს, როცა ველოსიპედი გააჩერა და შემპირდა, რომ ყოველთვის ვეყვარებოდით და არასოდეს მიგვატოვებდა. ოღონდ მე ტყუილები გამეგრძელებინა, ოღონდ მშვიდად ყოფილიყო, ოღონდ არაფერი მომხდარიყო, და რას არ შემპირდებოდა. ჩუმად ვიდექი და ქარისგან მოტაცებულ ეკლესიის ზარებს ვუსმენდი.
მამაც გაჩუმდა. სიგარეტს მოუკიდა და სადღაც შორს გაიხედა. ასე ვიდექით ორივე, ჩვენ-ჩვენს ფიქრებში წასული. ჩუმად ყოფნა გვიცავდა ბასრი კიდეებისგან, ხერხემალში რომ გვერჭობოდა.
– გიყვარდა? – ვკითხე და ხელი ხელზე დავადე.
– ვინ?
– გესი.
– რას მეკითხები? ის ხომ დედათქვენია.
– ეგ რა შუაშია. მე გეკითხები, გიყვარდა თუ არა, და როდის გადაგიყვარდა.
– რა თქმა უნდა, მიყვარდა. რომ არ მყვარებოდა, შვილებს ხომ არ გავაჩენინებდი.
– მაგრამ მაინც მიატოვე. გაყრამდე დიდი ხნით ადრე მიატოვე.
– ორივე შევიცვალეთ. საერთო აღარაფერი გვქონდა.
– ემასთან ბევრი გქონდა საერთო?
ასე მეგონა, ეს სახელი საუკუნეების წინ მიეცა დავიწყებას, აღარავინ ახსენებდა, როგორც ომის ღმერთის სახელს წარმართულ ტომებში. მაშინვე პატარა სიფრიფანა ქალი დამიდგა თვალწინ, შეკრული თმით და ნეილონის წინდებში.
– არა, – თქვა მამამ უხეშად.
– მაშინ რატომ იყავი იმდენ ხანს მასთან?
– რეებს მეკითხები, სტელა? პატარა ხომ არ ხარ! ლაპარაკი იმაზეა, რომ შენ არ უნდა იქცეოდე ისე, როგორც იქცევი. ჩემი წარსული აქ არაფერ შუაშია.
– ის ქალი ჩემი წარსულიც არის სხვათა შორის!
თავი გააქნია. მზის სხივმა თვალი მოსჭრა.
ყურადღებით ვაკვირდებოდი. საერთოდ, დღის თორმეტი საათიდან იწყებდა ხოლმე სმას. უკვე პირველი იყო დაწყებული, ის კი ითმენდა. ჩემ გამო. ჩემი მომავლის გამო, რომელიც ნორმალური და დალაგებული უნდა ყოფილიყო. დალაგებული. თითქოს ჩვენს გვარში როდისმე ჰქონოდა ვინმეს დალაგებული ცხოვრება.
– მითხარი, რატომ? – ჩავაცივდი, თუმცა ვიცოდი რომ შეეძლო მიტრიალებულიყო, ზურგი შეექცია ჩემთვის და წასულიყო ისევე, როგორც მარკი. მაგრამ მან თავი შეიკავა. თვალი კი ამარიდა, მაგრამ არსად წასულა. ვგრძნობდი, მთელი არსებით იქ იყო.
– საოცარი ქალი იყო, – ჩაიჩურჩულა. ხმა დაუთბა.
– რას გრძნობდი მასთან?
– რას ვგრძნობდი? ალბათ იმას, რომ ერთადერთი და განუმეორებელი ვიყავი.
– დედასთან ასე არ იყო?
– კარგი, რა შეკითხვებს სვამ. რთულია ეს ყველაფერი. დედა ცდილობდა.ორივე ვცდილობდით. რამდენი წელი ვიყავით ერთად. თუმცა ბოლოს ვეღარ გავძელით.
– თითონ ემა როგორი იყო?

– ხომ გახსოვს.
– მახსოვს, როგორ გამოიყურებოდა, როგორი ხმა ჰქონდა, როგორი კაბები ეცვა. მაგრამ როგორი იყო, ვერ ვიგებდი. ისე იქცეოდა, თითქოს არაფერი ადარდებდა ამქვეყნად.
– ეგეთი გეგონა?
– დაახლოებით.
– შეიძლება არ ეტყობოდა, მაგრამ ძალიან მგრძნობიარე იყო, არ ვიცი როგორ ვთქვა. ამის დანახვას დაკვირვება სჭირდებოდა. ასე ადვილად ვერ გაუგებდი. ცოტას ლაპარაკობდა და მხოლოდ იმაზე, რაც მართლა აწუხებდა და რაც თავისებურად ჰქონდა გააზრებული.
– შენ ხომ თქვი, რომ ჩვენთვის, დედას, ლენის, ჩემსა და შენს შორის, არაფერი შეიცვლებოდა. გახსოვს ის საღამო, ემასგან რომ ვბრუნდებოდით და გზაში გავჩერდით. მე გკითხე, ხომ არ წახვალ-მეთქი და შენ მითხარი, დედას არასოდეს მივატოვებ და არსად არ წავალო.
– აღარ გვინდა ამაზე ლაპარაკი. აქ მხოლოდ იმისთვის სათქმელად მოვედი, რომ ივოსთან დაბრუნება შეცდომა იქნება.
– მე კი გავიგე, მაგრამ შენ რა გაქვს სათქმელი! ის ქალი შენ გამო მოკლეს.
ძალიან შევტოპე. ქვედა ტუჩი აუკანკალდა. უხმოდ ჩამიარა, სამზარეულოში შებრუნდა,პალტო აიღო. მე გავეკიდე.
– მაპატიე.
დავეწიე და მაგრად მოვხვიე მკლავები, რომ არ გამეშვა. თვალები დავხუჭე და მის ზურგში ჩავრგე თავი. ისეთი ძლიერი მეჩვენა, ისეთი უზარმაზარი მეგონა ეს ზურგი დამიცავდა, თბილად დამმალავდა, საფრთხეს ამარიდებდა. როგორც მაშინ, როცა მამა თავისი ველოსიპედის უკანა სკამზე შემომსვამდა და მიმაქანებდა ხოლმე სწრაფად, მიზანდასახულად, თავდაჯერებულად.
მაშინ ბოლომდე ვენდობოდი.
– არ მინდოდა, – ვუჩურჩულე მის ზურგს. მოტრიალდა, გულში ჩამიკრა. მიყვარდა, ასე რომ მეხუტებოდა; ყველაფერი მავიწყდებოდა. ზემოდან დამყურებდა და შუბლზე ჩამოყრილ თმაზე მისვამდა ხელს.
რა თქმა უნდა, ვუყვარდი. ყოველთვის ვუყვარდი, ეს სიყვარული საკმარისი არ იყო. არასოდეს მყოფნიდა. ხან ზედმეტი მეჩვენებოდა, ხანაც მეცოტავებოდა.
– შენ ძალიან ბევრს ნიშნავ ჩემთვის. ყველას და ყველაფერს მირჩევნიხარ ამ ქვეყანაზე. ახლა კი მართლა ვღელავ შენზე, ძალიან მეშინია. იცი, როცა პატარა იყავი, სულ პატარა, – მაშინაც კი ვუგებდით ერთმანეთს მე და შენ. უკვე ერთი გუნდი ვიყავით. ძალიან მეამაყებოდი. გესი ცოტა ეჭვიანობდა კიდეც, ლენი კი დღემდე მსაყვედურობს, რომ ყოველთვის შენ განიჭებდი უპირატესობას. მაგრამ ეს ასე არ არის. და არც არასოდეს იყო ასე. უბრალოდ შენ სიცოცხლე გწყუროდა, ყველაფერი გინდოდა. ძალიან მომწონდა ეს შენში, ოღონდ ზოგჯერ ეს ცუდიც შეიძლება იყოს. ივო სულ სხვანაირია. მე ეს უკვე გამოვიარე. დარჩენილი ცხოვრება სიმშვიდეში მინდა გავატარო. სხვა ყველაფერი დროის კარგვაა და მეტი არაფერი.
მამამ ზურგზე მომიტყაპუნა ხელი და საფეთქელზე მაკოცა. მერე მომშორდა და წავიდა. ადგილიდან არ დავძრულვარ. თავში უამრავი აზრი მიტრიალებდა და თანდათან ერთმანეთში ირეოდა.
ზღვის ნაპირზე სიყვარულის ახსნის შემდეგ ივო კარგა ხანი არ მაქცევდა ყურადღებას. სკოლა რომ დაამთავრა, ამერიკაში გაემგზავრა, გესისთან. მე იმ დროს ჯერ კიდევ თულიას ფარდულში ვმუშაობდი. ლენი კი უკვე სამი წლის წასული იყო ბერლინში სწავლის გასაგრძელებლად. ივო არ მეხმიანებოდა, არ მწერდა, არ მირეკავდა. გესისგან ვიცოდი, რომ რაღაც პატარა გაზეთში გადიოდა პრაქტიკას.
მე გლოვა გამოვაცხადე და არდადეგებზე ნიუარკში აღარ გავფრინდი ჯიბრზე. ცხელი ზაფხული დადგა. ბაღში ბუზები ბზუოდნენ. მოთენთილი და გაზარმაცებული ვიყავი. ზოზინით ვეხმარებოდი თულიას ყვავილების მორწყვაში, ნავების გაქირავებაში, დავყვებოდი საყიდლებზე. ფეხშიშველი ვიჯექი ხოლმე ნავსადგომთან და ზღვას გავყურებდი. რომანტიკული ციებ-ცხელებით გათანგული ვნატრობდი, რომ ივოს ათასობით კილომეტრის გადაღმა ეგრძნო ჩემი ტანჯვა და

მწარედ ენანა. ვოცნებობდი, როგორ დაბრუნდებოდა, ბოდიშს მომიხდიდა, სიყვარულს შემომფიცებდა და თავს გაწირავდა ჩემი გულისთვის.
პირში საღეჭი რეზინითა და თმაში ზღვის მარილით, საათობით ვიწექი ხოლმე ყურეში. გემებს გავყურებდი ან დამთრგუნველ წიგნებს ვკითხულობდი. თულია მიხვდა, რა დღეშიც ვიყავი და მამასთან გამიშვა ჰამბურგში. იმ დროს ის მარტო ცხოვრობდა ჩვენს დიდ სახლში. ვისხედით ხოლმე ერთად ბაღში და ხმას არ ვიღებდით. როცა რამეს მეკითხებოდა, ვღიზიანდებოდი, პასუხსაც არ ვცემდი და მხოლოდ მხრებს ვიჩეჩავდი. მერე მოპედი მიყიდა და იმას მაინც გადავაყოლე გული. გიჟივით დავაქროლებდი და მოძრაობის ყველა წესს ვარღვევდი. სანამ ვიღაცის ძვირ მანქანას არ შევასკდი ჩვენს ქუჩაზე და ლენისთან არ გამამგზავრეს ბერლინში. ის ახალი გადასული იყო სტუდენტურ საცხოვრებელში და გვიანი სქესობრივი მომწიფების პერიოდი ჰქონდა. გესიმ დარეკა და მითხრა, ჩამოდიო. ივოს ნახვა სულ არ მეხალისება-მეთქი, –წამოვაყრანტალე. ატყდა განგაში. დამყარდა სატელეფონო კავშირი. გაიმართა საიდუმლო მოლაპარაკებები. დაკითხეს ივო, დამკითხეს მე, მაგრამ ვერაფერი დაგვაცდენინეს.
რა დაგემართათო, ხომ არ იჩხუბეთო, ასე უცნაურად რატომ იქცევითო. შეკითხვებს ბოლო არ უჩანდა. ჩემი ქცევა ბავშვურ ეჭვიანობას მიაწერეს. იცოდნენ, რაც გვაკავშირებდა მე და ივოს და მოთმინება ამჯობინეს.
სექტემბრის ბოლოს დაბრუნდა. გაზრდილი, აწოწილი, გარუჯული, ამერიკულ ჩექმებში. შავი ზურგჩანთა ჰქონდა მოკიდებული და ისეთი ლაღი ჩანდა, ისეთი კმაყოფილი, რომ შურით გავსკდი. მე კი, ლენის ძველ მაისურში, თულიას ბოტებში და გადაჭრილ ჯინსებში გამოწყობილმა, ბავშვურად გაკრეჭილი თმით, კიდევ უფრო უბედურად ვიგრძენი თავი. საზიზღარ ხასიათზე დავდექი და ფარდულში შევიყუჟე, ვითომ საქმე მქონდა.
იმ საღამოს მამამ ჩვენთან ერთად ივახშმა. ტერასაზე ვისხედით. მამა სვამდა და ანეკდოტებს ყვებოდა. ჩემდა გასაკვირად, ივოსაც შესთავაზეს ღვინო. ის კი ისე დათანხმდა, თითქოს ამაში არაფერი იყო გასაკვირი. საჭმელს რომ მოვრჩი, ბოდიში მოვიხადე და სახლიდან გავიპარე. გავიგონე, როგორ დაძრა მამამ თავისი ძველი მანქანა, როგორ ეჩხუბა თულია, ასეთ მდგომარეობაში საჭესთან დაჯდომა არ შეიძლებაო. მერე კატების კნავილი და მუსიკა ივოს ოთახიდან. უცხოური მუსიკა იყო, მე რომ ხელი არ მიმიწვდებოდა, ისეთი. ამერიკიდან ჩამოიტანა. ნავსადგომისკენ გავიქეცი, გიჟივით გავრბოდი. იქ გრილ ქვიშაშიჩავემხე და სიმწრისგან ავსლუკუნდი. ვყვიროდი და ფეხებს ვიქნევდი, ვლანძღავდი სამყაროს, რომელიც ასე სასტიკად მომექცა.
მერე დავეგდე და სიგარეტს მოვუკიდე, რომელიც მამას მოვპარე. ზოგჯერ ვეწეოდი ხოლმე, საქმე რომ არ მქონდა. ვიცოდი, რომ თულია იქ არ მოვიდოდა ჩემს საძებნელად და წასვლა არც მიფიქრია. მედგრად ვიტანდი ღამის სიცივეს და ფილტვების ანთებას ვნატრობდი ივოს დასასჯელად.
– აი, თურმე სად ყოფილხარ.
ჩემ უკან იდგა. ვერც კი გავიგონე როგორ მოვიდა. გვერდით მომიჯდა, მე გავიწიე; ბედნიერი ვიყავი, რომ მოვიდა, და თან დავიძაბე.
– რა გინდა? – შევუღრინე და დემონსტრაციულად შევაბოლე სახეში.
– არაფერი. უბრალოდ შენთან მოვედი.
– რატომ?
– იმიტომ რომ შენი ნახვა მინდოდა. რამდენი ხანია არ გვინახავს ერთმანეთი.
– კაი ერთი.
– არ გჯერა ჩემი?
– არა.
– ძალიანაც ცდები.
– დედიკოსთან ალბათ კარგი იყო.
– შენც შეგეძლო ჩამოსულიყავი. ბოლოს და ბოლოს, დედაშენია.
– არ მინდოდა შენთვის ზაფხულის ჩაშხამება.
– რა ჩაშხამება, რას ბოდავ? ყველა ამას მეკითხება, რა ხდებაო.
– არც არაფერი. რა უნდა ხდებოდეს?
– მეც ეს მაინტერესებს.

– თავი დამანებე.
– ასე რატომ მექცევი?
– არანაირად არ გექცევი.
– როგორ არა.
ცოტა ხანი ჩუმად ვიყავით. თითქოს ყველაფერი ისე იყო, როგორც ადრე. საღამოებს ზღვასთან რომ ვატარებდით და ჩვენს ოცნებებს გასაქანს ვაძლევდით.

– სტელა. – წამოიწყო და შემომხედა. პირველად შემომხედა წესიერად ამერიკიდან დაბრუნების შედეგ. – ის, რაც მოხდა, არ უნდა მომხდარიყო. არ მინდა, რომ დავკარგოთ ერთმანეთი. მინდა, ისევ მეგობრები ვიყოთ.
ნეტა, ეს არ ეთქვა. ამას ისევ ის გაურკვევლობა მერჩივნა, ის დუმილი.
– მე არც მეგობარი ვარ შენი და არც შენი და.
– შენი ნებაა.
ნაწყენი წამოდგა.
– ივო.
წამოვხტი და გამბედაობა მოვიკრიბე. წინ გადავუდექი. მთელი თავით მაღალი იყო ჩემზე.
– აღარ წახვიდე, რა.
ცერა თითს ვიკვნეტდი და მუდარით შევცქეროდი. მის თვალებში ვერაფერი ამოვიკითხე.
გადამეხვია და საფეთქელზე მაკოცა. ისეთი ცივი მეჩვენა ეს კოცნა, ისეთი დამამცირებელი, რომ უკან დავიხიე და მისი ხელები მოვიშორე. ბნელოდა. სადღაც თოლიამ დაიჩხავლა.
ამის შემდეგ ერთი წელი არ ველაპარაკებოდით ერთმანეთს. თულია შეეგუა ამას და აღარაფერს გვეკითხებოდა. გარდატეხის ასაკს აბრალებდა ყველაფერს და ჩვენს ხასიათს ჩემს სიჯიუტეს და ივოს სიამაყეს.
ივომ ღამღამობით სახლიდან წასვლას მოუხშირა. გათენებისას ბრუნდებოდა ხოლმე. მე კი მის მოლოდინში ერთხელაც არ მომიხუჭავს თვალი. სულ მეშინოდა, რომ ვინმე გოგოს მოიყვანდა თან, მაგრამ ეს არასოდეს უქნია. სვამდა, მუსიკას უსმენდა და ხანდახან მარიხუანას ეწეოდა ძმაკაცებთან ერთად, რომლებიც ივოსგან განსხვავებით თავხედები,ბინძურები და გაუნათლებლები იყვნენ, ყოველ შემთხვევაში ივოს თანდაყოლილი მომხიბვლელობის ფონზე ასეთები ჩანდნენ.
ცხოვრება აღარ მინდოდა. სკოლაში ჩამოვრჩი. თითქმის არ ვჭამდი. თულია ცდილობდა ხშირად გავეშვი მამასთან ჰამბურგში ან მამა ჩამოდიოდა ხოლმე სოფელში შაბათ-კვირას. თულია და მამაჩემი თავისებურად, ასე ვთქვათ, ლიბერალურად ცდილობდნენ ჩემს გამხნევებას. სწავლაზე და პროფესიის არჩევაზე მელაპარაკებოდნენ.
მე ფარდულში ვფაფხურობდი ჩემთვის ან ზღვაზე ვატარებდი საღამოებს სიმარტოვეში.
მერე საქმეში ლენიც ჩაება. მომიყვა, როგორი გადასარევი იყო ბერლინი და რა გასაგიჟებელი იქ სწავლა, სკოლაზე გული რომ მიმბრუნებოდა.
როცა ივომ სკოლა დაამთავრა, მისთვის ტვინი არავის გაუბურღავს, რას და როგორ აპირებ მომავალშიო; თავისი საქმის თვითონ იცოდა, და ოჯახმაც თავი დაანება. თითქოს მას არც შეცდომის დაშვება შეეძლო და არც წაბორძიკება.
ყოველთვის მიიჩნევდნენ, რომ ის სხვანაირი იყო.
კილში გაემგზავრა და სამხედრო სამსახური საავადმყოფოში მუშაობით ჩაანაცვლა. რაღაც ბინძურ სოროში ცხოვრობდა ვიღაც ალექსთან ერთად, რომელიც სულ კაიფში იყო. მისი დაცარიელებული ოთახი კი მოსვენებას არ მაძლევდა. ჩუმ-ჩუმად შევდიოდი ხოლმე, როგორც ტაძარში, და მის კვალს ვეძებდი. მინდოდა გამეგო, რა ამოძრავებდა, რატომ მშორდებოდა. ვეჭვიანობდი უჩემოდ გადაღებულ მის ყოველ ფოტოზე. ყოველ ხედზე, რომლითაც უჩემოდ ტკბებოდა, ყოველ ადამიანზე, რომლისთვისაც ყურადღება მიუქცევია.
თულიას ხშირად ურეკავდა. ხანდახან ვხვდებოდით ერთმანეთს ოჯახურ ზეიმებზე ან საშობაოდ. ყოველ ჯერზე ის კიდევ უფრო გალამაზებული, გაზრდილი და დაკაცებული მეჩვენებოდა, საკუთარი თავი კი სულ უფრო სულშეხუთული სიმარტოვისგან, სულ უფრო უსიცოცხლო და სევდიანი.

თმა უკვე წელამდე მქონდა გაზრდილი, თითებს სისხლამდე აღარ ვიკვნეტდი. ისეთი ფერმკრთალიც აღარ ვიყავი და მკერდიც თავის ადგილზე მქონდა, მაგრამ ეს არაფერს ცვლიდა. რაც არ უნდა გამეკეთებინა და როგორიც არ უნდა ვყოფილიყავი, ის მაინც ყოველთვის უკეთესი ჩანდა, უფრო ლამაზი, უფრო დახვეწილი. ყველას ხიბლავდა თავისიხუმრობით, უდარდელობით, ხალისითა და სილაღით. მე კი ამ დროს ოჯახის პრობლემად ვიქეცი. იმდენ ნამსხვრევებს ვტოვებდი ყველგან, რომ ალაგებას ვერ აუდიოდნენ. სკოლა ძლივს დავამთავრე. ნიუარკში გამამგზავრეს გესისთან. ახალი ინტერესების გაღვივებაში უნდა დამხმარებოდა, მაგრამ ისეთი აღელვებული და დამფრთხალი იყო, რომ შეცდომას შეცდომაზე უშვებდა დილიდან დაღამებამდე მმოძღვრავდა და ამით ჩემს გაუცხოვებას კიდევ უფრო უწყობდა ხელს.
მე უსაქმოდ ვყიალობდი, მარიხუანას ვეწეოდი, თმას წვრილად ვიწნავდი და ფრჩხილებს შავად ვიღებავდი.
დედაჩემმა გადაწყვიტა, რომ აუცილებლად ნიუ-ჯერსიში უნდა ჩამებარებინა უმაღლესში და ყოველდღე რაღაც კურსებზე მაგზავნიდა. მოწყენილობისგან უამრავი დევიდი, პოლი და ჯო გავიცანი. დავეხეტებოდი ბიჭებთან ერთად და ხან ერთ უაზრო ფართიზე ამოვყოფდი ხოლმე თავს და ხან მეორეზე. მხოლოდ გათენებისას ვბრუნდებოდი სახლში. ხშირად დევიდთან, პოლთან ან ჯოსთან ვრჩებოდი. აღმოვაჩინე, რომ სექსს თურმე დარდის შემსუბუქება შეეძლო ცოტა ხნით მაინც. ოღონდ ამის მერე სიცარიელე კიდევ უფრო აუტანელი ხდებოდა. ასეთ დღეებში უბრად ვიყავი მთელ სამყაროსთან, – შევყურებდი თევზივით დაყვლეფილ თვალებში და ზიზღის მეტს ვერაფერს ვგრძნობდი.
მახსოვს, ერთხელ ფლორიდაშიც ვიყავით. გესი, ჯეიმსი და მე. დედაჩემის მიერ მოწყობილი დროის გაყვანის მორიგი თავგანწირული მცდელობა.
თვეები გავატარე ასე უღიმღამოდ, ზანტად და უსიცოცხლოდ.
მერე ისევ ევროპაში დავბრუნდი და თულიას ძველ სახლში შევიყუჟე. ბალახების ჩაის მასმევდა და სველ საფენებს მადებდა შუბლზე. თითქოს ჩემს დახსნას ცდილობდა დემონებისგან და სიცოცხლისკენ შემობრუნებას ახალი, ბრწყინვალე, ჯანსაღი სიცოცხლისკენ. უნდოდა, ისევ მჩქეფარე სისხლი და ვარდიფერი ღაწვები მქონოდა.
მე კი ივო მენატრებოდა. და თან მძულდა. იმიტომ, რომ მიმატოვა. იმიტომ, რომ მის გარეშე არაფერი გამომდიოდა.
იმ შემოდგომაზე აბი გავიცანი. აბი ჰამბურგში გაზრდილი სპარსი იყო. სან პაულის ერთ კაფეში შევხვდი, სადაც მთელ მსოფლიოზე გულაყრილი ვიჯექი და რაღაც წიგნს ვკითხულობდი. თავიდან გავღიზიანდი, მაგრამ არ მომეშვა და სწორედ ეს მომეწონა, მისმა ეგზოტიკურმა გარეგნობამაც მომხიბლა. ბოლოს დამითანხმა და ერთად წავედით. დავლიეთ, ვილაპარაკეთ, ვიცინეთ.
აბი ძველ ენებს სწავლობდა და ფოტოგრაფიით იყო გატაცებული. უამრავი ფოტო დამიტოვა, ყველგან მიღებდა: საძინებელში, კაფეებში, რაღაც სულელურ ღონისძიებებზე, სადაც ერთად დავდიოდით. ეს ფოტოები ჩემი ახალგაზრდობის ნაფლეთებია, ყველაზე ლამაზი და მსუბუქი ნაფლეთები.
აბის შევუყვარდი. მესიამოვნა. ვიგრძენი, რომ ვჭირდებოდი და ამან ცოტა გამომაცოცხლა. და ჩემი ოჯახის გულშემატკივრობით წახალისებულმა მის ცხოვრებაში შევაბიჯე.
მუქი და პრიალა კანი ჰქონდა. როგორც კატის ბეწვი მთვარის შუქზე. საოცრად ალერსიანი იყო და უცნაურ, უცხოდ კაზმულ სიტყვებს ხმარობდა.
მის პატარა ბინაში დავსახლდით, კაროს უბანში. იმ დროს სულ ახალი აღმოჩენილი ჰქონდათ მხატვრებს ეს უბანი, ახალი დასახლებული იყვნენ იქ და ამიტომ სრულიად გამორჩეულიც იყო.
სულ ფერებ-ფერებით შემაცურა აბიმ ჩემთვის უცნობ, ახალ სამყაროში. დაპირებებით სავსე იყო ის შემოდგომა, იმ შემოდგომაზე თავიდან ამეხილა თვალები.
აბი ცხელ-ცხელ კრუასანებს ყიდულობდა ჩემთვის და პატარა არტიშოკების მწნილით მიმასპინძლდებოდა. „ქებათა ქებას“ ზეპირად მიკითხავდა. მეუბნებოდა, ძუძუები ორსულ კალმახებს მიგიგავსო, კვიპაროსივით სურნელოვანი ყელი გაქვს, ეგვიპტის დედოფალივით ჩამოთლილი მკლავები და უბიწო მუხლებიო. მე კი

ვიცინოდი და ვიცინოდი. სხვას რომ ეთქვა ასეთი სიტყვები, ალბათ ვერც კი მოვუსმენდი, მაგრამ აბის ნათქვამზე გული მიჩუყდებოდა.
აბიმ უამრავი ადამიანი გამაცნო: სტუდენტები, მხატვრები, გადარჩენის ოსტატები და გიჟები. დილამდე ვქეიფობდით ხოლმე. ხშირად ჩავდიოდით თულიასთან და შაბათ-კვირას იქ ვრჩებოდით. თულიამ თავიდანვე კარგად მიიღო აბი არც მამაჩემივით ძალად მეგობრული იყო მის მიმართ, და არც ლენივით სკეპტიკური. როცა თბილოდა, საცურაოდ მივდიოდით. და ერთად ვიწექით ჩემს ვიწრო საწოლში, რომელიც ოხრავდა, კვნესოდა და ჩვენს სასიყვარულო თამაშებს ძლივს უძლებდა.
მაშინ იყო, რომ დავმშვიდდი. აბიმ საკუთარი თავის რწმენა დამიბრუნა. მომავალზე დავიწყე ფიქრი და უნივერსიტეტში ჩავეწერე ანგლისტიკის, ლიტერატურისმცოდნეობისა და ხელოვნების ისტორიის კურსებზე. გავხალისდი. ცხოვრება მიხაროდა. უმიზეზოდ. მოგონებებისგან დამოუკიდებლად. ძველმოდური მაღალი ვარცხნილობა გავიკეთე და თვალები შავი ფანქრით შევიღებე. სხვადასხვა ფერის ბერეტები შევიძინე. შარვლები ვიწრო კაბებით ჩავანაცვლე, რომლებსაც ძველმანების ბაზრობებზე ვყიდულობდი. თულიას მარგალიტის მძივების ტარება დავიწყე. ყველაფერს ვკითხულობდი, რაც ხელში მივარდებოდა: ბოდლერსაც, კაფკასაც და სილვია პლათსაც.
აბის მსუქანი კატა ჰყავდა, ქსერქსე ერქვა. როცა გათბობა გაითიშებოდა ხოლმე, დავისვამდი ამ კატას, გავეხვეოდი თბილ საბანში და ვთვლემდი ჩვენს ძველ დივანზე, ყველაფრით კმაყოფილი. მიყვარდა ასე ყოფნა. მომავლის იმედი მიბრუნდებოდა ისევ. როგორც ტკბილი ბამბის გემო, როგორც შემწვარი ვაშლის სუნი, როგორც კარუსელის ბზრიალი.
ერთი სურათი მაქვს, აბის გადაღებული, სადაც მე დივანზე მოკალათებული ვეწევი დავკითხულობ, ქსერქსეს კი ჩემს მუხლებში აქვს თავი ჩამალული. თითქოს იქ ვარ და თან არც ვარ. მიყვარს ის სურათი. იმ სურათში ყველაფერი წინ იყო. ცხოვრების ათასი ვარიანტი მქონდა, ათასნაირი შემეძლო ვყოფილიყავი. უბრალოდ ხელი უნდა გამეწვდინა და ამერჩია.
იმ პერიოდში ისევ მოვუხშირე მამასთან სიარულს. მაშინ ჯერ კიდევ მუშაობდა სასწავლო წიგნების გამომცემლობაში რედაქტორად და ვთხოვე, სამუშაო მაშოვნინე-მეთქი. მან თავის უფროსთან მიმიყვანა და სულ მალე, კვირაში სამ დღეს გამომცემლობაში ვატარებდი. ტექსტებს ვახარისხებდი, ვასწორებდი ან ოქმებს ვბეჭდავდი. მერე თვითონაც დავიწყე წერა. აბის ერთი მეგობარი ჰყავდა, მიჰელი, რომელიც სტუდენტური გაზეთისთვის წერდა რაღაცებს და პოლიტიკით იყო დაინტერესებული. ძალიან მომწონდა და ხშირად ვხვდებოდი. პოლიტიკაზე და ხელოვნებაზე ველაპარაკებოდი.
ჩემი ესეები და ჩანაწერები წავაკითხე ერთხელ. ეტყობა მოეწონა და ერთ-ორ კვირაში ჩემი ერთი სტატია თავის გაზეთში გამოაქვეყნა.
მამა მხარს უჭერდა ჩემს გატაცებას. თვითონ ყოველთვის უნდოდა წიგნის დაწერა, მაგრამ სულ სამომავლოდ დებდა. იმდენი ქნა, რომ სურვილმაც გადაუარა. ამიტომ მთელი ცხოვრება მხოლოდ რეცენზიებს წერდა სხვებს აკრიტიკებდა ან აქებდა. უფრო ხშირად კი კორექტურითა და რედაქტირებით იყო დაკავებული. თუმცა ყოველთვის ეტყობოდა, რომ დაუკმაყოფილებლობის გრძნობა ჰქონდა, ეტყობოდა, რომ ნანობდა. ივომ და მე მისი საქმის გაგრძელება რომ დავაპირეთ, მერე კი, თავის მხრივ, ლენიმაც, – ამან მასზე ძალიან იმოქმედა, თავის გავლენას ხედავდა ამაში. არ ვიცი რამდენად მართალი იყო.
ივო ერთი წლით ლონდონში წავიდა და Daily Telegraph-ში დაიწყო მუშაობა, რითაც ოჯახი აღაფრთოვანა. თულია სულ მის ქებაში იყო და მიაჩნდა, რომ არნახულ გამბედაობას იჩენდა სახიფათო სიტუაციებში. მე ვერ ვხვდებოდი, რა უნდა ყოფილიყო ლონდონში სახიფათო, და გაცოფებული ვიყავი, რადგან ივოს წარმატებებმა მე და ლენი ჩრდილში მოგვაქცია.
იმ წელს ძალ-ღონეს არ ვიშურებდი, რომ ჩემი ცხოვრებიდან ამომეშალა, მომეშორებინა, როგორც კედლიდან ჩამოგლეჯილი ძველი შპალერი.

– უკვე გამოჯანმრთელდი?
თეო სტადიონის ბოლოში იჯდა. სპორტული შარვალი დაესვარა. დაეჭვებული მაკვირდებოდა. ვეცადე მისი გამოხედვისა და ჟესტების მიხედვით გამომეცნო, რა უთხრეს ჩემზე და რამდენად შეშინებული ან გაბრაზებული იყო. ვერაფერი შევატყვე. სახით მამამისს ჰგავდა, ნუშის ფორმის თვალებით კი ბაბუამისს, – ინდურ კერძებს რომ ამზადებდა, audi tt-ს ატარებდა და დღემდე ყვებოდა, როგორ დააპატიმრეს ერთხელ ვიეტნამის ომის წინააღმდეგ გამართულ დამონსტრაციაზე.
საკუთარ თავს ამაოდ ვეძებდი ჩემი შვილის სახეში.
მამაჩემის სახეშიც ამაოდ ვეძებდი.
ჩემი ქმრის სახეშიც ამაოდ.
– უკეთ ვარ. მომენატრე. შენ როგორ ხარ ბებიკოსთან და ბაბუკასთან?
ვერ მოვითმინე და ვარჯიშზე მივაკითხე თეოს. დილიდან გადაუღებლად წვიმდა და როგორც იქნა, შევამჩნიე, რომ გაზაფხული მოვიდა. წვიმიანი ზამთარი წვიმიანმა გაზაფხულმა შეუმჩნევლად შეცვალა.
– კარგად ვარ. დაბადების დღეზე შეიძლება ძაღლი მაჩუქონ.
როგორც კი ეს თქვა, მივხვდი, რომ თამაში დაწყებული იყო და უკვე 1:0 ვაგებდი მარკთან და მის მშობლებთან. გამახსენდა, რომ ორ კვირაში თეო შვიდის ხდებოდა. ისევ დამიარა შიშმა. ღრმად ჩავისუნთქე და ღრუბლიან ცას ავხედე. ჭკუიდან გადავყავდი ამ ბავშვს თავის თავშეკავებულობით, ასაკისთვის შეუფერებელი გონიერებითა და გადამეტებული ზრდილობით. არადა ისე მენატრებოდა! – ის პატარა ბიჭი მენატრებოდა, რომელსაც შიგნით მალავდა, სითბო, რომელსაც ის ასხივებდა.
– ხომ შევთანხმდით, სიხარულო, რომ ძაღლი ჯერ არ გვინდა? – ვუთხარი და თან გავიფიქრე, – რა თქმა უნდა! როცა დედა მიდის და ოჯახს ტოვებს, ბავშვს ძაღლი უნდა მოუყვანო სანუგეშებლად, აბა რა! ალბათ ამიტომ იყო, რომ დავიჟინე და საკუთარ გვარზე დავრჩი: არ მინდოდა ამ „უწუ-პუწუ“, როგორც მათ თულია უწოდებდა, ოჯახის წევრობა. თუმცა შესაძლოა ამით გამოუსწორებელი შეცდომაც დავუშვი. იქნებ ასე წინ არ უნდა წამომეწია ჩემი განსხვავებულობა. ამით ხომ ნათლად ვაგრძნობინე მარკს, რომ არასოდეს გავხდებოდი მისი და მისი ოჯახის ნაწილი.
– აღარ გახსოვს? ხომ ვთქვით, რომ ძაღლის მოყვანა ჯერ არ გამოვა დედას სამსახურის და მამას სამსახურის და შენი სკოლის გამო. ხომ ვილაპარაკეთ ამაზე უკვე. და იმაზეც, რომ ძაღლი რთული მისახედია. როცა რამე ცხოველი მოგყავს, მასზე პასუხისმგებლობის აღებაც უნდა შეგეძლოს.
– ბაბუმ მითხრა, რომ ძაღლი მათთან იცხოვრებს და მე მხოლოდ შაბათ-კვირას მომიწევს მისი მოვლა. თან მამაც თანახმაა, – დაამატა თეომ.
შევხედე და გაოფლილი თმა პირსახოცით შევუმშრალე.
– მე წინააღმდეგი ვარ. – ვთქვი და ეჭვი არ მეპარებოდა, რომ გამწარდებოდა, გაფიცხდებოდა და თავს ხელიდან გამომგლეჯდა. მაგრამ მან მხოლოდ თვალები დახარა.
– რა დაგემართა? – მკითხა, ოღონდ „დე“ არ მიუყოლებია.
– ცოტა გადავიღალე, თეო. მალე ისევ კარგად ვიქნები. უბრალოდ რაღაც უნდა მოვიფიქრო. და ცოტა ხანი მარტო ყოფნა მჭირდება. და ბევრი ძილი.
გავუღიმე გასამხნევებლად და ვიგრძენი, რომ არ დაიჯერა. თითქოს რაღაც გამეჩხირა ყელში. მეგონა, ვეღარ გავაგრძელებდი ლაპარაკს. ხმას ვეღარ ამოვიღებდი.
წვიმამ ისევ უმატა. ბავშვები გასახდელებისკენ გაიქცნენ, უკან შეწუხებული დედები აედევნენ პატარა სპორტული ჩანთებით. რამდენიმე კვირის წინ მეც ერთ-ერთი მათგანი ვიყავი, ახლა კი ქურდივით შემოვიპარე სტადიონზე, რომ შორიდან მაინც დამენახა შვილი.
– რატომ არ შეიძლება, რომ სახლში წავიდეთ? – მკითხა და მის ხმაში შიში გამოკრთა. შიში, რომ თავის ნორმალურობას, თავის მომავალს, თავის სახლს წაართმევდნენ.
ასეთი საშიში გავხდი მისთვის? შემიძულებდა ამის გამო? დედაჩემს

ვემსგავსებოდი, რომელიც განქორწინებამდე ცოტა ხნით ადრე ნიუ-იორკში გაემგზავრა რაღაც კონგრესზე. ცხოვრებაში პირველად დაგვტოვა. ოთხი კვირით.

როცა დაბრუნდა, კაფეში წაგვიყვანა, ნაყინი გვიყიდა და ატირდა. გვითხრა, რომ მამასთან ვეღარ დარჩებოდა.
არადა ივოს დედის დაკრძალვის დროსაც კი მოახერხა თავის შეკავება, ემას მკვლელობის მერე კვირების განმავლობაში უძლებდა დაკითხვებს და წყობიდან არ გამოსულა. იქ კი, კაფეში, ლანდივით იჯდა ჩვენ წინ: გასაცოდავებული, განადგურებული. ბრაზი ახრჩობდა, მისი ქმარი იყო მთელი ამ უბედურების თავი და თავი, მაგრამ მაინც ვერ ბედავდა მასზე ჯავრის ამოყრას.
სწორედ შვიდის ვიყავი, როცა დედაჩემი, ან უფრო სწორად, ის, რაც მისგან დარჩა, კაფეში იჯდა და დამფრთხალი გვიყურებდა.
თეოც შვიდის ხდებოდა ორ კვირაში.
– ახლა კარგად მომისმინეთ. შემომხედეთ. ლენი, სტელა. მორჩით მაგ ჭიქებში ქექვას და მომისმინეთ, გეხვეწებით. სტელა! სამსახური შემომთავაზეს. ამერიკაში. წამლების დიდ ფირმაში. უკეთესი ხელფასი მექნება და ბევრ შეღავათს მპირდებიან. მაგრამ ამერიკაში. ეს ნიშნავს, რომ იქ უნდა გადავიდეთ, ესე იგი აქედან უნდა წავიდეთ, ჩვენი სახლიდან, და რაღაცდროის განმავლობაში ვერ დავბრუნდებით. ეს ნიშნავს, რომ მამიკოს გარეშევიცხოვრებთ, – ასე გვითხრა. მერე მიკვირდა კიდეც, როგორ ახერხებდა, რომ ქმარს მაინც „მამიკოს“ ეძახდა.
– როგორ არ შეიძლება, სიხარულო, რა თქმა უნდა, შეიძლება სახლში წასვლა. მაგრამ მამიკოს ურჩევნია, რომ ბებიკოსთან და ბაბუკასთან დარჩე, სანამ ბოლომდე გამოვჯანმრთელდები, ხომ გესმის. მამიკოს ასე მიაჩნია.
ჩემმა პასუხმა ცოტა დააწყნარა; სადაც მამა მონაწილეობდა, იქ ცუდი არაფერი შეიძლებოდა მომხდარიყო. ისევ გაიღიმა, სახე გაუბრწყინდა.
– შეხედე, რამხელა კოპი მაქვს იდაყვზე! – ამაყად დამანახა გასიებული ადგილი.
მაგრად ჩავიხუტე და თმები ავუბურძგლე. ოფლისა და ბავშვობის სუნი ჰქონდა. ტკბილი დაპირებების სუნი.
მარკი გამოჩნდა. ჩვენკენ მოდიოდა, ჩემი დანახვით შეწუხებული ჩანდა, მაგრამ დარწმუნებული ვიყავი, რომ თავს მოერეოდა და თეოს თანდასწრებით შეუფერებელს არაფერს იტყოდა. გადამეხვია კიდეც. ამან ცოტა კი გამაკვირვა, მაგრამ მერე მივხვდი, რატომაც მოიქცა ასე: თეო გვიყურებდა, თეო ყურადღებით გვაკვირდებოდა. მარკს თამაში შესანიშნავად გამოსდიოდა.
თეო რაღაცას ტლიკინებდა, მე და მარკი კი ვიდექით გასახდელთან და ერთმანეთს ვუყურებდით. მარკმა ტუჩზე თითი მიიდო. მე თავი დავუქნიე.
– უნდა დაგელაპარაკო, – ვუჩურჩულე და მისკენ გადავიხარე. მისი ლოსიონის სუნი ვიგრძენი და რაღაც უცნაური სიახლოვის განცდა გამიჩნდა; მაინც მოკავშირეები ვიყავით საკუთარი თავის გადასარჩენად ვიბრძოდით ორივე.
– ახლა არ გამოვა.
– აუცილებლად უნდა დავილაპარაკოთ!
– საღამოს შემოგივლი და დავილაპარაკოთ.
სიცილი ძლივს შევიკავე: იმდენი ვქენით, რომ უკვე ქურდებივით გვიწევდა საკუთარ ცხოვრებაში შეპარვა. შემოგივლიო, ისე მითხრა, თითქოს მისი სახლი არ იყო, თითქოს მისი ცოლი არ ვიყავი, თითქოს ეს ჩვენი ცხოვრება არ იყო. ყველაფერი თავიდან უნდა დავიწყოთო. ყველაფერი ახალი იქნებაო. ახალი სამყაროო. ასე გვითხრა დედამ მაშინ. ყველაზე მეტად იმ კაცზე გაუჭირდა ლაპარაკი, ხსენებულ კონგრესზე რომ გაიცნო, ჯეიმსი რომ ერქვა და მისთვის ყველაფრის თავიდან დაწყების შესაძლებლობას წარმოადგენდა. ბოლოს მაინც ამოღერღა. ამაზე ლენიმ ტუჩები მოპრუწა, წამოხტა და ტუალეტში გავარდა. მე დავრჩი. დედამ ბოლო ცრემლი ჩაყლაპა და გამიღიმა. ღიმილი შუაგულ ნანგრევებში.
– მაპატიე, – მითხრა ჩურჩულით. თითქოს ელოდა როდის ადგებოდა მაგიდიდან უფროსი შვილი. თითქოს უნდოდა ეთქვა უმცროსისთვის, რომ ყველაფერი იცოდა, მაგრამ ყოყმანობდა. და ძალიან დაიგვიანა.
– შენ არ უნდა ეტარებინე იქ. ეს არ უნდა დამეშვა.
„იქ“. პირველად ახსენა მოქმედების ადგილი; პირველად მიეცა მას ფორმა.

რეალური გახდა მოქმედ პირებთან ერთად. ცარიელ თასს ჩავაშტერდი და კოვზი ავაფხაჭუნე.
– ამის უფლება არ უნდა მიმეცა.
– შენი ბრალი არ არის, – ვუთხარი და კოვზი დავდე. – არც მამას ბრალია. ჩემი ბრალია.
დედა შეკრთა, დაიბნა. მერე თავისი გრილი ხელი დამადო ხელზე; მე ხელი გავწიე. ცდილობდა თვალებში ჩაეხედა ჩემთვის. თვალი მოვარიდე.
– არა, ჩემო სიხარულო, არა. არასოდეს არ იფიქრო ასე, გესმის? იმიტომ რომ ეს მართალი არ არის, არ არის მართალი!
ჩემი ბრალია.
ჩემი ბრალია.
მძულხარო, უთხრა ჩემმა დამ დედას. და მის ჯიბრზე ახალ ცხოვრებაზეც უარი თქვა, მიუხედავად იმისა, რომ ძველი ცხოვრება ფერფლად ექცა.
იქნებ მეც სიჯიუტე მაიძულებდა ჩემს აწმყოზე უარის თქმას.
– ერთხელ, ორსულად რომ ვიყავი, დამესიზმრა თითქოს თეო იმ სიცარიელეში ჩავარდა და დამეკარგა, და ვეღარ გავაჩენდი. ოფლში დაღვრილს გამეღვიძა. შენ მშვიდად იწექი ჩემ გვერდით და მაგრად გეძინა, მოგეკარი და ჩემი გულის ბაგუნს ვუსმენდი. მთელი ჩემი ცხოვრება ამ სიცარიელის განცდა მქონდა, სადღაც შიგნით. სულ მეშინოდა, რომ ყველა გრძნობა, რომელიც გამიჩნდებოდა, ბოლოს მაინც იქ გაუჩინარდებოდა. ვერაფერს შევინარჩუნებდი სამუდამოდ. იმედი მქონდა, რომ გავიდოდა წლები და ამ ხვრელს როგორმე ამოვქოლავდი, სიცოცხლით ამოვავსებდი სიცარიელეს. მაგრამ არაფერი გამომდის. მეგონა თქვენ იყავით ის, რაც მჭირდებოდა: შენ, თეო, ჩემი ოჯახი, ჩემი სამსახური, მაგრამ...
ჩვენს მისაღებ ოთახში ვიჯექი და მარკს ველაპარაკებოდი, რომელიც გაუპარსავი და თვალებამოშავებული მომჩერებოდა. თან ვეწეოდი და ჯინ-ტონიკს ვსვამდი, რის გამოც ის კიდევ უფრო ამრეზით მიყურებდა. დაბარებულივით მოვიდა იმავე საღამოს, სტადიონზე შეხვედრის შემდეგ. ალბათ რაღაც ტანსაცმელი ჰქონდა მოსაძებნი.
– ამას როგორ ამბობ? უპირველესად დედა ხარ და ეს პასუხისმგებლობა გაკისრია. არ ვიცი. ეს უკვე სრული სიგიჟეა. აღარაფერი მესმის. ვერ გავიგე, როგორ შეგიძლია იმის თქმა, რომ შენს ცხოვრებაში არაფერია ძვირფასი და მნიშვნელოვანი?!
– მე ეს არც მითქვამს, მარკ. უბრალოდ ვთქვი, რომ გამოშიგნულივითვარ.
– სარკეში ჩაიხედე სტელა, ნახე რა გააკეთე, – შენ მე მიღალატე, ჩვენი ურთიერთობა საფრთხეში ჩააგდე. გონს მოდი, თორემ არ ვიცი, შევძლებ თუ არაკიდევ შენს პატიებას. ნამდვილად არ ვიცი.
ნაპრალი უფრო და უფრო ფართოვდებოდა და გვაშორებდა ერთმანეთს. ფრენა მაინც მცოდნოდა.
– არა უგვიანეს შაბათისა კვიპროსზე უნდა გავფრინდე. უკვე იწყება გადაღებები და აუცილებლად იქ უნდა ვიყო. კარგი იქნებოდა იმ დროისთვის უკვე თეოსთან ყოფილიყავი.
გული მერეოდა მის ყალბ დიდსულოვნებაზე და ძალად შემწყნარებლობაზე. ცრემლები მოვიწმინდე და ცხვირი მოვიხოცე.
– თეოსთან მე ყოველთვის ვიქნები.
– ვერ იქნები, სტელა, ასეთ მდგომარეობაში მასთან ვერ იქნები. – თქვა და წამოდგა.
– მოიცადე.
არ ვიცი რატომ მივუტრიალდი და რატომ ვცადე მისი შეჩერება. გაოცებულმა შემომხედა. არ იცოდა რა ეთქვა. მივუახლოვდი.
– მაპატიე, არ მინდოდა ასე...
თქმა არ მაცალა, თითი ტუჩზე მიიდო. ზედაც არ შემომხედა, თითქოს გადამდები ვიყავი.
– ძალიან გთხოვ, თავი დამანებე, – მითხრა და გვერდი ამიარა. გავეკიდე. მინდოდა ყველაფერი ამეხსნა მისთვის, უნდა ამეხსნა, რადაც არ უნდა დამჯდომოდა, თუმცა კარგად ვიცოდი, რომ ეს შეუძლებელი იყო. სახელოში

ჩავეჭიდე. შემოსასვლელში ვიდექით, ბნელოდა, შუქი არ მქონდა ანთებული. ვეკონწიალებოდი და ვცდილობდი მოვხვეოდი. ვცდილობდი მეკოცნა. ისე მინდოდა გაეგო ჩემი, სიახლოვის განცდა გამჩენოდა, სამშობლო შემრჩენოდა ხავსს ვეჭიდებოდი.
– რას აკეთებ? – მიყვირა მოგუდული ხმით. მარკი რის მარკი იქნებოდა, სიტუაციისთვის შესაფერისი ყვირილი რომ აღმოხდენოდა.
– მომისმინე!
– სიტყვებს არავითარი მნიშვნელობა არ აქვს, არავითარი. მთავარია რას აკეთებ,
– თქვა ჩურჩულით და გრილ კედელს მიეყრდნო.
– დამეხმარე, მარკ, – ვუთხარი და ხელზე შევეხე თუ არა, მაშინვე გაწია.
– რაში დაგეხმარო? ჩემს მიტოვებაში? ეგ მარტომ უნდა მოახერხო, თუკი ასე გინდა. პარასკევს მოვიყვანთ თეოს სახლში, – მითხრა და წავიდა. ვიცოდი, რომ მაშანტაჟებდა. ამ ხერხით უნდოდა ჩემი ჭკუაზე მოყვანა. მისი მშობლები ამისთვის ძაღლს იყენებდნენ, მარკი კი ბავშვს.
მე და ივოს წელიწად-ნახევარი არ გვენახა ერთმანეთი. ლონდონიდან წარმატებულ და აღიარებულ შვილად დაუბრუნდა ოჯახს ნინდორფში. მხოლოდ ერთი კვირა გაძლო იქ და მერე მამასთან გადავიდა ჰამბურგში. მამა არ იმჩნევდა, მაგრამ ძალიან კმაყოფილი იყო ივოს წარმატებული კარიერით. ლენიმ მომწერა, რომ ივო თურმე მასთანაც ჩასულა ბერლინში. ყოველღამე ერთად დავდიოდით სტუმრადო, ძალიან კარგად იქცეოდა და ყველაფერი აინტერესებდაო, საერთოდ უკეთესობისკენ შეიცვალაო; თავი ვერ შეიკავა და ისიც შემატყობინა, რომ მე არ ვუხსენებივარ. როგორც მამამ მითხრა, კარგი მოსწრებისთვის სტიპენდია მიუციათ მიუნჰენის უნივერსიტეტში პუბლიცისტიკის ფაკულტეტზე სწავლის გასაგრძელებლად.
იმ პერიოდში ერთადერთხელ ვნახე ივო:
იმ დღეს მამასთან მივდიოდი ველოსიპედით და ჩვენს ძველ ქუჩაზე შევუხვიე, სადაც მაშინ ვცხოვრობდი, დედაჩემიც რომ აქ იყო და ივოს დედაც ცოცხალი იყო. ვიღაცამ დამისიგნალა და რომ მივტრიალდი, ივო დავინახე, თეთრ მაისურსა და შავ სათვალეში. ძველ მოპედზე იჯდა. ისე გამიცინა, თითქოს ერთი-ორი დღის წინ გვყავდა ერთმანეთი ნანახი.
დავამუხრუჭე, ტროტუართან გავჩერდი და დაველოდე, სანამ თავისი მოპედიდან გადმოვიდოდა. თავდაჯერებული ჩანდა, ეტყობოდა, რომ თავისი გზა ნაპოვნი ჰქონდა. მე ამით ნამდვილად ვერ დავიკვეხნიდი.
მიყურა, მერე სათვალე მოიხსნა და მკლავები გაშალა. მე ადგილიდან არ დავძრულვარ, გაშლილი მკლავებისთვის ყურადღებაც არ მიმიქცევია, არც კი გამიღიმია მისთვის.
გეტყობა, კარგად ხარ-მეთქი, ვუთხარი.
– არ მაკოცებ?
– არ ღირს.
– რა იყო, შეყვარებული იეჭვიანებს?
წამკბინა და გამომწვევად გაიცინა.
– ნამდვილად არ იეჭვიანებს, შენ ამაზე არ იდარდო.
– ესე იგი არ მოგენატრე? – მკითხა და სიგარეტს მოუკიდა.
– რად გვინდა ახლა ეს, ივო? მამასთან მიდიხარ?
– გააჩნია შენ სად მიდიხარ.
– რას მეთამაშები?
– ჯერ არ ვიცი. არადა რამდენი ხანია ამაზე ვფიქრობ.
– კარგი, რა, ბავშვები ხომ აღარ ვართ, მოვრჩეთ ამას. ყველაფერი გადასარევად არის, არა?
– მართლა?
ხმა შეეცვალა, სერიოზული და მშვიდი გაუხდა. ლამის საშიში.
– ალბათ.
წამით გავჩუმდით.
– რამე ხომ არ დაგველია, რას იტყვი? რაკი განგებამ ასე ინება და ერთად შეგვყარა.
– რად გვინდა?

– როგორ არ გვინდა! ჩვენ ხომ იმდენი რამე გვაქვს ერთმანეთისთვის სათქმელი.
მაშაყირებდა. გაცოფებული მივტრიალდი და ის იყო ველოსიპედზე უნდა დავმჯდარიყავი, რომ მკლავში წამავლო ხელი, თავისკენ მიმატრიალა და ყურადღებით დამაკვირდა. იმ წუთში მივხვდი, როგორ მინდოდა მისთვის ის თვალები დამეკოცნა. მაგრად მაგრად მაგრად.
– წამოდი, გეხვეწები.
არ ვიცოდი, როგორ მოვქცეულიყავი. ამასობაში ღიმილი დაუთბა, ერთი-ორჯერ კიდევ გაიმეორა, გეხვეწებიო, სახის გამომეტყველებაც შეეცვალა. თითქოს გაიხსნა, აღარ იყო ისეთი ვითომ უდარდელი, და მეც გული მომილბა.
ველოსიპედი ჩავკეტე,მის მოპედზე გადავჯექი და მოვხიეთ. აღარაფერი მაინტერესებდა. მთვრალივით ვიყავი მისი ხვეწნით გახარებული. მისი სუნით გაბრუებული. შევეხე თუ არა მის ზურგს, ყველაფერი გადამავიწყდა. და ისევ მივენდე.
რომელიღაც ჩემთვის უცნობ ბარში ამოვყავით თავი. სადღაც ნავსადგურსა და სან პაულის შორის. ლუდი შეუკვეთა და იმ ჩაბნელებულ ოთახში, მზეს, სხვა ადამიანებს და ჩემს ცხოვრებას დავემალე და სრულიად მოვეშვი. უცებ შევრიგდით. ისეთი მარტივი იყო მასთან ლაპარაკი, ისე კარგად ვგრძნობდი თავს. მე ჩემს ცხოვრებას ვუყვებოდი, ის თავისას მიყვებოდა. ოღონდ იმაზე ლაპარაკს, რასაც კონფლიქტის განახლება შეეძლო, თავს ვარიდებდით.
ისეთი მომხიბვლელი იყო, რაღაც არაჩვეულებრივად ნატიფი, ისე ვირტუოზულად ეთამაშებოდა სიტყვებს და ცნებებს, რომ ვიფიქრე, ამდენი ხანი მის გარეშე როგორ ვძლებდი-მეთქი; როგორ მოვითმინე და როგორ არ წავედი მასთან. მის ცხოვრებაში.
მიუნჰენში აპირებდა გადასვლას; მოგზაურობას და ხეტიალს მიჩვეული ვარ და ჩემთვის სულ ერთია, რომელ ქალაქში ვიცხოვრებო; ყველა ქალაქი ერთმანეთს ჰგავსო. ჟურნალისტიკა მომწონსო, ვიცი, რომ საჩემო საქმეაო. მერე მე გამომკითხა, რა გეგმები გაქვსო.
ამასობაში დაბნელდა; მაგიდა ცარიელი ლუდის ჭიქებით გაივსო. როცა, ბოლოს და ბოლოს, გამოვბანცალდით ბარიდან, მკითხა, – ხომ არ გინდა ჩემთან წამოხვიდე, მეგობარმა ბინა დამითმო რამდენიმე დღით, და თითო მოვწიოთო.
ნამდვილი სორო აღმოჩნდა, იქვე, ახლოს ბართან. ფანჯრები ჩაბნელებულ ეზოში გადიოდა. შმორის სუნი იდგა, და ზაზუნების. არადა არავითარი ზაზუნა იქ არ იყო.
მარიხუანა მოვწიეთ. შენელებულ კადრში აღმოვჩნდი. ძველისძველი რადიოდან მუსიკა ისმოდა. ყველაფერი ლამაზი იყო, ყველაფერი უხდებოდა ერთმანეთს. აღარც ის მახსოვდა, რომ მამაჩემთან ვიყავი შეთანხმებული, და აღარც ის, რაც სახლში მელოდა წიგნები, აბისთან გაყოფილი სარეცელი, ქსერქსეს ფაფუკი ბეწვი.
ვცეკვავდი. ნელა, ზანტად ვმოძრაობდი უცხო ბინის ვიწრო სამზარეულოში. ივო მიყურებდა და იცინოდა. მერე უცებ ჩემთან გაჩნდა. და ისევ მიყურებდა. ვიბნეოდი, მაგრამ არ ვიმჩნევდი.
– ცუდია, ასე შორს რომ ვართ ერთმანეთისგან, – მიჩურჩულა და გაოფლილი სახიდან თმა მომაშორა. ზაფხული იყო, შუადღის სიცხე ჯერ კიდევ კანზე გვქონდა აწებებული. ველოდი. ერთი სული მქონდა. ვიცოდი, რომ ჩემი ცხოვრება ბანქოს ქაღალდივით ამოტრიალდებოდა, როგორც კი ნაბიჯს გადავდგამდი მისკენ.
ოცდაორი წლის ვიყავი.
ფეხის წვერებზე ავიწიე, წავბარბაცდი, წონასწორობა შევინარჩუნე და მისი კოცნა მოვახერხე. მეგონა უკან დაიხევდა, ყოყმანს დაიწყებდა, მიყვირებდა. მაგრამ იმანაც მაკოცა. ყველაფერს ველოდი ამის გარდა. უკან გადავქანდი და ტუჩები მოვკუმე. ზუსტად ისე მიყურებდა, როგორც მაშინ ვნატრობდი, ზღვის ნაპირზე, როცა უნიჭოდ ვუხსნიდი სიყვარულს და ტანსაცმელს ვიხდიდი. საუკუნე გავიდა მას მერე. მაგრამ ეს საუკუნე ცვილივით იწვოდა, დნებოდა და წვეთავდა, სანამ ბოლოს იმ წვეთებიდან აწმყო არ გამოდნა.
დამატრიალა და ჭურჭლის ნიჟარას მიმანარცხა. პირველად სწორედ მაშინ ვიგრძენი ხერხემლით ის ბასრი კიდე, დღემდე რომ ყველგან თან მდევს. ეს ჩემი პირველი ღამე იყო ივოსთან.
ვერ ვძღებოდით, არ ვჩერდებოდით, კიდევ და კიდევ და კიდევ. სანამ თავზე არ

დაგვათენდა. ჯერ კედელთან ნახევრად დანგრეულ შემოსასვლელში, მერე ცარიელ ოთახში ერთადერთ ლეიბზე.
როგორც კი გათენდა, წამოხტა, დამტოვა და შხაპის მისაღებად გავიდა. გავიგონე, როგორ მოუშვა წყალი. მერე მეც გავედი და საშხაპეში შევძვერი მასთან.
– არ დაიღალე, არ გინდა დავიძინოთ? – ვკითხე და გაეცინა. ახარხარდა. მერე შემომატრიალა და ხელები ზურგზე გამიკავა. მაგრად მომაწვა და წინ გადამწია. ვიყვირე და მოტრიალება ვცადე; ამ დროს გავსრიალდი და კაბინის შუშას მივარტყი თავი. ყურადღებაც არ მოუქცევია, გაცხოველებული აგრძელებდა.
ძირს ჩავსრიალდი, სულ გავიწუწე და ტირილი დავიწყე.
– რა გატირებს?
– მეტკინა, რატომ მატკინე.
– ვერ გაგაგებინე.
– რა ვერ გამაგებინე? არ იცი, რომ...
– მე არაფერი არ ვიცი, არაფერი! მორჩი ახლა. რა გატირებს. შენ თვითონ არ გინდოდა? ვერ გაგაგებინე, რომ ტკივილის გარეშე არ გამოდის.
მერე მშვიდად განაგრძო ბანაობა. მე კი ამ დროს თავი ხელით მეჭირა, მარტო კოპი კი არა, მთელი ტანი მტკიოდა უკვე. მაგრამ მაინც ვხედავდი, როგორი ლამაზი იყო. რა ლამაზი კოჭები ჰქონდა, წვივები თმიანი და ხმელი. ტრაკიც კი ლამაზი ჰქონდა, პატარა. მკლავები კი გარუჯული მაისურის სახელოს ხაზამდე.
– მე არასოდეს ვინანებ. კიდეც რომ მატკინო, მაინც არ ვინანებ.
ხელი გამომიწოდა, წამოვდექი და ივომ შამპუნი ამიქაფა თმაში, ძალიან ფრთხილად. როგორც დედაჩემმა იცოდა ხოლმე, როცა პატარა ვიყავი და მეშინოდა, რომ შამპუნი დამაბრმავებდა და მაგრად, ძალიან მაგრად ვხუჭავდი თვალებს.

12

ლეომ სტატიის დაწერა დამავალა ვიღაც არქიტექტორზე, რომლის შესახებაც არაფერი ვიცოდი, რომელიც არ მაინტერესებდა, რომელთანაც საერთო არაფერი მქონდა. ვიჩხუბეთ. მძიმე დღე იყო. გათიშული ვიყავი. ასე თუ გააგრძელებ, გაგაგდებო, მითხრა. გავაგრძელე. ჯიბრზე. მიზანდასახული სიჯიუტით ვებრძოდი საკუთარ თავს. გავედი საკუთარი ცხოვრებიდან და გარედან დავცინოდი ყველაფერს.
თითქმის არ მეძინა.
თეო ისევ მარკის მშობლებთან იყო. იქიდან დამირეკა. აინტერესებდა, სად გადავუხდიდით დაბადების დღეს და როგორ. რა თქმა უნდა, ბებიამისმა და ბაბუამისმა წვეულების გამართვა თავიანთ სახლში შესთავაზეს, რომელიც უფრო დიდიც იყო, ნათელიც და საიმედოც, ვიდრე ჩვენი ბინა. ჩუმად ვუსმენდი და ნელ-ნელა ვცოფდებოდი. როგორ მინდოდა გამომეხსნა ჩემი შვილი, მარკის მშობლების მიერ დატყვევებული და გაბრუებული. გამომეგლიჯა ჰარმონიის ბრჭყალებიდან. არაფერი მითქვამს.
ივო არ შემხმიანებია.
თულიამ თავისთან მიმიპატიჟა; რამდენი ხანია ჩემი გაკეთებული საჭმელი აღარ გიჭამიაო. მობილური გავთიშე. ვიჯექი სახლში და ფანჯარაში ვიყურებოდი. ვეწეოდი. სიგარეტი მამშვიდებდა, მთიშავდა. მთენთავდა და თვინიერს მხდიდა. მამამ დარეკა, გადაამოწმა როგორი ხმა მქონდა. ვახერხებდი ცხოვრების შემობრუნებას თუ არა იქით, საითაც საჭირო იყო.
მეორე საღამოს ავდექი და ფეხით წავედი პასიფიკში“. მთვარეულივით. რეგისტრატურას ჩავუარე და პირდაპირ ლიფტთან მივედი.
მის ოთახთან გავჩერდი და აღარც დავფიქრებულვარ, რა შეიძლებოდა ამას მოყოლოდა. შედეგებს უკვე ვიმკიდი. დავაკაკუნე თუ არა, მაშინვე გააღო კარი. შხაპიდან ახალი გამოსული იყო, პირსახოცი ჰქონდა შემოხვეული.
– ასეც ვიცოდი, რომ მოხვიდოდი, – მითხრა და შევატყვე, რომ ნასვამი იყო. ყველგან რაღაც საბუთები, წიგნები და საგაზეთო სტატიები ეყარა, ლოგინიც აწეწილი იყო. მაშინვე თვალში მეცა ორი სხეულის ანაბეჭდი, ორი ჩაჭყლეტილი ბალიში. გული შემეკუმშა.

− ვინ გყავდა? − ვიკითხე. ამის გაფიქრებაც კი აუტანელი იყო, კიდევ უფრო აუტანელი, ვიდრე სიცარიელე ჩემს ნაჭუჭში.
− არავინ. საიდან მოიტანე?
ლოგინს გავხედე. გაეცინა. კარი მიხურა, ხელი მომხვია და ოთახში შემაგდო.
− არ მითხრა ახლა, რომ ეჭვიანობ. დიდი ამბავი ცოლიანი ხომ არ ვარ!
− უტვინო ტრაკი ხარ! − მივახალე და საწოლის კიდეზე დავეშვი.
− კარგი, რა გინდა, თავი ვიმართლო?
− რატომ ანგრევ ყველაფერს!
− უბრალოდ ცოტა შევარყიე შენი ბანქოს სახლუკა. ასე ხდება, როცა ბანქოსგან აშენებ სახლს!
წამოვხტი, ვეცი და სილა გავაწანი; აიტანა, მაგრამ მეორედ რომ მოვუქნიე ხელი, დამიჭირა და ლოგინზე დამაგდო. ალკოჰოლის სუნი ასდიოდა.
ცალ ყურზე რამდენიმე ღერი თმა ჰქონდა ჩამოყრილი და უბზინავდა.
− მომისმინე, სტელა. ძალიან გთხოვ, მომისმინე. მე მივდივარ. სამ-ოთხ დღეში უნდა წავიდე. რამდენიმე საბუთს გიტოვებ, რომ მიხვდე, რაზეა ლაპარაკი. თბილისში მივფრინავ, საქართველოში. ეს მართლა ძალიან მნიშვნელოვანია. შენც წამოდი მერე, გეხვეწები. და ცხოვრებაში არ გთხოვ მეტს აღარაფერს.
− მთვრალი ხარ, გამიშვი.
− ნუ ატრაკებ, შემომხედე!
სახე ხელებით დამიჭირა და თავი მომადო. ისე ახლოს იყო, უნებლიედ ორივემ თვალები დავაელმეთ, ერთმანეთი რომ დაგვენახა.
− უბრალოდ წაიკითხე, გეხვეწები. მერე გავჩერდები, გეფიცები. მართლა გავჩერდები. ოღონდ ერთი-ორი კვირა ჩემთან უნდა იყო. ორი კვირა, და ყველაფერი დამთავრდება, გპირდები. მერე გავქრები თუ გინდა. მერე დაბრუნდი, სადაც გინდა, ან ნუ დაბრუნდები. მართლა გეუბნები. ძალიან გთხოვ. შემპირდი, რომ წაიკითხავ ყველაფერს. ამაზე მნიშვნელოვანი რეპორტაჟი ჩემს ცხოვრებაში არ გამიკეთებია. თუმცა ბევრად მეტია, ვიდრე რეპორტაჟი.
− რატომ უნდა წავიკითხო, რატომ?
− იმიტომ რომ ეს შენ გეხება. ორივეს გვეხება.
− ჩემზე აკეთებ რეპორტაჟს?
პასუხი არ გამცა. ხელი გამიშვა, მიტრიალდა და მეც წამოჯდომა შევძელი. მის ზურგს მივაჩერდი. მერე გვერდით მივუჯექი და ცოტა ხანი ჩუმად ვიყავით. საწოლის გვერდით მდგარ არყის ბოთლს ხელი სტაცა და წყალივით მოიყუდა.
− მეშინია, ივო.
− ეს სასჯელი არ არის, თუ ამას გულისხმობ.
არ ვიცი, როგორ ახერხებდა სიმთვრალეში ასე საღად აზროვნებას.
− არაფერს აღარ ვგულისხმობ.
− გულისხმობ, აბა რა. როგორც იქნა, მოგინდა ისევ ტვინის განძრევა.
− წამოვიდოდი, თეო რომ არა...
− დაფიქრდი, აბა, რომელი ჯობია ცოტა ხნით წასული დედა თუ ისეთი დედა, რომელიც გინდ ყოფილა და გინდ არა?
და წამოხტა.
− ეს საქართველო საიდან მოიტანე. რაზე ლაპარაკობ საერთოდ.
− შემპირდი, რა.
− ვერაფერსაც ვერ შეგპირდები.
− შემომხედე. ამით დამთავრდება. ამის მერე შენს ნებაზე ვივლი. სიტყვას გაძლევ. გეფიცები. ზღვის ნაპირზე, მზეში ერთად გატარებულ დღეებს გეფიცები. ყველაფერს გეფიცები. ფარდულში გატარებულ საღამოებს და ბაღში მეკობრეობანას თამაშს გეფიცები.
აივნის კართან მივიდა, გახუნებული ფარდა გადასწია და გარეთ გაიხედა. ქუჩიდან ხმაური შემოდიოდა: ქუჩებისიამოვნებისა და სიხარულის მაძიებელი ადამიანებით იყო სავსე.
− ზოგჯერ ტკიპა მგონია თავი. პატარა ტკიპა რომ არის, ხომ იცი, ბრტყელი. ვიღაცას რომ უნდა მიეწებოს აუცილებლად. ვიღაცის სისხლი რომ სჭირდება თავის გადასარჩენად. იმიტომ რომ ტკიპაა და სხვა არაფერი გააჩნია. ჩასაფრებულია, ტოტზეა აკრული და როცა სისხლის სუნს იგრძნობს კარგი,

ჯანსაღი, წარმატებული, საიმედო სისხლის სუნს როცა ვინმე ჩაუვლის, ზედ დაეცემა, ნეკნებს შორის ჩაუჯდება და წოვს, რამდენსაც შეძლებს, რამდენსაც გაიმეტებს ის ვიღაც მისთვის. სანამ არ დაუძლურდება და თავიდან არ მოიშორებს. პინცეტით არ ამოიძრობს და მიწაზე არ დააგდებს. გამძღარი და კმაყოფილი ტკიპა თავიდან არც კი იძვრის. გდია გასიებული და უსარგებლო და ეშინია, რომ ვერ შეამჩნევენ და აუცილებლად გაჭყლეტენ. გდია ასე და სიკვდილს ელოდება. სანამ ბოლოს ისევ ხეზე არ აბობღდება.
ჩავარიხინე ერთ სუნთქვაზე.
ივო ჩემკენ შემოტრიალებულიყო და გაოგნებული მიყურებდა. ახლოს არ მომკარებია, ცალი ხელი მუშტად ჰქონდა შეკრული და აივნის კართან არაბუნებრივ პოზაში გაშეშებულიყო.
– შენ ტკიპა არ ხარ. რა საზიზღრობას ამბობ, რა საშინელებაა.
– საშინელება? სულ არ არის საშინელება. ასე ვგრძნობ თავს. თითქოს არ ვარსებობ.
– შენ არ ხარ ტკიპა. ეგრე ორივე ვწოვდით ერთმანეთს სისხლს.
– არა, გენაცვალე. შენ წახვედი. შენ იცხოვრე. შენ. უჩემოდ.
– ვინ გყავდა? – ვკითხე ერთი წუთის შემდეგ თითქმის ჩურჩულით და ლოგინზე მივწექი. ლოგინს მისი სუნი ჰქონდა, და სიგარეტის, და ქაღალდის. და კიდევ ქალის სუნამოს უცნაური, მძაფრი სუნი.
– უბრალოდ სექსი მქონდა.
– ასეთი აუცილებელი იყო?
– ზოგჯერ საჭიროა.
– მე რატომ არ დამირეკე?
გაკვირვებულმა შემომხედა, თავი გააქნია და ხელის ფათურით დაუწყო ძებნა თითქმის ცარიელ არყის ბოთლს, რომელიც სადღაც საწოლთან დატოვა.
– იქნებ ჩემთვისაც საჭირო იყო.
– შენთან ასეთი ურთიერთობა არ მაქვს.
– ზოგჯერ მირჩევნია გქონდეს. მარტო ეს და მეტი არაფერი. ეს უფრო მარტივი იქნებოდა ალბათ.
– არა. თუ ასე ძალიან გინდა, შეგიძლია ეს სხვასთან აკეთო.
ბოთლი იპოვა, ბოლომდე გამოცალა და გვერდით მომიწვა.
ასე ვიწექით, მე ჩაცმულ-დახურული, ის კი პირსახოცის ამარა. სასტუმროს თეთრ ლოგინში, ის თავის მხარეს, მე კი ვიღაც ქალის ანაბეჭდზე. უსახელო ქალის, რომელმაც მხოლოდ სუნამოს მძაფრი სურნელი დატოვა.
სახეზე მივეფერე და მისი სუნი შევიყნოსე. არ განძრეულა. ადრეც ხშირად აკეთებდა ასე: უბრალოდ მიყურებდა. ყველა ლოგინში, სადაც ერთად ვწოლილვართ. ხელი მთელ სხეულზე გადავატარე მასთან შეხება საოცრებას ჰგავდა. ცივი და ნამიანი ხელისგულით ვიკვლევდი, ვეძებდი მის სულს, რომელსაც სხეული ყინულივით მკვრივ საფარქვეშ მალავდა. მერე ერთი ხელი აღარ მეყო და მეორეც მივაშველე: ასეთ დროს თვალები არ მჭირდებოდა; ყველა ჩემი გრძნობა ხელებში იყრიდა თავს.
– რა საზიზღრობაა, გული მერევა: ოღონდ ვიღაც იხმარო და მზად ხარ უბრალოდ გაქრე და აღარ გამოჩნდე. ამით რას ამტკიცებ?
მე შენი ქმარი არ ვარო, მითხრა. მშვენივრად იცოდა, რომ ამით წყობიდან გამომიყვანდა.
ავდექი, ტანსაცმელი გავისწორე და წამოვედი.
– ყველაფერს აქ დავტოვებ, რაც გადაწყვეტილების მისაღებად დაგჭირდება, – მომაძახა. თავი გავიქნიე და ლიფტს არც კი დაველოდე, კიბეზე ჩავირბინე.

13

დილის სამი საათი იყო. საწოლზე ვიჯექი შალის პლედში გახვეული. ვიყინებოდი. ავად გავხდი, სიცხემ ამიწია. დამესიზმრა, რომ გალიაში ვიყავი გამომწყვდეული. ვიღაცები მიდი-მოდიოდნენ და მათვალიერებდნენ, თითით აჩვენებდნენ ერთმანეთს ჩემზე. მინდოდა მეყვირა, რაღაც მეთქვა, ამეხსნა, რომ ეს

გაუგებრობა იყო, მაგრამ ხმა არ ამომდიოდა.
ასპირინი დავლიე და თბილი წინდები ჩავიცვი. მერე ისევ საათს შევხედე. ვუყურებდი ანთებულ ციფრებს კომოდზე და თეოზე ვფიქრობდი, მის უდრტვინველ ძილზე, მის შესიებულ ქუთუთოებზე დილაობით, მის სუნზე. როგორ გვიძვრებოდა ხოლმე ღამღამობით ლოგინში, ნახევრად მძინარე, თავგზააბნეული, როცა ცუდი სიზმარი აშინებდა ან უბრალოდ ვენატრებოდით ხოლმე.
ღამე მძიმედ მიიზლაზნებოდა.
ტელეფონი ავიღე და პატარა ღილაკებს მივაშტერდი. გაქვავებულს და არაფრისმთქმელს, რომელთა ერთადერთი დანიშნულება ადამიანების ერთმანეთთან დაკავშირება იყო. და როგორც კი კონკრეტულ ნომერს აკრეფდი, ციფრების კომბინაციას მიუთითებდი, მაშინვე იძენდნენ აზრს და მნიშვნელობას.
თვალები დავხუჭე და ბრმად ავკრიფე უსასრულოდ გრძელი კომბინაცია. დაირეკა. რა დრო იქნებოდა იქ? გათენებული იყო თუ ჯერ ბნელოდა? წვიმდა თუ არა? რას აკეთებდა ახლა? რაზე ოცნებობდა, თუ საერთოდ ოცნებობდა?
– Hellooo?! Jiniie, is that ya? – გაწელა მან აღმოსავლეთ სანაპიროსთვის დამახასიათებელი აქცენტით.
– დედა.
პაუზა. დიდი პაუზა. არავის დაბადების დღე არ ახლოვდებოდა, არავინ აწყობდა ოჯახურ წვეულებას, არავინ იხდიდა იუბილეს. სანამ რამეს ვიტყოდი, უკვე ვიცოდით ორივემ, რომ ამ ზარს სულ სხვა მიზეზი ჰქონდა. გესიმ ამოიკვნესა, მერე კი თითქმის მუდარით თქვა: „სტელა?“
ივოსგან განსხვავებით მისმა გერმანულმა დროს გაუძლო. მკაფიო. ლიტერატურული გერმანული. როცა მშობლიურ ენაზე იწყებდა ლაპარაკს, მისი სიტყვები ლოცვასავით ჟღერდა. ეს მისი წარსულის ენა იყო, მაშინ ის სხვა ქალი იყო. და იმ სხვა ქალის ხსოვნა მან სამარადისოდ შემოინახა.
– ყველაფერი რიგზეა? თქვენთან ხომ შუაღამეა ახლა?
– კი, არა. ისე დავრეკე. ცოტა გაციებული ვარ. ვერ დავიძინე და შენთან დალაპარაკება მომინდა.
– რა თქმა უნდა. მოიცადე, დავჯდები. ახლა შეგვიძლია.
თითქმის სამი წელი არ მყავდა ნანახი. ბოლოს მარკთან და თეოსთან ერთად ვეწვიე. მან თეოს უზარმაზარი პლასტიკის ესკავატორი უყიდა, რომელიც პატარა ძრავით იმართებოდა. თეომ მთელი ბაღი გადაუთხარა იმით.
წარმოვიდგინე, როგორ იჯდა თავის მისაღებ ოთახში. კედლებზე უამრავი სურათი ეკიდა, ჩვენი ბავშვობის სურათები. ჯერ ორი პატარა გოგოს სურათები, რომლებიც მშვენივრად ცხოვრობდნენ და ბედნიერი ბავშვობა ჰქონდათ. როცა ლენი ბალეტზე დადიოდა, მე კი თმა მოკლედ მქონდა შეჭრილი. მერე ადგილი იყო გამოტოვებული კედელზე. გამოფენა მაღალი, აწოწილი ბიჭის სურათებით გრძელდებოდა, რომელსაც წვეტიანი ნიკაპი და მოღუშული მზერა ჰქონდა. მერე კიდევ ორი სურათი ეკიდა. ორივე თულიას ეზოში გადაღებული. ერთზე ლენი ფარდულთან ნიჩბით ხელში და შეშფოთებული მამა. მეორეზე კი მე ნინდორფელ ცხენზე შემომჯდარი. ზოლიან მაისურში პატარა ძუძუები ძლივს იკვეთება, თმები უსიცოცხლო, სახე კი სერიოზული და ეჭვიანი, ასაკისთვის შეუფერებელი. იმ სურათში მხოლოდ ცხენი ჩანდა ბედნიერი.
– მართლა წამოვიდა თავისი ბინიდან გრინვიჩში? რა თქვა, რას ვაპირებო?
– ცოტას დავისვენებ და მუშაობას გავაგრძელებო. რა ხდება, სტელა?
– მენატრები.
პაუზა. უგემური პაუზა.
– მეც მენატრები. რომ იცოდე, როგორ მენატრებით.
– მაშინ ჩამოდი ჩვენთან. ჩამოდი კიდევ ერთხელ.
ამერიკაში გადასვლის შემდეგ მხოლოდ სამჯერ იყო ჰამბურგში. ერთხელ, როცა დედა მოუკვდა, მეორედ, როცა მამა მოუკვდა, და ბოლოს, როცა თავის მოკვლა ვცადე. პირველი ორი ჩამოსვლისას მხოლოდ იმდენი ხანი დარჩა, რამდენიც აუცილებელი იყო; დაკრძალვის მერე დაუყოვნებლად გაემგზავრა. ბოლო ჩამოსვლისას უფრო დიდი ხანი დარჩა. ჩემი პატარა ბინის მოწყობაში მეხმარებოდა და სამი კვირის განმავლობაში სასარგებლო საჭმელს მიმზადებდა.

– მოხდა რამე?
– რა უნდა მომხდარიყო. გამოგვეცხადა და იმდენი ქნა, რომ ერთ წამში შემაზიზღა საკუთარი ცხოვრება. სრულიად გამოშიგნული ვარ.
– რას იზამ, რა მაგის ბრალია.
– აბა, ჩემი ბრალია, დედა? ჩემი ბრალია, არა?
– არა, რას ამბობ. შენი ბრალი როგორ არის. არც არავინ გაბრალებს.
– როგორ არა! მე ხომ ვიცი. რატომ არ გჯერათ? რატომ არ მისმენთ?
– გაჩერდი, სტელა, ეგ არაფერ შუაშია! გახსოვს ის ზაფხული, ივო რომ გადმოვიდა ჩვენთან? თულიამ თავისთან ცხოვრება რომ შემოგთავაზათ? ისწელი იყო, ლენი რომ ძალიან ავად გახდა და...
– კი.
– აგვისტოში სამივე ნიუარკში ჩამოხვედით ჩვენთან. პირველად. თქვენ ორნი. და ივო, რომელიც ხმას არ იღებდა. შენ სულ კუდში დაყვებოდი და უთარგმნიდი, მის მაგივრად ლაპარაკობდი. მხოლოდ შენ გესმოდა მისი. ხომ გახსოვს?
– რა თქმა უნდა, მახსოვს.
– თითქოსსულ არ გაწუხებდა, რომ არაფერს ამბობდა. მაინც გესმოდა მისი. ერთხელ გაწვიმდა. თქვენ გარეთ თამაშობდით. შენ და ივო. ივო დავარდა და მუხლი გადაიტყავა. არ გახსოვს? შენ კიბეზე იჯექი და ტიროდი. ივო უკვე სახლში იყო და გამოვედი, გკითხე, რა გატირებს, აქ მარტო რატომ ზიხარ-მეთქი, და იცი შენ რა მიპასუხე?
– არა.
– ისე შემომხედე, თითქოს გაგიკვირდა, ამას რა შეკითხვა უნდაო. ივომ მუხლი იტკინა და თვითონ ხომ არ შეუძლია ჩივილი, რაკი ხმა არ აქვსო, ამიტომ მე ვაკეთებ ამას მის მაგივრად, ჭრილობა რომ მალე მოურჩესო, ასე მიპასუხე. ეს არასოდეს დამავიწყდება.
ივოს ჭრილობა სულ აღარ მახსოვდა, მაგრამ როგორც კი გესიმ მიამბო, მაშინვე რაღაც შორეული, ყრუ ტკივილი ვიგრძენი. თვალები დავხუჭე. ღამე ისეთი ხმაურიანი აღარ მეჩვენა. და აღარც ისეთი ცხელი.
– ამ პასუხმა იმდენი რამე გამაგებინა. ივო ყოველთვის მიყვარდა, მაგრამ თან მაშინებდა, იმიტომ რომ იმას მაგონებდა... შენმა პასუხმა კი დამანახა, რომ სიბინძურეშიც კი შეიძლება არსებობდეს ასეთი სილამაზე, ასეთი საოცარი გრძნობა. – ხმა აუკანკალდა, მაგრამ ვიცოდი, რომ არ იტირებდა.
– ვიფიქრე, იქნებ არც ისე ცუდადაა-მეთქი ყველაფერი, გაივლის-მეთქი, ვიფიქრე. რაკი შენ... რაკი ერთ ჩვენგანს მაინც აღმოაჩნდა ასეთი გრძნობის უნარი. – ბოლომდე ვერ მივხვდი, რას გულისხმობდა, მაგრამ მომეწონა. მის თბილ ხმას მივენდე და სიცხისგან გათანგულს როგორც იქნა ჩამეძინა.
თეო უხასიათოდ იყო და ჯუჯღუნებდა. მარკმა მანქანით მოიყვანა და კართან ჩამოსვა. თვითონ არ ამოვიდა. თეოს დააბარა, რომ ოთხშაბათამდე გერმანიაში არ დაბრუნდებოდა, თუმცა უკიდურეს შემთხვევაში მასთან მობილურით შესაძლებელი იქნებოდა დაკავშირება. თეოს მოვეფერე და გავეხუმრე. მაგრამ ის აიმრიზა და შევატყვე, რომ ნაწყენი იყო ჩემზე. ჩემმა უარყოფითმა პოზიციამ ძაღლთან დაკავშირებით ალბათ უსიამოვნება გამოიწვია მარკის ოჯახში. კიდევ კარგი, ასე მაინც ვიგრძენი თავი ოჯახის ნაწილად.
საღამოს ისევ ასპირინი დავლიე, თეოსთან ერთად პაზლი ავაწყვე და რაღაც წიგნს მოვუსმინე. არაფერი უკითხავს. შვილთან ყოფნა, სიმშვიდე და ნორმალურობის პატარა ილუზია ბოლომდე შევირგე.
მეორე დღეს რედაქციაში წავედი და ბოდიში მოვიხადე; სამშაბათამდე სტატიის ჩაბარებას დავპირდი და არქიტექტორის საქონტაქტო მონაცემები წამოვიღე. მერე ლინას დავურეკე, დიდი ხნის უნახავ მეგობარს, რომელიც სპორტულ გაზეთში მუშაობდა, ერთადერთი ქალი იყო იქ. ჩვენ კინოში წავედით, მისი ქალიშვილი და თეო კი ლინას ქმარმა დაიტოვა. ბოლოს ღვინოც დავლიეთ იტალიურ რესტორანში.
ლინას ვუსმენდი და კარგ ღვინოს ვსვამდი. თითქოს ყველაფერი ძველებურად იყო.
სახლში რომ დავბრუნდით, თეო დავაწვინე. დაველოდე სანამ ჩაიძინებდა და მკლავები მაგრად დავუკოცნე, ივნისის ატამივით რბილი მკლავები. მერე თითის

წვერებზე გავედი ჩემს სამუშაო ოთახში და უხალისოდ შევუდექი ბეჭდვას. თან გეგმებს ვაწყობდი, როგორ გავუმზადებდი სადილს მარკს, როცა დაბრუნდებოდა. ღამის პირველ საათზე კარზე კაკუნი გავიგონე. ზარი კი არა, კაკუნი, და თავიდან ვიფიქრე, მომეჩვენა-მეთქი. მაგრამ მაინც მივედი კართან ფრთხილად და მივაყურადე. ისევ გაისმა კაკუნი და უკვე მივხვდი, რომ ივო იყო.
მაშინვე გავაღე კარი. წვიმა მოდიოდა და თმიდან წურწურით ჩამოსდიოდა წყალი.
– გაგიჟდი? აქ რა გინდა? თეოს გაეღვიძება.
– ამიტომაც დავაკაკუნე.
– ხომ შეიძლებოდა მარკს...
– არ გინდა. ვიცი, რომ აქ არ არის.
– რა უფლება გაქვს ასე მომადგე, როცა მოგეპრიანება!
– ეს შენ. ასლები გავაკეთე, რომ შენც გქონოდა. დარწმუნებული უნდა ვყოფილიყავი.
ქაღალდის პარკი შემომაჩეჩა ხელში, შიგნით რაღაც მაგარი იდო.
– სად მიდიხარ? – მივაძახე სასოწარკვეთილმა, ჩურჩული სადღა მახსოვდა. მოტრიალდა და ჩაბნელებული სადარბაზოდან ამომძახა:
– ხვალ მივფრინავ.
– მიფრინავ?
– გელოდები. ყველაფერი მანდ არის. დამირეკე და დაგხვდები. ბილეთსაც მე აგიღებ.
გავიგონე, როგორ ჩაირბინა კიბეზე, მისი ქუსლების ექო გავიგონე. მერე გაშეშებული ვიდექი კართან და ველოდი როდის დაიძვრებოდა მანქანა, მაგრამ ვერაფერი გავიგონე. ვიფიქრე, ქვემოთ რამდენი ხანი უნდა მდგარიყო-მეთქი და ჩემი ფანჯრებისთვის ეთვალთვალა, სანამ დარწმუნდებოდა, რომ მარტო ვიყავი? შევკრთი. კარი მივხურე და გასაღებიორჯერ გადავატრიალე საკეტში.
სამზარეულოში ერთი ბოთლი წითელი ღვინო ვიპოვე. გავხსენი, ჭიქაში დავისხი და დივანზე დავეგდე. უცებ მივხვდი, რომ არ ხუმრობდა, მართლა მიდიოდა, ქრებოდა ჩემი ცხოვრებიდან. როგორც კი ამ აზრის შეკოწიწება მოვახერხე, აივანზე გავვარდი და ქვევით ჩავიხედე. ბნელოდა, ცრიდა. მინდოდა დამეძახა, მაგრამ უკვე აზრი აღარ ჰქონდა. შევბრუნდი. ჩემი სხეული უფუნქციო მასად იქცა. ვიჯექი და საკუთარ სუნთქვას ვუსმენდი. თითქოს სხვა აღარაფერი დამრჩენოდა.
მერე გვერდით სველი პაკეტი დავინახე. მუხლებზე დავიდე და მოვეხვიე. წვიმისგან გამძაფრებული მისი სუნი ცხვირში მიტრიალებდა. კინაღამ ცუდადგავხდი. ხელი ჩავყავი პაკეტში და რეზინით შეკრული სქელი მწვანე საქაღალდე ამოვიღე. ზედ „ლადო“ ეწერა. იქიდან ასაკოვანი, პირქუში მამაკაცის ფოტო გადმოცურდა. ჭიქა დავცალე და ძლივს შევიკავე თავი, რომ ქუჩაში არ გავვარდნილიყავი და მისი ძებნა არ დამეწყო; ისე მინდოდა ამეხსნა მისთვის, რომ არ უნდა წასულიყო, არ უნდა გამქრალიყო. რომ არ ჰქონდა უფლება წასულიყო და მოსულიყო, როცა მოუნდებოდა. ჩემი სიცოცხლე კი ამ ორ პოლუსს შორის გამოემწყვდია – მხოლოდ ეს ერთი ბეწო დრო მოეცა ჩემთვის მის მოსვლასა და წასვლას შორის.
თეოს ოთახში შევიპარე და გვერდით მივუწექი. ისე მშვიდად ეძინა, ისე უდარდელად. ზურგზე მოვეხვიე, მუხლები მოვხარე და მოვიბუზე, მის სხეულს მოვერგე. ვცდილობდი, არ მეტირა; ვცდილობდი, არ მიმეტოვებინა.
მარკის ჩამოსვლამდე დარჩენილი დღეები სრულიად აუღელვებელი ვიყავი. ვწერდი სტატიას, ვყიდულობდი რაღაცებს, დამყავდა თეო სკოლაში და ფეხბურთზე. ვიღაც ბავშვის დაბადების დღეზეც მივიყვანე. თავიდან სულ არ უნდოდა. ბოლოს დავარწმუნე და წამომყვა, თეთრ პერანგში გამოწყობილი და ზოოპარკის სასაჩუქრე ბილეთით ხელში. ერთხელ ჩემს დასთან ერთად ვისადილე. თავის შვილებზე ლაპარაკობდა გაუთავებლად და რჩევებს მაძლევდა ჩემს შვილთან დაკავშირებით. ლანძღავდა მამას და ჰანას, რომელსაც ვერაფრით შეეგუა, ისევე როგორც თითქმის ვერც ერთ ქალს მამას გვერდით; მიაჩნდა, რომ მამას ღირსი არც ერთი არ იყო. დაჭიმული სვამდა ესპრესოს და ყურადღებით აკვირდებოდა თავის მოკლე და სუფთა ფრჩხილებს. მისი ხმა თანდათან კაფე „პარიზის“ სიღრმეში ჩაიკარგა, სიტყვები კი ისე დაიშალა, როგორც ქიმიური

შენაერთი სინჯარაში.
– სტელა!
საჩვენებელი თითით მის ხელს ვეხებოდი და ვცდილობდი გამეხსენებინა, როგორი იყო ადრე, დიდი ხნის წინ. რატომღაც გული ამიჩუყდა. ვიგრძენი, როგორ დავბერდი, და როგორი ბანალური მომავალი მელოდა უსიცოცხლო და უაზრო.
– რას აკეთებ?
მკვეთრად გასწია გრილი ხელი.
– ვიხსენებ.
– რას?
– როგორი იყავი მაშინ, როცა ნამდვილი იყავი.
– ახლა ეს როგორ უნდა გავიგო?
– თულიასთან, ზღვის პირას. ადრე ლამაზი იყავი. და არ იყავი ასეთი მკაცრი. უბრალოდ ბობოქრობდი, სიცოცხლე გწყუროდა. ლამაზი კაბები გქონდა და ყველაფრის დასაბუთება შეგეძლო. ცოტა სევდიანიც. ბახით გატაცებული. შენი ოთახიდან სულ ეს მძიმე მუსიკა გამოდიოდა. ზოგჯერ კართან ვიდექი და ვუსმენდი ხოლმე. ჩემზე უკეთესად ცურავდი. სულ ადრე კი პატარა თავნება პრინცესა იყავი და ნერვებს მიშლიდი. მაგრამ მაინც შენ იყავი. და არა ის ლენი, ახლა რომ ხარ.
ისე მიყურებდა, თითქოს რაღაც გაუგებარ ენაზე ველაპარაკებოდი. სახე მოეღუშა და ტუჩები მაგრად მოკუმა.
– მიქარავ რაღაცას. ჯობია ნამცხვარი შევუკვეთოთ, აქ შესანიშნავ ვაშლის ღვეზელს აცხობენ. – და მიმტანს ანიშნა.
მე ბრძოლაში ჩავები და უკან დახევას არ ვაპირებდი.
– უცხო გახდი ჩემთვის. მე კი შენთვის. საკუთარ თავსაც ვეღარ ვცნობთ, მგონი.
– ნუ დაიწყე ახლა ფილოსოფოსობა!
– ეს ფილოსოფოსობა არ არის, ეს სიმართლეა!
– ეს უაზრობაა. და ამ უაზრობაზე კამათს არ ვაპირებ! გირჩევნია შეეგუო იმას, რომ წავიდა. და ისწავლო წერტილის დასმა, თორემ დედასავით დაამთავრებ.
– დედამ სწორედაც რომ შეძლო რაღაცაზე უარის თქმა. ის გააკეთა, რასაც შენ ჩემგან მოითხოვ: წერტილი დაუსვა. და რა მოიგო?
– სარკეში ჩაიხედე და დაინახავ, სადამდე მიგიყვანა! ხომ ვამბობდი, ვეუბნებოდი თულიასაც და მამასაც: საკმარისია ივო დაბრუნდეს და სტელა ისევ ცხვირს მოიმტვრევს-მეთქი. ასეც ვიცოდი. იმიტომ რომ ძალიან ლაბილური ხარ. თუმცა მესმის შენი, ძალიან კარგად მესმის. გადასარევი ნამცხვარია, არ გინდა გასინჯო? ან სხვა ნამცხვარი...
– სულაც არა ვარ ლაბილური. და ნუ მექცევი ისე, თითქოს შველა მჭირდება.
– იმ ყველაფრის მერე. როგორ არ გესმის. კარგი, რა. უხერხულია, სხვა თუ არაფერი. და რაში გჭირდება ეს გაუთავებელი ლაპარაკი წარსულზე როგორები ვიყავით, როგორი ხალისიანები და როგორი ლაღები, და რა? რას მიაღწევ ამით? ჩვენი ბავშვობის არ იყოს. ჩვენ არანაირი ბავშვობა არგვქონია, შეიგნე, რა! აღიარე, ბოლოს და ბოლოს! თუ არადა, წადი და იმკურნალე. სხვათა შორის ძალიან კარგ ფსიქოთერაპევტს ვიცნობ, და შემიძლია...
– შევეცი შენს ფსიქოთერაპევტს!
ლენი შეწუხებული მომაჩერდა.
– კარგი, კარგი. რა მოხდა? რა დაგემართა? რა უნდა შენგან?
– არ მჭირდება ეს შენი მოწყალება. ნუ წუხდები, მე არ წავქცეულვარ და სულ არ ველი შენს თანაგრძნობას.
– ღმერთო ჩემო, რა უმადური ხარ!
– წავედი. შეგიძლია ჩემიც გადაიხადო.
პასუხის გაცემა არ ვაცადე და მაგიდას მოვშორდი.
რამდენიმე თვე გავიდა ივოსთან გატარებული ღამის მერე. იმ ღამის,რომლის კვალის წაშლას ამაოდ ვცდილობდი: ოღონდ არა იმიტომ, რომ სინდისი მაწუხებდა. ეს ღამე თითქოს გარდაუვალი იყო, თითქოს სხვა გზა არ მქონდა, ბედს უნდა დავმორჩილებოდი.
მერე და მერე უფრო დავეჭვდი. ივოსგან ბევრს არაფერს ველოდი. მხოლოდ ცოტა

მეტ თანადგომას, ჩვენი საერთო საიდუმლოს ხათრით. მაგრამ ის ისევე გაუჩინარდა, როგორც წლების წინ. თვალუწვდენელ მსოფლიოს მიაშურა, რომელსაც ერთი სული ჰქონდა, ივო როდის დაიპყრობდა. მაშინაც ასე წავიდა, როცა ლაპარაკი დაიწყო ისევ და ამით ბოლო მოუღო ჩემს აუცილებლობას; როცა ჩემი სიტყვები აღარ დაჭირდა თავის გადასარჩენად.
ყოველთვის ასე ანგარიშგაუწევლად ქრებოდა, წამითაც არ ფიქრობდა ჩემზე. მისი გაუჩინარება ყოველთვის დაუნდობელი იყო და სრულყოფილი.
მიუხედავად დაბინდული გონებისა, ერთი რამ მაინც ნათელი იყო ჩემთვის: არავითარ შემთხვევაში აღარ უნდა ჩავვარდნილიყავი აპათიაში, როგორც მისი წინა გრანდიოზული გაუჩინარების შემდეგ დამემართა. ამიტომ პირიქით მოხდა
მონატრებამ ისე დამქოქა, რომ ერთ ადგილზე ვეღარ ვჩერდებოდი. დარდისგან გაშმაგებული განათლებას დავეწაფე. აბისთან ერთად ევროპის ქალაქებში ვმოგზაურობდი, ბევრს ვკითხულობდი, ვსწავლობდი და ვტკბებოდი ცხოვრებით, როგორც შემეძლო. როგორც მახსოვს, ცოტა მეძინა, იმიტომ რომ ძილი დროის ფლანგვად მიმაჩნდა. აღმოჩნდა, რომ ჩემს აზრებს აფასებდნენ, და მეც ამაყად დავქროდი აქეთ-იქით ბერეტსა და ვიწრო კაბაში რევოლუციონერივით.
ინტენსიურად დავიწყე წერა. ვწერდი ესეებს, ვინიშნავდი ნებისმიერი აზრის ყოველ ნაკუწს, რომ რამდენიმე დღეში სტატიად მექცია. სტუდენტურ გაზეთს ფორმა მივეცი, სრულიად გარდავქმენი. აბი ვეღარ მეწეოდა, სულ უფრო სევდიანი, უხალისო და უჟმური მეჩვენებოდა.
ერთ დილას სარკის წინ ვიდექი და ვიცვამდი. უნივერსიტეტში წასასვლელად ვემზადებოდი. სტუდენტური გაზეთის რედაქციის კრება მქონდა, რომლის ხელმძღვანელობაც ივოს მიუნჰენში გამგზავრების შემდეგ გადავიბარე. აბი უკან დამიდგა და მკერდზე მომკიდა ხელი. ფანჯრის რაფაზე მოკალათებული ქსერქსე კრუტუნებდა და დილის მზეს ეფიცხებოდა. აბის სარკეში ვუყურებდი, მის ხელს ჩემს მარცხენა ძუძუზე. ასე მეგონა, რომ კანი გამაძრო და სისხლიან სხეულში ჩემს გულს ეპოტინებოდა.
დილას ივომ ისე აუღელვებლად დამაბრუნა ჩემს ველოსიპედთან, თითქოს ის ღამე არც კი ყოფილიყო. ზუსტად იმ ადგილას აღმოვჩნდი, სადაც წინა დღეს ერთმანეთს შევხვდით. მსუბუქად მაკოცა ლოყაზე და ასე გამომემშვიდობა. ამის მერე აღარაფერი მსმენია მისგან.
აბი სულ უფრო და უფრო მაგრად მიჭერდა ხელს. ვიყვირე და მოვშორდი.
– მეტკინა, აბი.
– მინდოდა მიახლოებით მაინც გეგრძნო.
– რა მეგრძნო?
მაშინღა შევამჩნიე, როგორი მოღუშული სახე ჰქონდა და გაბზარული ხმა. საწოლის კიდეზე ჩამოჯდა და დაკუჭული ქაღალდის ნაგლეჯი გამომიწოდა. დავიბენი. ისე ახლოს აღარ ვიყავით ერთმანეთთან, როგორც ადრე, მაგრამ არ ვჩხუბობდით მაინც და ჩემ მიმართ აგრესიულიც არასოდეს ყოფილა; ღიად ლაპარაკს გაჩუმება ერჩია. ამიტომ თავიდან ვერც მივხვდი რას მიკითხავდა:
„სულ შენს სხეულზე ვფიქრობ და ვერ გიტან. იმიტომ რომ შენია ეს სხეული. საზიზღრად მექცევიო, მეუბნები. ალბათ ასეცაა. ალბათ არ მინდა, რომ უფრო მივეჯაჭვოთ ერთმანეთს, ისედაც მიჯაჭვული ვართ. ალბათ შენ მართალი ხარ და არ უნდა გინდოდეს, რომ ვიღაც სხვა იყო. მე პასუხები არ მაქვს, შენ კი სწორედ ამას მოითხოვ ჩემგან და ეს მაცოფებს. ზარმაცი ხარ, იმიტომ რომ გეშინია. მე შენგან მეტს ველი. იმ დღის გათვალისწინებით, როცა მე და შენ ისეთები გავხდით, როგორებიც ვართ. ვერ ვიტან შენს სიზანტეს. მაგრამ მთავარი, რაც მინდოდა მეთქვა, ისაა, რომ ძალიან ლამაზი ხარ. როცა ამაზე ვფიქრობ, უსუსური ვხდები. ამის უფლება არ მაქვს.
მინდა, რომ მესტუმრო. თუმცა არა, რა დასამალია მინდა, რომ მოხვიდე და დაწვე ჩემთან. ივო.“
აბის გაჩერება არც კი მიცდია. ვუსმენდი, განაბული ვუსმენდი ყოველ სიტყვას და დამავიწყდა კიდეც, რომ აბი მიკითხავდა ამას. დამავიწყდა, რომ ეს სიტყვები მას არ ეკუთვნოდა.
– საიდან გაქვს ეს წერილი?
– მარტო ეს არის, რისი თქმაც შეგიძლია?

– როგორ მოხვდა შენთან?
– გესმის საერთოდ, რა წერია აქ? თუ იმდენად უსინდისო ხარ, რომ შენთვის სულ ერთია? მთავარი ის კი არ არის, როდინდელი წერილია, ან მე რატომ მაქვს ეს წერილი, არამედ ის, რომ შენი ძმა გწერს ასეთ რამეებს!
– გაჩერდი!
აბის ცრემლი მოადგა. ზიზღით მიყურებდა, გაოგნებული და დამფრთხალი. როგორ უნდა ამეხსნა მისთვის, რა უნდა მეთქვა? კარი გაიჯახუნა. დახეული ფურცელი ავიღე და კიდევ რამდენჯერმე წავიკითხე ივოს წვრილი, მოუქნელი ხელით დაწერილი სიტყვები. მთელი სახლი გადავატრიალე, მაგრამ კონვერტი ვერსად ვიპოვე. ამიტომ ვერ გავიგე, როდის იყო წერილი გამოგზავნილი და საიდან. თულიას დავურეკე. იმის იმედით, რომ მე და ივო,ბოლოს და ბოლოს, შევრიგდებოდით, მაშინვე მითხრა მისი მისამართი.
აბი ელოდა, რომ ბინიდან გადავიდოდი. თანდათან მისი დაკარგვის შიშმა ამიტანა: მისი მეგობრობის, მასთან სიახლოვის, მისი თანადგომის, მისი სიმშვიდის დაკარგვის შიშმა. აბის უნდოდა, რომ ამეხსნა მისთვის, ბოდიში მომეხადა; არ ვიცი, მაპატიებდა თუ არა როდისმე, ყველა მსხვერპლი რომ გამეღო, რასაც ჩემგან მოითხოვდა. მაგრამ მე არც კი მიცდია მისი სურვილების ასრულება, ამიტომ სულ აიცრუა ჩემზე გული. თუმცა, რაც სათქმელი მქონდა, ის კიდევ უფრო დამაშორებდა მისგან. ჩემი ყოველი სიტყვა კიდევ უფრო მეტ სიძულვილს გამოიწვევდა მასში. მე კი ამის ატანა არ შემეძლო.
ქსერქსე ჯერ კიდევ ჩემთან იყო, ამიტომ მთელი სიცხადით და სიმწვავით ვერ ვგრძნობდი, რომ მარტო დავრჩი.
ქუჩას გადავხედე, სადაც ბედნიერი ადამიანები მიდი-მოდიოდნენ. ისე გამაღიზიანა მათმა ბედნიერებამ, რომ ავიღე და პირდაპირ ვიღაც ორ გამვლელს გადავაფურთხე ფანჯრიდან. და ჩავიცუცქე დავიმალე. შერცხვენილი, მაგრამ კმაყოფილი ბავშვივით.
მერე საძინებელში გავედი, სწრაფად ჩავალაგე პატარა სპორტული ჩანთა, ქსერქსე თავის პატარა კალათში ჩავსვი და ავტობუსით წავედი სადგურში. დაუსრულებელი მგზავრობის შედეგად, გაგიჟებულ კატასთან ერთად მიუნჰენში ჩავედი. ქარს მტვრის კორიანტელი დაეყენებინა. ქალაქს სულ არ ვიცნობდი და ძალიან საწყალი ვიყავი. ტაქსი გავაჩერე და ივოს სახლისკენ გავემართე. დამამტკიცებელი საბუთით ივოს წერილი და მისი მისამართი, რომელიც თულიამ მომცა, ხელში მეჭირა. თულიამ ის გვარიც მითხრა, სადაც ზარი უნდა დამერეკა. ალბათ საერთო საცხოვრებელია-მეთქი, ვიფიქრე. 50-იან წლებში აშენებული უღიმღამო შენობა იყო. რუხი და ჩვეულებრივი. ივოს ვერაფრით დავუკავშირე.
ზარი დავრეკე. მაშინვე გავიგონე ქალის ხმა.
– ვინ გნებავთ?
– ივოს ვეძებ. მე სტელა ვარ.
– ვინ?
– სტელა.
– ა, ახლა არ არის, მაგრამ ამოდი თუ გინდა.
გაქცევა მომინდა, მაგრამ მაინც ავედი, ძაღლივით კუდამოძუებული, ქსერქსეს კალათჩახუტებული.
კარი მაღალმა მუქთმიანმა გოგომ გამიღო. ზრდილობიანად გამიღიმა და შემიპატიჟა; ლილი მქვიაო, გამეცნო. სრულიად ჩვეულებრივი ბინა, მწირი ავეჯი, არავითარი სიმყუდროვე, სიცოცხლის ნიშანწყალიც კი არ აჩნდა. ვერაფრით წარმოვიდგენდი, რომ ივო იქ ცხოვრობდა. ის ხომ ყველგან თავის კვალს ტოვებდა, თვალშისაცემ, მძიმე ანაბეჭდებს. სამზარეულოში დავსხედით და უხერხულობისგან თავის დასაძვრენად ქსერქსეზე დავიწყეთ ლაპარაკი, რომელსაც, როგორც იქნა, ეღირსა კალათიდან გადმოსვლა და რაღაცის ჭამა.
– მისი მეგობარი ხარ ჰამბურგიდან?
– მისი და ვარ.
ყველაზე მეტად ეს განსაზღვრება მძულდა. „ოღონდ ნამდვილი არა“ – მივამატე, თითქოს ეს უშველიდა საქმეს და ცოტა მეტ თავისუფლებას მომცემდა.
– რატომ თავიდანვე არ მითხარი, კინაღამ ვიეჭვიანე, – აშკარად ამოისუნთქა

ლილიმ. – მალე დაბრუნდება სახლში, შეგიძლია აქ დაელოდო.
ვიწრო თეძოები ჰქონდა და სავსე ტუჩები. გადამეხვია, როგორც შეყვარებულის დას. ავწითლდი და თავი დავხარე. ორი საათი ვუსმენდი, როგორი აღფრთოვანებული იყო ივოთი და როგორი გახარებული ჩემი სტუმრობით. ივო ისე ცოტას ლაპარაკობს თავის თავზე და თავის ოჯახზეო. ეს პრინციპში ჩემი ბინაა‌ო. ივო მაინც არ ჩერდება ერთ ადგილზეო. ახლა ჩემთან ცხოვრობს, იმიტომ რომ ერთი-ორი თვის წინ საერთო საცხოვრებლიდან გამოაგდესო, მიუნჰენში კი ბინები ძვირიაო; მაგრამ ივო ძალიან კარგად ართმევს ყველაფერს თავს და მაგარ რამეებს წერსო, ძალიან თამამი და რადიკალურია და დიდებულ კარიერას უწინასწარმეტყველებენ ჟურნალისტიკაშიო. კინაღამ გული შემიწუხდა ამდენი ქება-დიდებით. შიგადაშიგ აბაზანაში გავრბოდი და ცივი წყალს ვუშვერდი თავს.
თითქმის შუაღამე იყო, როცა გასაღების გადატრიალება, კარის გაღება და ფეხის ბრაგუნი გავიგონე. სანამ ეშხიანი ლილი ჩემს მისვლას მიახარებდა, ის უკვე შუა სამზარეულოში იდგა და სახტად დარჩენილი მოგვჩერებოდა მე და ქსერქსეს, დამფრთხალი რომ მოკუნტულიყო ჩემს მუხლებში. ივომ ერთი ნაბიჯით უკან დაიხია, შემცბარმა გაიღიმა, მერე კი ხმამაღლა ახარხარდა.ცოტა მოსუქებულიყო. ისე ჯანმრთელი და ლაღი მეჩვენა, თითქოს კი არ დააბიჯებდა ამ ქვეყანაზე, არამედ წვრილ, აბრეშუმის ძაფზე დასრიალებდა დიდოსტატი აკრობატივით, ვირტუოზულად და გრაციოზულად. მე კი თითქოს ისევ ჩამომართვეს იქ ყოფნის უფლება, ისევ შეუმჩნეველი და უმნიშვნელო გავხდი. და მაშინვე ვინანე, რომ მივედი, ვიგრძენი, როგორ მძულდა ის ამის გამო. ასეთი ბრძოლით მოპოვებული და ძლივს თავიდან შეძენილი ჩემი თავდაჯერებულობა თვალსა და ხელს შუა ქრებოდა.
უხერხული სიჩუმე ჩამოვარდა. ეს ლილიმაც კი იგძნო. რაღაც სისულელეების ტლიკინი დაიწყო, წამდაუწუმ ეუბნებოდა ივოს, თუ როგორი გახარებული იყო ჩემი გაცნობით.
შემდეგი ერთი საათის განმავლობაში ივომ მოახერხა და შეაგნებინა გოგოს, რომ უმჯობესი იყო მის მეგობართან გავჩერებულიყავი. იქაურობა უფრო მოწესრიგებულიაო, თან ცოტა ხანი მარტო ვიქნებითო, ოღონდ მერე ერთადაც წავალთ სადმე აუცილებლადო. ლილი იმედგაცრუებული ჩანდა, მაგრამბოლოს მაინც გაგვიშვა.
ქუჩაში გავედით, შემოდგომის ბნელ ღამეში. მე სახლის ცივ კედელს მივეყრდენი, ქსერქსეს კალათჩახუტებული და ღრმად შევისუნთქე. ასე მეგონა, დავეცემოდი.
– აქ როგორ გაჩნდი? საიდან გაქვს ეს მისამართი? – მკვახედ მკითხა ივომ.
ლაპარაკის თავიც არ მქონდა. წერილი ამოვიღე და გავუწოდე.
– ეს საუკუნის წინ გამოგიგზავნე და ზედ სხვა მისამართი იყო.
– აბიმ გახსნა.
ხმა არ ამოუღია, მომიახლოვდა და დამაკვირდა. დიდხანს მიყურა ასე გაშეშებულმა, თვალი არ დაუხამხამებია.
– კარგი. წავედით აქედან.
ტელეფონის ჯიხურთან მივიდა, ვიღაცას დაურეკა. მერე მის მოპედზე დავჯექით. მე ქსერქსეს კალათი მუხლებზე დავიდე, ცალი ხელით ზურგზე მოვეჭიდე. და წავედით.
ივოს კვალი ქალაქგარეთ, რომელიღაც ძველი სახლის პატარა ოთახში აღმოვაჩინე: უამრავი წიგნი, ბლოკნოტები, მოფანტული ტანსაცმელი, გასარეცხი ყავის ჭიქები, კასეტები და თულიას ახალგაზრდობის დროინდელი ფოტო, რომელიც ნანახი არ მქონდა.
– ჩემი მეგობრის ბინაა; ერთ ოთახს ვქირაობ. მაგრამ ძალიან შორია და ზოგჯერ ღამით მიჭირს ხოლმე დაბრუნება. – თითქოს მოიბოდიშა. ასე მეგობრულად პირველად მომმართა იმ დღეს. აღელვებისა და შიშისგან დაქანცულმა ქსერქსემ რომელიღაც კუთხეში მიიძინა მისვლისთანავე.
ივომ ყველი და პური მომცა და სამზარეულოდან ლუდი გამომიტანა. ერთი ყლუპი მოვსვი თუ არა, ალკოჰოლი ბომბივით ამიფეთქდა გატანჯულ ტვინში. ლეიბზე გულაღმა დამხობილი ერთხანს მკლავს ვუხახუნებდი შიშველ კედელს. ის კი ჩემ გვერდით იჯდა და დამყურებდა. ვხედავდი, როგორ მერყეობდა. თითქოს ვერ გადაეწყვიტა, ჟინს აყოლოდა თუ შიშს დამორჩილებოდა, რომელიც მასთან ზიზღს

უფრო ჰგავდა. მერე გვერდით მომიწვა და მომეხვია. ცოტა ხანი ასე ვიწექი გაუნძრევლად. დაძაბულობისგან, გულისრევისგან, ვნებისგან გაშეშებული. მერე მაგრად ჩავეკარი და პირზე დავეწაფე.
– ზარმაცი და ზანტი გგონივარ. გგონია პასუხები მინდა შენგან, – ვჩურჩულებდი და ტანზე ვხდიდი, ის კი მკოცნიდა. მაინც ვერ ვიჯერებდი, რომ მის სხეულს ვგრძნობდი ისევ. პირზე ხელი ამაფარა და ყელზე მიკბინა. მეტკინა, მაგრამ ტკივილმა უფრო აღმაგზნო. ქვევიდან ავეწებე, მივეტმასნე, და დრეკად მავთულად ვიქეცი. ქსერქსეს თვალები დავინახე, სიბნელეში რომ მომჩერებოდა; გამაზრიალა, მომეჩვენა რომ აბი მიყურებდა. წამოვჯექი და ივოს გაოფლილ სხეულს დავაკვირდი.
– შენი შეყვარებულია? – ვკითხე. თვალები დახუჭული ჰქონდა.
– უბრალოდ მეგობარია.
– რომელთანაც წევხარ?
– ზოგჯერ.
– გიყვარს?
– დამცინი?
– რა იყო, არ გეკადრება სიყვარული?
– მეკადრება, მაგრამ არ მიყვარს.
– საერთოდ არავინ?
– სისულელეებს ნუ მეკითხები.
– შენთან მინდა.
– ხომ იცი, რომ ეს შეუძლებელია.
– ასე რამ შეგაშინა? ფრანკის გეშინია თუ თულიასი?
– სულ არ მეშინია. და თუ მეშინია, ალბათ ისევ საკუთარი თავის.
– რატომ?
უცებ წამოჯდა. ზეწრით ოფლი მოიწმინდა შუბლიდან და ახლოს მომიჩოჩდა. ხელი მომხვია, სახე ჩემს ყელში ჩარგო და ყურში მიჩურჩულა:
– მომისმინე. ვეცდები აგიხსნა, კარგი? და შენ ყველაფერს გაიგებ. იმიტომ რომ შენ შენ ხარ და უნდა გაიგო. სხვა არჩევანი არც გაქვს. უბრალოდ უნდა მოინდომო.
ისე მელაპარაკებოდა, თითქოს პატარა ბავშვი ვიყავი. თითქოს გაღიზიანებას უმკლავდებოდა და თავს ძალას ატანდა, რომ განემარტა ჩემთვის: მოთმინებით და რამდენადაც შეეძლო, მარტივად.
– რაც მოხდა, მოხდა. და ისე მოხდა, რომ იმ დროს ორივე იქ ვიყავით. შენ იყავი იქ. თვალის დახამხამებაც ვერ მოვასწარით, ისე გავიზარდეთ. იმიტომ, რომ იმ წუთებში, იმ დღეს ჩვენ გადაწყვეტილების მიღება მოგვიხდა. იმისთვის, რომ თავი გადაგვერჩინა, თუმცა მაშინ ეს არ გვესმოდა. მონეტაც ხომ მხოლოდ ერთ გვერდზე ეცემა. ორი მხარე კი აქვს, მაგრამ არა ერთად, ერთდროულად.
დაახლოებით ასე დაგვემართა მე და შენ: შენ მარჯვენა მხარე აირჩიე, მე მარცხენა, ან პირიქით, სულ ერთია. ორივე საბოლოოდ ერთი პუნქტისკენ მოვისწრაფვით, ოღონდ არა პარალელურად. სხვადასხვა მიმართულებით უნდა ვიაროთ, რომ იმ დანიშნულების ადგილს მივაღწიოთ, გესმის? სწორედ ეს მოხდა მაშინ. და ასეც უნდა იყოს. მე ვერასოდეს ვიქნები გულგრილი შენ მიმართ. საერთოდ, როგორ მოგდის ეს აზრად. შენ მე სიკვდილს გადამარჩინე იმ დღეს, და თან სიცოცხლე დამინგრიე. ესაა საქმე. ასე მოხდა. შენ რომ არა, მე გადაწყვეტილებას არ მივიღებდი. შენ რომ არა, მე აღარასოდეს ამოვიღებდი ხმას.
თუმცა შენ რომ არა, ალბათ არც... თითქოს ჩვენ ერთმანეთს შევასკდით. თითქოს საშინელი აფეთქება მოხდა. და მომავლის ყველა შანსი, ყველა ჩვენი შესაძლებლობა, ყველაფერი, რაც შეიძლებოდა თავს გადაგვხდომოდა, განსხვავებები ჩვენ შორის, ჩვენი მომავალი ერთმანეთში აგვეწეწა და დაგვეპნა. ახლა კი იმით ვართ დაკავებული, რომ ვარკვევთ, რომელი თვისება, რომელი შესაძლებლობა, მომავლის რომელი გეგმა გეკუთვნისშენ, და რომელი მე. არ შემაწყვეტინო, ჩუმად იყავი. ჯერ ბოლომდე მათქმევინე, ბოლომდე მიმაყვანინე აზრი, არ ვიცი, შევძლებ თუ არა ამ ყველაფრის გამეორებას როდისმე. მოკლედ ასეა, გინდ დაიჯერე და გინდ არა.

მე არ მინდა სხვისი ცხოვრება. ჩემთვის მნიშვნელოვანია ვიცოდე, რომ ცხოვრება, რომლითაც ვცხოვრობ, მართლა ჩემია, მხოლოდ ჩემი. იმიტომ, რომ ბევრი რამე ჩემს ცხოვრებაში ნასესხებს ჰგავს. მინდა, დარწმუნებული ვიყო, რომ მე იმ საღამოს მიღმაც ვარსებობ, რომ ჩემი ყოველი ნაწილაკი ამით არ არის დაღდასმული. როცა შენ ჩემთან ხარ, ვეღარ ვარკვევ ამას, ისევ ერთმანეთში ირევა ყველაფერი. ასე მგონია ამ მორევში ჩვენი შიგნეულობაც კი გავცვალეთ. როცა ჩემთან ხარ, სულ ის აფეთქება მიდგას თვალწინ, რომელიც ზოგჯერ მენატრება კიდეც, მინდა დავინახო ხოლმე, რომ ისევ გავიხსენო, არ დამავიწყდეს, ვინ ვარ. მაგრამ ყოველთვის არ შემიძლია ამის ატანა. ყოველთვის არა.
ხმა არ ამომიღია, ჩუმად ვიყავი მთელი ამ უზარმაზარი მონოლოგის დროს. მერე მისი ხელი მოვიშორე. წინააღმდეგობა არ გაუწევია. მერჩივნა სულ არ მომესმინა ეს ყველაფერი.
– და რა ვუყოთ ახლა ამ ყველაფერს, რა ვუყოთ ჩვენს აწეწილ გულ-ღვიძლს? – ვკითხე ცივად.
– რა ვიცი. შეგვიძლია ამოვიღოთ და თავიდან გადავინერგოთ. ასე ვთქვათ, ოპერაცია გავუკეთოთ ერთმანეთს.
– არ მინდა. რა სიმახინჯეა.
– ვერც გადავიტანდით ალბათ ამ ოპერაციას.
– ესე იგი?
– ესე იგი ტკივილი გაგრძელდება კვლავაც.
და მუცელზე დამადო ხელი, ხელისგული გადამისვა წელზე, ნეკნებზე, მკერდზე, თეძოებზე, ფეხებს შორის.
– იმიტომ რომ ჩემი ღვიძლი მეტისმეტად დიდია შენთვის, შენი ელენთა კი მეტისმეტად პატარაა ჩემთვის. იმიტომ რომ შენი კუნთები რბილია ჩემთვის, ჩემი კი მაგარია შენთვის, იმიტომ რომ ჩემი სისხლი შენს ძარღვებში ძალიან სწრაფად ჩქეფს, შენი კი ჩემში ძალიან ნელა, იმიტომ რომ შენი ყურის ნიჟარები ზედმეტად ლამაზია ჩემთვის.
გამეცინა. გული მტკიოდა. მართლა მტკიოდა.
კი ვიცოდი, რომ მართალი იყო, მაგრამ ეს არაფერს ცვლიდა. როგორ მინდოდა, რომ ივო ის არ ყოფილიყო, ვინც იყო. როგორ მინდოდა, რომ თავისუფალი და უცნობი მომავალი გვქონოდა, ერთმანეთს უცხო ადამიანებივით შევხვედროდით.
მისი ხელი მუცელზე გადავიტარე, ყელთან მივიტანე და თითი პულსზე დავადებინე.
– იქნებ არც არასოდეს გვქონია მე და შენ სხვა მომავალი ამ საერთო მომავლის გარდა, და ის გასროლა მხოლოდ იმისთვის მოხდა, რომ ეს შეგვემჩნია?
– იმ გასროლამ დედაჩემი შეიწირა, და მამაჩემიც, ოღონდ ცოტა სხვანაირად. მე კი სრულიად უცხო ოჯახის ამარა დამტოვა ოჯახის, რომელიც პრინციპში საძულველი უნდა ყოფილიყო ჩემთვის. შენ გიღირს ასეთი მომავალი? მე არ მიღირს. ამიტომ იქნებ მხოლოდ ხანდახან ჩავიცხროთ ხოლმე ეს დედამოტყნული მონატრება. ჩავატაროთ ეს პატარა საიდუმლო რიტუალი, რომელიც ორივეს გვჭირდება. შევეხოთ ხოლმე ერთმანეთს და ისევ ჩუმად დავუბრუნდეთ ჩვენ-ჩვენს ცხოვრებას. სანამ როდისმე ისევ არ შევხვდებით, ფარულად და ჩუმად, და ისევ არ შევეხებით ერთმანეთს.

14

მარკი დაბრუნდა. ერთმანეთს არ ველაპარაკებოდით. თუმცა ვარსებობდი მაინც, ჩემს მოვალეობებს ვასრულებდი, არაფერს ვჩიოდი, ისევ თეოს დედა ვიყავი, სამარცხვინო დედა.
თეოს მეშვიდე დაბადების დღე მარკის მშობლებთან გადავუხადეთ, ბლანკენეზეში. იქ ბავშვებს თავისუფლად შეეძლოთ მუსიკის ხმამაღლა ჩართვა და სირბილი. ნამცხვრებიც ჭამეს, წყლის პისტოლეტებითაც იწუწავეს და ბაღიც დატბორეს.
მე ბაღის კუთხეში ვიჯექი, ტკბილი სასმელებითა და ნამცხვრებით სავსე გრძელ მაგიდასთან. მარკი სხვა მამებს ესაუბრებოდა და გრილზე ზრუნავდა. მე დიდად არ მომიკლავს თავი სტუმრებთან ურთიერთობით. მზე ანათებდა. თბილოდა და

მზის სხივებს ჟონგლიორივით ვათამაშებდი ხელებზე. ვათვალიერებდი ჩემს თითებს ისეთი ფერმკრთალი, ჩამომდნარი, ცარიელი და უმაქნისი მეჩვენა. ქორწინების ბეჭედს დავაკვირდი და ტრიალი დავუწყე, ჯერ მოხსნა ვცადე, მერე ისევ ჩამოვიცვი. გინდ ბეჭდით და გინდ უბეჭდოდ, მაინც ჩავიჭერი.
აბიმ ჯერ სილა გამაწნა, მერე კი, როცა ჩალაგება დავიწყე, ხმამაღლა აქვითინდა. შეშინებული ქსერქსე სადღაც კუთხეში შეძვრა და დაბნეული შესცქეროდა სამყაროს, თავის ორად გახლეჩილ სამყაროს. ცხელი ზაფხული იყო, არდადეგები დაიწყო, და რაკი სხვა ბინა ვერ ვიპოვე, გადავწყვიტე, რამდენიმე კვირა თულიასთან გამეტარებინა, სანამ რამე გამოჩნდებოდა.
ნინდორფში თულიას ჰამაკი დავაჭიმინე, ვიჯექი იქ მთელი დღეები და ცას შევცქეროდი. საღამოობით ზღვაზე გავდიოდი ან უნივერსიტეტის გაზეთისთვის ვწერდი რამეს. ვეწეოდი და ძველ ფირფიტებს ვუსმენდი სარდაფში. ხანდახან თულიას ვეხმარებოდი ნავების გაქირავებაში. ხმას არ ვიღებდით, შეკითხვებს არ ვუსვამდით ერთმანეთს. ზოგჯერ თულია თავის განთქმულ ვაშლის ნამცხვარს აცხობდა და ხანდაზმულ, კაკანა ქალბატონებს პატიჟებდა სტუმრად. მე მათი ბრანთვაინით გამასპინძლება მევალებოდა და მერე მანქანით სახლებში ჩამორიგება. ჩემი ახალი ადგილსამყოფელი არავისთვის შემიტყობინებია, თითქმის მთელ დროს სახლში ვატარებდი, ან ბაღში. დარდი დიდად არ მტანჯავდა და არც განსაკუთრებულ ტკივილს მაყენებდა. იმდენად ნაზი იყო, ლამის მორიდებული და თვინიერიც კი, რომ მშვენივრად ვახშობდი თულიას ლიქიორებით.
ერთხელ მთელი კვირა დღე ზღვის ნაპირზე გავატარე. ვკითხულობდი და რაღაცებს ვინიშნავდი. საღამოს დავბრუნდი, და მაშინვე რაღაც ცვლილება ვიგრძენი. ჯერ ვიფიქრე, მამა ჩამოვიდა-მეთქი, მაგრამ მისი მანქანა არსად ჩანდა. ჭიშკარი ღია იყო და ძველი საქანელა ისე ქანაობდა, თითქოს ვიღაცამ გააცოცხლაო. გავჩერდი და ყური მივუგდე. თულია აღელვებული ქაქანებდა, ბედნიერების ხრინწით ხმაში. მაშინვე მივხვდი, რომ ივო ჩამოვიდა.
სახლში შევირბინე და მაშინვე დავინახე. ლოყებაწითლებული იჯდა მაგიდასთან და თულიას მომზადებულ წვნიანს ხვრეპდა. ზურგჩანთა და ფეხსაცმელი დერეფანში ეწყო.
მისი ჩამოსვლისთვის სულ არ ვიყავი განწყობილი. მე ხომ არ ვიცოდი, რა შეატყობინა თულიამ და გაგონილი თუ ჰქონდა ჩემი ჰამბურგიდან გამოქცევის ამბავი. დაბნეულობის მიუხედავად, მისკენ გავექანე. იქ ისეთი იოლი მეჩვენა მის გვერდით დაჯდომა, იქ აღარც დაძაბულობა არსებობდა, აღარც ის ჭრილობები, ჩვენს შეხვედრებს რომ ახლდა თან წლების განმავლობაში.
მორიგი მოგზაურობიდან დავბრუნდი და თულიასთან მინდა დავიმალო ერთი კვირით მაინცო. – გამეცინა. ვიფიქრე, ნუთუ ყოველთვის ასე იქნება-მეთქი? ნუთუ ყოველთვის წარსულში, ყოველთვის წარსულთან დაკავშირებულ ადგილებში მოგვიწევს-მეთქი გაპარვა და დამალვა, იმისთვის რომ გავიხსენოთ?
– ძალიანაც კარგი. მიდი, ჭამე, ჭამე. მთელ მსოფლიოზე განაწყენებული ჩემი გოგოც ჩემთან იმალება. – თქვა თულიამ და მხარზე მომხვია ხელი, თითქოს უნდოდა დარწმუნებულიყო, რომ იქ ვიყავი.
– მოდი, ცოტა შენც ჭამე. მთელი დღე ზღვაზე ხარ და წესიერად არც კი ჭამ, აბა, როგორ შეიძლება!
წვნიანი შემითბო.
ღამით ჭრიალა საქანელაზე ვიჯექით და ჩუმად ვღიღინებდით ჩვენთვის. შეკითხვებისგან თავი შევიკავე; ხომ მომწერა, პასუხები არ მაქვსო.
ბედნიერი დღეები იყო. ისეთი გრძნობა მქონდა, რომ ივოსთან ერთად დაკარგული ახალგაზრდობა ავინაზღაურე იმ ერთ კვირაში: ნავითაც ვისეირნეთ, მიუხედავად იმისა, რომ ზღვა ღელავდა და თულია გვიკრძალავდა; ზღვის ნაპირზე ვიწექით, აკორდეონზე დავუკარით ოთხ ხელში, გულიაში ვჭამეთ, საღამოობით კი ტერასაზე ვიჯექით და ღამეს ვუსმენდით. ის არაფერს მეკითხებოდა, მეც არაფერს ვეუბნებოდი; სიმშვიდე და სიახლოვე მხოლოდ იმიტომ გახდა შესაძლებელი, რომ ისევ და-ძმასავით ვიყავით. და-ძმასავით, რომლებმაც თვითონ აირჩიეს ერთმანეთი.

ერთხელ თულიას ვეხმარებოდით ბაღში; თქეშმა წვიმამ ყვავილები წალეკა. მე ძველი ბოტები მეცვა, ივომ კი პერანგი გაიხადა; მე ვბარავდი და ვრგავდი იმ მცენარეებს, რომელთა გადარჩენაც ჯერ კიდევ შეიძლებოდა. იდაყვი შემთხვევით მის ხერხემალზე მომიხვდა; წინ იყო გადახრილი და ხელები ნოტიო მიწით ჰქონდა გასვრილი. ისე დამიარა სურვილმა, რომ ყვირილი მომინდა და ვიყვირე. ივო შემოტრიალდა და წონასწორობადაკარგა, მიწაზე დაებერტყა; მასთან ჩავიმუხლე და ვაკოცე. ხელი მკრა და რაღაც ჩაიბურტყუნა. თულიას გახედა, ხომ არ გვიყურებსო.
სუნთქვა შემეკრა, წამოვხტი და გავიქეცი, რაც ძალა და ღონე მქონდა.ოღონდ ამჯერად ზღვისკენ კი არა, სახლისკენ გავექანე, და შხაპში შევვარდი. იმედი მქონდა, რომ ცხელი წყალი ჩამომბანდა კიდევ ერთი დამარცხების სიმწარეს. ჩამომტვრეულ ფილებს ავეკარი.
კარის სახელური ჩამოწია და სააბაზანოში შემოვიდა.
– წადი აქედან! – ვუყვირე და ხელები ტანზე ავიფარე. არ მინდოდა, შიშველი რომ დავენახე.
ის კი იდგა და არ იძროდა, მხოლოდ ნესტოები უთრთოდა ოდნავ. ვხედავდი, რომ შეშინებული იყო, და ჩემი მარცხი კიდევ უფრო დამამცირებელი მეჩვენებოდა. ზურგი შევაქციე და თულიას ვარდის საპონი ავაქაფე. სახე სველ თმაში ჩავმალე. ცოტა ხნის შემდეგ ვიგრძენი, როგორ შემეხო. ჩემკენ გადმოდგა ნაბიჯი და გახდა დაიწყო. მიწის სუნით გაჟღენთილ საშხაპეში შემოვიდა და პირზე ხელი ამაფარა.
მალულად მივეცით სიყვარულს, არ სურდა, რომ ამ სიყვარულის კვალი შერჩენოდა იქაურობას. იმ საღამოს ნარკომანივით დამეუფლა, ისე მომექცა, როგორც უსულო საგანს; თავის ჟინი დაიკმაყოფილა, ჩემზე არც უფიქრია, მშვენივრად დავინახე; თვალებზე შევატყვე, რომლებსაც მარიდებდა. ხელებზე შევატყვე, დაბრკოლებად რომ აღიქვამდნენ ჩემს სხეულს. არ უნდა დავყოლოდი, უნდა მეყვირა, მაგრამ ამის ნაცვლად ავეტმასნე და შესაძლებლობა მივეცი, ეხმარა ჩემი სხეული და დავემცირებინე.
ის უკვე იმშრალებდა, სანამ მე ჯერ კიდევ შხაპის ქვეშ ვიდექი. მთელი სხეული მტკიოდა და მეწვოდა. სარკეში ჩაიხედა და თითქოს დამშვიდდა, გონს მოვიდა, ისევ დაეუფლა სიტუაციას. ჩავიკუზე და მაგრად მოვიკუნტე, იმის იმედით, რომ ამით ტკივილი გადამივლიდა.
– არც თულიამ და არც დანარჩენებმა არ უნდა... – თქვა უცებ ჩურჩულით და სწრაფად დაიწყო ჩაცმა.
– ჯერ მე გავალ და ბაღში მუშაობას გავაგრძელებ. შენ კი ცოტა ხანი მოიცადე. – თქვა სრულიად აუღელვებლად, გამოზომილად. თან სარკეში შეათვალიერა საკუთარი სახე და ლოყებზე ჩამოისვა ხელი უნდოდა დარწმუნებულიყო, რომ აღტყინების კვალიც კი აღარ ეტყობოდა. ალბათ ამიტომ ვიფეთქე, მისმა მშვიდმა და თავდაჯერებულმა ხმამ შემმატა ძალა შხაპის ქვეშ ჩაცუცქულს. სხვა ვერაფრით ავხსნი, რატომ მქონდა ასეთი რეაქცია, და როგორ მოვახერხე ასე ერთბაშად კაბინიდან გამოხტომა.
სველი და ტიტველი დავუდექი წინ, შევხედე. ეტყობა ისეთი სახე მქონდა, რომ უკან დაიხია და გაქვავდა.
– ერთი წამიც არ მოვიცდი. და სულ ფეხებზე მკიდია, ვინ რას იფიქრებს. და ცუდი იქნება ეს მათთვის, თუ ცუდზე უფრო ცუდი. მე მეტი აღარ შემიძლია. რაში მაინტერესებს სხვები. საკმარისია, რაც სხვებზე ვიფიქრე. გაიგე?
იცი, რომ ცოტა ხნის წინ კაცმა, რომელსაც ვუყვარდი და რომელიც მიყვარდა და რომელთანაც შეიძლებოდა ბედნიერი ვყოფილიყავი, მიმატოვა. და იცი რატომ? აბა თუ გამოიცნობ? ეჭვი არ მეპარება, რომ მშვენივრად იცი. მაგრამ ყოველ ჯერზე მაინც ისე იქცევი, თითქოს ვერ ხვდები და გიკვირს! წამსაც აღარ მოვიცდი. ყოველთვის ხომ ვერ ამაფარებ პირზე ხელს. მას მერე, რაც სანაპიროზე მოხდა, იმ საშინელი დღიდან მოყოლებული, წლებია ვცდილობ სწორად მოვიქცე შენი გაგებით სწორად. ახლა კი ვრწმუნდები, რომ ეს მხოლოდ შენთვისაა სწორი და არა ჩემთვის. ამიტომ აღარ გავჩუმდები. და თუ ტკივილი მელის, მირჩევნია ყველაფერი ერთიანად ავიტანო. ასე კი აღარ შემიძლია.
თვალი არ მომიშორებია მისთვის. გუგები გაუფართოვდა. პირველად ვიგრძენი, რომ ისეთი ვიყავი, როგორიც მინდოდა. ისეთი, როგორიც ვიქნებოდი, რომ არა

ივო. საკმარისი იყო მისი ერთი სიტყვა, თვალის ერთი დახამხამება, რომ არარაობად ვქცეულიყავი. მაგრამ მიუხედავად ჩემი სავალალო მდგომარეობისა, ვიგრძენი, რომ ამჯერად გავუძლებდი.
– მე შენ მინდიხარ, ივო. მინდა ჩემთან იყო. მომისმინე. შემომხედე, – ვაგრძელებდი მე.
– გაჩერდი, ძალიან გთხოვ...
– ნუ მაჩუმებ! – ვუყვირე და მან ინსტინქტურად ტუჩზე მიიდო თითი. მისმა შიშმა სრულიად თავისუფალი გამხადა იმ ვიწრო სააბაზანო ოთახში.
– გეყოფა! ვეღარ გამაჩუმებ. ჩვენ ხომ ასეთები არ ვიყავით, ჩვენი ხომ ასეთი ურთიერთობა არ გვქონდა. ჩვენ ხომ ყოველთვის ერთმანეთზე ვფიქრობდით. სანამ შენ ჩემი გრძნობების არ შეგრცხვა. და შენი გრძნობების, რომლებიც შეიძლებოდა გაგჩენოდა... მე ასე აღარ მინდა. როგორ არ გესმის? ასეთი ძნელია ამის გაგება?
– და როგორ წარმოგიდგენია, რა უნდა ვქნათ? დავქორწინდეთ, ბავშვები გავაჩინოთ და მერე ლენის ან ფრანკს მოვანათლინოთ?
– მეტს ვეღარ მატკენ, მეტი უბრალოდ შეუძლებელია. რა გინდა თქვა, რომ მხოლოდ ეს გინდა ჩემგან? – და ფეხებს შორის დავიდე ხელი.
– მხოლოდ ეს? წარმოუდგენელია, ვერ დავიჯერებ! და გიღირს? მე შენ მიყვარხარ.
თვალები დახარა და თავის შიშველ ფეხებს დააშტერდა. გამეღიმა. იმ წუთას, როცა თითქოს ყველაფერი იმსხვრეოდა, ვიგრძენი, რომ გამთელება იწყებოდა. და გავიღიმე, მას გავუღიმე.
– მიყვარხარ. ისეთი, როგორიც იყავი. ისეთი, როგორიც ხარ, და როგორიც იქნები. ალბათ იმიტომ მიყვარხარ, რომ ძალიან ეულები,პატარები და უსუსურები ვიყავით და მაინც გადავრჩით. იმიტომ მიყვარხარ, რომ ჩემი ხმა გჭირდებოდა, როცა თვითონ არ იღებდი ხმას. და ყველაფრის მიუხედავად, მე ამირჩიე, რომ შენ მაგივრად მელაპარაკა. რომ ჩემი თვალებით დაგენახა სამყარო. ამას ელოდი ჩემგან და ეს მიზანი დამისახე და ამით აზრი მიეცი ჩემს არსებობას. და იმიტომ, რომ მეც ეს მჭირდება შენგან. შენი პატარა ხალი მიყვარს მარჯვენა თეძოზე, მიყვარს, როგორ ეწევი, და მიყვარს, ჩემი სხეულის რომ გეშინია, მიყვარს შენი რისხვა ამ უკუღმართი სამყაროს მიმართ, მიყვარს, როგორ მკოცნი და როგორ ლაპარაკობ პოლიტიკაზე, მიყვარს, როგორ წერ; მიყვარს, კიტრს რომ ფცქვნი და გემრიელად კბეჩ, როგორ ცდილობ დაიცვა ჩვენი ოჯახი სხვებისგან, გაუფრთხილდე მას. და მინდა რომ მომისმინო, პატიება უნდა გთხოვო.
კარზე კაკუნი გაისმა. წყალი მოშვებული დარჩა და მთელი იატაკი მოწუწული იყო შხაპისგან.
– მანდ ხართ? შიგნით ხართ ორივე? – იკითხა თულიამ და ვიგრძენი, რომ შეწუხებული და დამფრთხალი იყო. სხვა დროს შიშს ისე კარგად მალავდა ხოლმე, თითქოს თვითონ ყველაზე უშიშარი ადამიანი იყო ამ ქვეყანაზე, შიში კი მომაკვდინებელი ცოდვა.
ივომ დაბნეულმა შემომხედა და გასძახა:
– ყველაფერი რიგზეა, თულია, სტელამ თითი გაიჭრა ბაღში და ჭრილობას ვუვლით. – ხალისიანი ხმა ჰქონდა, უდარდელი. ცოტა უფრო გულახდილი რომ ყოფილიყო, ალბათ არც ვიზამდი იმას, რაც ვქენი.
გავენთე და სანამ მკლავში მტაცებდა ხელს, კარი გამოვაღე. ბრძოლის ველი ყველას დასანახად დავუტოვე და შიშველმა ჩავუარე თულიას. რას ვგრძნობდი იმ დროს, აღარ მახსოვს. ის კი მახსოვს, რომ თულიამ შეშინებულმა დაიხია უკან, რომ ივომ რაღაც წამოიძახა და მერე გაჩუმდა. მე ამაყად მივაბიჯებდი დერეფანში და სველ ნაკვალევს ვტოვებდი. ყოველი ნაბიჯი ღირსებას მიბრუნებდა. ღირსებას, რომელსაც ივო მართმევდა, როცა ვუყვარდი და თან თვალზე და პირზე მაფარებდა ხელს.

15

მანქანაში ბენჟამინ ბლუმჰენი ჩავრთეთ, რომელიც თეოს იმდენჯერ ჰქონდა მოსმენილი, რომ ლამის ზეპირად იცოდა. რაც მარკს ძალიან ახარებდა.

კმაყოფილი იყო, რომ მისი შვილი კომპიუტერულ თამაშებზე არ გიჟდებოდა. მიაჩნდა, რომ თუ თეო ზღაპრებს მოუსმენდა და ფეხბურთის ვარსკვლავებს გააღმერთებდა, ნორმალური დარჩებოდა. არ გახდებოდა გეი, არ იქნებოდა აგრესიული, არ მიეტანებოდა ნარკოტიკებს და მშობლებს ნამდვილად არ გაუცრუებდა იმედს.
ტკბილეულით გაბერილი და საჩუქრებით დახუნძლული, საკუთარი თავით და მთელი სამყაროთი ფრიად კმაყოფილი თეო უკანა სკამზე თვლემდა. ჩვენ ჩუმად გავცქეროდით გზას. მე რამდენიმე ჭიქა მარტინი მქონდა დალეული და ცოტა მძიმედ ვგრძნობდი თავს. მარკმა მძინარე თეო ბინაში აიყვანა. დააწვინა, გახადა, საბანი დააფარა, აკოცა, კუ ნინძებიანი ფარდები დახურა და მისაღებ ოთახში გამოვიდა. მეც იქ ვიჯექი და გაზეთებს ვფურცლავდი, რომლებიც მარკმა გამოიყოლა თვითმფრინავიდან. ღვინის ბოთლი გახსნა და გვერდით მომიჯდა. ცოტა ხანი ისიც ჟურნალებს ათვალიერებდა და ჩუმად სვამდა თავის ღვინოს. ჩემთვის მე თვითონ დავისხი, ჭიქაც კი არ მოუწოდებია, როგორც ამას ადრე აკეთებდა.
– ზედმეტი ხომ არ მოგივიდა დალევა? დედაჩემმაც კი შეამჩნია.
– არ მაინტერესებს, ვინ რა შეამჩნია შენს ოჯახში. თავი მტკივა და ჩხუბის ხასიათზე არ ვარ.
– მე არ ვჩხუბობ. უბრალოდ მინდა გითხრა, რომ, ჩემი აზრით, კარგი იქნება, თუ თეოს ძაღლი ეყოლება. ჩემი მშობლები მიხედავენ. მათ არაფერი აქვთ საწინააღმდეგო და სიამოვნებით იზამენ ამას.
– არა!
– თეოს ძალიან უნდა და თუ ჩემი მშობლები...
– ფეხებზე მკიდია რა უნდათ შენს მშობლებს. არა-მეთქი ვთქვი, და მორჩა. თეოს გარკვევით ვუთხარი. როცა გაიზრდება, შეუძლია სახლის ცხოველი იყოლიოს და თვითონ მოუაროს. ახლა კი არ შეიძლება. ძაღლი სათამაშო არ არის. შენ კი უპასუხისმგებლოდ იქცევი.
– მე? მე ვიქცევი უპასუხისმგებლოდ? ეს შენ არ აქცევ მას ყურადღებას, არც კი ენახვები უკვე რამდენი კვირაა, მთელი დაბადების დღის განმავლობაში ხმა არ ამოგიღია, ერთი სიტყვაც არ გითქვამს.
– გითხარი, ჩხუბი არ მინდა-მეთქი.
– მაგრამ თუ შენ დარჩენა გადაწყვიტე, როგორც ვატყობ, და ის უკვე წავიდა, როგორც შენმა დამ მითხრა, – რაღაცით ხომ უნდა დავიწყოთ. ხომ უნდა დავალაგოთ როგორმე ყველაფერი. თუმცა არ ვიცი, რამდენად შევძლებ ან გავუძლებ ამას. და მგონი, დიდად არც მინდა.
– შენ რა, ჩემზე ლაპარაკობ ჩემს დასთან?
– მე არ დამჭირვებია ინიციატივის გამოჩენა. ყველა ამჩნევს, რაც ხდება. გუშინ მამაშენმაც დამირეკა. ახლა ხომ ყველაფერი მოგვარდა, რაკი ის წავიდაო. რა უნდა მეთქვა?!
– ნამდვილად ვერაფრით განუგეშებ. არც თავის დაცვას ვაპირებ და არც თავის მართლებას.
– სმას მაინც მოეშვი. ამით მაინც დაიწყე.
– ეს არაფერ შუაშია. ადრე მე და შენ ყოველთვის ვსვამდით ერთად ღვინოს და მაშინ ეს არ გიშლიდა.
– ეგ ადრე იყო! თანაც მაშინ შენ იმისთვის არ სვამდი, რომ გამომთვრალიყავი!
ავდექი, ავიღე ჭიქა, ჭურჭლის სარეცხ მანქანაში ჩავაყუდე და საძინებელში გავედი. მეგონა ცოტაც და საფეთქლები გამისკდებოდა. ლოგინზე დავეგდე და ფეხები მოვკეცე. ყველაფერი მტკიოდა. სახე ბალიშში ჩავრგე და ის იყო უნდა ავქვითინებულიყავი, რომ მარკი მხრებში ჩამეჭიდა, თავისკენ მიმატრიალა და დამაცხრა. ვცადე გამეჩერებინა, დამეწყნარებინა, ლაპარაკი დავუწყე, ბოდიში მოვუხადე, მაგრამ ის არ მისმენდა. ერთადერთი სურვილი ამოძრავებდა ტკივილი მოეყენებინა ჩემთვის, ოფიციალური მეუღლის კანონიერი უფლებით ესარგებლა. ვიცოდი, რომ წინააღმდეგობის გაწევა უფრო გააღიზიანებდა და უარესი იქნებოდა. ამიტომ მშვიდად, რბილად მინდოდა დამერწმუნებინა, გონს მომეყვანა. თეოც კი მოვიშველიე, ყურადღება გავუმახვილე იმაზე, რომ კარი ბოლომდე არ იყო მიხურული, რომ თეო გაიგონებდა, მაგრამ არც ამან გაჭრა.

ტანზე გაიხადა, შარვალი გაიხსნა, თვალები ცრემლებით ჰქონდა სავსე. განუწყვეტლივ იმეორებდა, რომ მას ვეკუთვნი, რომ მისი შვილის დედა ვარ, და არ მქონდა იმის უფლება, რაც ჩავიდინე. თან ჩემს გახდას ცდილობდა. მაგრამ ისე იყო შეშფოთებული თუ შეშინებული იმით, რის გაკეთებასაც აპირებდა, რომ თვითონვე გაჩერდა. ან იქნებ ჩემმა ცარიელმა თვალებმა შეაჩერა, არ ვიცი. თხოვნა-ვედრებიდან ლანძღვა-გინებაზე გადავიდა. შე ბოზოო, შენ რა დედა ხარო, ყოველ ნაბიჯზე ცრუობ, უღირსად იქცევიო. მერე ჩამეხუტა, სახე დამიკოცნა, ჩემს ყელში ჩამალა სახე და აქვითინდა. ცოტა ხანში კი წამოხტა, აიღო თავისი საბანი და სამუშაო ოთახში გავარდა და იმ ღამეს იქ დარჩა. საბანს ისე მიახოხიალებდა, როგორც ჩამოგდებული მეფე მოსასხამს.
თულია სამზარეულოში იჯდა და ფანჯრიდან იყურებოდა ფიქრებში წასული. ივო არსად ჩანდა. მე წყლის დასალევად შევედი სამზარეულოში. მეგონა, თულიას უკვე ეძინა. გამომხედა. მოდი, ჩემთან დაჯექიო, მითხრა.მერე ალუბლის ლიქიორი გამომიღო.
– რამდენი ხანია, რაც ეს გრძელდება? – იკითხა მკაცრად.
– არ ვიცი რას გულისხმობ.
– ნება იბოძე და მიპასუხე!
ჭიქა გამოცალა და მაგიდაზე დაახეთქა. თან მაკვირდებოდა, ამღვრეულ თვალებს არ მაშორებდა.
– თუ ვინმეს დადანაშაულება გინდა, მე დამადანაშაულე. ჩემი ბრალია. მე მივიყვანე აქამდე.
– არც კი გაბედო ჩემი მოტყუება. შენი დაცვა არ სჭირდება. ძალიან კარგად ვიცნობ.
– ეს მართლა ასეა! რატომ არ გინდათ ამის გაგება?
– ესე იგი, ერთად წევხართ.
– ზოგჯერ.
უცებ ატირდა. ცხოვრებაში მეორედ ვხედავდი მტირალ თულიას. პირველად მაშინ იტირა, როცა ლენი, მე და ივო ჰამბურგიდან მივყავდით. დედა ახალი წასული იყო ნიუ-ჯერსიში, ივო კი უკვე ჩვენთან გადმოსული, – ემას დაკრძალვის შემდეგ. მამა მთვრალი იყო და დივანზე გაწოლილი, ტანჯული სახით ჭერში იყურებოდა. მე და ლენი ჩვენს ნივთებს ვალაგებდით. ივო ჩემი საწოლის კიდეზე იჯდა, გაუგებარ ხმებს გამოსცემდა და თუ ვინმე შეეხებოდა, – იკბინებოდა. სწორედ მაშინ ჩაიკეტა თულია ტუალეტში და ატირდა. ხმამაღლა და მოთქმით. ამჯერად თითქმის უხმოდ ტიროდა. უკვე რამდენიმე საათი იყო გასული მას მერე, რაც შიშველმა ჩავუარე. არც ცრემლების დამალვა უცდია და არც სახე დაუფარავს ხელებით. მიყურებდა და ტიროდა. მე ჩუმად ვიჯექი, საშინლად ტკბილ ლიქიორს ვსვამდი და აზრზე არ ვიყავი, რა უნდა მექნა ან მეთქვა.
ძალიან მინდოდა გამეგო, რა ატირებდა. რატომ იბრძოდა მუდამ ასე გააფთრებით ივოს სიყვარულის, მისი ყურადღების მოსაპოვებლად. რატომ იცავდა ყოველთვის. რა აიძულებდა ასე ეზრუნა მასზე. რა იცოდა და რა არა? რამდენად შეძლო ჩემმა ოჯახმა ამოეშალა თულიას მეხსიერებიდან ის საღამო? ვუყურებდი მის აწითლებულ სახეს და ვფიქრობდი, – დამნაშავედ ხომ არ გრძნობს-მეთქი თავს.
– მამაშენს გული გაუსკდება.
– ეგ ჩემთვის სულ ერთია. ყველაფერი სულ ერთია.
– მეშინია.
– გეშინია?
– ჰო. მეშინია, რომ ვერ გაუძლებს.
– რატომ?
– არც ისეთი ძლიერია, როგორადაც თავი მოაქვს.
რა თქმა უნდა, დამნაშავედ გრძნობდა თავს! დანაშაულის გრძნობა მუდმივად გვაწუხებდა მთელ ოჯახს. და ამ გრძნობის ჩახშობასაც მუდმივად ვცდილობდით.
– შენ ხომ ჩემი პატარა გოგო ხარ... როგორ ვერ შევამჩნიე? ეს როგორ დამემართა?
– შენ რა შუაში ხარ.
– როგორ, იქნებ მომეხერხებინა რამე და დროზე შემეშალა თქვენთვის ხელი?!

– რატომ უნდა შეგვიშალო?
– რომ არ ავნოთ ერთმანეთს.
– რატომ გგონია, რომ ვავნებთ?
ამაზე აღარ მიპასუხა. ერთხანს ვუყურე, მერე უბრალოდ თავი გავიქნიე და ისევ მაღლა ავედი და დავწექი. ვერაფრით ვერ დავიძინე. ვიცოდი, რომ თულიას მანქანით იყო წასული. ვცადე, კითხვით შემექცია თავი. არაფერი გამომივიდა; რამდენიმე საათი ვცდილობდი დაძინებას და ბოლოს ბალიში დავიდე თავზე.
უკვე თენდებოდა, როცა ვიგრძენი, რომ საბანი გადამხადეს. და სანამ გამოვფხიზლდებოდი, ვიღაცამ ლოგინიდან წამომაგდო. მისი ხელი იყო, ხელში რომ ჩამჭიდებოდა. მთვრალი იყო, ან კაიფში, ან ორივე ერთად. გუგები გაფართოებული, თმაში ფოთლები. ალბათ დაეცა სადღაც. ნახევრად მეძინა და სიტყვაც ვერ დავძარი. წინ დამიყენა, ნიკაპი ისე ამიწია, რომ მისთვის შემეხედა და ზიზღით მათვალიერებდა.
– შენ ყველაფერი გააფუჭე! უბრალოდ აიღე და გააფუჭე ყველაფერი! – მხრებში მწვდა და შემანჯღრია. მერე ლოგინზე მომისროლა, – იდაყვი ისე მწარედ მივარტყი რომ ვიკივლე, – და ოთახიდან გავარდა.
– მაპატიე.
მარკი ჩემს საწოლზე იჯდა. თენდებოდა. მე ჩუმად ვიყავი.
– აქამდე არ უნდა მიგვეყვანა. ერთ რამეს გკითხავ მხოლოდ და მერე შეგიძლია ძილი გააგრძელო. ისევ ისე გიყვარვარ?
ხმა ვერ ამოვიღე.
– სტელა?
– არ ვიცი. ნამდვილად აღარ ვიცი.
– როგორ არ იცი?
– უბრალოდ აღარ ვიცი. გეხვეწები, გადი ისევ იქით. დავიღალე.
მარკი ადგა და გავიდა. ბალიშის ქვეშ შევყავი თავი. თითქოს ასე გავექცეოდი სამყაროს.
თეომ თვალებზე ამაფარა ხელი და შუბლზე მაკოცა.
– ვარჯიში მაქვს. მამა უკვე წასულა. გაიღვიძე!
– რომელი საათია, სიხარულო?
– რვა და კიდევ ოცი.
– გასაგებია. ჩამეძინა.
– კიდევ ბევრი დრო გვაქვს, სანამ ისარი ცხრას მიუახლოვდება.
– მართალი ხარ. მოდი, გემრიელად ვისაუზმოთ. აბა, რას ინებებ?
– სტაფილოს.
– რას?
– სტაფილო მინდა.
– ვინ ჭამს საუზმეზე სტაფილოს. ეგ მერე ვჭამოთ.
– მე ახლა მინდა.
– კარგი, დაწყნარდი. შეიძლება რაღაც გკითხო? – ლოგინიდან ავდექი და აბაზანაში გავედი. ვინი პუჰიან პიჟამაში გამოწყობილი თეოც გამომყვა.წყალი მოვუშვი და კბილების გახეხვა დავიწყე.
– შეიძლება.
– რა ნახე ასეთი ამ სტაფილოში?
– როგორ, რა ვნახე?
– რას ნიშნავს შენთვის და რატომ აკეთებ ამას?
– რას ვაკეთებ?
– უკვე კარგა ხანია სტაფილოებს აგროვებ. როცა ლპება, მაშინაც კი არ გვაყრევინებ. თან არც ჭამ.
– არაფერიც. მშვენივრადაც ვჭამ.
– მე სხვა რამე მაინტერესებს.
– კბილის პასტა გაქვს ტუჩზე.
– მოვიშორებ. თუ მიპასუხებ, შეგვიძლია სკოლის მერე ნაყინი ვჭამოთ ან საბავშვო მოედანზე წავიდეთ.
– არ ვიცი.
და ტირილი დაიწყო. ხელში ავიყვანე, ვცადე დამეწყნარებინა, მაგრამ არ

გაჩერდა. უფრო ხმამაღლა აქვითინდა და ყელზე ჩამომეკიდა. მისაღებ ოთახში გავიყვანე და დივანზე დავისვი. სახე დავუკოცნე და მუშტებად შეკრული პატარა ხელები, თმა გადავუწიე. როგორ ვიფიქრე საერთოდ, რომ მის გარეშე გავძლებდი. მისი სიყვარულის გარეშე. იმ გრძნობის გარეშე, რომ შეუცვლელი ვიყავი მისთვის, რომ მას ჩემი მკლავები, ჩემი ტუჩები, ჩემი მხრები სჭირდებოდა ჩასაჭიდებლად, საკოცნელად, სატირლად. მაგრად ჩავიკარი გულში. როგორც იქნა, შემომხედა და წარბები შეჭმუხნა.
– მამა აღარ გიყვარს, არა? – ეს დასკვნას უფრო ჰგავდა ვიდრე შეკითხვას.
– ეგ რამ გაფიქრებინა, სიხარულო! რას ამბობ, თეო? აღვშფოთდი და კინაღამ გული ამერია საკუთარ თავზე.
– კი, ასეა.
– არა, არ არის მართალი. უბრალოდ რაღაც სირთულეები გვაქვს, ჩვენ... არ ვიცი, როგორ გითხრა. ხდება ხოლმე ზოგჯერ, ყველას ემართება. ადამიანებს ხან უფრო მეტად უყვართ ერთმანეთი, ხან უფრო ნაკლებად.
– მეც ხან მეტად გიყვარვარ და ხან ნაკლებად?
– არა, შვილებს და მშობლებს ეს არ ემართებათ. მათ სულ უყვართ ერთმანეთი.
– სულ სულ?
– სულ. და სულ უფრო მეტადაც კი. როგორც, მაგალითად, მე. ყოველდღე უფრო მაგრად მიყვარხარ და ერთ მშვენიერ დღეს ჩემი გული სუუუულ სავსე იქნება შენი სიყვარულით.
ღიტინი დავუწყე, რომ ღრუბლები გადამეყარა მისი სახიდან. ახარხარდა და დივანზე ყირა გააკეთა. მერე ავდექით. საუზმე მოვუმზადე. იმდენი ვაჭამე, სტაფილო, მგონი, აღარც გახსენებია. თუმცა კალათში გამოჩხერილი გაშავებული სტაფილო მაინც მიფუჭებდა ხასიათს.
ვარჯიშზე წავიყვანე. შაბათი დილა იყო, მზე ანათებდა. ნამიან ხის სკამზე ვიჯექი დანარჩენ მამიკოებთან და დედიკოებთან ერთად, რომლებიც თავიანთ შვილებს უყიჟინებდენენ. თეოს თვალყურს ვადევნებდი, ისევ დედა ვიყავი მისთვის, ისევ ვიღებდი მონაწილეობას მის ცხოვრებაში. ზოგჯერ გამომხედავდა ხოლმე, ამოწმებდა ხომ არ წავედი. ვარჯიშის შემდეგ გაოფლილი ტანსაცმლის გამოცვლაში მივეხმარე და მანქანაში ჩავსვი. მინდოდა, მდინარეზე წამეყვანა, თბილოდა და მინდოდა, ნაყინი გვეჭამა. მინდოდა, ნორმალური დედა ვყოფილიყავი, რომელიც შვილთან ერთად ხალისობს.
ელბასთან მივედით, გზად ფერად-ფერადი ნაყინის ბურთები ვიყიდე. მიუხედავად იმისა, რომ ქვიშა საკმაოდ ცივი იყო და მზე ჯერ საკმარისად არ აცხუნებდა, მაინც ნაპირზე დავსხედით. ვისხედით და გავყურებდით წყალს, სამგზავრო გემებს და გადამზიდებს. ირგვლივ ადამიანები დარბოდნენ, კოცნიდნენ ერთმანეთს, ძაღლებს ასეირნებდნენ. და ჩვენც ამ ყველაფრის ნაწილი ვიყავით.
თეომ მალე იპოვა რამდენიმე თანატოლი და მათთან ერთად ქვიშაში დაიწყო თამაში. მე სიგარეტს მოვუკიდე და შევამჩნიე, რომ მკლავი ჩალურჯებული მქონდა. ის ლაქა წინა ღამეს საკუთარმა ქმარმა დამიტოვა. ქმარმა, რომელსაც ვუღალატე, რომელიც მივატოვე და მოვატყუე. რომელსაც ვუთხარი, რომ აღარ ვიცოდი, მიყვარდა თუ აღარ. თვალები დავხუჭე. წყლის სუნმა თულია მომაგონა და ბავშვობა. ყველაზე მეტად კი ის სახლი მომაგონა ნავსადგურთან, – ემას სახლი, ივოს სახლი. პატარა ბაღით, ვიწრო დერეფნით, რომლის ბოლოში საძინებელი იყო საიდუმლოებით მოცულიოთახი, სადაც ჩვენი მშობლები სახიფათო თამაშებს მართავდნენ. გამახსენდა პატარა, დაჩრდილული სამზარეულო, სადაც მე და ივო საჭმელს ვიმზადებდით ხოლმე მოშიებულები. ივოს ერბოკვერცხი გამოსდიოდა კარგად, მე კი ყოველთვის ზედმეტ კარაქს ვუსვამდი პურზე. მაგრამ იმ სამზარეულოში ყველაფერი გვეგემრიელებოდა. დიდი შავი ძაღლი ჩვენს ფეხებთან თვლემდა და რასაც ვეღარ ვერეოდით, იმას ვაჭმევდით. მარკისთვის არასოდეს მითქვამს, რომ ძაღლები არ მიყვარდა. ერთადერთი ძაღლი, რომელიც მიყვარდა და რომელსაც შევეჩვიე, მკვდარი იყო, ისევე, როგორც მისი პატრონი. მასთან ერთად მოკლეს სანადირო თოფით. ფეხებთან ეწვა თურმე. ეს უკვე ივოსგან გავიგე წლების მერე. მოკლული ძაღლი რა მოსატანი იყო მოკლულ ქალთან.
ის საღამო გამახსენდა, მე და ივო დამალობანას რომ ვთამაშობდით და ჩემი ჯერი

რომ იყო მოძებნის. საერთოდ, საკმაოდ სწრაფად ვპოულობდი ხოლმე, იმიტომ რომ სახლი არც ისე დიდი იყო და ყველა ადგილი ვიცოდი. მაგრამ იმ საღამოს დიდხანს ვეძებე. ბოლოს ეზოში წავაწყდი, ხეზე, ძალიან მაღლა. ხელში დურბინდი ეჭირა. ტოტი, რომელზეც იჯდა, მისიმშობლების საძინებელს წვდებოდა ლამის. ფანჯარა დახურული იყო, ფარდებიც, როგორც ყოველთვის, როცა ფრანკი და ემა იმყოფებოდნენ იქ. მაგრამ პატარა ჭუჭრუტანა მაინც დარჩენილიყო ღია და სწორედ იმაში იჭყიტებოდა ივო თავისი დურბინდით. მივხვდი, რომ არასწორი იყო რასაც აკეთებდა და ვთხოვე, ჩამოსულიყო. მაგრამ ისე იყო გართული, ყურადღებაც არ მომაქცია. მაღლა ავფორთხდი და გვერდით მივუჯექი. სიმაღლის შიშიც დავძლიე და დანაშაულის გრძნობაც იმის გამო, რომ რაღაც აკრძალულის მოწმე გავხდი. ივოს ისეთი დაძაბული სახე ჰქონდა, ისეთი ჩართული იყო, ისეთი გაუცხოებული და ცივი, რომ ვერ ავიტანე მისი უყურადღებობა ჩემ მიმართ. ცალი ხელით ტოტს ჩავაფრინდი, დურბინდი გამოვტაცე და ჩავიხედე.

ორი ლანდი დავინახე, ერთმანეთს ჩაჭიდებული სილუეტები. მამაჩემი ფანჯრისკენ ზურგით იჯდა და ემას ფეხები წელზე ჰქონდა შემოხვეული. ემას სახე არ უჩანდა, უკან იყო გადაწეული, სამაგიეროდ, მის თითებს ვხედავდი, მამას ზურგზე ჩაბღაუჭებულს. მამა სულ უფრო იზნიქებოდა, ხან სწრაფად მოძრაობდა, ხან ნელა. ეს ყველაფერი რაღაც დიდ ტკივილს ჰგავდა. ივომ დურბინდი ამაცალა და მოხერხებულად და სწრაფად დაეშვა ხიდან. მეც გავყევი. გაოგნებული, შეშინებული და დაბნეული ვიყავი. უფრო ივოს სიცივით და გაუცხოებით, ვიდრე იმით, რაც დურბიდში დავინახე.

იმ საღამოდან მოყოლებული, ივო მამაჩემს ახლოს აღარ იკარებდა, ცოფდებოდა. დედამისს მიეწება, გაუთავებლად წუწუნებდა, ხან მუცელი მტკივაო, ხან მუხლი გადავიტყავეო, ხან დავეციო. დედამისის მომზადებული საჭმელი არ უნდოდა, საშინაო დავალებების გაკეთება არ უნდოდა, ჩემთან თამაში არ უნდოდა, არაფერი არ უნდოდა. მე კი სულ ვტიროდი, – მალულად, ღიად, ხმამაღლა, ჩუმად, ჯიუტად, საწყლად, თავშეკავებულად. არც მამაჩემის გამო ვტიროდი და არც დედაჩემის გამო, რომელიც სულ უფრო ხშირად იძინებდა ლენის ლოგინში; არც ლენის გამო, რომელსაც სულ უფრო ხშირად აყრიდა და რომელიც სულ უფრო იშვიათად დადიოდა საჯირითოდ, თითქოს პონის სჯიდა მშობლების საქციელის გამო; და არც ემას გამო, რომელიც სულ უფრო ხშირად იჯდა სამზარეულოში და ფანჯარას მისჩერებოდა, თითქოს იქ, გარეთ, ბაღში, ყველა მისი პრობლემის გადაწყვეტა იმალებოდა. მე მარტო ივოს გამო ვტიროდი, – იმიტომ, რომ განმარტოვდა, იმიტომ, რომ გაღიზიანებული იყო. იმიტომ, რომ თავგადასავალს აღარ ეძებდა ჩემთან ერთად, აღარ მეთამაშებოდა, ჩემთან ყოფნა აღარ უნდოდა.

მერე ტირილის ეტაპმა ჩაიარა და ახალ ეტაპზე გადავედი – წარამარა ვეხვეოდი ივოს, ვკოცნიდი, მასთან ხელიხელჩაკიდებული დავდიოდი. არ ვიცი რატომ. ალბათ ასე ვცდილობდი გამედევნა ის შიშისმომგვრელი საფრთხე, იმ ნავსადგურთან მდებარე სახლის პირქუში განწყობა. და ივოც ამყვა. ლოყებზე მეფერებოდა და თმას მიწნიდა. და ამით აპატია მამაჩემს ყველაფერი, რასაც ის დედამისს უშვებოდა.

– დედა, ნახე – თოლია!

თეო ჩემკენ გამოექანა, თან ნოტიო ქვიშას აფრქვევდა გარშემო. ჩვენ წინ თეთრი, ამაყი ფრინველი დააბიჯებდა და ყოველ ნაბიჯზე ზრდილობიანად გვიკრავდა თავს. ერთხანს ვუყურეთ. თეომ აღფრთოვანებისგან პირიც კი დააღო.

– იმიტომ რომ სტაფილო ოჯახის მხარეზეა. – არ შემოუხედავს, ისე მითხრა.

– რა?

ამ დროს მე სულ სხვა რამეზე ვფიქრობდი, – თოლიაზე, რომელიც გაფრენას აპირებდა.

– აი, ამიტომ. ასე წერია კალენდარში.

– რა კალენდარში?

– ბებასთან და ბაბუსთან რომ კიდია, იმაში. სამზარეულოს კალენდარია. იმიტომ რომ იქ რჩევები წერია, როგორ უნდა გაალამაზო სახლი.

– და სტაფილო ოჯახს იცავსო?

– კი. სიმყუდროვეს ქმნის სამზარეულოშიო. სტაფილოც და ფორთოხალიც.

მაგრამ ფორთოხალი არ მიყვარს.
– შენ გგონია, რომ ჩვენს სამზარეულოს სიმყუდროვე აკლია?
– სამზარეულოს კი არა. – თქვა და გავარდა წითელთმიან ბიჭთან, რომელიც ქვიშაში თამაშობდა.
მეილბოქსში მარკის შეტყობინება დამხვდა: ბევრი საქმე მაქვს დაალექსთან დავრჩები ამაღამო, თუ შეგიძლია თეო ჩემს მშობლებთან მიიყვანე, ბალტიის ზღვაზე აპირებენ გამგზავრებას და თეოსაც წაიყვანენო.
მეფე ლომს ზუსტად ორმოცდამეათედ ვუყურეთ. მერე თეომ დაიძინა. სანამ სიმბა ჯუნგლებში თავისი ადგილის დასამკვიდრებლად იბრძოდა, მე სტაფილოზე ვფიქრობდი. საძინებელში რომ შევედი და ლეპტოპს მივუჯექი, ისევ ჩამომხმარი სტაფილო მედგა თვალწინ.
ჩემი ინბოქსი გადავსებული იყო. გამოცდილი მზერა გადავავლე მინიშნებებს. აუცილებლად წაიკითხე! – ეწერა ლეოსთან.
მეილს გადავხედე. ლეო მაკრიტიკებდა და მლანძღავდა უპასუხისმგებლობის გამო, რამაც მისი უსაზღვრო ნდობა უსაზღვრო იმედგაცრუებით შეცვალა. ხომ იცი რამხელა იმედებს ვამყარებდი შენზეო, მთელი კულტურის განყოფილება შენთვის მინდოდა ჩამებარებინაო, მაგრამ ასე არაფერი გამოვაო, თუ ასე გააგრძელებ, არაფერზე არ ვაგებ პასუხსო. დროა ლოიალობა და პროფესიონალიზმი გამოიჩინოო... ბოლომდე აღარ წავიკითხე და პირდაპირ მივწერე:
„ძვირფასო ლეო, მადლობას გიხდი ძალისხმევის, გაგებისა და მოთმინებისთვის. მაგრამ ჩემს ახლანდელ მდგომარეობაში შეუძლებლად მიმაჩნია შენი მოთხოვნების დაკმაყოფილება და მოლოდინებისგამართლება. მართალი გითხრა, სამსახურის დატოვებასაც კი ვაპირებ, თუ საწინააღმდეგო არაფერი გაქვს. რაოდენ სამწუხაროც არ უნდა იყოს ჩემთვის, ვფიქრობ, ეს ამ წუთას საუკეთესო გამოსავალია ორივესთვის. დარწმუნებული ვარ, საკადრის შემცვლელს იპოვით. ასე რომ ამ დღეებში ჩემს ოთახსაც დავცლი, ალბათ ნადიას გამოადგება. შენც შემოგივლი და დანარჩენი მერე მოვილაპარაკოთ. მომავალ შეხვედრამდე. სტელა“.
არ ვიცი, ეს რატომ გავაკეთე. მაგრამ რაღაც წინააღმდეგობის გრძნობა გამიჩნდა, აღარ მინდოდა იმის კეთება, რისი კეთებაც არ მინდოდა.
შემდეგი მეილი ივოსგან იყო, ყოველგვარი მინიშნების გარეშე:
„ჩავფრინდი. თბილა, კარგ ხასიათზე ვარ, გადასარევად ვგრძნობ აქ თავს როგორც ყოველთვის. და გელოდები. გიგზავნი თვითმფრინავის ბილეთს მომავალი ოთხშაბათისთვის და ყველა ინფორმაციას, რომელიც შეიძლება დაგჭირდეს. გელოდები. ი“.
ლეპტოპი დავხურე და ღრმად შევისუნთქე. ვეცადე, ისე მოვქცეულიყავი, თითქოს ეს მეილი არ წამიკითხავს. ტელევიზორი ჩავრთე, გამოთაყვანების და თავდავიწყების სამყაროში ერთი არხიდან მეორეზე დავხტოდი, მაგრამ ვერაფრის დავიწყება ვერ შევძელი. თვალწინ თეო დამიდგა, რომელმაც კალენდარში იპოვა ბედნიერების რეცეპტი თავისი სახლისთვის; და ივო, – პატარაობისას, თმას რომ მიწნავდა ან მიკრავდა; და მამაჩემი, რომელსაც პატარა, სიფრიფანა ქალი ისე ეხვეოდა, თითქოს ზედ ადნებოდა; და თულია, სახე რომ შეეცვალა, როცა ვუთხარი, ივო მჭირდება-მეთქი; ჩემი და, მისი სამი ლიდერი შვილი და მისი ინტიმური გელი ჭრელ შეფუთვაში; ლეოც დავინახე, როგორ უყურებდა გოგოებს ტრაკზე; ჩემი ქმარიც, ჩემთან დაწოლა რომ მოინდომა და ამის ნაცვლად ტირილი დაიწყო; და დედაჩემი ჩემს საწოლთან, ჩემი ხელი რომ ეჭირა, როცა ხელიდან ვეცლებოდი; საკუთარი თავიც დავინახე რომელიღაც ბანძი სასტუმროს ნომერში, ივოს შიშველი, ახლად შხაპმიღებული სხეულის გვერდით, ვიღაც უცხო ქალის ანაბეჭდზე მიწოლილი. ქალის, რომლის გახსენებაც ივოს სულ არ უნდოდა.
და ყვირილი აღმომხდა.
მე დავიყვირე, ტელევიზორში კი მზარეულთა შოუ მიდიოდა. და იმ კადრების შემყურეს კიდევ უფრო განწირული მეჩვენა საკუთარი თავიც და მთელი სამყარო ჩემ ირგვლივ. ყველაფერი, რაზეც ვფიქრობდი და რასაც ვნატრობდი, ისეთივე აბსურდული იყო, როგორც ის ფაქტი, რომ ვიღაც კამერის წინ ამზადებდა კერძს,

ვიღაც კი ჯდებოდა მერე ეკრანთან და უყურებდა ამ კერძს, რომელსაც არასოდეს გასინჯავდა, არასოდეს მოამზადებდა, არასოდეს ჩაატანდა გემოს.
აივნის კარი გავაღე და გარეთ გავედი. ვხედავდი, როგორ მიუყვებოდა ნაწვიმარ ქუჩას, როგორ ქრებოდა. როგორც მაშინ, როგორც ყოველთვის. ჯერ მოწყალებას იღებდა და თავის უძვირფასეს სიახლოვეს მჩუქნიდა. მერე კი მსჯიდა, – განშორებით და გაუჩინარებით. შეუბრალებლად მშლიდა თავისი ცხოვრებიდან. თეთრი მარკერით მაქრობდა. ყველა კარავს დანგრეულს მიტოვებდა, ყველა კარს ცხვირწინ მიჯახუნებდა, ყველა კვალს შლიდა, რომ აზრად არ მომსვლოდა მას გავკიდებოდი. და ყოველთვის მარტო მტოვებდა, მარტო მისივე ჩაგონებულ ფიქრებთან. რომ სხვა არაფერზე მეფიქრა.
მისი დატოვებული საქაღალდე ავიღე. დალაქავებული იყო და გადატენილი, გაბერილი. ტელევიზორი გამოვრთე. ბარათები, ფოტოები, ჩანაწერები იატაკზე გავშალე და შუაში ჩავჯექი. კვალს ვეძებდი. ნებისმიერ კვალს, რომელიც გადამაფიქრებინებდა იმის გაკეთებას, რის გაკეთებასაც ვაპირებდი. რაც უფრო ვცდილობდი არ მეფიქრა, მით უფრო მინდებოდა ამის გაკეთება. თითქოს ჩემი აზრები ჩემს სურვილებს გადაემტერნენ და სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა გამართეს მათთან.
იმ წვერიანი კაცის ბევრი ფოტო შემხვდა. ყველას ივოს ძნელად გასარჩევი ხელით ეწერა თარიღები და ადგილები, ჩემთვის სრულიად არაფრის მთქმელი.
„ლადო ყანჩელი. დაბადებული 1963 წელს სოხუმში, საქართველოში. ქართველი მუსიკოსი და ქართული არალეგალური პოლიტიკური საპროტესტო მოძრაობის აქტივისტი, დისიდენტი. განათლებით კომპოზიტორი და გიტარისტი. თბილისის (საქართველო) და მოსკოვის (სსრკ)კონსერვატორიების კურსდამთავრებული. დაპატიმრებული იყო ორჯერ, 1979 და 1989 წლებში რეჟიმის წინააღმდეგ აჯანყებისკენ მოწოდებებისთვის. 90-იანების დასაწყისში იყო საქართველოს ეროვნული პარტიის თანადამფუძვნებელი, რომელსაც ზვიად გამსახურდია ხელმძღვანელობდა და საიდანაც ოფიციალურად გამოვიდა 1992 წელს. 1992-შივე სამოქალაქო ომის დროს გალში, აფხაზეთში, ქართულ საბრძოლო ბატალიონს ხელძღვანელობდა. მისი ოჯახის წევრები ომში დაიღუპნენ. რამდენიმე ხანი პოლიტიკური დევნილის სტატუსით ცხოვრობდა გერმანიაში, შემდეგ აშშ-ში. 2001 წელს საქართველოში დაბრუნდა და მას შემდეგ იქ ცხოვრობს და მოღვაწეობს როგორც კომპოზიტორი და მუსიკოსი“.
კიდევ ერთხელ გადავხედე ჩანაწერებს. ორი წლის წინ ბბჩ-მ ივოს რეპორტაჟი დაუკვეთა კავკასიის შესახებ. მთავარი თემა იყო რეგიონის უახლესი ისტორია და სამი ყველაზე დიდი კავკასიური ქვეყნის საქართველოს, სომხეთისა და აზერბაიჯანის, – რუსეთთან ურთიერთობა. მცირეოდენი საეთერო დრო ჩეჩნეთისთვისაც უნდა დაეთმოთ.
ივო ყოველთვის ირწმუნებოდა, რომ ტელევიზია არ იყო მისი მედია. მაგრამ გესისგან ვიცოდი, რომ ბოლო წლებში ბბჩ-ისა და ჩნნ-ისთვის აკეთებდა რეპორტაჟებს და მასალების საძიებლად ხანგრძლივად უწევდა მოგზაურობა.
როგორც ჩანდა, ეს რეპორტაჟი უკვე მზად ჰქონდა, მაგრამარასოდეს გაუშუქებიათ. მიზეზები შემეძლო მხოლოდ მევარაუდა. იმ გადაცემებში, სადაც ომის თემის წამოწევა არ უნდოდათ, ასეთი ფოტოები, ასეთი მასალა უადგილო იყო. ალბათ ივომ ძალიან შეტოპა, როგორც ყოველთვის.
ყოველ შემთხვევაში მე ისეთი ვერაფერი აღმოვაჩინე, რაც ამიხსნიდა, რატომ დაუბრუნდა ივო ორი წლის შემდეგ კვლავ ამ თემას. და რატომ მიაპყრო მთელი ყურადღება მხოლოდ ერთ ქვეყანას, საქართველოს, და მხოლოდ ერთ ადამიანს. ადამიანები, ცალკეული პიროვნებები მას საერთოდ არ აინტერესებდა, – თუ დიქტატორები ან სამყაროს შემცვლელები არ იყვნენ. მას უფრო მასები იზიდავდა და ისტორიული კონფლიქტები. მოვლენებს ყოველთვის ისტორიასთან კავშირში აღიქვამდა, ეპოქის ჩარჩოში, მსოფლიო მოვლენების კონტექსტში. ამიტომ გამაკვირვა მისმა ინტერესმა იმ ერთი წვერიანი კაცის მიმართ. კაცის, რომელიც არც დიდი პოლიტიკოსი უნდა ყოფილიყო და არც დიდი ხელოვანი, არც მსხვერპლად გამოდგებოდა და არც დანაშავედ. ივოს რადიკალიზმი უყვარდა, რადიკალური შეხედულებები, რადიკალური იდეები. ამ კაცთან დაკავშირებით კი, – მისივე ჩანაწერების გათვლისწინებით არავითარი მკაფიო აზრი არ გააჩნდა.

მხოლოდ შეკითხვები.
მისი ორი წლის წინანდელი ინტერვიუებიც არ გამოირჩეოდა რადიკალიზმით, უფრო ეპიკური იყო, უფრო ინფორმაციული. არ ჩანდა იმ კაცის მყარი პოზიცია. რეჟიმს კი აკრიტიკებდა, მაგრამ თითქმის არაფრით ეწინააღმდეგებოდა სოციალისტურ წარსულს. იქ არაფერი იყო ახალი, არაფერი ისეთი, რაც ივოს მიიზიდავდა ან გააოცებდა.
ესპრესო გავიკეთე და ჩხრეკა განვაგრძე. ომის კადრები. დაჭრილების, მოკლულების, ლტოლვილების, კამერაში შიშით მზირალი ბავშვების ბრუტალური, მაგრამ უკვე ყოველდღიურობად ქცეული ფოტოები. რით დააინტერესა ამ კაცმა ივო და რატომ უნდოდა, რომ მეც ჩავსულიყავი?
თავი მისკდებოდა, მაგრამ ვეღარ ვჩერდებოდი. ჩემი ავადმყოფური მანიის მიღმა, რომელსაც ივო ერქვა, კიდევ რაღაცამ გაიღვიძა ჩემში. რაც დიდი ხნის მივიწყებული მეგონა. რაც ერთ დროს საათობით კომპიუტერთან ჯდომას, ვიღაცებთან რეკვას და წიგნებში ქექვას მაიძულებდა. შეიძლება ეს ის უნარი იყო, რომელიც მამამ ლენის, მე და ივოს გადმოგვცა, ნიჭი, რომელიც მისგან გამომყვა. მიდრეკილება, გაუგებარის გაგების სურვილიდან რომ იღებდა სათავეს.
დიდი ხანია ეს მოთხოვნილება აღარ გამჩენია. მას მერე რაც საშუალო სტატისტიკური მოქალაქეებისთვის განკუთვნილი საშუალო სტატისტიკური სტატიებით შემოვიფარგლე, დავკმაყოფილდი იმის წერით, რაც არავის ააღელვებდა ან დაამწუხრებდა, ან გაახარებდა. მას მერე, რაც ბეჯითად ვინარჩუნებდი ნეიტრალიტეტს. გათენებისას ჩამეძინა, დივანზე. ივოს დანატოვარი ქაღალდების გროვაში.

16
იმ ზაფხულს საერთო საცხოვრებელში დავბინავდი, ერთ კაცთან და ერთ ქალთან ერთად. კაცი სრულიად უსაქმური იყო, ქალს კი კაქტუსების მთელი პლანტაცია ჰქონდა, ჰაშიშიც მოყავდა და გეოლოგიურზე უნდოდა ჩაბარება, მიუხედავად იმისა, რომ უკვე ოცდაჩვიდმეტი წლის იყო.
მე ვსაწავლობდი და თითქმის მთელ დროს ბიბლიოთეკებსა და ჩვენი გაზეთის იმპროვიზირებულ რედაქციაში ვატარებდი. ხანდახან აბისთან მივდიოდი და ქსერქსეს ვუვლიდი. ოღონდ, როცა აბი გასული იყო, რომ არ შევფეთებოდი. გასაღებს ყოველთვის ფეხსაწმენდის ქვეშიდან ვიღებდი და მერე ისევ იქ ვტოვებდი.
რამდენიმე ქალი გავიცანი. ერთად ვერთობოდით, საცეკვაოდ დავდიოდით და კაცებზე ვლაპარაკობდით. თუმცა გულის გადაყოლებას მაინც კითხვით და მუშაობით უფრო ვახერხებდი. ბევრს ვწერდი და საათობით ვესაუბრებოდი მამაჩემს, ყოველ შაბათ-კვირას ქალაქში გავდიოდით და ერთად ვსადილობდით.
იმ დღის შემდეგ, როცა შიშველმა ჩავუარე, თულიას სიტყვა აღარ დაუძრავს არც ამის და არც ჩვენი შემდგომი ლაპარაკის შესახებ. მეც ასე მერჩივნა.
ლენი იმ დროს ეზოთერიკით იყო გატაცებული და ზაფხულში ინდოეთშიც კი გაემგზავრა მედიტაციის კურსებზე. მისგან შევიტყვე, რომ ივომ სწავლას თავი დაანება და ბერლინში გადავიდა. იმავე წელს პრაქტიკა გაიარა ნიუ-იორკში, რომელიღაც ძალიან მნიშვნელოვან გაზეთში. გესი აღფრთოვანებულ წერილებს იწერებოდა და ხოტბას ასხამდა.
ხშირად მიფიქრია, შიში ხომ არ იყო ამ გადამეტებული ქება-დიდების მიზეზი, რომელსაც ჩვენი ოჯახის ზოგიერთი წევრი სავალდებულოდ მიიჩნევდა. შიში იმისა, რომ ივოს ყურადღება და სიყვარული არ მოკლებოდა, საკუთარი თავის დასამკვიდრებლად ბრძოლა არ დაეწყო და ეს ჩვენი შეკოწიწებული ბანქოს სახლი ნანგრევებად არ ექცია.
ნახევარ წელზე მეტი გავიდა, სანამ კვლავ შევხვდი. თულიამ დაიჟინა, რომ შობაზე ყველანი მასთან უნდა შევკრებილიყავით. დაიმუქრა, რომ წინააღმდეგ შემთხვევაში ოჯახის წევრობის უფლებას ჩამოგვართმევდა. ჩამოვიდა ივო. ჩამოვიდა ლენი. მეც ჩავედი მამასთან და მის იმდროინდელ გატაცებასთან, – შედარებით წარმატებულ მსახიობთან ერთად. ივოს ქალი ახლდა. ინგლისელი. დედოფალივით მიიღეს, თავს ევლებოდნენ და დაკანკალებდნენ. საოცრად

ამაღელვებლად და საინტერესოდ მიიჩნიეს მის გვერდით ქალის დანახვა, – ასე ხომ უფრო მეტის გაგებას შეძლებდნენ ივოს გემოვნებისა და მიდრეკილებების შესახებ. ქალი ჭკვიანი იყო და საკმაოდ სარკასტული. თან ძალიან გრძელი ფეხები ჰქონდა. ჟურნალისტი ხელოვნების სფეროდან, ივოზე ექვსი წლით უფროსი.
დანახვისთანავე შემძულდა. ის არ გავდა მიუნჰენელ ლილის. ის არ დაელოდებოდა კვირაობით ბედნიერების პატარ-პატარა ულუფებს, რომლითაც ივო გაუმასპინძლდებოდა ლოგინში ღამით, რომ მეორე დღეს ისევ გამქრალიყო მისი ცხოვრებიდან. ის მისი თანასწორი იყო. გამჭრიახი, გონიერი. და თავის ჭკუაზე ათამაშებდა ივოს. გამუდმებით იწვევდა, სულ ისეთ რამეებს აკეთებდა, რაზეც ივოს ტვინი ეკეტებოდა.
ლენისაც მეგობარი ახლდა. მდუმარე იოგა მასტი, რომელიც რაღაც ინდურ ინსტრუმენტზე უკრავდა. თულიას თუ არ ჩავთვლით, მე ვიყავი ერთადერთი, ვინც მარტო ჩავედი. ჩემი სიმარტოვის სუნი ალბათ ას მეტრშიც იგრძნობოდა.
ინგლისელ ქალს ბეა ერქვა. გულის ამაჩუყებელი საჩუქრები ჩამოიტანა და გაუჩერებლად ჰყვებოდა სახალისო ამბებს თავისი ცხოვრებიდან, მისი და ივოს ერთობლივი ცხოვრებიდან ნიუ-იორკში გაუცნიათ ერთმანეთი. თავისი საშობაო სადღეგრძელოს დაასრულს კი გამოაცხადა, – გერმანული უნდა ვისწავლო და ივოსთან ერთად ბერლინში დავსახლდეო.
ივო არ მიყურებდა. უფრო სწორად, მიყურებდა, ოღონდ ზუსტად ისე, როგორც დანარჩენებს. მე არ მხედავდა. სამაგიეროდ, თულია მაკვირდებოდა გამომცდელად. ლენი ბედნიერებისგან ბრდღვიალებდა. ფრანკი სვამდა და თავის ახალ ნადავლს ხელებს უფათურებდა. მე კი ვიჯექი იქ და ჩემი მომავლის ნამსხვრევებს ვაგროვებდი, თავზე რომ მეყრებოდა. მომავლის, რომელსაც სიცოცხლე არ ეწერა, აბი მენატრებოდა და ჩვენი მყუდრო სიყვარული, მისი მზრუნველობა, მისი საიმედობა. და მძულდა ივო.
საჩუქრების დარიგების შემდეგ, ჩვეულებისამებრ ლოთობა გაჩაღდა თულიას ლიქიორებითა და არყებით. ამაშიც გამოცდილი აღმოჩნდა ბეა. ამ ყველაფრის დამაგვირგვინებლად მსახიობი ცეკვის ხასიათზე დადგა, ანიტა ბაკერი ჩართო და ყველა იქ მყოფი წყვილი აიყოლია. მამას შევეცოდე და მეც მეცეკვა. მერე კი ლენისთანაც მომიწია ცეკვა. – ოჯახის დაჟინებული მოთხოვნით მე და ლენიმ ძველისძველი ცეკვა წარმოვადგინეთ, რომელიც სკოლაში ვისწავლეთ ოდესღაც. ისევე სულელურად და სასაცილოდ გამოვიყურებოდით, როგორც მაშინ. სირცხვილისგან სად დავმალულიყავი, არ ვიცოდი.
დავთვერი, ჩემი მოქსოვილი ქუდი დავიხურე, რომელიც თულიას ვაჩუქე საშობაოდ, და ბაღში გავედი სიგარეტის მოსაწევად. საქანაო სავარძელზე დავჯექი და ვუსმენდი სიცილ-კისკისს, რომელიც სახლიდან გამოდიოდა.
ვიჯექი, გლუვაინს ვსვამდი და სიგარეტს სიგარეტზე ვეწეოდი. ვერავინ და ვერაფერი მაიძულებდა იმ ჯოჯოხეთში შებრუნებას.
მაგრამ მერე ჩემ გვერდით გაჩნდა და სიგარეტი მთხოვა. უსიტყვოდ გავუწოდე ნახევრად დაცლილი კოლოფი. არც უკითხავს, ისე მომიჯდა. მექანიკურად გვერდზე გავიწიე.
– კარგად გამოიყურები.
მითხრა ხაზგასმით ხალისიანად. ჩემკენ არ გამოუხედავს. წაწვეტებულიჩექმებით მიწას ჩიჩქნიდა. შიგნით ანიტას ტკბილი ხმა სიყვარულსა და ბედნიერებას უმღეროდა. და არ გულისხმობდა იმათ, ვინც სწორედ იმ დროს, გარეთ, სიცივეში ქანაობდა.
– არ გვინდა ეს არაფრის მთქმელი სიტყვები.
– როგორ ხარ?
– გადასარევად.
– წყენა ვერ დაივიწყე?
– წყენა? შენ ეს წყენა გგონია?
– თულიას სიტყვა არ დაცდენია.
– შედი რა შიგნით. ამაზრზენი ხარ.
– ამაზრზენი? რა დავაშავე?
– შენი აზრით, ამის მეტი სადარდებელი არ მაქვს? – თულიას არ წამოცდეს, რომ

შიშველი გამომიჭირა შენთან ერთად? შენ გგონია ამის მეშინია?
– მე არაფერი არ მგონია. უბრალოდ გკითხე, როგორ ხარ-მეთქი.
– მეც გითხარი, გადასარევად-მეთქი.
– როგორმე უნდა გადააბიჯო ამას, სტელა. ასე არაფერი გამოვა.
– უნდა გადავაბიჯო. აბა რა. წავალ მეც ნიუ-იორკში და დავითრევ ვინმეს, ვინც გადამაბიჯებინებს, დამავიწყებს ყველაფერს, ყველა ადამიანს, ვინც ტრაკულად მომექცა.
– ნუ ხარ ასეთი გესლიანი. ეს ხომ ძალიან იოლია.
– არაფერი იოლი არ არის ამაში, ივო. და ძალიან დამავალებ, თუ არ ითამაშებ აქ კაცს, რომელსაც სიტყვა პრობლემა არასოდეს გაუგონია.
– მე კარგად ვარ და კარგ ხასიათზე ვარ, რაში მჭირდება თამაში?
მთელი საღამოს განმავლობაში პირველად ჩავხედე თვალებში და სიძულვილის მეტი ვერაფერი ვიგრძენი. ავდექი და გავიქეცი იქიდან; მასთან ერთ ჭერქვეშ ღამის გატარება აუტანელი მეჩვენა.
გულის გადასაყოლებლად სოფლის ყველა ბარი ჩამოვიარე, მაგრამ მხოლოდ ერთი იყო ღია. პატარა ბარი პატარა სასტუმროში. გათენებამდე შევრჩი იქ და არყით გამოვთვერი. ნახევრად მკვდარი მივედი ტაქსით სახლში.
მომდევნო თვეები თითქოს ბურუსში გავატარე. სწავლა მომწყინდა. ცხოვრება შემძულდა. ყველაფერი მეზიზღებოდა საერთო საცხოვრებელი, ადამიანები, ქუჩები, ქალაქი, ჩემი ოჯახი, საერთოდ, ბედნიერების ცნება. მიმაჩნდა, რომ ბედნიერება, როგორც ასეთი, არც არსებობდა, ილუზია იყო.
მამაჩემის რეკომენდაციით რაღაც მემარცხენე გაზეთებისთვის ვწერდი პატარა რეპორტაჟებს, რომლებიც არც რადიკალური იყო, არც სხარტი, არც ღვარძლიანი და არც მიზანმიმართული. – ივოს რეპორტაჟებისგან განსხვავებით, რომელთაც თულია საგულდაგულოდ აგროვებდა და თეთრ ყუთში ინახავდა. – ჩემი რეპორტაჟებისგან განსხვავებით.
გაზაფხულზე ერთი გაცვლითი სემესტრი ნიუ-ჯერსის უნივერსიტეტში გავატარე. დედაჩემთან ვცხოვრობდი, რომელიც საჭმელს მიმზადებდა და მივლიდა. მრავალი თვის შემდეგ პირველად მოხდა ისე, რომ ყოველდღე აღარ ვფიქრობდი ივოზე და აღარც ვედრებოდი მას.
გამომგზავრებამდე ცოტა ხნით ადრე, როცა დედაჩემი ყველაფერს აკეთებდა, რომ ამერიკაში დავრჩენილიყავი, – კასპერი გავიცანი. უჭკვიანესი იყო, ჯეიმს ჯოისის დიდი თაყვანისმცემელი, წარმოშობით ბრემენელი. მხოლოდ ის ახერხებდა ლაპარაკში ჩემს ჩათრევას თხუთმეტ წუთზე მეტი ხნით. რომელიღაც ყველასთვის უცნობი და მხოლოდ მისთვის სათაყვანებელი როკჯგუფის კონცერტზეც კი წამათრია. ჩემთან ერთად დადიოდა საჭმელად, რაღაც ადგილებს მიკითხავდა წიგნებიდან, საუკეთესო ბარებში დავყავდი. სიმღერაც კი დამიწერა, სრულიად უსმენო და ძალიან გულის ამაჩუყებელი. მერე ავიღე და დავწექი მასთან. ამიტომ უფრო მეტი ხანი დავყავი ნიუ- ჯერსიში, ვიდრე დაგეგმილი მქონდა. ამით დედაჩემს იმედი მივეცი, რომ წასვლას გადამაფიქრებინებდა. კასპერი ესთეტიკის და ძველი რომის არქიტეკტურის კურსებს გადიოდა უნივერსიტეტში. მანამდე არაფერი ვიცოდი ამ საგნების შესახებ და გავერთე.
შემოდგომაზე კასპერთან ერთად დავბრუნდი გერმანიაში. ღამეებს ბრემენში ვატარებდი, დღეებს ჰამბურგში, და ასე დავბოდიალობდი.
უწყინარი იყო, მშვიდი და ჭკვიანი. ისეთი რამეები იცოდა, რაც მე არ ვიცოდი და ის რომ არა, ვერც ვერასდროს გავიგებდი. მაგალითად: თუ სავსე მთვარის დროს სწორ მდგომარეობაში მიეცემი სიყვარულს, თურმე შეიძლება სრულ ექსტაზს მიაღწიო. რა ხანია არ მქონია ისეთი მშვენიერი გასართობი, როგორიც კასპერი იყო ჩემთვის.
ასე შევრჩით ერთმანეთს. ორივემ ვიცოდით, რომ ეს ის სიყვარული არ იყო, რომელსაც ვნატრობდით, მაგრამ ძალიან გვინდოდა ასეთად გვექცია.
ერთ დილას, ოქტომბერში, სემინარზე მაგვიანდებოდა და ის იყო, ველოსიპედი გამოვიყვანე, რომ დავინახე. ივო. ძველ ტყავის ჟაკეტში, თმაგაბურძგნული. უფილტრო სიგარეტს ეწეოდა და ცერა თითს იკვნეტდა. ისე იდგა, თითქოს მე მელოდებოდა. შემეშინდა და მოულოდნელობისგან შემაქანა კიდეც. თვალები ჩაწითლებული ჰქონდა, წონასწორობას ვერიცავდა. ველოსიპედს ხელი გავუშვი

და მასთან მივედი.
– კარგად ხარ? – იყო პირველი, რაც პირზე მომადგა.
– არც ისე. შეიძლება შენთან ავიდეთ?
– საიდან იცი სად ვცხოვრობ?
– შენ ხომ ჩემი და ხარ.
– როდის აქეთაა?
– ცუდად ვარ.
ფერი წაუვიდა და ისე აბარბაცდა, თითქოს ცოტაც და დაეცემოდა. გვერდით დავუდექი, ხელი მხრებზე შემოვახვევინე და მესამე სართულზე ავათრიე. ჩემს ბინაში, ჩემს ოთახში, და ლოგინზე დავაწვინე. ჩემი მეზობლები სახლში არ იყვნენ, ბინაში დილის სიმყუდროვე სუფევდა. ფანჯრებიდან შემოდგომის მზის უკანასკნელი სხივებიიღვრებოდა და სათაყვანებელ შუქს აფრქვევდა.
სამზარეულოში გავედი და ასპირინი გავხსენი წყალში. როცა ჭიქით ხელში ოთახში შემოვბრუნდი, დავინახე, რომ ივოს უკვე ეძინა, ღრმად და განცხრომით. სკამზე დავჯექი და დავაკვირდი. დიდხანს ვუყურე და სევდა მომაწვა. რატომღაც ისეთი უსუსური მეჩვენა, ისეთი ეული, ისეთი პატარა. თითქოს ძილში ისევ ის ივო იყო, რომელსაც პარტყუნა ყურები ჰქონდა და შავი ძაღლი ჰყავდა. ის ივო, რომელიც დამალობანას მეთამაშებოდა და ჩემს ცხელ ხელისგულებს ლოყებზე იდებდა.
შვიდი საათი ეძინა. მე ჩვენი საერთო საცხოვრებლის სასტუმრო ოთახში ვიჯექი და წაკითხვას ვცდილობდი, თუმცა ყოველ ოც წუთში ფეხაკრეფით შევდიოდი დასახედად. ავარდისფრებული ლოყებით და კმაყოფილი ღიმილით დამადგა თავზე და მითხრა:
– ვკვდები, ისე მშია. გავიდეთ სადმე საჭმელად?
გაოცებულმა შევხედე.
– შემიძლია მაკარონი მოვხარშო.
– ძალიან კარგი. მალე იქნება?
– შევეცდები.
სანამ მე ქურასთან ვტრიალებდი, ის იჯდა, ეწეოდა და მაკვირდებოდა. ნერვიულად გამოცალა ჩემი მეზობლების ღვინის ნარჩენები.
– რა დაგემართა? – ვკითხე მე.
– წუხელ ცოტა ზედმეტი დავლიე.
– დალიე? დარწმუნებული ხარ, რომ დალიე და მეტი არაფერი?
– რა შენი საქმეა.
– გონზე არ იყავი! და საერთოდ, აქ რა გინდოდა?
– ოჯახის წევრების მონახულება გადავწყვიტე. თულიასთან და ფრანკთან ვიყავი.
– და ბოლოს მეც მესტუმრე! ახლა შეგიძლია გულდამშვიდებული დაბრუნდე სახლში, არა? ხომ მოინახულე ყველა.
– ნუ ხარ ასეთი რა. შენი წიკვინის თავი არ მაქვს.
– მე არ ვწიკვინებ. უბრალოდ, ცოტა არ იყოს, გაოცებული ვარ, ასე რომ მომადექი კარზე და თან ირწმუნები ჩამოვლაზე ვარო.
– რა ვქნა, წავიდე? კი ბატონო, რა პრობლემაა.
კი გავიფიქრე, რა არაჩვეულებრივი იქნებოდა-მეთქი, ძალა რომ მყოფნოდა და მის ამ შეკითხვაზე თანხმობით მეპასუხა. ერთხელ მაინც მყოფნოდა ძალა და მეთქვა მისთვის, რომ წასულიყო და აღარასოდეს დაბრუნებულიყო. მაგრამ მშვენივრად ვიცოდი, რომ თუ ამას ვიზამდი, დარჩენილ ცხოვრებას უსასრულო ვარდნაში გავატარებდი.
– შეგიძლია დარჩე, – სპაგეტით სავსე თეფში დავუდგი მაგიდაზე.
აბაზანიდან რომ გამოვედი, ჩემს საწოლზე დამხვდა ატირებული. გამოვშტერდი, თვალებს არ ვუჯერებდი, ისეთი თავდაჯერებული და ხალისიანი იყო, როცა პრესაზე და ბერლინზე ქაქანებდა. გავჩერდი, ვიფიქრე, დავაცდი რომ დაწყნარდეს და ადგეს-მეთქი. მაგრამ ის არც წყნარდებოდა და არც დგებოდა. ნელა მივუახლოვდი და ფრთხილად ჩამოვუჯექი საწოლის კიდეზე. შეხება ვერ გავბედე და მხოლოდ ხელი გავიწვდინე მისკენ. თითქოს ხელს კი უნდოდა შეხებოდა, მაგრამ ტვინი არ აძლევდა ამის უფლებას.
– რა მოხდა, ივო? – ვკითხე ჩურჩულით და თითებით საბანი გავასწორე.

– ძალიან მენატრები. – ამოისლუკუნა პატარა ბავშვივით და ზურგი შემაქცია.
– გენატრები? და ამიტომ ტირი?
– ტრაკობაა ეს ყველაფერი. ტრაკობა და უსინდისობა. მენატრები.
– ივო, რას ბოდავ? აღარაფერი მესმის.
ჩემი ხელი თავისაში მოიქცია. თითები დამიკოცნა, კბილები წამავლო.
– ხომ გახსოვს, რა გითხარი მაშინ მიუნჰენში? რომ ხანდახან უნდა შევეხოთ ხოლმე ერთმანეთს. ჰოდა დროა უკვე.
წამოვხტი. ამაძაგძაგა. ისეთი აუღელვებელი ხმა გაუხდა ისევ. ისევ ისე ლაპარაკობდა ჩემზე, როგორც ნივთზე. რომელსაც ხან სადმე კუთხეში მიდგამ და ხან ისევ გამოიღებ, რომ შეამოწმო, ადგილზეა თუ არა.
წამოდგა და ჩემკენ წამოვიდა. მე უკან დავიხიე და კართან აღმოვჩნდი. მკლავზე წამავლო ხელი და თავისკენ მიმიზიდა, ნიკაპი ამიწია, დამაცქერდა. და იმის მაგივრად, რომ საკადრისი სილა გამეწნა მისთვის, ავდექი და ვაკოცე.
არ ვიცი, რა დრო იყო, როცა მეზობელმა ქალმა მომიკაკუნა და ჩვეული ქედმაღლობით მამცნო, სტუმარი გეწვიაო. ჩაგვძინებოდა, და სანამ ივოს მკერდიდან თავის აწევას მოვასწრებდი, კასპერი უკვე შუა ოთახში იდგაღვინის ბოთლით ხელში.
– ვიფიქრე... – დაიწყო მან, სანამ აზრზე მოვიდოდა, და გაჩუმდა. მე ხელები ავიფარე სახეზე, თითქოს ასე შევძლებდით გაუჩინარებას რომელიმე. ან ივო, ან კასპერი, ან მე.
კარგად მახსოვს, როგორ ფრთხილად დადგა კასპერმა ღვინის ბოთლი, როგორ გადაუსვა ეტიკეტს ხელი. მე თვალს ვერ ვუსწორებდი. ხმა არ ამოუღია, ისე მიტრიალდა და გავიდა ოთახიდან, კარიც კი ჩუმად გაიხურა.
თეომ ხელი დამიქნია, როცა მარკის მშობლებთან დავტოვე. ისინი, ჩემდა გასაკვირად, საკმაოდ თავშეკავებულად შემხვდნენ. თუმცა ეჭვის თვალით მიყურებდნენ. მე ხომ კვირების განმავლობაში ვუფუჭებდი ხასიათს მათ უნაკლო ვაჟს.
მანქანაში ჩავჯექი და დავიწყე ფიქრი, რა მეკეთებინა მთელი დღე. სამსახური მე არ მქონდა და შვილის მოვლა მე არ მეხებოდა. ივო უკვე წასული იყო. და ნებისმიერი მეგობარი ერთსა და იმავე რჩევას მომცემდა ალბათ: ასეთ მდგომარეობაში აუცილებლად ფსიქოთერაპევტს უნდამიმართოო. ამის თავი ნამდვილად არ მქონდა.
დროის გასაყვანად ერთხანს ქალაქში ვიარე სრულიად უაზროდ, ჩემი ქმრის ნაჩუქარი მანქანით. მერე გავჩერდი. თავი საჭეს დავადე. მანქანები გვერდს მივლიდნენ და მისიგნალებდნენ. რადიოში ნილ იანგის ლონგ როუდს გადმოსცემდნენ. ცა კოკისპირული წვიმით იმუქრებოდა.
ივო ბეასთან ერთად ცხოვრობდა ბერლინში და ცნობილ ჟურნალებთან თანამშრომლობდა. ივო კარგ ფულს აკეთებდა და წამალზე იყო შემჯდარი. ივო სულ უფრო ხშირად ქრებოდა სადღაც და მისი კვლავინდებურად მხოლოდ ინგლისურად მოლაპარაკე შეყვარებული სულ მის ძებნაში იყო. ყველა მის ნათესავთან ჩამორეკავდა ხოლმე, მათ შორის ჩემთანაც. ბეა გახდა, ფეხები ისეთი გრძელი აღარ უჩანდა, თმები გამოეფიტა, ფრჩხილებს აღარ უვლიდა. პატარა სტატიებს წერდა რაღაც ინგლისურ ბულვარულ გაზეთებში და ბავშვის გაჩენაზე ოცნებობდა. ეგონა ამით დააბამდა მუდამ გასაქცევად გამზადებულ ივოს. გამოცდა ახალი ჩაბარებული მქონდა, როცა მეორედ შევხვდი ბეას, ფრანკის დაბადების დღეზე მოვიდა. ივო მის ცხოვრებასაც ისე ადვილად და დაუნანებლად ანგრევდა, როგორც ჩემსას. შემეცოდა კიდეც. ივოს დანახვა არ მინდოდა.
სამაგიეროდ სულ უფრო კარგ რეპორტაჟებს აკეთებდა. ფული გაუჩნდა. თულიას ჯიპი უყიდა. ფრანკს იმ წიგნების პირველი გამოცემები აჩუქა, რომლებზეც ის სულ ოცნებობდა. ყველა დაბადების დღე ახსოვდა, რესტორანში ვახშამს უკვეთავდა და, რა თქმა უნდა, თვითონ იხდიდა. მე და ლენის ნიუარკში გასაფრენი ბილეთები გვაჩუქა, როცა დედა სამოცი წლის ხდებოდა.
  სწავლის დასრულების შემდეგ პატარა ოროთახიანი ბინა ვიქირავე სან პაულიში და მხატვრული ლიტერატურის ერთ გამომცემლობაში დავიწყე რედაქტორად მუშაობა. ზოგჯერ ჰამბურგის გაზეთებისთვისაც ვწერდი რაღაცებს. ერთ

თანამშრომელს დავუმეგობრდი, რომელსაც სარა ერქვა და კატის თვალები ჰქონდა, ულამაზესი, მწვანე. იალქნიანინი ნავით ცურავდა და ბევრს მაცინებდა.
ბეამ მიატოვა ივო, ოჯახი დამწუხრებული იყო.
ლენისა და საბავშვო წიგნების გამომცემლის ნიშნობაზე ივომ ცხრამეტი წლის ქერათმიანი გოგო მოათრია, რომელსაც იმხელა ძუძუები ჰქონდა, რომ მისი სახე და სახელი აღარავის ახსოვდა. თულიას დაბადების დღეზე დაბოლილი გაიჩითა. თულიას ეს არ გამოპარვია. ვერანდაზე იჩხუბეს, მე კი ანიტა ბეიკერის (ყველგან ანიტა ბეიკერი) სიმღერა ჩავრთე და ვიცეკვე.
სპეციალურად მივიტანე ანიტა ბეიკერის ჩდ და თან სიმპათიური მხატვარი მივიყვანე, რომელიც გამოფენაზე გავიცანი, როცა სტატიას ვწერდი მასზე. „ისე რა“ მხატვარი იყო, მაგრამ ძალიან კარგად გამოიყურებოდა. მგონი, ქალებს მისი ტრაკი უფრო აინტერესებდათ, ვიდრე ნახატები. ასე რომ, იმ საღამოს ყველას დასანახად და ძალიან გამომწვევად ვეცეკვებოდი ჩემს ახალ, თვალწარმტაც შეყვარებულს. როცა მე მას ყურზე ველამუნებოდი, სწორედ იმ დროს დასცხეს ერთმანეთს თულიამ და ივომ. ამით კიდევ უფრო კმაყოფილი დავრჩი. ლენიმ თავი გააქნია და ჩაახველა. მე სახეში შევცინე და ენა გამოვუყავი.
ჩემ გარდა ანიტა ბაკერი და ხალისიანი საშობაო წვეულება არავის ახსოვდა.
ერთხელ რაღაც რეპორტაჟი შემიკვეთეს და მასალის მოსაძიებლად ბერლინში მომიწია წასვლა. მატარებლით ჩავედი და ძველებურ პანსიონში დავბინავდი. ვტკბებოდი ახალი სახეებით და კარგადაც ვერთობოდი. მეოთხე დღეს ივო შემხვდა. ერთმა კოლეგამ ახლად გახსნილ ბარში წამათრია, ძაან მაგარიაო, მითხრა.
ვიღაცამ თითი მომიკაკუნა მხარზე და რომ მივიხედე, გაბრწყინებული ივო შემრჩა. შუბლზე მკოცნიდა.
– აქ საიდან გაჩნდი? – აღმომხდა მე.
– შენ თვითონ საიდან გაჩნდი?
– მე მივლინებაში ვარ. და მირჩევნია ჩემი მივლინებით შემოვიფარგლო.
– გასაგებია, ისევ მებუტები. მოდი დავლიოთ, გპატიჟებ.
– ტყუილად ნუ შეიწუხებ თავს.
– სალაპარაკო მაქვს შენთან. მართლა გეუბნები.
და ისევ წამიერად შეეცვალა გამომეტყველება, ხელი ხელში ჩამავლო. მე ხელი გამოვტაცე და ზურგი შევაქციე.
ჩემს კოლეგასთან და მის მეგობრებთან გავაგრძელე ლაპარაკი, ივო კი მომჩერებოდა და როცა თვალებით ერთმანეთს ვხვდებოდით, მიცინოდა. ვიღაც უცნაურ ტიპებთან ერთად იყო, სულ არ მინდოდა მათი გაცნობა. ყოველნაირად ვარიდებდი თავს, რამდენადაც ეს სამოცდაათ კვადრატულ მეტრზე იყო შესაძლებელი. როცა ტუალეტში წავედი, გამომეკიდა და წინ გადამიდგა.
– რას დამდევ? რაზე უნდა ვილაპარაკოთ?
– აღარ გინდა ჩემთან ყოფნა?
– მომეშვი.
მძულდა, ასე რომ მიყურებდა, პირის კუთხეები ცოტა დაწეული, მოელვარე და გამჭვირვალე თვალები, მკლავები ოდნავ ჩემკენ გამოშვერილი.
– მოდი ერთად დავსახლდეთ. ჰამბურგში მინდა გადმოსვლა. ყელში ამომივიდა ეს დამპალი ქალაქიც და ეს მომთაბარე ცხოვრებაც. მოდი რა, ვცადოთ.
– კაიფში ხარ?
– არა, გამონაკლისის სახით ამჯერად არ ვარ კაიფში. შენ რომ გხედავ, კარგ ხასიათზე ვდგები.
– სულ არ არის სასაცილო.
– მართლა გეუბნები. თულიას დაბადების დღის მერე ძალიან ბევრი ვიფიქრე. ერთ თვეში ჰამბურგში გადმოვდივარ. რატომაც არა? და თუ ოდნავ მაინც გიყვარვარ...
მივტრიალდი და ქალების ტუალეტსშევაფარე თავი.
ერთი თვის შემდეგ მართლა გადმოვიდა ჰამბურგში. იმ უბანში დასახლდა, სადაც პირველად ვიწექი მასთან, და ტელეფონი ამიფეთქა. შეხვედრის მცდელობა არ ჰქონია, მხოლოდ მირეკავდა და წერილებს ან პატარა ბარათებს მწერდა და კარის ქვეშ მიცურებდა. მერე ყვავილებს მიგზავნიდა. ძირითადად ერთ ორქიდეას

ან სამ წითელ ვარდს. რატომ მაინც და მაინც სამს, გაუგებარი იყო.
ერთხელ ტელეფონმა ღამის ორ საათზე დარეკა. ვიცოდი, რომ ის იყო. ვუთხარი მოდი-მეთქი. არც გისმენთ“ და არც ივო“. უბრალოდ: „მოდი“.
თხუთმეტ წუთში ჩემთან იყო.
ერთი კვირა დამჭირდა ჩემი ნივთების ჩასალაგებლად და მასთან გადასასვლელად. არ მჯეროდა რომ შეიცვალა, რომ ჩემთან დარჩენა გადაწყვიტა. მაგრამ ძალიან ბედნიერი ვიყავი და ამ ბედნიერებას ვერავითარი შეკითხვებით ვერ შევუქმნიდი საფრთხეს. ვერ ვძღებოდით სიყვარულით. დილას და საღამოს, ღამით და შხაპის შემდეგ, შხაპის მიღებამდე და სამზარეულოში, ოთახში, დერეფანში, ზოგჯერ სადარბაზოშიც კი, იმიტომ რომ ბინამდე ვერ ვითმენდით. თითქმის არ ვლაპარაკობდით, ცოტას ვჭამდით და სამუშაოდაც იშვიათად დავდიოდით. თუ მე გამომცემლობაში მიწევდა წასვლა, ან იმას რეპორტაჟისთვის სადმე გამგზავრება, ვურეკავდით ერთმანეთს და ერთი სული გვქონდა როდის მივეცემოდით ისევ სიყვარულს.
ლენი პირველი იყო, ვინც კითხვების დასმა დაიწყო. ერთ დილას გაუფრთხილებლად მომადგა და კითხვები დამაყარა ივოზე, ძლივს დავიძვრინე თავი.
ფრანკმაც დაიწყო ჩვენთან სტუმრად სიარული. ბოლოს ოჯახური ვახშამი გამართა თავისთან და თულიაც დაპატიჟა. გასაგები იყო, რაც გველოდა.
აღარ მახსოვს, რომელმა წამოაყრანტალა რაღაც სისულელე, ლენიმ თუ ფრანკმა. ასეთ სიტუაციაში ხშირად წარმომედგინა ჩემი თავი და მთელი ამ წლების განმავლობაში ჩემს წარმოსახვაში მე ვილაშქრებდი მთელი ქვეყნის წინააღმდეგ, მე ვიბრძოდი, მე ვიცავდი ივოს და საკუთარ თავს. ყოველთვის მე ვლაპარაკობდი მის ნაცვლად, როგორც ამას ადრე ვაკეთებდი. მაგრამ ამჯერად ივო წამოდგა; საკმაოდ ნასვამი იყო და სრულიად მშვიდად თქვა:
– დიახ, ჩვენ ერთად ვართ. ამიტომაც ვცხოვრობთ ერთად. სხვა შეკითხვა ხომ არ გაქვთ? – სიჩუმე ჩამოვარდა და უსასრულოდ გაგრძელდა. ჯერ თულიამ ჩაახველა. მერე ლენის აუტყდა ისტერიული სიცილი. თითქოს გაგონილს ტვინში ვერ იტევდა და სიცილით უნდოდა ამისგან თავის დაცვა. ივო კი მშვიდად გავიდა ოთახიდან.
და წავიდა. დამტოვა. მარტო დამტოვა ჩემი ოჯახის წევრების პირისპირ. საყვედურით სავსე თვალებით მიყურებდნენ და ხმას არ იღებდნენ. როცა წასვლა დავაპირე, ჩემი ატირებული და გამომყვა დერეფანში და იდაყვში მაგრად ჩამაფრინდა.
– მაგასაც სიკვდილამდე მიიყვან და მამასაც. რატომ აკეთებ ამას?
– რატომ გგონია რომ ანგარიში უნდა ჩაგაბარო? მიყვარს და მორჩა.
– გიყვარს? იმ ყველაფრის მერე, რისი გაკეთებაც მოგვიხდა და რაც გადავიტანეთ,
– რას ჰქვია გიყვარს? გინდა ისევ ყველაფერი ამოტივტივდეს?
– უნდა წავიდე. გამიშვი ლენი, ძალიან გთხოვ.
– როგორ არ გესმის, რომ ოჯახს ანგრევ.
– ასე გამოდის. ეს რომ მცოდნოდა, სხვა ცხოვრებას ავირჩევდი, დამიჯერე.
ტაქსით წავედი სახლში. სანამ გასაღებს გადავატრიალებდი, უკვე ვიცოდი, რომ რაღაც სამუდამოდ შეიცვალა. უბრალოდ ჯერ არ ვიცოდი, რა. თვალდახუჭული ივო საწოლზე იყო გაწოლილი. საწოლთან, პატარა მაგიდაზე, თეთრი ფხვნილის პატარა შეკვრა იდო.
წელიწად-ნახევარი ვიცხოვრე მაშინ ივოსთან ერთად და აღმოვაჩინე,რომ თურმე ხილის მიუზლი ეზიზღებოდა. მსხალს კი სიამოვნებით ჭამდა ღამით ლოგინში, სექსის მერე. თურმე ისევ უყვარდა ჩემი თმის დაწვნა. კომპიტერზე ბეჭდვის დროს სრული სიმშვიდე სჭირდებოდა, მაცივრის ზუზუნსაც კი ვერ იტანდა და ამიტომ თიშავდა. თურმე დილაობით მაკვირდებოდა, როგორ მეძინა. არაჩვეულებრივი კოცნა იცოდა და ყოველ ჯერზე პირველი კოცნის განცდას აღვიძებდა ჩემში. ბავშვური და თავნება იყო. საჭმლის კეთება სულ არ ეხერხებოდა, მაგრამ მაინც არ ეშვებოდა. და რამდენადაც მომხიბვლელი იყო ქალებისთვის, იმდენადვე საზიზღარი შეეძლო ყოფილიყო და ამით აფრთხობდა. თურმე ძალიან ბევრს სვამდა და სულ რაღაცას გაურბოდა, თავის თავს, თუ იმას, რასაც მე ვერ ვხვდებოდი და სახელსაც ვერ ვარქმევდი. კიდევ ობობების ეშინოდა. და ზოგჯერ, ძალიან იშვიათად, მარტო იჯდა ხოლმე ფანჯრის რაფაზე, და თვალცრემლიანი

მიშტერებოდა ცას.
დავადგინე, რომ უცნაური მეგობრები ჰყავდა. და ხანდახან უბრალოდ ქრებოდა ხოლმე, სიტყვის უთქმელად მიდიოდა სადღაც, და შეეძლო რამდენიმე დღის შემდეგ დაბრუნებულიყო ჩვეული ღიმილით სახეზე. თითქოს ასე გაუჩინარებას სრულიად ნორმალურად მიიჩნევდა.
გავარკვიე, რომ თურმე სამი კბილის ჯაგრისი ჰქონდა, ყველა სხვადასხვანაირი. შეეძლო განსაცდელში მარტო დავეტოვებინე და ვერ იტანდა, თავის თავს რომ ვაგონებდი. როცა ბრაზდებოდა, კედელზე ახეთქებდა ნივთებს, და როცა ფეთქდებოდა, ისე ღრიალებდა, ყურები მტკიოდა. აღმოვაჩინე, რომ მეშინოდა მისი. თურმე მეშინოდა. მეშინოდა, რომ წამალს მოიტანდა დაისეთ ვიღაცებს მოიყვანდა სახლში, მანამდე თვალით რომ არ მენახა, – ჩემი ძველი მეგობრები არიან და რამდენიმე დღე ჩვენთან დარჩებიანო. აღმოვაჩინე, რომ შეეძლო ჩემთან ერთად ჩაკეტილიყო სახლში, ყველა შეკვეთა გადაედო, საჭმელი შეეკვეთა, ღვინო ეწრუპა, ტელეფონი გაეთიშა, ჩემთვისაც უსასრულოდ ესმინა და თვითონაც უსასრულოდ ელაპარაკა. ასეთი სიახლოვის განცდაც მაჩუქა, რომელსაც თვითონვე მართმევდა, როცა ისე იკარგებოდა, რომ არც არაფერს მეუბნებოდა.
თვეები გრძელდებოდა ასე. და მთელი ის თვეები ფრანკი მიყვიროდა, ლენი თავს მაბეზრებდა და თულია არ მელაპარაკებოდა.
ლანდად ვიქეცი. რაღაც შუალედურ არსებად. – ივოს სიყვარულსა და გულგრილობას შორის გავეჩხირე.
ერთ ღამეს, როცა ივო ისევ წავიდა, და ისევ არ მითხრა, სად მიდიოდა და როდის დაბრუნდებოდა, ავდექი და გავედევნე. სადღაც, რომელიღაც ეზოს სარდაფაში მიმალულ კლუბამდე ვდიე. წამალი იქ ისევე თავისუფლად იყიდებოდა, როგორც ალკოჰოლი. რაღაც როკჯგუფი უკრავდა, ისეთი სივიწროვე იყო, სული შემეხუთა. ვუყურე, როგორ შეისუნთქა ზედიზედ რამდენიმე ხაზი, როგორ მიაყოლა არაყი, როგორ დაელაპარაკა ვიღაც ტიპებს, როგორ დაითრია ერთი თავგადაპარსული ქალი და როგორ კოცნიდა დიდხანს. ავდექი და მეც ვიყიდე რაღაც აბები. ერთი გადავყლაპე და ალკოჰოლიც მივაყოლე. ცოტა ხანში ვიღაცამ ცივ კედელზე ამაწება და ფათური დამიწყო. გონს რომ მოვედი უკვე ცემა-ტყეპა იყო გამართული. ვიღაც ძირს ეგდო და პირიდან სისხლი სდიოდა. ივომ ხელი მტაცა და კიბეზე ამათრია.
თავბრუ მეხვეოდა და მეცინებოდა. ივოს მაგრად ვეჭირე და თან სულ მანჯღრევდა. ცუდად გავხდი.
მეორე დილას, თვალი რომ გავახილე, ზემოდან დამყურებდა:
– კიდევ ერთხელ იზამ ამას და იცოდე, ვეღარ მნახავ, – თქვა და წავიდა.
მხოლოდ სამი დღის მერე ვნახე. სამი დღე მარტო ვიჯექი სახლში და ვბღაოდი, თან სააბაზანოში თაროზე და სარეცხ მანქანაზე ნაპოვნ კოკაინის ნარჩენებს ღრძილებზე ვისვამდი. სახლში რომ დაბრუნდა, მაგრად ჩამეხუტა. მაშინ მივხვდი, რომ სანამ ამ ბინის ავადმყოფურ გარემოში ვიქნებოდი გამომწყვდეული, არაფერი არ შეიცვლებოდა.

17

„მართლა არ უნდა მივგვეყვანა აქამდე. იქნებ საღამო ერთად გავატაროთ, რაკი თეო ჩემ მშობლებთან რჩება. იანს წვეულება აქვს. თუ თანახმა ხარ, შემატყობინე და რვა საათისთვის გამოგივლი. მოდი, თავიდან დავიწყოთ. შენი ქმარი“.
ასე აწერდა ხოლმე ყოველთვის ხელს, როცა მე მწერდა. შენი ქმარი. თითქოს ეს სიტყვები განსაზღვრავდა მის რაობას. და არა პროფესია ან მამის როლი. ბარათი მაცივარზე იყო მიმაგრებული თეოს მაგნიტიანი დინოზავრით. ეს ბარათი მიტევებას მპირდებოდა, ყველაფრის თავიდან დაწყებას. შერიგების საღამოს, რომელიც ყველაფერს გამოასწორებდა და მეორე შანსს მომცემდა.
მაგრამ ამ ბარათმა თვითმფრინავის ბილეთიც გამახსენა, რომელიც ლეპტოპში მელოდა და შემეძლო, უცბად ამომებეჭდა. ამ ბარათმა გამახსენა, რომ ეს ყველაფერი ერთი დიდი ტყუილი იყო. რომ არავითარ შემთხვევაში არ უნდა გამეჩინა ბავშვი ასეთი კაცისგან, რომელიც ყოველთვის ყველაფერს სწორად

აკეთებდა.
ამ ბარათმა გამახსენა, რომ მე სრულიად მარტო ვიყავი.
აბაზანა წყლით ავავსე და ჩავწექი. წყალი ისეთი ცხელი იყო, რომ კანი ამეწვა და ამიწითლდა. ჩემს სხეულს დავაკვირდი. ჩემს მკლავებს, ფეხებს, მუცელს, სადაც ბავშვი ჩაისახა, და რომელსაც ჯერ კიდევ ეტყობოდა ორსულობის სტრიები. წყალში ჩაძირულ მძიმე მკერდს. ტერფებს, რომლებიც იმდენად ჰგავდა მამაჩემისას და ბავშვობაში იმდენად სამარცხვინოდ და უხამსად მეჩვენებოდა, რომ სანდლებს არ ვატარებდი. ჩემს მუხლებს დავხედე, გაწითლებულს და ნაოჭიანს. აღარ მესმოდა რაში მჭირდებოდა ეს სხეული. და საერთოდ, ვის ეკუთვნოდა. საით უნდა გამეშვირა ხელი, საით უნდა გადამედგა ფეხი. თავიანად ჩავყვინთე.
– მარცხენა კოჭი შენია. ეს ნეკა თითი ჩემია. მარჯვენა ძუძუს თავიც, ნახე, როგორ მეხვეწება შენთან მინდაო. და თმა, შენი მუქი თმაც მე მეკუთვნის.
აბაზანის კიდეზე ჩამომჯდარი ეხებოდა ჩემ სხეულს. ზემოდან დამყურებდა და აბაზანის მარილს მაყრიდა. თითქოს გულდასმით მომზადებული კერძი ვიყავი, რომელსაც მალე დააგემოვნებდა. მე კი ვხითხითებდი.
– კარგი, იდაყვს დაგიტოვებ, ალბათ დაგჭირდება, ასე რომ ამაზე უარის თქმა მომიწევს. მაგრამ ცხვირის წვერი კი ნამდვილად ჩემი საკუთრებაა. ხელსაც არ მოვაკიდებინებ არავის, არც შენ, გაიგე? თუ სურდო გექნება ან ცხვირი მოგეფხანება, ან გაგეყინება, მე უნდა დამიძახო და ჩემი ხელი შენს განკარგულებაში იქნება.
და ჩემთან ჩამოსრიალდა. აბაზანაში, რომელიც მეტისმეტად ვიწრო იყო ორივესთვის.
– ტაკოს რა ვუყო? ნამდვილად ეწყინა, რომ არ მოინდომე, – ჩავიხითხითე და მისი ჯოინთი მოვქაჩე, რომელსაც მარცხენა ხელით მოუკიდა, სანამ მარჯვენათი შამპუნს მიქაფებდა თმაში.
– გაგიჟდი? თავისთავად გასაგებია, რომ ეგ მე მეკუთვნის. ამას რა ლაპარაკი უნდა.
ისევ ავხითხითდი და ჩავყვინთე.
მერე უკვე ყველგან დავყავდი თან. იმ თავის ბარებსა და სარდაფებში. თავის უცნაურ მეგობრებთან. ის ლშდ-ზე იჯდა, მეც შევჯექი. ივო კვლავაც წერდა და მივლინებებშიც დადიოდა. მე კი სულ უფრო ნაკლებ სამუშაოს მაძლევდნენ. ჩემგან განსხვავებით, ის ერთმანეთში არ ურევდა კაიფს და სამსახურს. მთელი ღამე რომც ელოთა, კოკაინი ეყნოსა და თვალი არ მოეხუჭა, მეორე დღეს მაინც არაფერი ეტყობოდა. და თუ საქმე ჰქონდა, ბერლინშიც მიდიოდა ინტერვიუსთვის ან ფოტოების გადასაღებად, არც იგვიანებდა და მშვენივრადაც გამოიყურებოდა.
ერთ დილას თულია მეწვია. უსიტყვოდ შემოვიდა და სამზარეულოში დაჯდა მაგიდასთან. ჩანთის ამოლაგება დაიწყო. ხილი, ბოსტნეული და თავისი გაკეთებული ჯემი, თევზი ნინდორფის ტრადიციული მაღაზიიდან, ყველი და რძე მისი საუკეთესო მეგობრის ფერმიდან და, რა თქმა უნდა, თავისი ქლიავის ლიქიორი. ხმა არ ამოუღია. საჭმლის მომზადებას შეუდგა. გაშტერებული ვუყურებდი. მინდოდა გამერკვია, რატომ მოვიდა. მაგრამ მერე მოვეშვი, კარგად ვიცოდი, როგორი ჯიუტი იყო.
– თქვენ ორმა სადარდებელი გამიჩინეთ.
– ივო იყო შენთან? რამე შემოგჩივლა?
– არა. არ შემოუჩივლია. ჩემთან არც ყოფილა.
– რა გინდა ჩემგან? არ მჭირდება დახმარება. კარგად ვგრძნობ თავს.
– კარგად? გეტყობა.
საჭმელს დავეძგერე. თევზს ნაღების სოუსში და საცმაცუნო ყველს პომიდვრით, აკურატულად დაჭრილს თულიას ხელით. მივხვდი, როგორი დამშეული ვიყავი თურმე, რამდენიმე დღის განმავლობაში წესიერად არც მიჭამია.
თულია კმაყოფილი მაკვირდებოდა, მე კი თვალები დავხარე და თევზს მივაპყარი, თითქოს მასში ვეძებდი ხსნას.
თულიამ მხარზე მომხვია ხელი, მე ისევ თევზს დავყურებდი. ჩუმად ვიჯექი, თევზიც ჩუმად შემომყურებდა. მივხვდი, რა საცოდავ მდგომარეობაში ვიმყოფებოდი.
თულია დივანზე დაჯდა და მაკვირდებოდა, როგორ ვშანთქავდი საჭმელს.

– თულია, შვილები რატომ არ გყავს? – ვკითხე მე.
– თქვენ ხომ მყავხართ. საზრუნავი მყოფნის, დამიჯერე.
– მაგრამ ჩვენამდე ხომ....
– ისე მოხდა, რომ ჩემი ცხოვრების განმავლობაში უამრავი ბავშვი ვიშვილე: ჩემი და, ჩემი ქმრები, ჩემი მეგობრები. დედაჩემიც, როცა ავადგახდა.
– მაგრამ ბავშვებს სიხარულიც ხომ მოაქვთ?
– არც სიხარული მომკლებია ცხოვრებაში, გენაცვალე, დამიჯერე. უნდა მორჩეთ, სტელა, თორემ ცუდად დამთავრდება ეს ყველაფერი. ძალიან გულუბრყვილოდ იქცევით. ნუ გგონიათ, რომ გზას გაიგნებთ და გამოასწორებთ იმას, რისი გამოსწორებაც შეუძლებელია. თავს იტყუებთ, რომ გეყვარებათ ერთმანეთი და თქვენს წარსულს ბედნიერ დასასრულს უპოვით. ეს ილუზიაა. აწმყოში უნდა დაბრუნდეთ. გამუდმებით უკან ყურება არაფერს გარგებთ. მოეშვით ამას. თქვენ ერთმანეთს შესაძლებლობებს ართმევთ და ბედნიერების შანსს პარავთ. თქვენ თქვენი გზები უნდა მოძებნოთ. ეს სიყვარული არ არის. ეს უცნაური სასჯელია, რომელიც საკუთარ თავს დააკისრეთ. რა ბავშვობაა!
ივო სახლში დაბრუნდა. პატარა ტყავის ჩანთა ეჭირა ხელში. მე და თულია რომ რომ დაგვინახა ერთად, გაშეშდა.
– თულია! უნდა მიმვმხვდარიყავი, ისეთი სუნი ტრიალებს. ვკვდები შიმშილით.
გულმოდგინედ დაზვერა მაცივარი და ქვაბები. უცებ შეათბო ყველაფერი და ერთ თეფშზე გადაიღო. დაჯდა და უკომენტაროდ დაიწყო ჭამა. შიგადაშიგ ინტერესით გვიყურებდა ორივეს.
შეკითხვა, რომლის დასმასაც წლების განმავლობაში ვერ ვბედავდი უეცრად თითქოს განსხეულდა, მთელი სივრცე დაიკავა, ჩაგვაფრინდა და მთელი ჩვენი სამყარო შეაჯანჯღარა. იმიტომ, რომ პასუხი ორივემ ვიცოდით და ორივეს გვძულდა.
ივო დარწმუნებული იყო, რომ თულიამ ჩემი დავალებით დაუწყო ჭკუის სწავლება და გამებუტა. ისევ გაუჩინარდა რამდენიმე დღით. მე კი მის ნივთებში წერილი ვიპოვე. სარას ხელი ვიცანი, ჩემი მეგობრის, რომელიც რამდენიმე თვე აღარ მენახა.
„არაჩვეულებრივი იყო გუშინ.... სიამოვნებით გავიმეორებ ამ ღამეს. ოთხშაბათს ბომბეიში შემოვივლი. იმედია იქ დამხვდები. სარა“.
ვიცოდი, რომ მღალატობდა. ვიცოდი, რომ ვერასდროს მომცემდა იმას, რაც მისგან მინდოდა. და არა იმიტომ, რომ არ შეეძლო. არა. უბრალოდ არასდროს დაუშვებდა, რომ ბედნიერი ყოფილიყო, თუნდაც ერთი დღით.
გამოვეწყე, შევიღებე, რაც დიდი ხანია აღარ გამიკეთებია, და იმ კლუბში წავედი, რომელიც სარამ ახსენა და რომელიც მე გაგონილიც არ მქონდა.
ივოს ძმაკაცი შემხვდა და ცოტა კოკსი ვთხოვე. სამი ხაზი შევისუნთქე ზედიზედ და საცეკვაოდ გავედი. იქ მიჰი დავინახე, დასარტყამებზე რომ უკრავდა, ოცდაექვსი წლის ლოთი, რომელსაც ჩემი და ივოს ღამის ტურებიდან ვიცნობდი. კისერზე ჩამოვეკიდე და მასთან დავიწყე ცეკვა. ვკვდებოდი სიცილით, თვითონაც არ ვიცოდი რატომ. ჩემი მინიშნებებით დაბნეული მიჰი არ აპირებდა ადგილზევე ჩემს ხმარებას; მეგობრულად მეხვეოდა და ლოყაზე მითათუნებდა ხელს. ბოლოს, როცა საკმარისად დავთვერი, გავთამამდი და კაცების ტუალეტში წავათრიე. ტუალეტის თავსახურზე დავჯექი, მარცხენა ფეხი ავწიე და ბიკინი გავიხადე. ამისთვის სამი არაყი და სამი ლუდი დამჭირდა. მიჰის ბევრად ნაკლები.
ბარბაცით გამოვედი. ტროტუარზე დავჯექი და ვარწყიე. იქვე დავრჩი. ყველაფერი ტრიალებდა. კიდურებს ვერ ვგრძნობდი. პირი გამომშრალი მქონდა და თვალები ამღვრეული. ვიყინებოდი. არ ვიცი რამდენი ხანი ვიჯექი იქ, სანამ ივო გამოვიდა. კლუბში ყოფილა. ეტყობა ვერ შევნიშნე. შეიძლება მაშინ მოვიდა, როცა მე და მიჰი ტუალეტში ვიყავით. გვერდით მომიჯდა. არ მიყურებდა. ეწეოდა. მერე უცებ ადგა, ხელი ჩამავლო და მოპედისკენ წამათრია. ჩემი მკლავები წელზე შემოიხვია, ძრავა ჩართო და დაძრა. სულ უფრო და უფრო უჩქარებდა. მე თავბრუ დამეხვა. შუქები კალეიდოსკოპივით ტრიალებდა. ივო რაღაცას ყვიროდა, მაგრამ მე არაფერი მესმოდა ქარის გამო.
სანამ მთავარ გზაზე გავიდოდით, რომელიც სახლამდე მიგვიყვანდა, მოსახვევში მოვსრიალდით. მე გზისპირა ბუჩქებში ამოვყავი თავი და ამან გადამარჩინა

სიკვდილს. ივოს თირკმელები გაუსკდა. რთული მოტეხილობები ჰქონდა, მძიმე ტვინის შერყევა და შინაგანი სისხლდენა. მე მხოლოდ ხელი მოვიტეხე, დანარჩენი ჭრილობები ზედაპირული იყო.
მარკს ვუთხარი, წამოვალ-მეთქი და ყურმილი დავკიდე. ვიცოდი, რომ ეს ჩემი ბოლო შანსი იყო. თავს მივხედე, შევიღებე, მარვინ გაი ჩავრთე და ცეკვა-ცეკვით გადმოვალაგე მთელი ჩემი ტანსაცმელი საწოლზე. მარკმა დროულად გამომიარა. დამშვიდებული ჩანდა და კარგად გამოიყურებოდა. შავი ჟაკეტი ეცვა. თმა ახალი შეკრეჭილი ჰქონდა. მანქანაში ჩაჯდომისას ოდნავ შევეხე ხელზე. თავი დამიქნია და გამიღიმა. გულწრფელად მიხაროდა მისი ნახვაც და მასთან ერთად ჩვენი მოწესრიგებული ცხოვრებაც. რომელიღაც კლუბში წამიყვანა ნავსადგურთან. იქაურობა გადავსებული იყო მოფუთფუთე ტელეწამყვანებით, ჟურნალისტებით, პროდიუსერებით, რეჟისორებით და მსახიობებით. ზოგს მეც ვიცნობდი, მაგრამ მარკს ყველა იცნობდა და მარკიც ყველას იცნობდა. სუშით, ძვირფასი კანაპეებით და უცნაური სასმელებით გვიმასპინძლდებოდნენ. მარკის მეგობარი და დიდი ხნის კოლეგა იანი წარმატებული პოლიტიკური, და რაც მთავარია, პოლიტკორექტულისატელევიზიო გადაცემის დამაარსებელი იყო.
რაღაც კოქტეილს ვსვამდი და სვინგ ბენდს ვუსმენდი, რომელიც პატარა სცენაზე უკრავდა. ვიღაცები სიტყვით გამოდიოდნენ, ძალად ხუმრობდნენ და პირფერობდნენ, სულელურ საჩუქრებს გადასცემდნენ.
მარკს ვეცეკვებოდი და თან ვეჩურჩულებოდი, რომ ძალიან ვნანობდი. რომყველაფერს ავუხსნიდი.
მოგვიანებით ტერასაზე გავედი და ნავსადგურს გადავხედე. ლამაზი იყო. დამამშვიდებელი. წყალი ყოველთვის ერთგვარ თავდაჯერებულობას მმატებდა. ვიღაც ორი უცნობი ქალი შემომიერთდა და გამომელაპარაკა. მაგრამ ამასაც გავუძელი, განზრახული მქონდა მეგობრულად მოვქცეულიყავი, ინტერესი გამომეჩინა ჩვენ გამო, მარკის და ჩემ გამო. ჩვენი მომავლის გამო.
როცა საავადმყოფოდან გამომწერეს, პირველ ყოვლისა, ყველანაირი ნარკოტიკი მოვაშორე სახლიდან. ყველაფერი ძველი გადავყარე. ძველი ტანსაცმელი. ძველი წიგნები. ჩემი ძველი ბლოკნოტები. ახალი ტელეფონის ნომერი ავიღე, რომ არც ერთ ძველ მეგობარს არ ვეპოვე. ვცდილობდი, ძველი სტელა აღარ ვყოფილიყავი.
თავს ძალა დავატანე და ისევ დავიწყე წერა. ვიღაცებს ვხვდებოდი. ყოველი კვირის ბოლოს ლენისთან მივდიოდი და მის შვილებს ვეთამაშებოდი. ისევ დავიწყე მამასთან ერთად მის საყვარელ იტალიურ რესტორნებში სიარული.
ივო რომ გამოვიდა, ისევ თულიასთან დასახლდა ნინდორფში. ჩემთვის არ დაურეკავს. ერთმანეთს ზედიზედ ენაცვლებოდა დღეები, როცა ვწერდი და წარმატებით ვაქვეყნებდი რეპორტაჟებს, და დღეები, როცა დამბლადაცემულივით ვეგდე ლოგინში და ჭერში ვიყურებოდი.
მერე ბარათი მივიღე ივოსგან: „ცოტა ხნით უნდა წავიდე, თორემ საკუთარ თავს დავკარგავ. მეშინია. რომ იცოდე, როგორ მჭირდები. არ ვიცი ამ ტკივილს როგორ გავუძლებ. არ მინდა, რომ უბედური იყო ჩემ გამო. ნუ გამიბრაზდები“.
მაგრამ მე მაინც გავბრაზდი. ისე გავბრაზდი, რომ ორი დღის მერე ფრანკს ვესტუმრე და აბაზანიდან საგულდაგულოდ შენახული მისი საძილე აბები ავიღე. ისე გავბრაზდი, რომ გავიხადე, მამაჩემის ლოგინზე დავწექი, ფარდები დავხურე, აბები მუჭით ჩავიყარე პირში და წყალი მივაყოლე.
ფრანკს კარი შემოუმტვრევია და სასწრაფო გამოუძახებია. კუჭი ამომირეცხეს. ცოტა ხანი საავადმყოფოში დამტოვეს თვალყურის სადევნებლად. მერე ხელი მომაწერინეს, რომ ფსიქოთერაპიაზე ვივლიდი. ვიარე კიდეც ერთი წელი. ოღონდ არაფერს ვამბობდი, რისი თქმაც არ მინდოდა, და ათას გულის ამაჩუყებელ ტყუილებს ვიგონებდი. ფრანკმა დედას დაურეკა. ამდენი წლის მერე პირველად დაელაპარაკა. გესი ჰამბურგში ჩამოვიდა.
დედასთან ერთად სანაპიროზე დავდიოდი, ქალაქგარეთ. ქვიშაში ვიჯექით ხოლმე. ერთი ზაფხული ნიუ-ჯერსის, ჯეიმსის, ძვირფასი საჩუქრების და ყალბი მზრუნველობის გარეშე გავატარეთ. დავდიოდით მაღაზიებში, კინოში, თეატრში. წიგნებს ვყიდულობდი ჩემთვის, ისევ დავიწყე კითხვა, გიჟივით ვეწაფებოდი ყოველ წიგნს. მნიშვნელობა არ ჰქონდა, კარგი იყო თუ ცუდი, ერთი ამოსუნთქვით

ვკითხულობდი.
მხოლოდ რამდენიმე კვირის შემდეგ დავაჯერე გესი, რომ დამოუკიდებლად ცხოვრება შემეძლო და აეროპორტში გავაცილე. მერე დავურეკე თულიას და ლამის ძალით გამოვართვი ივოს მისამართი. თავიდან ყოყმანობდა. მაგრამ ეტყობა რაღაცამ ჩემს ხმაში აიძულა და ბოლოს მაინც გამანდო მისი ადგილსამყოფელი ბერლინში. პირველივე მატარებლით გავემგზავრე. ულამაზეს ძველ ეზოში ცხოვრობდა. სიგარეტი და ყავა მოვიმარაგე, დავჯექი კიბეზე და მის მოსვლას დაველოდე. ხუთი საათი ველოდე.
შებინდებულზე ვერც შემნიშნა და გვერდით ჩამიარა. დავუძახე და მოტრიალდა. დაბერებული მეჩვენა, სევდიანი, თითქოს თავის თავში ჩაბრუნებული. არაფერი უთქვამს, უბრალოდ მანიშნა წამომყევიო. მეოთხე სართულზე ავედით, მის ნახევრად ცარიელ და ლავანდის სუნით გაჟღენთილ ბინაში.
მე დავჯექი სამზარეულოში, სადაც მხოლოდ სასადილო მაგიდა და მაცივარი იდგა, და შევხედე ივოს.
– შენი დანახვა აღარ მინდა, – ვუთხარი.
– მაშინ რატომ მოხვედი?
– აღარასდროს, გესმის? აღარ გაბედო და აღარ გამეკარო, იცოდე.
– კარგი.
– მძულხარ.
– კარგი.
– ამაში კარგი არაფერია. მძულხარ.
– გავიგე.
– მიფრთხილდი, იცოდე. თვალით არ დამენახო. როცა რომელიმე დედამოტყნულ ოჯახურ ზეიმზე შევეჩეხებით ერთმანეთს, ისე მოიქეცი, თითქოს ძალიან შორეული ნათესავი ვარ და არ გამომელაპარაკო, არც კი მომიკითხო. ვერანდაზე არ გამომყვე და სუფრასთან გვერდით არ დამიჯდე. ქუჩაში თუ შემამჩნევ...
– კარგი...
– და რაც მთავარია, ხელი აღარ მახლო. აღარასდროს!
– დარწმუნებული ხარ ამაში?
ჩემკენ წამოვიდა. წამოვხტი და გავიწიე.
– დარწმუნებული ვარ. ასეთი დარწმუნებული არასდროს ვყოფილვარ.
– კარგი, მაშინ...
უკან დაიხია და კედელს მიეყრდნო.
– მე შენი სათამაშო არ ვარ. არც არასდროს ვყოფილვარ. უკან მიმაქვს ჩემი ცხოვრება. შენ იქ არაფერი გესაქმება.
ავდექი, ჩანთა ავიღე და გვერდით ჩავუარე. ჩემი მხარი ოდნავ შეეხო მისას. ადგილიდან არ დაძრულა. როცა კარი გავაღე და ბინიდან ფეხი გადავდგი, ჩუმად თქვა:
– მიყვარხარ.
კიბეზე ჩავირბინე.
მას მერე ივო აღარ მინახავს, იმ დილამდე, როცა თულიას ზარმა გამაღვიძა.
მარკი მიღიტინებდა და თინეიჯერივით ვკოცნაობდით ტაქსიში. მარკი ისე გულიანად იცინოდა, თითქოს ის ბოლო კვირები საერთოდ არ ყოფილა.
როცა სახლში დავბრუნდით, ღვინო გახსნა და ისევ გავაგრძელეთ სმა და ცეკვა, ჩახუტებულებმა და გახარებულებმა. რიტუალურ ცეკვას ვასრულებდით ჩვენი ბედნიერების პატივსაცემად.
გათენებისას, როცა მარკს ჩაეძინა ჩემ წელზე ხელშემოხვეულს,უცებ წამოვჯექი და დავიყვირე:
– უნდა წავიდე!
მარკს გაეღვიძა და გაბრუებულმა ამომხედა.
– უნდა წავიდე.
– რა თქვი?
– უნდა წავიდე, მარკ. სხვანაირად არ შემიძლია. თუ არ წავედი, ყველაფერს გავაფუჭებ, ყველაფერს, რაც მართლა კარგია, თუ არ წავალ. ცოტა ხნით. სხვა გზა არ არის.
– ჩემთან წვები და ამის მერე მეუბნები, რომ მაინც იმასთან უნდა წახვიდე?

– ვიფიქრე, ვცდი-მეთქი.
– გასაგიჟებელია. ეს უკვე მართლა ყველაფრის დაგვირგვინებაა! საკუთარ თავსაც კი აჯობე. ჯერ დამიწექი და ახლა უნდა მიმატოვო?
– უნდა წავიდე.
ისევ და ისევ ვიმეორებდი ამ ორ სიტყვას, ბინდში თვალგაშტერებული. მარკი წამოდგა და გამალებით დაიწყო ჩაცმა.
– სხვა შანსი არც არასდროს მქონია. – ესეც ვუთხარი, მაგრამ ის უკვე გამქრალიყო ოთახიდან. მე კი ჩემს შვილთან წავედი ფიქრებით, რომელიც სტაფილოებს აგროვებდა და ღმერთს სთხოვდა, რომ დედამისი ისეთი დედა გამხდარიყო, როგორსაც ნატრობდა.

18

კანი მეწვოდა, თვალები მეცრემლებოდა, ტუჩები დამსკდარი მქონდა, ასე მეგონა, თითებიც კი მტკიოდა ფრჩხილებქვეშ, როცა თვითმფრინავი დაეშვა და ფეხი დავადგი იმ მიწაზე, რომლის შესახებაც არაფერი ვიცოდი. გარდა იმისა, რომ ძალიან შორი იყო და ჩემთვის უცხო. მანამდე აღმოსავლეთით ბულგარეთზე შორს არც ვყოფილვარ. მამამ წამიყვანა ერთხელ შაბათ-კვირას სოფიაში. მას მერე ათ წელზე მეტი გავიდა. რამდენიმე საათის წინ საკუთარ თავს ფიქრი ავუკრძალე. სანამ აზროვნების უნარი მქონდა, გრძელი წერილი დავწერე და იქ ჩავტიე ყველაფერი: რაც წარსულში მიფიქრია, რასაც აწმყოში ვფიქრობდი, და რასაც მომავალში ვიფიქრებდი ალბათ. თითქოს წინასწარ ვგრძნობდი.
ხალხის ნაკადს მივყევი, რომელიც ყაყანითა და ხელების ქნევით მიმაქანებდა იმ დილაადრიანად. წარვადგინე ჩემი პასპორტი, თავი დავუქნიე, მერე გავაქნიე. მეც იმას ვაკეთებდი, რასაც სხვები. გასასვლელთან უთვალავი ტაქსის მძღოლისა და ბარგის გადამტანის ალყაში აღმოვჩნდი. მერე ივოს ხელმა გამიყვანა იქიდან. ჰაერი ცხელი იყო და მშრალი. ჯინსის ჟაკეტი გავიხადე და გავყევი. ტალახიან „ლენდროვერში“ ისე ჩავსხედით, სიტყვა არ გვითქვამს ერთმანეთისთვის. სიგარეტი გამომიწოდა. გამოვართვი. სახით ფანჯარას ავეკარი.
– გმადლობ, – თქვა მან. შევხედე. რაღა დროს ყოყმანი იყო, მაგრამ მაინც შემეპარა ეჭვი ჩემი განზრახვის სისწორეში.
– გმადლობ, რომ ჩამოხვედი.
– დიდი ხანი ვერ დავრჩები. უკან უნდა დავბრუნდე, სანამ განქორწინებაზე შეიტანს განაცხადს.
– არ შეიტანს. არ დაგკარგავს.
– მომეშვი, დავიღალე. არ მინდა ახლა მარკზე ლაპარაკი. შენ მას სულ არ იცნობ.
– სამაგიეროდ, შენ გიცნობ.
გაზს მიაჭირა და ფანჯარა ჩამოწია. თენდებოდა, ცა იისფრად შეიღება. საცემი ვარ-მეთქი, გავიფიქრე.
– ახლა რა უნდა ვქნათ? – ვიკითხე მაინც.
– უნდა ვიმუშაოთ.
გზა წინ მიიწევდა. თვალები დავხუჭე და თეოზე დავიწყე ფიქრი. ვუთხარი მალე ჩამოვალ-მეთქი. იმედია, არ მომიტყუებია.
– გითხარი, რომ ანდერძი დავწერე?
– რა?
– როგორც აღმოჩნდა, მამაჩემს ფული ჰქონია, სანამ... მოკლედ, სრულწლოვანი რომ გავხდი, გადმომცეს. ვიღაც შვეიცარელმა ადვოკატმა. მაშინ ამ ფულისთვის ხელი არ მიხლია. ასე მეგონა, უფლება არ მქონდა. არც მინდოდა რამე შეხება მქონოდა. მეგონა, კარგს არაფერს მომიტანდა. როცა ჰამბურგში დავბრუნდი, ვიგრძენი, რომ დრო მოვიდა. ახლა ამ ფულის დახარჯვას ვაპირებ, შენთან ერთად. ასე უფრო გამართლებული იქნება, არა?
დაბნეული ვუყურებდი და ქვედა ტუჩს ვიკვნეტდი.
ღია ფანჯრიდან აკაციის და მტვრის სუნი შემოდიოდა, ცა მოიქუფრა. ქუჩებს აშოლტილი კვიპაროსები მიუყვებოდა. ქალაქი ძველი იყო და ბორცვიანი. ძველ შენობებს შორის წამოჭიმული ბეტონის სოციალისტური ნაგებობები ცოტა არ

იყოს, დამაბნეველ შთაბეჭდილებას ახდენდა.
მიუხედავად ადრიანი დილისა, სიჩუმე მაინც არ იდგა. ის სტერილური სიჩუმე, როგორიც ჰამბურგშია ხოლმე დილაობით, როცა თეოზე ადრე ვდგები, რომ ვასაუზმო და სკოლაში გავისტუმრო.
ხმას არ ვიღებდით.
ერთ აღმართზე აუხვია ძველი ეზოსკენ, რომელიც ძვირი მანქანებით იყო გადაჭედილი. მათ უკან სარეცხი ფრიალებდა ორ პატარა ვაშლის ხეს შორის გაბმულ თოკზე. შუა ეზოში ქვის ონკანი იყო, რომელზეც რეზინის შლანგი მიემაგრებინათ და იქიდან წყალი გაშლილ ხალიჩაზე იღვრებოდა, ეტყობა ირეცხებოდა. რა მფლანგველობაა-მეთქი, გავიფიქრე.
ვიწრო დახვეულ კიბეზე ავბობღდით. გამოფიტული ხის საფეხურები ზოგან ჩამტვრეული იყო. ყურადღებით რომ არ ვყოფილიყავი, ნამდვილად გამეჭედებოდა ფეხი. როგორც იქნა, ავედით. გრძელი, ფიცარნაგიანი დერეფანი გავიარეთ და ძველ გაურემონტებელ ბინაში აღმოვჩნდით. მაღალი ჭერი, პარკეტი დახაზული, დიდი ფანჯრები და პატარა ტერასა, რომელიც ახალგაღვიძებულ ქალაქს გადაყურებდა. ამ ხედმა უცნაურად იმოქმედა ჩემზე ეკლესიების გუმბათები, ერთმანეთთან მჭიდროდ მიდგმული ხის სახლები და ფერადი აივნები ხვეული ორნამენტებით, და ყველგან ამ აივნებზე აცოცებული ვაზი. მინდოდა რაღაც მეკითხა, მაგრამ ხმა ვერ დავიმორჩილე, დაღლილობისგან გონზე აღარ ვიყავი.
ივომ სუფთა, მაგრამ თითქმის ცარიელ ოთახში შემიყვანა. შუაში ძველისძველი, ალბათ ასტონიანი საწოლი იდგა ტახტრევანივით. მივწექი და იმ წამსვე ჩამეძინა. ივო წავიდა.
არაფერი დამაფარა.
გული ამიფანცქალდა, როცა დილას აბაზანაში შევედი. დაფხაჭნილი ნარინჯისფერი ფილებით იყო მოპირკეთებული. კედელზე მიყუდებული მოოქროვილი სარკე ირყეოდა. ისეთი არაპრაქტიკული, მფლანგველური მეჩვენა ყველაფერი: ბინის მოწყობით დაწყებული, მწვეთავი ონკანებითა და ტუალეტის ჩასარეცხებით დამთავრებული.
ივომ პირსახოცი და კბილის ჯაგრისი დამახვედრა. კედელზე ძველი გაზის გამათბობელი ეკიდა. თხუთმეტი წუთი ვიცადე, სანამ წყალი ოდნავ მაინც შეთბებოდა. მერე გაყვითლებულ აბაზანაში ჩავდექი. წყალმა თვალის დახამხამებაში ჩამომრეცხა მთელი სიმძიმე.
ივომ ყავა მოხარშა გაზის ქურაზე. რბილი, მარილიანი პური ხელით დატეხა. ამოიღო ჭიქით თაფლი და დიდი ნაჭერი ყველი, რომელიც რაღაც რძიან სითხეში იდო.
– საუზმე ა ლა გეორგიე, – საზეიმოდ გამოაცხადა და ხმამაღლა გაიცინა. მრგვალ მაგიდას მივუსხედითთუ არა, თბილ პურს ვეტაკე.
– ეს პური თიხის ღუმელში ცხვება, რომელიც ორმოს გავს. ცეცხლი თიხას აცხელებს. ცომს ცხელ კედლებზე აკრავენ. ამას აქ მხოლოდ კაცები აკეთებენ, ნამდვილ ჯოჯოხეთურ ცეცხლში ყოფენ თავს. სულ მეშინია, რომელიმე შიგ არ ჩავარდეს. პური კი ერთ-ორ წუთში მზად არის. მე მგონი ძალიან გემრიელია.
– მართლა გემრიელია.
– გასაგიჟებელი პურია, არა? აქ ბევრი რამეა გასაგიჟებელი. კარგი, დალიე ყავა, მე კი რაღაცებს მოგიყვები. ხომ ვიცი, ერთი სული გაქვს.
– მართალი ხარ. მიდი.
– ზუსტად ხუთი წლის წინ ნიუ-იორკში ლადო გავიცანი. ემიგრაციაში იყო იქ რამდენიმე ხანი. რაღაც პოლიტიკურ დევნასთან დაკავშირებულ უაზრო ღონისძიებაზე შევხვდი. ლადო მოხსენებით გამოვიდა. დროთა განმავლობაში დავმეგობრდით. მერე ბერლინში გადავიდა, რამდენიმე სემინარი ჩაატარა პოლიტოლოგიაში, თუმცა მუსიკოსია პროფესიით. შვილი ჰყავდა, უფრო სწორედ, ჰყავს, უკვე თოთხმეტი წლის არის. იმასაც დავუახლოვდი. აქ რომ სამოქალაქო ომი იყო, მაშინ დაიბადა. ცოტა ხანში დედაც დაეღუპა და უფროსი დაც. მაგარი ბიჭია.
– მე და შენ რა შუაში ვართ?
– ამას ასე ორი სიტყვით ვერ გეტყვი. რთული ასახსნელია.

– რას მიედ-მოედები? აქ დასასვენებლად კი არ ჩამოვსულვარ. სხვის ქმრებზე და შვილებზე ზრუნვას არ ვაპირებ, საცაა საკუთარ ქმარ-შვილს დავკარგავ.
– მე ვერ გიკარნახებ რა უნდა გააკეთო, სტელა. გულახდილად გეუბნები. ეს ყველაფერი რაღაცნაირად გვეხება ორივეს, მაგრამ მარტო სიტყვებით ვერ აგიხსნი. შენ თვითონ უნდა იგრძნო და მიხვდე, უნდა გაიცნო ლადო და რეპორტაჟის მომზადებაში უნდა დამეხმარო. ამაში ფულს არავინ მიხდის, ჩემი ხარჯით ვაკეთებ ყველაფერს.
– და რა კავშირი აქვს ამ ყველაფერს ჩვენთან? არავითარი.
– ასე არ არის, დამიჯერე. მაგრამ მე მინდა, რომ შენ თვითონ იპოვო ეს კავშირი ჩვენთან, შენთან.
  წამოვხტი და საძინებელში გავარდი. ლოგინზე დავეგდე და ბალიშში ჩავრგე თავი. შეცდომა იყო აქ ჩამოსვლა. უნდა მცოდნოდა, რომ ასე იქნებოდა. ივოს ნათქვამმა გამაღიზიანა. უაზრობა იყო, რაც ილაპარაკა. მე რა შუაში ვიყავი, რა როლი უნდა მეთამაშა მთელ ამ ამბავში? მობილურზე მარკის ნომერი ავკრიფე. არ მიპასუხა. მესიჯი მივწერე:
– ძალიან გთხოვ, უთხარი თეოს, რომ მიყვარს და მალე დავბრუნდები. პატიებას არ გთხოვ. საერთოდ აღარაფერს გთხოვ. მე თვითონ ვერ ვაპატიებ საკუთარ თავს. ოღონდ ისე ნუ იზამ, რომ თეომ შემიძულოს. უთხარი, რომ მივლინებაში ვარ. გეხვეწები.
ივო შემოვიდა და საწოლის კიდეზე ჩამოჯდა. გავიწიე. წარმოვიდგინე, რომ შემეხებოდა და შევცბი. ამას ვერ დავუშვებდი. ვერ მივცემდი ჩემს თავს უფლებას თუნდაც რამდენიმე წუთით დამევიწყებინა ჩემი სიბრაზე და დანაშაულის გრძნობა. ამის მეტი ხელმოსაჭიდი აღარც არაფერი მქონდა წონასწორობის შესანარჩუნებლად.
– რადაც არ უნდა დამიჯდეს, უნდა გავიხსენო. შენ ერთადერთი ხარ, ვისაც ჩემი მოგონებების გამთლიანება შეუძლია. ალბათ უპასუხისმგებლობა იყო ჩემი მხრიდან, აქ რომ წამოგათრიე, მაგრამ დამიჯერე, შენზეც ვფიქრობ. ჯერ ამას ვერ გაიგებ, მაგრამ თუ შანსს მომცემ, დარწმუნებული ვარ, მერე მიხვდები. შევხედე და თავი დავუქნიე. რაც არ უნდა დაეშავებინა ჩემთვის, მაინც დავრჩებოდი. ისეთი საწყალი ხმა ჰქონდა, სულ არ ჰგავდა ძლიერ, იღბლიან და წარმატებულ ივოს, როგორსაც ასე ხშირად თამაშობდა ცხოვრებაში.
კარგად უნდა მომესმინა მისთვის, უნდა ჩავწვდომოდი იმ სიტყვების არსს. მაგრამ მაშინ ჩემი ტკივილი უფრო მადარდებდა. ეს მაბრმავებდა და მიცავდა იმავდროულად.
მანქანით მოვიარეთ ქალაქი. იქაურობა თითქოს წარსულსა და ჯერ უცნობ მომავალს შორის იყო ჩაკარგული. ადამიანები ძალიან ხმამაღლა ლაპარაკობდნენ უცნაურ არქაულ ენაზე და თან ხელებს იქნევდნენ. მანქანები გიჟებივით დაქროდნენ ვიწრო ქუჩებში, თითქოს რბოლაში მონაწილეობდნენ. ბავშვები ბურთებით თამაშობდნენ და კალათბურთის ფარების ნაცვლად დამტვრეული სკამები ჰქონდათ მიმაგრებული სახლების კედლებზე. კატები და ძაღლები გუნდ-გუნდად დაწოწიალობდნენ. ყველაფერი მწვანეში იძირებოდა. ხეებზე კი გაკიდებული სარეცხი და ხილი ერთმანეთს ენაცვლებოდა.
ივომ რადიო ჩართო და უცნაურ მკაცრ ენას ყური მივუგდე და თითქოს სხვა დროში აღმოვჩნდი. ამან ცოტა გამახალისა. გაღიზიანებამ თანდათან გამიარა და სიმსუბუქეც ვიგრძენი. ეიფორიამ ამიტანა, როგორც ახალგაზრდობაში. მანქანა ძველი უბნის სამხრეთ ნაწილში გავაჩერეთ დაფეხით განვაგრძეთ გზა. მომწვანო ფართო მდინარე პირქუშ, ციცაბო კლდეებს შორის მოედინებოდა. კლდეებზე კი სახლები და სასტუმროები იყო აშენებული. ქვაფენილ ქუჩებში კაფეებიდან და ბარებიდან ხმამაღალი მუსიკა და დანა-ჩანგლის ჩხარუნი ისმოდა.
ერთ-ერთ რესტორანში შევედით, პაწაწუნა ხის მაგიდები იდგა. სანამ ივო ჩემთვის უცნობ კერძებს უკვეთავდა, მე თეთრ ღვინოს დავეწაფე, რომელიც თავიდანვე მოგვიტანეს დოქში ჩამოსხმული. მერე საჭმელსაც დამშეულივით დავეძგერე. ყველაფერი ძალიან გემრიელი იყო და ამან კარგ ხასიათზედამაყენა. ივო მიყვებოდა, როგორ ჩამოვიდა პირველად ამ ქვეყანაში. აღელვებული ხმა ჰქონდა. ისე ვუსმენდი, როგორც პატარა ბავშვი ზღაპარს.
მოსაღამოვებულზე ისევ მანქანაში ჩავსხედით და ჩრდილოეთის მიმართულებით

წავედით. აღარაფერს ვეკითხებოდი, უბრალოდ ფანჯარაში ვიჭყიტებოდი. შუქები აციმციმდა და მდინარეში მანქანები აირეკლა. მსიამოვნებდა ამ შუქებში ტრიალი, მომწვანო მდინარის ყურება, ივოს სიახლოვე.
– იცი რა, – წამოვიწყე მე და მის სიგარეტს მოვუკიდე.
ფიქრებში წასულმა მარცხნივ გაუხვია, უკანა მანქანიდან ხმამაღლა დაგვისიგნალეს.
– ამ წუთას წარმოვიდგინე, რა მოხდებოდა, ერთად რომ დავრჩენილიყავით მაშინ მე და შენ. და თეო შენგან რომ გამეჩინა.
დაძაბული სახით ატრიალებდა საჭეს, თითქოს არც კი მისმენდა. ვინანე, რომ საერთოდ წარმოვთქვი ეს წინადადება.
ივოსთან ბავშვებზე არასდროს მილაპარაკია. როცა ერთად ცხოვრების მცდელობა გვქონდა, ბავშვის გაჩენაზე სიტყვაც არ დაგვიძრავს არც ერთს. ისედაც დარწმუნებული ვიყავი, რომ ივოს არ უნდოდა.
– ახლა რატომ დაიწყე ამაზე ფიქრი? – თქვა ბოლოს, ისე რომ არ შემოუხედავს ჩემთვის.
– რა ვიცი. თუ არ გინდა, ნუ ვილაპარაკებთ ამაზე.
– რაკი მკითხე, ესე იგი პასუხს ელოდები.
– უბრალოდ გაგიზიარე, უფრო სწორად, ვარაუდი გამოვთქვი, შეკითხვა კი არ დამისვამს.
– თუ ძალიან გაინტერესებს, არ შემხვდა ისეთი ქალი, ვისთანაც შვილებს ვიყოლიებდი. შენთან კი ...
– ჩემთან ეს შეუძლებელი იყო, ვიცი.
– მე ამის თქმას არ ვაპირებდი. როცა ასეთ კითხვას სვამ, იმის გამბედაობაც უნდა გეყოს, რომ გულახდილი პასუხი მოისმინო.
– არ იყო-მეთქი შეკითხვა...
– რა თქმა უნდა, შეკითხვა იყო! აბა, რა იყო! შენ რა გგონია, რომ მე თვითონ არ დამისვამს ეს შეკითხვა? მანქანა ხომ არა ვარ, რომელსაც არაფერი ადარდებს?
– დაივიწყე, გზას უყურე!
– კინაღამ მოვკვდი, ისეთი ნაწყენი ვიყავი, როცა შენ... – თქვა უცებ და გული შემეკუმშა. სახე მივაბრუნე და სიბნელეში ჩავიმალე.
– მარტო იმიტომ გააჩინე ვიღაცისგან ბავშვი, რომ იმ ტიპთან უსაფრთხოდ გრძნობდი თავს. მძულდი ამის გამო.
უცებ გაჩუმდა და მანქანა ქუჩის კიდესთან მიაყენა. მართალი იყო. მისი პასუხის ატანა ძალიან გამიჭირდა.
კერძო სახლების უბანში ვიმყოფებოდით. ივომ შავ ჭიშკართან დარეკა ზარი. არც მიკითხავს სად მივდივართ-მეთქი. მაღალმა, გამხდარმა ბიჭმა გაგვიღო, ხშირი შავი თმა ჰქონდა და დახვეწილი ნაკვთები. ბრიტანეთის დროშიანი მაისური ეცვა და შავი ჯინსი. კისერზე ჩამოეკიდა ივოს და თითქმის იდეალურ გერმანულზე მოიკითხა. ცოტა არ იყოს, დავიბენი.
– ეს სტელაა. ეს კი ბუბაა, ლადოს შვილი, რომ გიყვებოდი, – თქვა ივომ და მე ხელი გავუწოდე ბიჭს. სტელაო, თქვა. ჩემი და კი არა, ან ჩემი ნახევარდა, ან მეგობარი, ან საყვარელი, ან... ბიჭმა მორიდებულად ჩამომართვა ხელი და შინ შეგვიყვანა. გავიარეთ პატარა ბაღი, შუაში კუნძით, რომელსაც ეტყობა ბანქოს სათამაშოდ იყენებდნენ. ღია კარიდან შუქი იღვრებოდა. ჯერ პატარა დერეფანში შევედით, მერე დიდ ოთახში, რომელიც ერთდროულად მისაღებიც იყო და სამზარეულოც. ძალიან სადა ოთახი იყო, ქვის იატაკით და შეულესავი ჭერით, მომეწონა. ქურასთან წვერიანი კაცი იდგა და საჭმელს ამზადებდა. ბევრად უფრო მაღალი და ხმელი აღმოჩნდა, ვიდრე ფოტოებზე ივოს საქაღალდიდან. ხმამაღლა გაიცინა, გადამეხვია და გერმანულად მომიკითხა. სიტყვებს ცოტა უხეშად გამოთქვამდა, მაგრამ გამართულად ლაპარაკობდა.
მალე სუფრა გაიშალა და ღვინოც ჩამოასხეს.
ბიჭი საოცრად ლამაზი მეჩვენა. ჯერ გარდატეხის ასაკში იყო, იკუზებოდა, სახეზე ღინღლი ამოსდიოდა, მორცხვობდა, სულ ცმუკავდა, და მისი ბავშვური ხმაც სულ არ ესადაგებოდა მის სხეულს. მაგრამ ემჩნეოდა, რომ ლამაზი კაცი გაიზრდებოდა. ცოტა ივოს მაგონებდა, ახალგაზრდა ივოს. ოღონდ თვალები ჰქონდა სხვანაირი: იმდენად მუქი, რომ გუგები არ უჩანდა. ბუბა უკვე თამამად უცქერდა სამყაროს.

ამაყად და გამომწვევად უყრიდა თვალს თვალში. მისი სქელი წარბები კიდევ უფრო აძლიერებდა ამ შთაბეჭდილებას. ივოს კი თითქოს მუდამ ჩაძირული მზერა ჰქონდა, რასაც მისი თვალები ხედავდნენ, სხვისთვის დაფარული და გაუგებარი იყო.
მაგიდას მივუსხედით და მიუხედავად იმისა, რომ სულ არ მშიოდა, მაინცმომიწია ჭამა, ის წვერიანი კაცი არ მომეშვა.
– იმდენი მსმენია შენზე, სტელა, როგორც იქნა, გაგიცანი, – თქვა ლადომ და ჭიქა აწია. რაკი ივომაც მას მიბაძა, მეც დავავლე ჩემ ჭიქას ხელი ცოტა დაბნეულმა. ჭიქები ერთმანეთს მივუჭახუნეთ და დავცალეთ.
მაშინვე ჩავერთეთ საუბარში. ლადოს ოთხი წელი უცხოვრია ბერლინში. ვილაპარაკეთ კულტურებს შორის განსხვავებებზე, ის თავის ქვეყანაზე ყვებოდა, პოლიტიკურ სიტუაციაზე. მოგვიანებით ბუბამ გიტარა გამოიტანა და მამა-შვილმა იმღერეს. ამანაც ცოტა გამაოცა. დამაინტერესა, ნუთუ ეს ორნი მარტო ცხოვრობენ -მეთქი აქ. დავასკვენი,რომ ალბათ ასეც იყო. ისევ იმაზე დავიწყე ფიქრი, რატომ ჩამიყვანა ივომ ამათთან. ვერაფრით ვერ ვხვდებოდი, რა მინდოდა იქ.
მერე ღამით ვიწექი მარტო უზარმაზარ საწოლში და ჭერს მივჩერებოდი. ფანჯარა ღია მქონდა, გრილი ნიავი უბერავდა. თეთრ ფარდას აფრიალებდა. სადღაც შორიდან, მგონი, ტელევიზორის ხმა ისმოდა, აბაზანაში ივო დაბრაგუნობდა. გარეთ მანქანები დაქროდნენ. ღვინისგან გაბრუებული თავისუფლად ვგრძნობდი თავს. წარსულისა და მომავლის საზღვრებს ვეძებდი ჩემში, მათ ბმას. საკუთარ თავს ვეძებდი, ან ჩემს დაკარგულ ნაწილს. ჩემს სიტყვებს ვეძებდი მის მიერ წარმოთქმულ სიტყვებში. ჩემს სახეს ვეძებდი მისაში.
ივო ფეხშიშველი გამოტანტალდა და პატარა მანსარდისკენ გაემართა, სადაც მუშაობდა ხოლმე, და სადაც ჩემი იქ ყოფნის განმავლობაში დაძინებასაც აპირებდა. იმ ოთახიდან დიდებული ხედი იშლებოდა თბილისზე. დაკარგულ ქალაქზე, რომლის არსებობას ვერც დაიჯერებ, სანამ არ მიუახლოვდები. თითქოს გამორჩენოდათ მისი შეტანა მსოფლიო რუკაზე. მაგრამ ერთხელ თუ ჩამოხვალ, ვეღარ მოეშვები. იმიტომ რომ აქ ერთდება სამყაროები, აქ ხდება მათი შეკავშირება. ეს ქალაქი ისე ინელებდა აღმოსავლეთსაც და დასავლეთსაც, რომ ვერც ერთი ვერაფერს აკლებდა. სხვებისთვის ნავთობი გადაჰქონდა. თვითონ კი მთელ წყალს, რომელიც მოეპოვებოდა, ტყუილუბრალოდ აღვრიდა ხალიჩებს, მცენარეებს და მთელ ნაგავს, რომელიც იქ გროვდებოდა. ივოს დავუძახე. მოვიდა და საწოლზე ჩამომიჯდა.
– მპირდები, რომ არ მომეკარები?
– გპირდები.
– ძალიან მინდა, რომ შევძლოთ.
– კარგი.
– მე არ დამიმსახურებია შენგან ასეთი სასჯელი. მართალია, საშინელება ვქენი მაშინ, მაგრამ...
– ჩუ.
– არა. მართალა საშინელება ჩავიდინე და ვერც შენ და ვერც მე ვერ გავთავისუფლდით ამისგან. ორივემ ჩავიდინეთ ის საშინელება. მაგრამ ჩვენ ხომ ბავშვები ვიყავით. პატარები ვიყავით და რა უნდა გვექნა? დამეხმარე და მეც დაგეხმარები. რაშიც გინდა, როცა გინდა და როგორც გინდა. შენ გვერდით ვიქნები.

ალბათ ერთი მეათე მცდელობის შემდეგ, როგორც იქნა, შევძელი თეოსთან დალაპარაკება. ეტყობოდა, რომ გაბრაზებული იყო ჩემზე და ნაწყენი. ცივად მელაპარაკა, მაგრამ ზრდილობიანად, მაინც მამამისის აღზრდილი იყო. მე დავპირდი, ძალიან მალე დავბრუნდები-მეთქი. ვუთხარი, ძალიან მიყვარხარ, ამქვეყნად ყველას მირჩევნიხარ-მეთქი. მან კი შემატყობინა, ბება და ბაბუ მალე ძაღლს მაჩუქებენო. უკვე შეუკვეთეს, ოღონდ ჯერ არ დაბადებულაო.
– თეო, შეიძლება რაღაც გთხოვო? – ვკითხე ბოლოს.
– რა უნდა მთხოვო? – იკითხა მარკივით: არასოდეს იტყოდა კის ან არას, სანამ

კარგად არ აწონ-დაწონიდა. შეგნებულად კი არ შვრებოდა ასე, მაგრამ მამამისს ემსგავსებოდა, მისნაირი ინტონაცია უხდებოდა. ამას ვეღარსად გავექცეოდი.
– შეგიძლია სტაფილოებზე იზრუნო?
– რა სტაფილოებზე?
– ხომ გახსოვს, ბებას კალენდარში რომ ეწერა.
– კარგი.
– ძალიან გამახარებ, თუ ამას მიხედავ. რამდენიმე ცალი შემინახე ჩამოსვლამდე.
– კარგი.
– მიყვარხარ, ჩემო სიხარულო.
– მეც მიყვარხარ. მალე ჩამოდი. კარგაااااد.
და უსაზღვრო სიცარიელე. სიჩუმე ტელეფონში, რამაც კიდევ უფრო გააგრძელა და უსასრულო გახადა თეოს კარგაااااد. მაინც ვუსმენდი, მაინც გავუძელი.
იმ დღეებში ყველაფერი უსაზღვრო იყო. სიხარულიც, მღელვარებაც, სიცოცხლის ხალისიც და მძიმე ნაღველიც. თავად ქვეყანა იყო ასეთი; დაუფიქრებლად ფლანგავდა სიყვარულს, ფულს, რომელიც არავის გააჩნდა, სითბოს, ყველაფერს, რაც აკლდა. და როგორც კი უჩნდებოდა, მაშინვე გასცემდა, საჩუქრად არიგებდა, ხარჯავდა. იქ არაფერი უჩერდებოდათ დიდხანს.
ქუჩებში გავერკვიე, მანქანით დავდიოდი, თუმცა სულ მეშინოდა ავარიის. იმიტომ რომ არავინ იცავდა არსებულ თუ არარსებულ მოძრაობის წესებს. სანამ ივო თავის ჩანაწერებში და ფიქრებში იქექებოდა, ბეჭდავდა და მასალას აგროვებდა, მე ლადოს ვხვდებოდი. არც ვიცოდი, რას ვეძებდი. ბუბას დავუმეგობრდი, რომელიც ზოგჯერ ფრთხილად ეხებოდა ან ყნოსავდა ჩემ თმას, მერე კი იმორცხვებდა და განზე იხედებოდა. რომელიც წარმოუდგენლად ბევრს ჭამდა და მუსიკის წერით იყო გატაცებული. რომელიც ჯიუტად და მოხერხებულად აღწევდა თავისას. მასთან ერთად დავდიოდი სასეირნოდ, ნაყინს ვყიდულობდი ჩვენთვის. თავისი საყვარელი იდუმალი ადგილები მაჩვენა ქალაქში. მთელი ქალაქი ქალაქის მიღმა. სასაფლაოზე წამიყვანა, სადაც ეროვნული გმირები და საზოგადო მოღვაწეები არიან დაკრძალული და რომელიც თბილისს გადმოყურებს მაღლიდან, იქვე ეკლესიაა. და სიწყნარე, ასეთი სიწყნარე სხვაგან არც იყო არსად. ჩრდილში დავსხედით და კოკა-კოლას ვსვამდით. სიგარეტი მომაქაჩინეო, მთხოვა, და ნება დავრთე. ბუბა იყო ჩემი თარჯიმანი და გიდი.
1993 წელს დაიბადა. ზღვისპირა ქალაქში, აფხაზეთში, შავი ზღვის სანაპიროზე. დედამისი, რომელიც აღარც კი ახსოვდა, ქართველი მსახიობი ყოფილა, იქაურ თეატრში თამაშობდა. ლადოს სწორედ თეატრში გაუცნია, როცა მუსიკას წერდა რაღაც სპექტაკლისთვის.
– დაინახეს თუ არა, მაშინვე შეუყვარდათ ერთმანეთი და სამ თვეში დაქორწინდნენ. მერე ჩემი და გაჩნდა. დედა ძალიან ნიჭიერი იყო. ერთი სპექტაკლის ვიდეო მაქვს, რომ ნახო, იტირებ, გეფიცები. ქალს თამაშობს, რომელიც იგებს, რომ მის ქმარს საყვარელი ჰყავს. და უნდა ნახო, რეებს აკეთებს. არ მოგიყვები, თვითონ ნახავ. მერე ყველაფერი აირია. ქაოსი დაიწყო. ლადო მანამდეც აქტიურობდა თურმე, დამოუკიდებლობისთვის იბრძოდა. თანამოაზრეებთან ერთად არალეგალურ დემონსტრაციებს აწყობდა და მოწოდებებს ბეჭდავდა სადღაც სარდაფში. როცა დააპატიმრეს, მე ჯერ დაბადებული არ ვიყავი. მერე მამამ ის დამპალი პარტია დააფუძნა ვიღაცებთან ერთად. დღეს უკვე ასე ამბობს, დამპლობა და შეცდომა იყოო. იმათ ქვეყანა სულ არ ადარდებდათ, ფული და ძალაუფლება უნდოდათო. ასეა თუ ისე, ჩაისვარეს. განხეთქილება მოხდა პარტიაში. თავიდან ყველას ერთი მიზანი ჰქონდა, მაგრამ მერე, როგორც ხდება ხოლმე, ყველა თავისას მიაწვა. მერე ომი დაიწყო. რუსები, აფხაზები და ქართველები. ყველა ყველას წინააღმდეგ. სწორედ იმ დროს გავჩნდი მე. ლადო ამბობს, ომი თავდაცვისუნარიანობის საზომიაო, ყოველ ორ წელიწადში სჭირდებათ ადამიანებსო. ასე ამბობს, არ ვიცი. მაშინ რომ ვყოფილიყავი ამხელა, როგორც ახლა ვარ, მეც ვიომებდი. ნამდვილად წავიდოდი და დავხოცავდი იმ პროჭებს. ყველა ქართველი გამოაგდეს. მაგრამ ლადო ამბობს, ქართველებს არავითარი გეგმა არ ჰქონდათო, უბრალოდ იბრძოდნენო, საერთოდ აზრზე არ იყვნენო.

ბუბა გაჩუმდა და ფიქრებში წასულმა, მტვრის ღრუბელში გახვეულ ქალაქს გადახედა. ჩიტები ჭიკჭიკებდნენ, ბალახზე გავწექი. მისმა ნაამბობმა რაღაც გამახსენა, რაღაც, რაც ხელიდან გამომეცალა. ისეთი გრძნობა მქონდა, რომ ბუბასგან უფრო მეტის გაგება შემეძლო, ვიდრე მამამისისგან ან ივოსგან.ხელი ხელში გავუყარე და დავეყრდენი, თითქოს ჩემზე უფროსი იყო და მისი მფარველობა მჭირდებოდა. შეიფერა. გამიღიმა და სიგარეტი მთხოვა.
– მოდი შევთანხმდეთ. მხოლოდ მოგაქაჩინებ. კარგი?
– კარგი რა, ომზე გიყვები და მოწევის უფლებასაც არ მაძლევ? რას მიფრთხილდები!
– რა კავშირი აქვს ომს მოწევასთან?
– პირდაპირი.
ისიცგაწვა ჩემ გვერდით და რატომღაც ანეკდოტების მოყოლა დაიწყო. არც ერთი აღარ მახსოვს, მაგრამ უხეში და უწმაწური რომ იყო, მახსოვს. თვითონ ძალიან ხალისობდა, და მეც ავყევი. მომწონდა როგორ იცინოდა. ხმამაღლა და თავშეუკავებლად. ყველა კბილი უჩანდა, დიდი თეთრი კბილები, და თითქოს სახე უნათდებოდა. თავზე მოვეფერე და თმები ავუწეწე. დაიჭყანა და ისევ გაიცინა.
– კულტურის ფონდში ერთ ქალს წავაწყდი, ეროვნული არქივის საშვს დამპირდა. იქ არის მთელი ინფორმაცია ომზე და მთელი პრესა, რაც მჭირდება. თუ გაგვიმართლა, იქნებ ვიდეომასალასთანაც მიგიშვანო. ჩემი ჟურნალისტის მოწმობა აქ უფრო ჭრის, ვიდრე გერმანიაში.
– მე ხომ საკმარისი მასალა მაქვს უკვე. კიდევ რას ეძებ?
ივომ გაოცებულმა შემომხედა და კალამი გვერდზე გადადო.
– მეც ხომ უნდა ვაკეთო რამე. მე მეგონა, გინდოდა, თვითონ მომეძებნა. რაკი არაფრის გამხელას არ აპირებ.
– რა გაინტერესებს?
– რაღაც სხვა იმალება მაგ შენი რეპორტაჟის მიღმა, ასე არ არის? მაგრამ თქვენ არ მეუბნებით, რაშია საქმე, ამიტომ ჩემს ქალურ ინტუიციას მივენდობი.
თვალი ამარიდა. ადგა და სამზარეულოში გავიდა. ყავა დაადგა. მეც გავყევი.
– გამაგებინე, მე რა მესაქმება ამ ამბავთან?
– ჩემთვის მთავარი ის არის, რომ აქა ხარ.
შუადღის სიცხით გათანგულმა ფრჩხილების წითლად შეღებვა დავიწყე, – არ ვიცოდი, რა მეკეთებინა. აიღო ჩემი თითი და პირში ჩაიდო ფრჩხილს ქიმიური სუნი უდიოდა, ჯერ გამშრალიც არ იყო.
მე ივოთი ჩავანაცვლე ჩემი ცხოვრება. თვითონ ჩავაყენე ისეთ მდგომარეობაში, რომ რასაც მოინდომებდა, იმას მიზამდა. წლების განმავლობაში არ ვუტყდებოდი საკუთარ თავს. იქ კი, იმ შორეულ ქვეყანაში, იმ ამოუხსნელ ისტორიებში, მთელი სიმძაფრით მივხვდი ამას.
შავგვრემანმა თანამშრომელმა ქალმა მაგიდასთან მიმიყვანა. ეროვნული არქივის პირქუშ შენობაში ისე ციოდა, რომ ფეხის თითები გამეყინა, თითქოს გარეთ ივნისი არ იყო და ქვეყანა არ იწვოდა. გერმანისტიკის ფაკულტეტის სტუდენტი მომიჩინეს, ერთი ჩუმი და გულჩათხრობილი გოგო. მაგიდაზე სამი გაძეძგილი საქაღალდე იდო და ხუთი ვიდეოკასეტა.
შვიდი საათის შემდეგ, როცა იმ მახინჯი სოციალისტური შენობიდან გამოვედი, უკვე ვიცოდი, რომ ლადოს ცოლი დაბომბვის დროს დაღუპულა სოხუმში, ოკუპაციის დღეებში. ლადოს ქალიშვილიც იქ მომკვდარა. ოღონდ ვერ გავარკვიე, დახვრეტის ან დაბომბვის მსხვერპლი გახდა, თუ რაღაც სხვა გარემოებაში დაიღუპა.
ვიცოდი, რომ 1992 წელს აფხაზეთში დიდი რაოდენობით ჰეროინი გასაღებულა და 19 მილიონი დოლარის იარაღი შეუძენიათ სეპარატისტებს. ვიცოდი, რომ აფხაზები და ქართველები რუსული წარმოების ბომბებს ესროდენ ერთმანეთს. ვიცოდი, რომ გაერო მხოლოდ ომის ბოლოს ჩაერია ამ კონფლიქტში და რომ მთელი მედია დუმდა. რომ საქართველოს მაშინდელ პრეზიდენტს რუსულმა მხარემ უმცირესობათა დევნაში და შესაბამისად, ეთნიკურ წმენდაში დასდო ბრალი. რომ ქართული ჯარი ძირითადად მოხალისეებისგან იყო შემდგარი, რომლებიც ფულის, იარაღის, ან წამლის, ან უბრალოდ სახელისა და დიდების გამო იბრძოდნენ.

ისიც გავიგე, რომ 1993 წელს ქართველების ხოცვა-ჟლეტაში რუს სამხედროებთან ერთად ჩეჩნური უკანონო დაჯგუფებებიც იღებდნენ მონაწილეობას ვინმე ბასაევის მეთაურობით. შედეგად მრავალი ათასი ადამიანი დაიღუპა და დაახლოებით 250 ათასი ლტოლვილად იქცა. ქართული ჯარის არაკოორდინირებულობა ჩაითვალა ერთ-ერთ მიზეზად იმისა, რომ სამი ამაო მცდელობის შემდეგ, მხოლოდ 1994 წელს მოხერხდა იმ სამშვიდობო შეთანხმების მიღწევა, რომელიც გაეროსთვის მახდა მისაღები. გავიგე, რომ ის 50 000 ლტოლვილი, ვინც მოგვიანებით სამშობლოში დაბრუნდა, 1998 წელს ისევ განდევნეს. საბოლოოდ კი მაინც არაფერი ვიცოდი ამ შვიდი საათის შემდეგ. ის ვიდეოჩანაწერები ჯობდა არც მენახა. გასაგები იყო, რატომ მოიბოდიშა სტუდენტმა გოგომ ზრდილობიანად, როგორც კი ფირი ჩავრთე, და ოთახიდან გავიდა. იმან ზუსტად იცოდა, რაც იყო იქ აღბეჭდილი.

ქუჩაში ვიბოდიალე, მერე ტაქსი გავაჩერე. ღამის ქალაქი მოვატარებინე. ცოტა ხანში ძველ ქალაქში წაყვანა ვთხოვე და სანაპიროზე გადმოვედი. იმ რესტორანში შევედი, სადაც მე და ივო ვსადილობდით ხოლმე თითქმის ყოველდღე.

მაინც რა გადახდა მაშინ ლადოს, როცა ბრიგადის მეთაური იყო სოხუმში? რატომ ვერ გაიყვანა ცოლი და უფროსი შვილი უსაფრთხო ადგილას? როგორ გადარჩა ბუბა? მაშინ თვეების იყო. როგორ მოხდა, რომ ის და მამამისი გადარჩნენ, დედამისი და მისი და კი დაიღუპნენ? თავი მაგიდაზე დავდე. მერე მობილურზე ლადოს ნომერი ავკრიფე. ვთხოვე, ჩემთანგამოსულიყო. შევატყვე, რომ ცოტა დაიბნა, მაგრამ უარი არ უთქვამს.

ნახევარი საათის შემდეგ უკვე ჩემს მაგიდასთან იჯდა და დამფრთხალი მომჩერებოდა.

– ყველაფერი რიგზეა? – მკითხა თავისი მძიმე გერმანულით.

– თან კი, თან არა. დღეს არქივში ვიყავი და აფხაზეთის შესახებ ვარკვევდი რაღაცებს. ძალიან გთხოვ, მითხარი,რა ხდება. უნდა ვიცოდე. რა გინდათ? რა ჩაიფიქრეთ? რას აპირებ, მითხარი.

– ივლისში აფხაზეთში მივდივარ ივოსთან ერთად. თავისი პასპორტით პირადობის მოწმობას გამიკეთებს. ერთ კაცს უნდა შევხვდე იქ. ვინც იმ ხოცვა-ჟლეტის ბოლო დღეებს შეესწრო.

– როგორ მოხდა, რომ შენი ცოლი...

– შემპირდა, ქალაქს დავტოვებო. მანქანა გავუგზავნე, ორი კაციც გავაყოლე. მაგრამ არ დაუხვდა. უბრალოდ გაქრა.

– და ბუბა?

– ბუბა იმ ღამეს ბებიამისთან იყო. ბებიამისი აფხაზია წარმოშობით. ჩემს ცოლს დედა აფხაზი ჰყავდა და მამა ქართველი. მაგრამ ჩემი ცოლი იყო და ეს ყველამ იცოდა. შანსი არ ჰქონდა. თავიდან არ უნდოდა ქალაქიდან გაქცევა. მეგობრები ჰყავდა იქ, კოლეგები, დედამისიც იქ ცხოვრობდა. არც ეგონა არავის, რომ აქამდე მივიდოდა საქმე. ასეთ ომამდე. ხალხის ამოხოცვამდე. კაცისკვლამდე.

უფროს შვილზეც მინდოდა გამეგო, მაგრამ ვერ გავბედე, ამის ნაცვლად ვკითხე, პოლიტიკაში რატომ წახვედი-მეთქი.

– ეგეთი დრო იყო. რაღაც უნდა მომხდარიყო. რუსეთის ზეწოლა იზრდებოდა. 1989 წელს უკვე გასაგები იყო, რომ საქართველო საბჭოთა კავშირიდან გასვლას მოინდომებდა. ბალტიისპირეთი და საქართველო ყველაზე ცხელი წერტილები იყო მაშინ. ბალტიის ქვეყნებს ვერ შეაკავებდნენ, მეტისმეტად ახლოა ევროპასთან. ჩვენ კი ყველასგან მოწყვეტილები ვართ აქ, საქართველოში. უმცირესობებზე რომ დაიწყებდნენ ზეწოლას რუსები, ეს ვერ გავთვალეთ. როცა 1989-ში ქუჩაში გავედით, არ გვიფიქრია რომ ეს სამოქალაქო ომს გამოიწვევდა. თუმცა დაშლა გარდაუვალი იყო.

იმ დროს იყო რამდენიმე ჭკვიანი ადამიანი, ეგრეთ წოდებული ინტელიგენცია, ვისაც სისხლისღვრის გარეშე უნდოდა დამოუკიდებლობის მოპოვება. მეც იმათ შევუერთდი. მათ რიგებში ბევრი ხელოვანი იყო გაერთიანებული. ბევრი ძალიან განათლებული ადამიანი. ვისზეც რაღაც იყო დამოკიდებული, მალე ჩამოიშორეს გზიდან, იმათ კი, ვინც დარჩა, უცებ დაკარგეს კონტროლი თავიანთ ქმედებებზე. ჩემი პრობლემა ის იყო, რომ ძალიან დიდხანს არ ვკარგავდი იმედს. მეგონა, გონს

მოეგებოდნენ. ერთად უნდა ვიყოთ-მეთქი, ვფიქრობდი. იმდენი ხანი ვეჭიდებოდი ხავსს, სანამ გაგანია ომში არ აღმოვჩნდი.
ვიცოდი, რომ ბავშვები შეეწირებოდნენ ამას, ბუბასხელა ბავშვები, ამიტომ სახლში რა გამაჩერებდა. მაგრამ უკვე გვიანი იყო. მე რუსეთში ნასწავლი კაცი ვარ და მაინც ვერ ვიჯერებდი, რომ კაგებეს უფრო მეტი წონა შეიძლებოდა ჰქონოდა, ვიდრე ჩაიკოვსკის. მთელი ჩემი თაობა ასეთი იყო. ცოტა დისიდენტური, რამდენადაც შესაძლებელი იყო იმ გარემოებებში, და ცოტა მეამბოხე, ოღონდ მხოლოდ ოდნავ. ლევისის ჯინსები და ბითლზები, ეს იყო ჩვენი აჯანყება. ირგვლივ ბევრი სწორად მოაზროვნე ადამიანი იყო მაშინ, მაგრამ იმედმა დამაბრმავა და... – ლადო გაჩუმდა და შემომხედა. მერე ხელი დამადო ხელზე და თითქმის ჩურჩულით მითხრა, ძლივს გავიგონე:
– ასეა ზოგჯერ. თითქოს დამსხვრეულ სარკეში იხედები. ივო ღმერთმა გამომიგზავნა. რომ იცოდე, რამდენი რამე დამიბრუნა, რაც უკვე სამუდამოდ დაკარგული მეგონა.
ვუყურებდი და თანავუგრძნობდი ლადოს. თან ვერ ვხვდებოდი, რაღა მაინცდამაინც მისი ისტორია აირჩია ივომ თავის ცხოვრებასთან პარალელების გასავლებად. რა კავშირი ჰქონდა მთელ ამ ომებს მასთან? იქნებ უხერხულიც იყო და არაპროფესიულიც და ძალიან ეგოისტურიც სხვისი ცხოვრების საკუთარი მიზნებისთვის გამოყენება?
– რა გინდათ აფხაზეთში? ქართველებისთვის ხომ ჯერ კიდევ სახიფათოა იქ ჩასვლა? – ვკითხე, როცა უკვე რესტორნიდან გამოსვლას ვაპირებდით.
– ივო ქართველი არ არის.
– სამაგიეროდ შენ სულ არ გავხარ ევროპელს.
– არა, მაგრამ ივო ჩემთან ერთად იქნება.
– ვის უნდა შეხვდე?
– იმას, ვინც იცის, რატომ არ ჩაჯდა ჩემი ცოლი იმ მანქანაში, რომელიც მე გავუგზავნე.
როცა მეორე დილას გავიღვიძე, ივო უკვე წასული იყო. ბარათი დამიტოვა, ლადო უნდა ჩავწერო და რაღაც პატარა სტუდიაში მივდივართო. საღამოს ლადოსთან მოდი ვახშამზე, რამდენიმე მეგობარსაც პატიჟებსო. ყავა მოვიხარშე და ივოს ოთახში შევიპარე. მაგიდაზე საქაღალდეები და ფოტოები იყო გაშლილი. 90-იანი წლების გაზეთებიდან ამოჭრილი სტატიები, აფხაზეთის და 1989 წელს დამოუკიდებლობის მოთხოვნით გამართული დემონსტრაციების მერე გადამწვარი თბილისის სურათები. გერმანულ და ამერიკულ პრესაში გამოქვეყნებული პოლიტიკური სტატიები წავიკითხე, ივოს მიერ გულდასმით კოპირებული და დახარისხებული.
გადავხედე ინგლისურ წიგნს საქართველოს ისტორიის შესახებ, – ანტიკური ხანიდან დღემდე. არაფერი, საკუთრივ ისტორიის გარდა. ვერაფერი ვიპოვე ისეთი, რაც დამეხმარებოდა. სიგარეტს მოვუკიდე და ძებნაგანვაგრძე. მტვრიანმა ქარმა დაუბერა ღია ფანჯრიდან და სიგარეტის ფერფლი მოაპნია საფერფლედან. სკოჩით დამაგრებული, მრავალ ჭირ-ვარამგადახდილი ფირსაკრავი ჩავრთე; შიგ ანიტა ბეიკერის კასეტა აღმოჩნდა. გამოვშტერდი. ივო ცხოვრებაში არ მოუსმენდა ანიტა ბეიკერს. ყველა მისი ფირფიტა ვიცოდი, ვიცოდი, როგორი მუსიკა უყვარდა, როგორ უფრთხილდებოდა და უვლიდა საგულდაგულოდ შეგროვილ ძველი ჩანაწერების კოლექციას. ასეთ მუსიკას სანაგვეში მოისროდა. გადავახვიე:საუკეთესო სიმღერების სრული კრებული იყო. ყურებს არ ვუჯერებდი.
მერე ივოს ლეპტოპი ჩავრთე. ცხოვრებაში პირველად. ადრე არასოდეს დავინტერესებულვარ. ეს მხოლოდ მისი სამუშაო იყო და მეტი არაფერი.
პასვორდი: დავფიქრდი და რიგრიგობით ყველაფერი ჩავწერე, რაც აზრად მომივიდა; გვარები, ადგილები, სადაც ივოს უცხოვრია. ამაოდ. მუშტი დავარტყი მაგიდას.
მერე ინტუიციას მივენდე, და დაუფიქრებლად დავიწყე სიტყვების აკრეფა. უცებ ხმოვანი სიგნალი გავიგე და შევედი. გავიმართე და გახსენება დავიწყე, რა ჩავწერე. იყო ასო „მ“, და ... ეს იყო „ემა“. ემა. შევკრთი, ოფლმა დამასხა დაძაბულობისგან.

ფაილში, რომელსაც თბილისი“ ერქვა, თავმოყრილი იყო ბანალური ინფორმაცია ქალაქზე, ქვეყანაზე, ლადოზე, ისევ და ისევ ლადოზე. უკვე ნაცნობი საიტები და სტატიები, არაფერი ახალი.
მერე ს“-ით მონიშნული ფაილი აღმოვაჩინე და გავხსენი. ფოტოები ჩვენი ბავშვობის დროინდელი უამრავი ფოტო. შესანიშნავად დასკანერებული და დახარისხებული. ყველაფერი დანომრილი. თარიღი და ადგილი მითითებული. ნინდორფში გადაღებული სურათები: მე და ლენი ხეზე აგებულ სახლუკაში. მე და მამა თულიას სამზარეულოში გულიაშის ჭამის დროს. 1987 წლის აღდგომა, ბაღში, მაგიდაზე თულიას ქიშმიშიანი კექსი. ნიუარკი, 1982: მე, ლენი და ივო მუხლებში ვუზივართ ჯეიმსს, უკანა პლანზე დედა პიკნიკისთვის ემზადება. 1983: მე და ივო ზღვის ნაპირზე, ივოს წითელი საცურაო შორტები აცვია, მე კი თეთრი მაისური, ქვიშაში ამოგანგლულები, გაღიზიანებულები ვიყურებით კამერაში. მე და ლენი თოჯინების სახლს ვაკეთებთ ბეღელში, 1981. 1984: მე და ივო წყლის სასრიალოზე ნინდორფის დახურულ აუზში. კარგად მახსოვდა ის დღე: ფეხი ვიტკინე, იმიტომ რომ ვიღაც ბავშვი დამასკდა, და ივო მთელი საღამო მაწყნარებდა. მამას დაბადების დღე, 1987, მასთან ჰამბურგში, გვერდით ვიღაც ქალი უზის, რომელიც ბუნდოვნად მახსოვდა.
მერე კი ერთი შავ-თეთრი ფოტო, რომელიც არასოდეს მინახავს. დაუთარიღებელი, წარწერის გარეშე. პირველად ვნახე. არადა, ჩემი ფოტო იყო. ვერ გავიხსენე, როდის იყო გადაღებული. ეკრანს მივაჩერდი.
ნავსადგურთან მდებარე სახლის ბაღი, შემოდგომა. უკან შავი ძაღლი ჩანს. მიწა ჩამოცვენილი ფოთლებით არის დაფარული. სურათის ცენტრში მე ვდგავარ პაჟის ვარცხნილობით და თითით პირში. დედაჩემის მოქსოვილი წითელი შალი მაქვს მოხვეული, საწვიმარი მაცვია და ჯინსის კომბინეზონი. უკან ივო მიდგას, პროფილში: მე მიყურებს და არა კამერას. ბოტები აცვია, რომლებიც ძალიან კარგად მახსოვდა, და ბეისბოლის ქუდი ახურავს, მამამისის ჩამოტანილი შვეიცარიიდან. გვეტყობა, რომ ფოტოაპარატის ჩხაკუნი მოულოდნელი იყო ჩვენთვის; მე დამფრთხალი ვიყურები კამერაში, ივო კი ისე მომჩერებია, თითქოს მაფრთხილებს, თითქოს უნდა, რომ ჩაჩხაკუნებისგან დამიცვას. აღელვებული მზერა აქვს, შეწუხებული. ეს მზერა შეინარჩუნა მთელი ცხოვრების განმავლობაში. თან შიშით სავსე იყო ეს მზერა და თან მალავდა ამ შიშს, მთელ სამყაროს უმალავდა. ცოტა ხნით თვალები დავხუჭე.
ვინ გადაიღო ეს ფოტო? ფრანკმა? ემამ? რატომ არ მქონდა ადრე ნანახი? მივხვდი კი საერთოდ, რომ სურათს გვიღებდნენ? რაკი ივოს ის ბეიბოლის ქუდი ეხურა და მე ჩემი საწვიმარი მეცვა, ესე იგი უკვე დასასრულს უახლოვდებოდა ყველაფერი; რაკი ასე ლამის ჩახუტებულები ვიდექით, ესე იგი უკვე გადაბმულები ვიყავით მე და ივო; რაკი შემოდგომა იყო, ესე იგი... სულ მალე ემა უნდა მომკვდარიყო. ფოტო თაბახის ფურცელზე ამოვბეჭდე, ბლოკნოტში ჩავიდე და ჩანთაში დავმალე.
რად უნდოდა, ჩვენს არქივს რომ აკეთებდა? რაში ჭირდებოდა?
ივოს საოცარი მეხსიერება ჰქონდა. ძალიან ზუსტი. არაფერი არ ავიწყდებოდა, არც ერთი ნიუანსი, არც ერთი დეტალი არ გამორჩებოდა, როგორი შენიღბულიც არ უნდა ყოფილიყო. ასე საგულდაგულოდ რატომ გამოამწყვდია აქ თავისი ცხოვრება? კიდევ რამდენიმე სტატია ჰქონდა შენახული, რომლებიც აღარც კი მახსოვდა. ჩემი და მარკის ქორწილის ფოტოც: მე სადა თეთრ კაბაში, მარკი შავ სმოკინგში. ალბათ ფრანკისგან წამოიღო ან თულიასგან.
გაოგნებული ვიჯექი ლეპტოპთან. მერე წამოვხტი, მერე ისევ დავჯექი, ისევ გადავხედე სურათებს, დავხურე ლეპტოპი, მერე ისევ გავხსენი. ეს ყველაფერი ნამდვილად ჩვენ გვეხებოდა. მე მეხებოდა.
თულიას თუ დავუჯერებთ, სამყარო სხვა არაფერია, თუ არა ქსოვილი, რომელშიც ცალკეული ადამიანების, ქვეყნების, ცივილიზაციების და ღმერთების ცხოვრებაა ჩაქსოვილი. რომელთა დამწერლობა ჯერ ვერ გაგვიშიფრავს. რა მომაჯადოებელია ბავშვისთვის ამის წარმოდგენა: გორგალივით ჭრელი სამყარო, რომელშიც ათასფერი ძაფია გადაბმული.
იქ, იმ ს“ ფაილის პირისპირ რომ ვიჯექი, თულიას მიერ დახატულიგადახლართული სამყაროს ეს სურათი დამიდგა თვალწინ. ჩემი ცხოვრებაც ასე იყო დახარისხებული და დამახსოვრებული ამ ფოტოების,

თარიღების და ადგილების, იმ ადამიანების მეშვეობით, ვინც სურათებში გვერდით, ან უკან, ან წინ მედგნენ. ფოტოებს შორის ერთი ჩემთვის უცნობი ფოტოც აღმოვაჩინე. თითქოს კიდევ ერთ ოთახს წავაწყდი სახლში, სადაცწლების განმავლობაში ვცხოვრობდი.
ბოლოს ლეპტოპი გამოვთიშე და პატარა ტერასაზე გავედი. ეზოში ბავშვები თამაშობდნენ, მეორე სართულიდან მუსიკა ისმოდა, 80-იანების შლაგერი. ვიღაც გადმოვიდა ჯიპიდან და რაღაც უცნაური სახელი დაიძახა. სადღაც მეზობლად ქათმის ბულიონს ხარშავდნენ. ჩემი ბავშვობის ამ კარგად ნაცნობმა სუნმა ღიმილი დამტყუა.
იმის იმედით, რომ წყალი გონზე მომიყვანდა, შხაპი მივიღე. მერე რამდენიმე საათი დავბოდიალობდი ქუჩებში და ისევ იმ სურათზე ვფიქრობდი, ჩანთაში რომ შევინახე. როცა დავიღალე, ტაქსი გავაჩერე და ლადოსთან წავედი.
სახლიდან ხმაური ქუჩაშიც კი გამოდიოდა. დიდხანს ვრეკე, სანამ ბოლოს ბუბამ არ გამიღო კარი გიჟივით. კისერზე ჩამომეკიდა და წაიცეკვა.
– „ფართი“! – გაბრწყინებული სახით ჩამყვირა ყურში. მუსიკა ძალიან ხმამაღლა უკრავდა.
– რას ვზეიმობთ? – ვიღრიალე მეც, როცა სახლში შევედით.
– ყველაფერს. აზრზე არა ვარ. ალბათ ზაფხულს, ან რამე ეგეთს, არა?
მისაღები ოთახი სავსე იყო ხალხით. ვიღაც გიტარაზე უკრავდა. ღვინო მაღალ დოქებში იდგა დაბალ მაგიდაზე. სტუმრები ძირს ისხდნენ, კედლებთან იდგნენ. ჩე გევარას მაისურიანი ბიჭი რაღაცას ყვებოდა აღელვებული, მე არაფერი მესმოდა. სამზარეულოში ვიღაც მაღალი ქალი იდგა ქურასთან. ივო და ლადო ვერსად ვიპოვე. ბუბამ მომკიდა ხელი და ყველა სტუმარი გამაცნო. უმრავლესობა ხელოვანები აღმოჩდნენ, ლადოს კოლეგები, მაგრამ მეზობლები და ნაცნობებიც იყვნენ დაპატიჟებული. ეტყობა გულითადი მეგობრობა აკავშირებდათ ლადოს ოჯახთან ან უბრალოდ გასართობად მოვიდნენ. ბუბა აქეთ-იქით დამარბენინებდა და თან ჩურჩულით მაწოდებდა მნიშვნელოვან ინფორმაციას:
– ცხენივით კბილები რომ აქვს, ეგ კაცი ლადოს ძველი მეგობარია. პატარა სტუდია აქვს. ბევრი მუსიკოსი დადის იქ. დიდძუძუებიანი ქალი, აი, იმის შეყვარებულია. ეს კი ჩვენი მეზობელია, მოქანდაკე, ცოლს გაშორდა, ხუთი შვილი ჰყავს. ქურასთან რომ დგას, ის სალომეა, მაგანაც იცის გერმანული, – მითხრა ბუბამ დამაღალ ქალთან მიმიყვანა, ისიც მომიტრიალდა და უხერხულად გამიღიმა, ხელები ფქვილში ჰქონდა.
– როგორც იქნა, გაგიცანი, მოხარული ვარ, – მითხრა მან, მარჯვენა ხელი ტილოზე შეიწმინდა და გამომიწოდა. ბევრი მსმენია შენზე. ივოს ყველა ვიცნობთ. შენ კი მოუთმენლად გელოდით.
ბევრჯერ ვიყავი უკვე ამ სახლში, მაგრამ ეს ქალი არასდროს მინახავს. არც კი ვიცოდი, რომ ლადოს ქალი ჰყავდა. უბრალოდ მეგობარს ნამდვილად არ ჰგავდა. ბუბას ინტონაციამაც მიმახვედრა. ახლავე მოვრჩები საჭმლის მზადებას და მოგხედავო, მითხრა. ბუბამ გარეთ გამიყვანა. სახლის წინ, მოსაწევად.
– ლადოს მეგობარია? – ვკითხე, როცა ჩემი სიგარეტი მოქაჩა.
– მეგობარი კი არა, საყვარელია, – მითხრა ცოტა გაღიზიანებულმა.
– რა იყო, არ მოგწონს?
– ისე რა.
– სასიამოვნო ქალი ჩანს.
– ცეცხლივით ქალიაო, ყველა ამბობს.
– ცეცხლივით?
– ხომ გესმის, არა?
– დიდი ხანია, რაც...
– ძალიან. ბერლინშიც ჩვენთან იყო. როცა დავბრუნდით, ეგეც წამოგვყვა. მაგრამ სალომე დედაჩემთან მეგობრობდა, ასე რომ ლადო ძალიან დიდი ხანია იცნობს.
– გასაგებია. მაშინ ალბათ ძალიან უყვარხართ, შენც და მამაშენიც.
– არ ვიცი და არც მაინტერესებს. ჯობია საკუთარ შვილს მიხედოს.
– შვილი ჰყავს?
– კი, ბიჭი. ჩემზე უფროსია. მაგრამ მამამისთან ცხოვრობს!
უნებურად გავიფიქრე, ჩემ შვილს რომ კითხავენ დედამისის შესახებ, ალბათ

მსგავს პასუხს გასცემს-მეთქი. ვიგრძენი, როგორ წამოყო თავი შიშმა და დაპანიკებულმა კიდევ ერთ სიგარეტს მოვუკიდე.
– რა დაგემართა?
– ჩემ შვილზე ვფიქრობ. გერმანიაშია.
– ფოტო ხომ არ წამოგიღია?
საფულე მოვქექე და პატარა ფოტო ამოვიღე, ავტომატში გადაღებული, რომელიც სულ თან დამქონდა. მე და თეო გაოთხმაგებული.
– გენატრება?
– კი. იცი რა, ასე იოლად ნუ განსჯი. რთულია ყველაფერი და ზოგჯერ ადამიანი იქ არ არის, სადაც უნდა ყოფნა. იმასაც ალბათ ძალიან უყვარს თავისი შვილი, ისევე, როგორც მე – თეო, ლადოს კი – შენ.
– რა იცი, რომ ისევე უყვარს? ეგ არავინ იცის. – თქვა ბუბამ რაღაც დაუჯერებელი სისასტიკით და სპორტული ფეხსაცმლის ცხვირით მიწის ჩიჩქნას შეუდგა. ამ დროს ის მაღალი ქალი გამოჩნდა, ჩვენკენ მოდიოდა.ლამაზი კიდურები ჰქონდა, გრძელი ფეხები, რასაც ვიწრო კაბა კიდევ უფრო უსვამდა ხაზს. მუქი თმა ბიჭურად შეჭრილი. თითქმის შეუღებავი, მხოლოდ წამწამებზე ცოტა ტუში. კლასიკური გაგებით ლამაზი ნამდვილად არ იყო. გრძელი კეხიანი ცხვირი ჰქონდა და შორი-შორს ჩასმული თვალები. მაგრამ თითქოს ასხივებდა, საოცრად მიმზიდველი იყო, თვალშისაცემად ხორციელი, განსაკუთრებული. მაშინვე ის სიტყვა გამახსენდა, ბუბამ რომ იხმარა მის დასახასიათებლად: „ცეცხლოვანი“.
– აი, თურმე სად ყოფილხართ! – წამოიძახა მან და მოგვიახლოვდა. ამ დროს ისევ დაირეკა ზარი ჭიშკარზე და ბუბა ადგილიდან მოწყდა.
– სიგარეტს აწევინებ? – მკითხა სალომემ. შემცბარმა გავიღიმე.
– რას იზამ, ამ ასაკში ყველა სისულელეს ბაძავენ, – დაამატა, თითქოს მოიბოდიშა.
– ძალიან მოწონხარ. საერთოდ, უცხოებთან უჭირს დაახლოება, თუ შეიძლება ასე ითქვას. მეც მომაწევინებ სიგარეტს?
გაუბედავად ლაპარაკობდა, სიტყვებს ეძებდა, მაგრამ მისი დაბალი ხმა სასიამოვნო მოსასმენი იყო, სულერთი იყო, რას იტყოდა, თითქოს მაბრუებდა.
– რა თქმა უნდა. ინებე.
– როგორ მოგწონს აქაურობა?
– ბევრი რამით ვარ მოხიბლული, რაც მართალია, მართალია. მაგრამ ჯერ ძალიან ცოტა დრო დავყავი აქ, ასე გადაწყვეტით ვერ ვიტყვი.
– მე ერთხელ ვიყავი ჰამბურგში. ძალიან შემცივდა.
გავუღიმე და ცოტა ხანი გავჩუმდით, მივაყურადეთ, ვინ მოვიდა. ივო ნამდვილად არ იყო.
ჩუმად მოვწიეთ ჩვენი სიგარეტები ბოლომდე. ძალიან მაინტერესებდა, რას წარმოადგენდა ეს ქალი, გარდა იმისა, რომ ასეთი იდუმალი იყო და ცეცხლოვანი. რას ნიშნავდა მისთვის იმ კაცთან ყოფნა, ვისი ცოლიც მკვდარი იპოვეს საკუთარ გადამწვარ სახლში. ჯერ კიდევ „ს“-ის ფოტოებთან ვიყავი ფიქრებით, ანიტა ბეიკერთან და მთელ ჩემ ლანდებთან, მაგრამ ცნობისმოყვარეობა მკლავდა და მაინც ვუთხარი:
– რაღაც მინდა გკითხო.
– მკითხე, – შემომაგება მან.
– ძალიან მაინტერესებს, რა აქვთ განზრახული. რა საიდუმლოს მალავენ, რა რეპორტაჟს აკეთებენ.
– დანამდვილებით არც მე ვიცი. ლადოს ცხოვრებაში აღარ ვერევი, – ხმა ჩუმი გაუხდა, და მის ამაყ იერში სევდა გამოკრთა. სიამოვნებით შევახებდი ხელს, მაგრამ თვალი ავარიდე და ხმა აღარ ამომიღია.
ალბათ უკვე შუაღამე იქნებოდა, როცა ლადო და ივო გამოგვეცხადნენ. ორივე მთვრალი იყო. ღრიანცელით შემოვარდნენ ეზოში და კოცონთან მსხდომ ხალხს მივარდნენ, ესალმებოდნენ, ეხვეოდნენ, გულში იხუტებდნენ. ივოს ასეთი ზღვარგადასული მხიარულება ნერვებს მიშლიდა.
ვიღაც ქალმა დაბალი, ჩახლეჩილი ხმით სიმღერა წამოიწყო. სევდიანი მელოდია იყო, პორტუგალიული ფადო მომაგონა. ასეთი ლამაზი ხმა იშვიათად თუ გამიგონია. შორიდან გავხედე და სალომე აღმოჩნდა, გიტარის თანხლებით მღეროდა. მინდოდა თეოზე მეფიქრა, მაგრამ მაინც ივოზე მეფიქრებოდა. ჩემ

ცხოვრებაზე მინდოდა მეფიქრა, და მაინც მისაზე მეფიქრებოდა. არ ვიცოდი, შევძლებდი თუ არა ოდესმე ამ ჯოჯოხეთიდან თავის დაღწევას, გათავისუფლებას, გაქცევას. ჩემ ცხოვრებას თუ დავუბრუნდებოდი როდისმე, რომელსაც ასე თავპირის მტვრევით ჩავუქროლე. ცხოვრებას, რომელიც არასოდეს აღმიქვამს ჩემად. როდისმე თუ ვიქნებოდი თავისუფალი, თუ გავთავისუფლდებოდი ამ კაცისგან, რომელიც მძულდა იმ წუთას. იმიტომ რომ მაიძულებდა მასთან გავქცეულიყავი და მისგან მომეთხოვა პასუხები ჩემს შეკითხვებზე.
ბუბამ მომაგნო. გვერდით მომიჯდა და მხარზე მომეყრდნო. თეფშით მწვადი გამოეყოლებინა. ალკოჰოლის სუნი უდიოდა და ლოყები აწითლებული ჰქონდა.
– აქ რას აკეთებ? შვილი გენატრება? – მკითხა და ისეთი პატარა და უსუსური მომეჩვენა, მიუხედავად იმისა, რომ ძალიან მაღალი იყო და ცდილობდა დიდივით მოქცეულიყო. მშურდა მისი ახალგაზრდობის, მისი უცოდინრობის, მისი თავისუფლების. მას შეეძლო ყველაფერი, მართლა ყველაფერი აღმოეჩინა ამ ქვეყანაზე. ხორცის პატარ-პატარა ლუკმებს მიდებდა პირში და კმაყოფილი იცინოდა. მეც ვჭამდი და ვჭამდი, ოღონდ სიცილი არ შეეწყვიტა.
სალომე სიმღერას აგრძელებდა, ლადო ოსტატურად შეენაცვლა გიტარაზე. მუსიკამ დამატყვევა და ყველაფერი დამავიწყა. სიამოვნებით მივეცი თავდავიწყებას იმ ღამით, და მრავალ სხვა ღამით, იმ სახლში რომ გავატარე.
შემორჩენილი სტუმრები ჩამქრალ კოცონთან ისხდნენ და საუბრობდნენ. უკვე ვცოფდებოდი, ისე მინდოდა მათი ენა გამეგო. ბუბას მისაღებ ოთახში ჩაეძინა დივანზე. პირდაღებული იწვა, მე რაღაც მივაფარე. ისე მშვიდად ეძინა, ისე განცხრომით, სიზმრებში წასული ბავშვივით. მე კი ვიდექი, ვაკვირდებოდი, ჩემს შვილზე ვფიქრობდი და სიმშვიდე მეუფლებოდა.
მერე სააბაზანოში წავედი. ცივი წყლის შესხმა მინდოდა სახეზე: გათიშული ვიყავი დაღლილობისგან, ტყვიასავით დამიმძიმდა სხეული... გზად, დერეფანში, ლადოს საძინებლის ნახევრად ღია კართან, რაღაც ხმები შემომესმა და გავჩერდი. ოთახში შევიხედე და ორი გადახლართული ლანდი დავინახე მეტალის ვიწრო საწოლზე. სალომე, რომელიც ლადოს თმებშიჩაფრენოდა, და ლადო, რომელიც სალომეს წელზე ეხვეოდა. სიყვარულს მისცემოდნენ, მაგრამ ამ სიყვარულს შვება არ მოჰქონდა მათთვის. ერთადაც მარტონი იყვნენ, ამაოდ ცდილობდნენ დავიწყებას ერთმანეთის მკლავებში. სალომე კვნესოდა, ოღონდ ვნებისგან კი არა, – ყრუ და დაუნდობელი სიმარტოვის ტკივილისგან. ლადოს მის ყელში ჩაემალა სახე, თითქოს თავს იკავებდა, რომ ყვირილი არ აღმოხდომოდა.
გამახსენდა, როგორ აღვიქვი პირველად სიყვარული, როცა ერთმანეთში გადახლართული სხეულები დავინახე. სხეულები, ერთმანეთისკენ რომ მიილტვოდნენ და მაინც მარტონი რჩებოდნენ, ვერ ერთდებოდნენ, შორს იყვნენ ერთმანეთისგან, ვერ ერწყმოდნენ ერთმანეთს. როგორ შევიცანი სიყვარული, როცა ფარდის ღრიჭოში სილუეტები დავლანდე და მას მერე სიყვარული ტკივილთან გავაიგივე. გამახსენდა, როგორ დავწექი პირველად ივოსთან, როგორ მივხვდი, რომ ვერასოდეს დავეუფლებოდი მას დაროგორ დავარქვი ამას სიყვარული. ჩემი სიყვარული გამახსენდა ივოს მიმართ, მტკივნეული და მწველი, იმედგაცრუებული, გარიყული. ოფლად დაღვრილი და სისხლისგან დაცლილი, სიახლოვის დევნაში. სიყვარული, რომელიც უფრო და უფრო ემსგავსებოდა ტკივილს. სიყვარულის პირველწყაროს. ბავშვობაში, ხის ტოტზე მჯდომი მივხვდი, რომ სიახლოვე შეუძლებელია, და კარგად დავიმახსოვრე. ასე დაემართა ივოსაც. ამან დაგვაკავშირა სამუდამოდ. სიყვარული ჩვენთვის სხვა არაფერი იყო, თუ არა სინდისის ქეჯნა, ტყუილი, ტკივილი და მარტოობა, რომელსაც მამაჩემი და დედამისი ერთმანეთს უნაწილებდნენ. ჩვენც დავიჯერეთ, რომ ეს იყო სიყვარული, ასეთი სიყვარული შევიცანით, ჩვენად ვაქციეთ. პატარები ვიყავით, საიდან უნდა გვცოდნოდა, რომ სიყვარული ასეთი ვერ იქნებოდა, ასეთი მტკივნეული, ასეთი გამაოგნებელი და დამანგრეველი სიახლოვისთვის ბრძოლაში. ჩვენ უბრალოდ ეს ხატი დავინახეთ და გზა აგვებნა.
გამახსენდა ჩემი ზურგის ტკივილი, რომელიც მუდამ მენატრებოდა, როცა სხვასთან ვწვებოდი. ეს ტკივილი ნიშნავდა ჩემთვის სიახლოვეს, გარდუვალობას, თავდავიწყებას, თავშეუკავებლობას. ამის მოცემა სხვას არავის შეეძლო, ივოს გარდა, ჩემი შვილის მამასაც კი.

როგორ შეეძლო მამაჩემს ცხოვრების გაგრძელება იმ ყველაფრის შემდეგ? როგორ შეეძლო შეხებოდა სხვა ქალს მას მერე, რაც მისი სიყვარულის მონატრება და სიცარიელის ამოვსების სურვილი სხვა ადამიანს სიცოცხლის ფასად დაუჯდა? როგორ უნდა რქმოდა ამას სიყვარული?
ვაკვირდებოდი იმ მუქ სხეულებს კარის ღრიჭოში, ერთმანეთს გემოს რომ უსინჯავდნენ და ყნოსავდნენ, იზიდავდნენ და იშორებდნენ, ერთმანეთი რომ სჭირდებოდათ თავის დასაძლევად. და თან ვფიქრობდი, რომ ჩემი სიყვარულიც ივოს მიმართ სხვა არაფერი იყო, თუ არა ეს თავის დაძლევის ჟინი. რომ ზუსტად იგივე კითხვა უნდა დამესვა საკუთარი თავისთვისაც: როგორ შეიძლებოდა ამას სიყვარული რქმოდა, როცა მხოლოდ ტკივილი მოჰქონდა, გამორიცხავდა და გავიწყებდა სხვებს, იმის ნაცვლად რომ გაეხსენებინა? ეს რა სიყვარული იყო, როცა ზურგს ჭრილობა ჭირდებოდა სიყვარულის დასამტკიცებლად? რატომ ვუწოდებდი სიყვარულს ამ გრძნობას, როცა სხვა ადამიანებს ვიყენებდი დავიწყების მოსაპოვებლად? როცა მზად ვიყავი წამერთმია ჩემი თავი იმ არსებისთვის, ვისაც თავად ვაჩუქე სიცოცხლე და ვისთვისაც შეუცვლელი ვიყავი?
ვიდექი იქ და სირცხვილისგან ვიწვოდი, ადგილიდან ვერ ვიძვროდი, იმ სურათის ხილვით გაქვავებული, გაბრუებული, გაკავებული. თითქოს ისევ ექვსი წლის ვიყავი და ტოტს მოჭიდებული ივო ადგილს მითმობდა საყურებლად. ვხედავდი, როგორ კოცნიდა ლადო სალომეს და მას არ გულისხმობდა, ვერც კი ხედავდა, მხოლოდ მისი ტუჩები ჭირდებოდა საკოცნელად, უბრალოდ საკოცნელად. სუნთქვაშეკრული და მუშტებშეკრული ვიდექი.
ეს რა სიყვარული იყო, რომელიც სიმარტოვისთვის მწირავდა, უსუსურს მხდიდა, გაუბედავს, ჩემს მეს“ მართმევდა? როგორ შემეძლო აქ დგომა და უცნობი ადამიანების თვალთვალი ლოგინში? როგორ ვაპატიე მამაჩემს და როგორ მაპატია ივომ?
როგორ უნდა ეპატიებინა ჩემთვის ჩემს შვილს? დანაშაული ყველას შეგვეხო. თუნდაც გაუცნობიერებლად ჩადენილი.
სამყაროს ფერადი ძაფები.
ერთმანეთში ჩაქსოვილი ამბები, ერთ დიდ ტკივილად ქცეული. ჩემი ორნამენტი მხოლოდ გაგრძელება იყო მამაჩემისა, ივოსი კი დედამისის ორნამენტის გაგრძელება. თეოს ჩემი წითელი ძაფი უნდა რგებოდა ალბათ. არ უნდა დამეშვა ეს. გავიფიქრე და შევკრთი, ტუჩებზე ხელი ავიფარე, რომ არ მეყვირა.

20

სოფლის მტვრიან გზას მივუყვებოდით მანქანით. ბუბა თავის ჟოლოსფერ საღეჭ რეზინას წელავდა და საჩვენებელ თითზე იხვევდა. ლადო საჭესთან იჯდა, ივო წამდაუწუმ ცვლიდა მუსიკის დისკებს. სალომე ფანჯარაში იყურებოდა. ზღვისპირა სოფლისკენ მივემართებოდით, სადაც სალომეს სახლი ჰქონდა ნაქირავები. ლადო ზღვასთან დაკავშირებულ ბავშვობის მოგონებებს გვიყვებოდა. ბუბა კი უამრავ შეკითხვას უსვამდა. უნდოდა ყველაფერი გაეგო იმ წარსულის შესახებ, რაც დაუმალეს, ან რასაც ვერ მოესწრო. ივოს ქართული მუსიკის დისკზე აბოდებდა, რომლის ჩაწერასაც ლადო აპირებდა. სალომე ჩუმად იყო. მე ფოტოებს ვუღებდი სწრაფად მონაცვლე მწვანედ აბიბინებულ პეიზაჟებს. ბუბა ერთკვირიანი დასვენების გეგმას აწყობდა და ცურვაში შეჯიბრებას გვთავაზობდა.
– ეს ორნი ბალტიის ზღვაზე გაიზარდნენ, იქ ცივა. წესით, კარგად უნდა ცურავდნენ. ასე რომ დაფიქრდი, ბუბა. – გააფრთხილა ლადომ. ივოს გაეცინა.
– ერთად იზრდებოდით? – იკითხა ბუბამ. თავი გვერდზე მივაბრუნე და დაველოდე, რას უპასუხებდა ივო. მაგრამ იმან არაფერი თქვა.
– კი, ერთად. – ვთქვი ბოლოს იმის იმედით, რომ ბუბა აღარაფერს იკითხავდა.
– მეზობლები იყავით?
– არა, ერთ ოჯახში ვცხოვრობდით.
– ნათესავები ხართ?
– ივო ჩემი ნახევარძმაა.
– რას ნიშნავს ნახევარძმა?

– ეს ნიშნავს, რომ სტელას მშობლებმა ივო იშვილეს, – აუხსნა სალომემ. ეტყობოდა, რომ არ სიამოვნებდა ეს ლაპარაკი.
– კი მაგრამ, თქვენ ხომ თითქოს ერთად ხართ, არა?
– გეყოფა, ბუბა. – ჩაერია ლადო.
– არა, რატომ. – თქვა უცებ ივომ და ჩვენკენ მოტრიალდა. – მართალია. ჩვენ თითქოს ერთად ვართ. მე და სტელა სულ პატარობიდან ვიცნობთ ერთმანეთს. და ბავშვობიდან მოგვწონდა ერთმანეთი.
„მოგვწონდა"! – ამ სიტყვისთვის სიამოვნებით გავაწნიდი სილას.
– ჩვენ არა ვართ თითქოს ერთად", ბუბა. – ვუთხარი და უხერხულობის დასამალად ფანჯარაში გავყავი თავი, ჯიუტად მივუშვირე ქარს.
ჩრდილოეთის სოფლებში მიმავალი გზები ცუდი იყო, ჩამონგრეული, ხედი კი დიდებული. უცებ მივხვდი, რატომაც იყვნენ გულგრილნი ყოველდღიურობის მიმართ ადამიანები ამ ქვეყანაში, რატომ ატანდნენ გემოს სიამოვნებას. ხუთი საათი ჯანჯღარის შემდეგ ჩავედით. სახლი პატარა იყო, ქვით ნაშენი, ბაღში საქანელა ეკიდა. ნინდორფი მომაგონა. ზღვამდე სულ რამდენიმე მეტრი იყო. სახლის უკან კი მწვანე, ტყით დაფარული მთები იწყებოდა. სანაპირო ცარიელი იყო, სეზონი ჯერ არ დაწყებულიყო, მაგრამ ზღვა თბილი იყო და მიმზიდველი.
მე და ივოს ერთი ოთახი გვერგო, ხედით მთებზე. ბუბამ თვითონ აირჩია თავისთვის ოთახი. ეზოში ორი კატა დასეირნობდა, მათი მოვლა-პატრონობაც ბუბამ ითავა.
მერე ყველამ ერთად ჩავირბინეთ ზღვასთან. ივოსთან ერთად ყოველთვის მიყვარდა ცურვა. აღარც კი მახსოვდა, როგორი ბავშვური აცეტება ვიცოდი ამ დროს. სწრაფად გავიხადეთ ყველამ და კამკამა წყალში ჩავხტით.
– გავიხსენოთ ძველი დრო? – მკითხა ივომ და იდაყვი გამკრა. ჯერ კიდევ გაცოფებული ვიყავი და ამან კიდევ უფრო გამაგულისა. ლადო და ბუბა ერთ გუნდად გაერთიანდნენ ჩემსა და ივოს წინააღმდეგ. მაგრამ მე ივოს დამარცხება მინდოდა, ამიტომ ვითომ დავეთანხმე, სინამდვილეში კი იმედი მქონდა, რომ უკან მოვიტოვებდი ივოს. სამამდე დავითვალეთ და გავცურეთ. ნაპირზე დარჩენილმა სალომემ რაღაც მოგვაძახა ქართულად, მაგრამ არავინ მიაქცია ყურადღება. ბუბამ სიხარულის ყიჟინა დასცა და მე ჩავყვინთე. ივოს მკლავების სწრაფ, მკვეთრ მოძრაობას ვგრძნობდი ჩემ გვერდით. მარილიანი წყლის სითბომ, რომელიც ასე გვაკლდა ნინდორფში, უფრო სხარტი გამხადა. იმ წყალმა ყველაფერი განკურნა, ყველაფერი ჩამორეცხა, ყველაფერი გამოასწორა. განვიწმინდე და როგორც ყოველთვის წყალში, ჩემთვის ისევ გასაგები გახდა ნათლობის არსი. წყალი მუდამ მნათლავდა, ყოველ ჯერზე მწმენდდა და ახალ სიცოცხლეს მჩუქნიდა. მოტევება შეეძლო. მუდამ. რაღაც მომენტში ლადომ გვანიშნა, ბუბასთვის მეტისმეტიაო და ისინი გაბრუნდნენ. მე და ივო კი ისევ წინ მივიწევდით. ვაგრძელებდით ცურვას. გავილაღეთ, თავდავიწყებით მივცურავდით, თითქოს იქ, შორს, მთავარი პასუხი გველოდა. თავისუფლებას ვგრძნობდი მთელი სხეულით, საფეთქლებით. ჩემი საპყრობილე გაქრა, დაიმსხვრა.
მივცურავდი მარილით გაწებილი თვალებით, მზე მაბრმავებდა და ვიცოდი, რომ ივო უკან მოვიტოვე. ადრე ყოველთვის მჯობნიდა, ყოელთვის მისწრებდა, ახლა კი მე გავუსწარი. მესმოდა, როგორ ხვნეშოდა და ადგლაფუნებდა წყალს, ოღონდ ჩემ უკან, მე მასზე წინ ვიყავი. შევძელი, როგორც იქნა. ცხოვრებაში პირველად ვაჯობე. მერე, როცა უკვე ნაპირზე ვიწექით, თხუთმეტი წლის გოგოსავით ვგრძნობდი თავს. კარგად ვიყავი.
როცა დაბნელდა, ბაღში გავედი ზღვის ჰაერის ჩასასუნთქად. ღობესთან სალომეს წავაწყდი, მისი სიგარეტი ანათებდა. ჩუმად მივუდექი გვერდით. მასაც არაფერი უთქვამს, შორეთს გაჰყურებდა.
– გავისეირნოთ? – შევთავაზე მე. შეწუხებული ჩანდა. თავი დამიქნია დანაბიჯი გადადგა, ავტომატურად ორივე სანაპიროსკენ წავედით. გრილ ქვებზე დავსხედით და მუქ,მდუმარე ზღვას მივაჩერდით. პატარა ქვებს ისროდა წყალში, მეც ავყევი და ორივეს ხმამაღლა გაგვეცინა.
– არ მოგწონვარ, არა? – მკითხა უცბად, ისე რომ არც შემოუხედავს.
– რატომ გგონია? სულაც არა.
– ძალიან კარგი. ვერ ვხვდებოდი, რა გჭირდა.

ცოტა ხანი ორივე ჩუმად ვიყავით, ორივე ცოტა დაძაბული. მერე ისევ მომიტრიალდა:
– მეც მყავს შვილი, – მითხრა და თავი დახარა, – ბიჭი. თხუთმეტის არის. მამამისთან ცხოვრობს გერმანიაში. მამამისი ინფორმატიკოსია. დიდხანს ვიცხოვრე მასთან ერთად, მაგრამ ყოველთვის ლადო... იმან კი ნანა მოიყვანა ცოლად, ჩემი უახლოესი მეგობარი. მე და ლადო მეზობლები ვიყავით, ერთად ვართ შეზრდილი. თხუთმეტი წლის ვიყავი, როცა პირველად მაკოცა. ქუჩაში, ვიღაცის დაბადების დღეზე მივდიოდით და... მეგონა, შემიყვარებდა. მაგრამ ნანა განსაკუთრებული იყო, სამსახიობოზე სწავლობდა, საუკეთესო ოჯახის შვილი. ყველაფერი ჰქონდა. ლადოს ის უნდოდა. სანამ მეტყოდა, უკვე ვიცოდი. ნანას ნებისმიერი შეეძლო ჰყოლოდა, მაგრამ ლადოს გაჰყვა. რა აბსურდულია ზოგჯერ ეს ცხოვრება, არა?
უფრო თავის თავს ელაპარაკებოდა, ვიდრე მე.
– წესიერად არც კი იცნობდა. ახალი დაწყებული ჰქონდა სწავლა და უნიჭიერეს სტუდენტად მიაჩნდათ. არაფერი აკლდა. რა უნდა მექნა? ლადო ხომ ჩემი მეგობარი იყო. ყოველთვის გვერდით ვედექი, ყველაფერი ვიცოდი მის შესახებ. ნანა კი პატარა განებივრებული პრინცესა იყო. მამამისი უშიშროებაში მუშაობდა, ნანამ არც დარდი იცოდა და არც შიში. ლადო აღმერთებდა. ჩემი ბალერინაო, ასე ეძახდა.
ყველაზე ცუდი იცი რა არის? რასაც ვერასოდეს ვაპატიებ ნანას. არც კი შეიმჩნია, რომ ტკივილი მომაყენა. მერე დაქორწინდნენ და ბავშვი გაუჩნდათ, გოგო. უნდა გენახა, რა ლამაზი იყო. მთელი ქალაქი ჩერდებოდა, როცა სასეირნოდ გამოჰყავდა ნანას. მთხოვა, შენ უნდა მონათლოო. მაიას ნათლია უნდა ვყოფილიყავი, დავთანხმდი. არ უნდა დავთანხმებულიყავი, მაგრამ დავთანხმდი. მერე ბავშვსაც ვუვლიდი, როცა იმას სპექტაკლები ჰქონდა და ლადო თავის საქმეებით იყო დაკავებული. ის გოგო შვილივით იყო ჩემთვის. ჩემი მზის სხივი იყო. მაშინ ხშირად მოგზაურობდა თეატრი და მაია ჩემთან რჩებოდა ხოლმე. დედიკოს მეძახდა.
გაჩუმდა და ისევ კენჭების სროლა დაიწყო. წყალში წრეები იშლებოდა და პატარა თევზები ელავდნენ. ავისმომასწავებელი სიჩუმე იდგა.
– იმ დროს მეც პარტიაში შევედი. მე და ლადო ერთნაირები ვიყავით. ნანა კი სულ უფრო შორდებოდა ქმარს. ის მღელვარე გარდატეხის დრო მისი არ იყო. მამამისმა თანამდებობა დაკარგა. ნანას ეშინოდა იმ ცვლილებების, რითიც ლადო იყო იმ დროს დაკავებული. მერე ლადო ციხეში მოხვდა, ნანას თვალში ეს საშინელება იყო.
– მერე? – გავბედე კითხვის დასმა.
– მერე? მერე ის რომანი წამოიწყო.
– რა რომანი?
– რუს სამხედროსთან. მამამისმა გააცნო, ადრე მოსკოვში მუშაობდა.
– მერე?
– მერე. აბა, რა გითხრა კიდევ? ალექსეი ერქვა. მოსკოვიდან იყო და სოხუმში მუშაობდა, თავდაცვაში. პატარა ბიჭს ჰგავდა თავისი პარტყუნა ყურებით. ალბათ ოცდახუთის იქნებოდა. ნანას უბრალოდ ყელში ამოუვიდა ჩხრეკები მის სახლში, ციხეში სიარული ლადოსთან, მისი მეგობრები პარტიიდან, რომლებიც სახლიდან ვერ მოიშორა. რა ექნა, არ იყო ტიპური ქართველი ქალი, რომელსაც დღე და ღამე ქმრის ორმოცი მეგობრის მიღება და ნაირ-ნაირი კერძებით გამასპინძლება შეეძლო. რა მაგის ბრალი იყო, რომ ის ბიჭი შეუყვარდა. ის ყოველთვის მზად იყო დახმარებოდა, კარგი ოჯახიდან იყო, თეატრში ერკვეოდა. ნანა კი გასაჭირში ჩავარდნილ მამაზე დარდობდა. სინამდვილეში ლადო არც არასდროს ყვარებია. უბრალოდ მის თაყვანისმცემლებს შორის ყველაზე წარმოსადეგი ეგ აღმოჩნდა. ყველაზე ლამაზად მან თხოვა ხელი.
– მერე შენ რა ქენი?
– მე ერთ ჩემ სკოლელს გავყევი ცოლად. რამდენიმე წლით ჩემზე პატარა იყო, სერიოზულად არასდროს აღვიქვამდი. მომთმენი იყო და პატივისცემით მეპყრობოდა, არაფერს მსაყვედურობდა. ლადოსაც კი დაუმეგობრდა. ოჯახის შექმნა უნდოდა, შვილი უნდოდა. ბოლოს და ბოლოს, მეც ისე მოვექეცი, როგორც

ლადო მომექცა. ხომ ვამბობ, აბსურდია ეს ცხოვრება. ჩვენ ყველაფერი დავკარგეთ. ომმა წაგვართვა სახლები, სამსახური, ყველაფერი, რაც გაგვაჩნდა. ოცნებები, მიზნები, სურვილები, ყველაფერი უეცრად გაქრა. ლადო თბილისში იყო წასული. მე ძალიან ვღელავდი. ვიცოდი, თავისი ცოლის რომანის შესახებ თუ შეიტყობდა, ცუდად იქნებოდა საქმე. ამიტომ დავეხმარე ნანას. მისი რომანის დამალვაში დავეხმარე, მისი ალიბი გავხდი. მაშინ ლადოს დაცვა მინდოდა, ნანას კეთილდღეობაზე სულ არ ვფიქრობდი. არ მესმოდა მისი ქცევა. სანამ ბომბი არ ჩამოვარდა, არც კი იჯერებდა, რომ ჩვენს ქვეყანაში ომი მიდიოდა. უბრალოდ კაცები ერთობიანო, ამბობდა. თავის რუსს ერთ სასტუმროში ხვდებოდა, სადაც იმას ნომერი ჰქონდა აღებული.
მერე სროლები დაიწყო. და აღარც შეწყდა. ლადო თბილისში იყო, ჩემი ქმარ-შვილი მანამდე წავიდა რუსეთში ნათესავებთან, მე კი სოხუმში ვიყავიგაჭედილი მაიასთან და ნანასთან ერთად. პირველი ლტოლვილები უკვე ტოვებდნენ აფხაზეთს, ან რუსეთში მიდიოდნენ, ან თბილისში. ჩვენ კი, სანამ შანსი გვქონდა, არ გვინდოდა წასვლა. მე არ მინდოდა იმიტომ, რომ ლადოს ველოდებოდი, ნანას კი ეგონა რომ მისი რუსი გმირი დაიცავდა. მას სეპარატისტებთან უნდა ეთანამშრომლა და მნიშვნელოვანი ინფორმაცია გადაეცა მოსკოვში. არ ვიცი, რამდენად გააკეთა ეს. მარტო ის ვიცი, რომ შეყვარებული ბიჭი იყო, რომელიც ისეთ რამეში აღმოჩნდა ჩათრეული, რაც მასზე სულ არ იყო დამოკიდებული და რაზეც წარმოდგენაც არ ჰქონდა. თითქმის ნახევარი წლით გავეჩხირეთ. სოხუმში. ამ დროს ნანა უკვე ბუბაზე იყო ორსულად. ჩემს პატარა ბინაში გადავედით, იმიტომ რომ ყანჩელების სახლი მეტისმეტად დიდი იყო, მეტისმეტად გამომწვევი, ყველამ იცოდა, ვისაც ეკუთვნოდა. ნანა უცებ მტრად გადაიქცა ყველასათვის. რუსებისთვის – იმიტომ რომ მამამისმა ბოლოს ქართველების მხარე დაიჭირა, აფხაზებისთვის – იმიტომ რომ მისი ქმარი ქართველების მხარეზე იბრძოდა, და ქართველებისთვის – იმიტომ რომ აფხაზი დედა ჰყავდა. ბოლოს თითქმის აღარც ლაპარაკობდა. საათობით იჯდა ხოლმე ჩუმად, ფანჯარას მიშტერებული და მაიასაც კი არ სცემდა ხმას. ხშირად იპარებოდა სახლიდან და რამდენიმე საათით უჩინარდებოდა. და ყოველ ჯერზე საშინელების მოლოდინში ვიყავი, მეგონა აღარ დაბრუნდებოდა.
მხოლოდ სოხუმის დაცემამდე ცოტა ხნით ადრე, სანამ უამრავი ადამიანი დაიღუპებოდა, დაბრუნდა ლადო და ცოლს ისევ შეევედრა, ქალაქი დაეტოვებინა და თბილისში წასულიყო, მაია წაეყვანა. მაგრამ ნანამ თქვა, დედაჩემს და ჩემ ქალაქს თუ მოვშორდები, მოვკვდებიო. ჩემს ოჯახს კი ისეთი სახელი აქვს, რომ ხელს არავინ მახლებს და მაიაც დაცული იქნებაო. შეიძლება 1992-ში ეს ასეც ყოფილიყო, მაგრამ ერთი-ორი თვის შემდეგ ყველაფერი გადამწვარი იყო უკვე, დანგრეული, განადგურებული და დავიწყებული. კაციშვილს აღარ ადარდებდა არავის სახელი. 1993 წლის ზამთარში, ბუბას გაჩენიდან რამდენიმე ხანში, ლადო მოვიდა და გვიბრძანა, უნდა წახვიდეთო. სანამ ქვეყანა გადაბრუნებულაო. ლადო მაშინ გალში იმყოფებოდა და ძლივს ახერხებდა სოხუმში ჩამოსვლას. საშინელი დრო იყო და კიდევ უარესი გველოდა წინ. მოვიდა და გვითხრა, ზეგ დილას მაინც აუცილებლად უნდა დატოვოთ ქალაქი, იმიტომ რომ ბლოკადას აპირებენო. ბუბას მერე ნანას ვეღარ ვცნობდი. საუკეთესო ტანსაცმელს იცვამდა, ბავშვს ძუძუს არ აძლევდა, რამდენიმე დღით ქრებოდა და მერე ნასვამი ბრუნდებოდა. ჩემი აზრით, რუსების წვეულებებზე დაეხეტებოდა, ალექსეის დასდევდა. ლადომ ყველაფერი მოაგვარა ჩვენთვის. მის ხალხს უნდა გამოევლოთ გამთენიისას და ვერტმფრენით ბათუმში გადავეყვანეთ. იქიდან კი თბილისში უნდა წავსულიყავით. მე ბილეთიც კი მქონდა თბილისიდან ჩემს ქმართან და შვილთან გასაფრენად. ლადომ დამაფიცა, რომ თუ საჭირო გახდებოდა, ძალით ჩავტენიდი ნანას და მაიას მანქანაში, ყველაფერს ვიზამდი, რომ ქალაქიდან გავსულიყავით. ლადო გაბრუნდა, წავიდა ისევ ქალაქიდან, თავისიანებთან, ვინც შემდეგ ღამეს ისევ ამ ქალაქში უნდა მოეყვანა. იმისთვის რომ ეომათ, იმისთვის, რომ მთავრობის სახლისთვის ცეცხლი წაეკიდებინათ, იმისთვის, რომ... – სალომემ ამოიოხრა.
– წინა ღამით ნანამ თავისი ყველაზე ლამაზი კაბა ჩაიცვა. დილის შვიდ საათზე მოგაკითხავენო, გვითხრა ლადომ. მე ჩანთებს ვალაგებდი, ბუბა ხელში მყავდა აყვანილი, მაია ტიროდა, ალბათ გრძნობდა რაღაცას. ნანას ვეკითხები, რას

გამოეწყვე-მეთქი და უნდა დავემშვიდობოო. იმდენი რამე უნდა ვუთხრაო. უნდა ვუთხრა, რომ არ იყო სწორი მასთან რომ ვიწექი, სანამ ჩემს ქვეყანას ანადგურებდნენო, რომ არ შემიძლია მასთან ყოფნა, როცა ჩემი ქმარი მის წინააღმდეგ იბრძვისო, რომ არ შემიძლია მასთან თეატრზე საუბარი იმ დროს, როცა მისი ქვეყანა ჩემს ქვეყანას იარაღით ამარაგებსო.
მე ვუთხარი, მესმის-მეთქი შენი, წადი, ბავშვებს მე მივხედავ, მაგრამ ძალიან გთხოვ, ხუთზე აქ იყავი-მეთქი. იმან მითხრა, მაქსიმუმ ორ საათში დავბრუნდებიო. ხელი დამიკოცნა და გაქრა.
უკან აღარ დაბრუნებულა. სამი საათი გახდა, ოთხი, ხუთი. არ მოვიდა. აღელვებისგან სუნთქვა მიჭირდა. მაია გავაღვიძე, ბუბა ხელში ავიყვანე და ქუჩაში გავედი. ნანას დედა არც ისე შორს ცხოვრობდა ჩვენგან. ავტეხე განგაში და ბუბა შევაჩეჩე. უცებ მაიამ ყვირილი დაიწყო, ღრიალებდა, წიოდა, არ უნდოდა იქ დარჩენა, შენთან მინდა ყოფნაო. ნამდვილი ისტერიკა მოაწყო. არადა ისეთი დამჯერი იყო, ისეთი მშვიდი. დროის დაკარგვა არ მინდოდა, ამიტომ უბრალოდ ხელში ავიტაცე და გამოვიქეცი.
შეშინებული, დამფრთხალი ბებია მეკითხებოდა, რა მოხდაო. მე ვუთხარი, ცოტა ხანში მოვაკითხავ-მეთქი ბუბას. და გავიქეცი მაიასთან ერთად. მივვარდი სასტუმროში, სადაც ალექსეი ცხოვრობდა. იქ არ იყვნენ. დავიარე ქუჩები, ბნელოდა, არც ერთი ნათურა არ ენთო. სანაპიროს დავუყევი.
ვიცოდი, რომ ალექსეი ხშირად იმყოფებოდა დაცვის პუნქტში, თეატრის ყოფილ შენობაში, რომელსაც მაშინ თავდაცვა იყენებდა, ნანამ ახსენა ერთხელ. ამიტომ იქ გავვარდი. მეგონა, რაკი მაია ჩემთან ერთად იყო, საშიში არ იქნებოდა. საფრთხეს არ შემიქმნიდნენ, ძალას არ იხმარდნენ. ქალაქს ეძინა, ისეთი მშვიდი დილა იყო. სახლებზე ნატყვიარები რომ არ ყოფილიყო აქა-იქ, კაცი იფიქრებდა, ჩვეულებრივი განთიადიაო.
გარეთ მოხუცი აფხაზი იდგა ყარაულში. აფხაზურად გამოველაპარაკე. ალექსეი ვიკითხე. დაეჭვებული დამაკვირდა, მერე მიბრძანა, შესასვლელთან დამელოდეო, და შიგნით შევიდა. მაშინ არ ვიცოდი, რომ ყველა ჯარისკაცი ღამით თავდაცვის შენობაში იკრიბებოდა მოსალოდნელი ესკალაციის გამო.ყველამ იცოდა, რაც უნდა მომხდარიყო. მერე დაბრუნდა და მითხრა, აქ არ არისო. ორი საათის წინ წავიდა სადღაც მანქანითო. ტირილი დავიწყე.
ვიკითხე, მარტო იყო-მეთქი თუ ვინმესთან ერთად. ეტყობა შევეცოდე და ისევ შიგნით შებრუნდა ამის გასარკვევად. როცა გამოვიდა, მითხრა, ცოლთან ერთად იყოო. მისი ცოლიო, ასე თქვა. რომელი ცოლი-მეთქი. ნანა, მისი ცოლიო, გამიმეორა. შევევედრე, გამიგე, საით წავიდნენ-მეთქი. არაფერი არ ვიციო, მიმეორებდა და მაწყნარებდა, ალექსეი დილის ცხრა საათზე აქ უნდა იყოს, ცხრაზე მოდიო.
ცხრაზე. ვეღარც გავაღწევდით მაშინ ქალაქიდან. მგონი ყვირილი დავიწყე, მაია კი, ჩემი შემხედვარე, კიდევ უფრო გამოვიდა წყობიდან და ჩემთან ერთად აქვითინდა. ვერ ვიჯერებდი, რომ უბრალოდ აიღო და მიგვატოვა, მეც და თავისი შვილებიც. იმ ყველაფრის შემდეგ, რაც ილაპარაკა, იმ რუსზე, თავის თავზე, ხომ ვერ დაივიწყებდა ყველაფერს. რაღაც უნდა მომხდარიყო. არ ვიცი. დღემდე არაფერი ვიცი. უკან გამოვიქეცით. ნანას გარეშე ვერ დავტოვებდი ქალაქს. ბებია და შვილიშვილები მანქანაში უნდა ჩამესვა და გამეშვა. მე უნდა დავრჩენილიყავი და ნანა მომეძებნა.
ის იყო კუთხეში უნდა შეგვეხვია, სახლთან ახლოს, რომ მაია გაჩერდა და მთელი ხმით ყვირილი დაიწყო. რა მოხდა-მეთქი, ვეკითხები, ვცდილობ დავამშვიდო, ასეთი არასოდეს მენახა. და უცებ მეუბნება, მამას ვუთხარიო. მამას ვუთხარი, რომ დედას სხვა მეგობარი ჰყავსო. რომ ზოგჯერ მასთან ერთად მიდის და იმას უნიფორმა აცვია, ოღონდ ისეთი არა, როგორიც მამასო. რომ დედას საჩუქრებს ჩუქნის, რომ დედა მას მალავს და სახლში არასოდეს მოყავსო. მაგრამ მე ყოველთვის ვფხიზლობ და ვუთვალთვალებ, როცა თავისი მანქანით დედა მოყავს ხოლმეო, და რომ...
გაოგნებული ვუყურებდი. მინდოდა დამეწყნარებინა, მაგრამ ხელი გამომტაცა და რაც ძალა და ღონე ჰქონდა, გაიქცა. ზუსტად ამ დროს ქუჩაზე დიდმა სამხედრო მანქანამ შემოუხვია, რუსული ნომრებით. იმ მანქანას ჰგავდა, რომლითაც

ალექსეის ნანა მოყავდა ხოლმე სახლში. მაია მანქანას გაეკიდა. დედას ეძახდა და თავქუდმოგლეჯილი გარბოდა. სანამ მე მოვტრიალდებოდი და გავეკიდებოდი, იმან გზა მოჭრა, ბაღის ღობეზე გადაძვრა და მანქანის წინ დახტა. იმათ დამუხრუჭება ვერ მოასწრეს. მაია აღარსად ჩანდა. ვიღაცამ იყვირა, მე დავეცი. ეგრეთ წოდებული სამშვიდობოები აღმოჩნდნენ. სანამ მივაღწევდი, უკვე ვიცოდი, რომ ცოცხალი აღარ იყო. საფეთქლით დაასკდა. წარმოდგენაც კი არ მქონდა, რომ ყველაფერი იცოდა...
ზღვა უკიდეგანო იყო, ცა კი ნელ-ნელა ნათდებოდა, ლურჯი ზოლი გამოეყო ღრუბლებს და ჰორიზონტი ვარდისფრად შეღება. პატარა მომწვანო ქვა ავიღე და ხელი მოვუჭირე. სიგარეტი გაგვითავდა. სალომეს გავხედე. არ ტიროდა. ჰორიზონტს გასცქეროდა ჩემსავით.
– ნანას დედა მძინარე ბუბასთან ერთად ლადოს გამოგზავნილ მანქანაში ჩავტენე. მე თვითონ კი დავრჩი. როცა მაია საავადმყოფოში მიიყვანეს, იქ ვიყავი. საავადმყოფო თითქმის ცარიელი იყო. მარტო იმიტომ მიიღეს, რომ მკვდარი იყო. არ ვიცოდი, სად იყო ლადო, არ ვიცოდი, სად იყო ნანა. მე თვითონ სად ვიყავი, ისიც კი არ ვიცოდი. მაგრამ ვიცოდი, რომ უნდა მომეძებნა. ვერ ვიპოვე. იმ დილას შეტევა დაიწყო მთავრობის სახლზე. „შტურმი“, როგორც მერე დაარქვეს. ლადო ვეღარ შემოვიდა ქალაქში, იმიტომ რომ მისი ბიჭები გზაში დაიყუპნენ, თითქმის ყველანი, სწორედ ამან შეუნარჩუნა სიცოცხლე. სოხუმში რომ შემოსულიყო, ნამდვილად ვერ გადარჩებოდა.
მომდევნო ღამეს ვიღაც კაცმა გამიყოლა, რუსმა, ვისი მანქანაც უბრალოდ ქუჩაში გავაჩერე. მითხრა, გალში მივდივარ, ჩაჯექიო. ერთმანეთისთვის მთელი გზა არაფერი გვითქვამს. არც კი ვიცი, როგორ გამოიყურებოდა. გალში ქართველების ერთ-ერთ ბოლო თავდაცვის პუნქტამდე მიმიყვანა და იქ ჩამომსვა. არც მადლობა მითქვამს მისთვის და არც ნახვამდის. მან გზა გააგრძელა. სამი დღის მერე ლტოლვილებით გატენილ საბარგო მანქანაში ჩამსვეს. ხმა არ ამომიღია. უბრალოდ თან წამიყვანეს, ისე რომ არაფერი უკითხავთ.
მთელი ამ წლების განმავლობაში არასოდეს მომიყოლია ლადოსთვის, რაც გავიგე. მთელი ამ წლების განმავლობაში ჩუმად ვიყავით ორივე. მერე ის ამერიკაში აღმოჩნდა, მე გერმანიაში. თავიდან ვცდილობდი, არ გავკარებოდი. არ მიმიცია მისთვის არც ტელეფონის ნომერი და არც მისამართი. ვცდილობდი, ჩემი ცხოვრებით მეცხოვრა. მაგრამ რა არის ჩემი ცხოვრება მის გარეშე? სიყვარულს კი არ ვგულისხმობ, ან იმას, რანიც ოდესღაც ვიყავით, არამედ იმ დღეებსა და ღამეებს... იმ უკანასკნელ ღამეებს, როცა მისი ცოლის და შვილის გვერდით ვიყავი. ამას ვერ წავართმევ. ხომ გესმის?
ხელი ხელზე დავადე და ტუჩები მოვკუმე.
– მე ვარ ის უკანასკნელი მოგონება, რომელიც შემორჩა. რამდენიმე ხნის მერე ისიც ბერლინში ჩამოვიდა. შევხვდი და მივხვდი, რომ ვეღარასდროს მივატოვებდი. ისეთი მოტეხილი იყო, ისეთი სევდიანი. საჭმელს ვუმზადებდი, ვურეცხავდი, თავზე ხელს ვუსვამდი, როცა გონების დაკარგვამდე თვრებოდა. ფულს ვაძლევდი. მინდოდა, ისევ ისე მყვარებოდა, როგორც ადრე, მაგრამ არ შემეძლო. მისთვის მხოლოდ ის ვიყავი, ვისაც თავისი ცოლის უკანასკნელი თვეები შეავედრა, და ამან დამასნეულა. ისე დამასნეულა, რომ ჩემი ოჯახი, ჩემი შვილი მივატოვე და მასთან ერთად წამოვედი აქ. დავბრუნდი. მერე კი,ერთ დღეს ვეღარ ავიტანე ასე მკვდრად ყოფნა, იმ ადამიანთან ყოფნას, ვისაც სიცოცხლის უფლებაც კი არა აქვს, და ალექსეიზე მოვუყევი. ის ვუამბე, რაც თვითონაც დიდი ხანია იცოდა.
– მოდი, წყალში ჩავიდეთ.
– რა?
– ჩავიდეთ წყალში.
– ცივა.
– არა, არ ცივა. მიდი, გაიხადე.
ავდექი და გახდა დავიწყე. გავშიშვლდი. სიტყვის უთქმელად ვთხოვდი, ჩემთან ერთად შემოეცურა. ჯერ მიყურებდა, მაკვირდებოდა, ცოტა დაბნეული, გაუბედავი. მერე ისიც წამოხტა და გახდა დაიწყო. ძლიერი სხეული ჰქონდა. სხეული, რომელმაც ყველაფერს გაუძლო და არ ჩაიძირა.

– შენ კარგად ცურავ. ტალღებშიც შეგიძლია ცურვა, – თქვა სალომემ, თითქოს ჩემ აზრებს კითხულობდა და წყალში შევარდა. მე გავყევი. წყალს გასული დღის სითბო შემოენახა, დილის სიგრილეს ჯერ არ გაეცივებინა. წყალმა მიგვიღო და აგვიტანა. წყალმა შეგვინდო და შეგვიწყალა. სანამ საკუთარ თავს ვაპატიებდით, წყალმა გვაპატია.

21

ვჭამდით თევზს და ვსვამდით თეთრ ღვინოს. ვთამაშობდით ხელბურთს ზღვის ნაპირზე, რომელიც თითქმის ცარიელი იყო, თუ არ ჩავთვლით ერთ-ორ ზურგჩანთიან ტურისტს და იქაურ ბავშვებს. ივო არ მეკარებოდა, თითქოს იმ საღამომ ზღვაზე რაღაც გაუგებრობა გააჩინა ჩვენ შორის, რაღაც შეცვალა. არაფერი მიკითხავს მისთვის. დრო მჭირდებოდა, რომ მთელი ეს ამბები თავში დამელაგებინა, მარტო ყოფნა მერჩივნა. ვტკბებოდი მარტოობით. საქართველოს უახლეს ისტორიაზე ვკითხულობდი წიგნებს და სტატიებს, რომლებიც ივომ მომცა. ოღონდ სულ ლადოს ვეძებდი იქ, მის მკვდარ, ფერმკრთალ, შექსპირის მოყვარულ, ზმანებად ქცეულ ცოლს და მის ლამაზ ქალიშვილს. ვეძებდი სალომეს, რომლის სახელიც ენაზე მადნებოდა ნაყინივით. ბუბას და თეოს ვეძებდი იქ. ივოს, საკუთარ თავს, ჩემ ქმარს, სალომეს ქმარს, მის შვილს. ასე მეგონა, ყოველი პერსონაჟის მიღმა კიდევ უთვალავი ადამიანი იმალებოდა. სანთლებივით ჩამწკრივებულები. როგორც ჩინური ტერაკოტის არმია.

ღამით, როცა ბუბა იძინებდა, გარეთ ვისხედით ხოლმე. ვეწეოდით სიგარეტს ან მარიჰუანას, ან ვსვამდით, თან ვარსკვლავებს ვუყურებდით; ზოგჯერ სალომე მღეროდა, ლადოს გიტარის თანხლებით. მაშინ ივოს ხელს ვიღებდი და ტუჩებზე ვიტარებდი. არ მეწინააღმდეგებოდა, მაგრამ არც მპასუხობდა იგივე სითბოთი. მერე ჩვენს მორყეულ საწოლებში ვწვებოდით და მე დიდხანს ვერ ვიძინებდი, ივოს სუნთქვას ვუსმენდი. არ შემხებია. ყურადღებას არ მაქცევდა. მხოლოდ ყველაზე აუცილებელს მიზიარებდა ძალიან შორს იყო, ჩემგან, ამ ადგილიდან. რაღაცას ეძებდა, რასაც მე ვერ ვხვდებოდი. თავიდან არ ამომდიოდა ის ფოტო. სურათი, რომელზეც პორტის მახლობლად მდებარე სახლი იყო გამოსახული.

ერთადერთხელ შევუძვერი ვიწრო ლოგინში და მივეკარი. ადგილი არ გვყოფნიდა, ლოგინები არ მიგვიდგამს ერთმანეთთან. ამიტომ ლამის ზედ დავაწექი. არ განძრეულა, ვიცოდი, რომ ეღვიძა. მძიმედ სუნთქავდა. ფეხები დავუზილე, წვივებზე მივეფერე, მკერდით მკერდზე მივეკარი, მუცელზე შევეხე. მაინც არ გაინძრა. როგორ მძულდა, როცა ასეთი ცივი ხდებოდა, ასეთი... მიუწვდომელი, გაქვავებული. ყოველთვის ასეთი იყო, როცა მშორდებოდა.

– მებუტები? – ვუჩურჩულე და ტუჩები ცხელ, მშრალ ცხვირზე მივადე.

– არ გებუტები.

– აბა?

– შენ აღარ მენდობი. ისეთ რამეებში იქექები, რაც სულ არ გეხება.

წამოვჯექი და მისი სხეულიდან ჩამოვსრიალდი. როგორ მიხვდა, რომ მის კომპიუტერში შევედი, რომ ს“ ვიპოვე?

– ამ შენი მოგზაურობის მიზანი მაინც მითხარი.

– ნამდვილი მოგზაურობის არსი სწორედ ის არის, რომ არასდროს იცი, სად ამოყოფ თავს. ამიტომაც ვართ აქ.

– ივო, რა გჭირს?

წამოჯდა და თვალებში შემომხედა. მთვარის შუქზე პატარა ოთახი გამოქვაბულს დაემსგავსა, იდუმალს და მაცდუნებელს. მის თვალებს ვხედავდი, დაღლილს, ღრმას, საკუთარ ფერში ჩაძირულს. მის ლოყას შევეხე, სახე ხელზე დამადო, უეცრად დამყვა, აღარ გამიძალიანდა, და თვალები დახუჭა. ისევ დაბრუნდა, ისევ ჩამეჭიდა. გავიფიქრე, რომ ცხოვრება სწორედ ასეთი წამებისგან შედგება, ეს არის, რისკენაც მივისწრაფვით, დანარჩენი დრო კი ლოდინს მიაქვს. სიახლოვის წამები. დავიწყების ან გახსენების. იქნებ ეს ორივე ერთია?

– ადრე არ ვეჯიბრებოდით ერთმანეთს, – მითხრა უცებ და მხარზე მაკოცა. ესე იგი მაინც ვაწყენინე, როცა საკუთარ გზას გავუყევი. ალბათ. ადრე არასოდეს გამიბედია მისი უკან ჩამოტოვება. იქნებ არც არასდროს ყოფილა ძლიერი. იქნებ

მხოლოდ მაშინ იყო ძლიერი, როცა მე ვიყავი სუსტი.
– ეს ხომ უბრალოდ გართობა იყო.
– არა, არ იყო. თვითონაც მშვენივრად იცი.
ბათუმში გავემგზავრეთ, ყველაზე დიდ საპორტო ქალაქში. საცეკვაოდ წავედით. ვისხედით ბუნგალოში ზღვის ნაპირას, ვსვამდით კოქტეილებს და ვილხენდით. ხუთმილიონიანი ქვეყანა ერთ დიდ სოფელს ჰგავდა, სადაც ყველანი მეზობლები და საბავშვო ბაღის ან სკოლის მეგობრები იყვნენ. ლადოს ხშირად ხვდებოდნენ ნაცნობები, რომლებიც აუცილებლად სუფრაზე გვეპატიჟებოდნენ, როგორც მეგობრებს. ბოლო დროს მივეჩვიე კიდეც, რომ გამუდმებით მიმასპინძლდებოდნენ ისეთი ადამიანები, ვისაც ჩემზე ბევრად ნაკლები გააჩნდა, და აღარც ვეწინააღმდეგებოდი. დავყევი, დავემორჩილე. ლიტრობით ღვინო და ასობით კერძი და საჩუქრები. განძრევა აღარ შემეძლო ამდენი ჭამა-სმისგან, მაგრამ უარის თქმა არაფრით არ შეიძლებოდა. თანაც ხალისიანი და კეთილგანწყობილი უნდა ვყოფილიყავი, რაც შემოთავაზებულის რაოდენობის გათვალისწინებით, არც ისე ადვილი იყო.
მე ვიცოდი, რომ ლადო მუსიკალური შეკვეთებით ირჩენდა თავს. ზოგჯერ უცხოეთიდანაც იღებდა შეკვეთებს, რაც ერთი-ორი თვით ამოსუნთქვის საშუალებას აძლევდა. ვიცოდი, რომ სალომე სადაზღვევო კომპანიაში მუშაობდა. მაგრამ რასაც იღებდა, ყველაფერს ლადოს და ბუბას უნაწილებდა. ვიცოდი, რომ ის ადამიანები გადარჩენისთვის იბრძოდნენ, დღევანდელი დღით ცხოვრობდნენ. დაგეგმვა და სტაბილურობა უცხო სიტყვები იყო მათთვის. მაგრამ ამდენი ღარიბი მდიდარი, როგორც ამ ქვეყანაში, არასოდესმინახავს.
– თულიას ალბათ ძალიან მოეწონებოდა აქაურობა, არა? – ვკითხე ივოს, როცა ცეკვის შემდეგ მაგიდასთანდავბრუნდით. მან შუბლიდან ოფლი მოიწმინდა და გაიცინა, თავისუფლად, ლაღად. მისი უშფოთველობა მეც გადმომედო. ბევრი ვიცინეთ, არც კი ვიცი, რაზე. შეზლონგზე გაწოლილ სალომეს გავხედე, ისიც იცინოდა. ვუყურებდი მის აცეკვებულ ნაოჭებს ტუჩებთან და ცხვირზე, აელვებულ მუქ თვალებს, და მიხაროდა.
ვარსკვლავები ციცინათელებივით ციმციმებდნენ ცაზე. ისე დანათოდნენ ჩვენ წინ უკიდეგანოდ გადაშლილ ზღვას, თითქოს იმათაც გადაედოთ ის სიხარული. მთელმა სამყარომ ბედნიერებაში ჩაყვინთა ცოტა ხნით. იმიტომ რომ მე თითონ ვიყავი ბედნიერი, მთელი სხეულით ვგრძნობდი ამ ბედნიერებას. თავდავიწყებით ბედნიერი ვიყავი იქ, თითქოს სრულიად უცხო და მაინც ძალიან ახლობელ ადამიანებთან. ივოს სქელი თმა ავუწეწე და ლადოს მივაცქერდი, რომელიც ვიღაც ნაცნობთან ერთად ხანჯლურს ცეკვავდა. სალომემ ხელები სიხარულისგან და სიცხისგან აფაკლებულ ლოყებზე მიიდო.
– როგორ გგონია, თევზებს ესმით იქ მუსიკა? – ვკითხე სალომეს. სალომემ თავი ვერ შეიკავა და ისევ ახითხითდა სკოლამდელი ასაკის ბავშვივით.
– ასეთი კითხვა მარტო სტელას შეიძლება გაუჩნდეს, – თქვა ივომ და ისიც აყვა ხითხითში.
– აბა რა, ღამის მყუდროებას ვურღვევთ და!
– ასეთი რამ მხოლოდ გერმანელს შეიძლება მოუვიდეს აზრად, – დაასკვნა სალომემ და თვალი ჩამიკრა.
ბუნგალო დაიკეტა და ჩვენ გზას გავუდექით. მზე ამოდიოდა. ივომ ხელი გადამხვია, სანაპიროს გავუყევით. ქვები ცივი იყო, სანდლები ხელში მეჭირა. შორს გემები მოჩანდა, აქა-იქ ეული შუქები ელავდა წყალზე. თოლიები ჩხაოდნენ. ბულვარის გაყოლებაზე კოხტად ჩამწკრივებულ პატარა თეთრ სახლებს ჯერ კიდევ ეძინათ. უდარდელი დილა თენდებოდა.
შუადღეზე წამოვედით ქალაქიდან, მთაგორიანი გზა და გრძელი ტუნელი უნდა გაგვევლო ჩვენს მიყრუებულ სოფლამდე. ბუბამ თავი მხარზე დამადო. თავით მის თავს ვეხებოდი, მის სქელ შავ თმას. მის მშვიდ რითმულ სუნთქვას ვუსმენდი. მისი კანის მარილიანი სუნი მცემდა. საფეთქელით მის საფეთქელს ვგრძნობდი და თეო მახსენდებოდა, როგორ ვიწვენდი ხოლმე ლოგინში, როცა ჯერ კიდევ ჩვილი იყო, მარკის უკმაყოფილების მიუხედავად.
როგორ დაცოცავდა მერე ჩემ სხეულზე და მიცინოდა. როგორ იძინებდა ჩემს მკერდზე და როგორ ვიწექი გაშეშებული, ამ არაჩვეულებრივი არსებით

გაოგნებული, რომელიც ჩემი სხეულიდან იშვა და ყვირილით ამცნო მსოფლიოს თავისი მოსვლა. როგორ მეშინოდა განძრევის, რომ არ გამეღვიძებინა. როგორ ვუფრთხილდებოდი მის სათუთ ბედნიერებას. ალბათ სწორედ ასეთი წუთების გამო არ ირღვევა ძაფები. ეს არის, რაზეც ღირს ლაპარაკი. და არა ის, თუ ვინ გაიმარჯვა და ვინ დამარცხდა. არა კულტურული გადატრიალებები, არა რევოლუციები, მეომრები და გმირები, მეფეები და დედოფლები, მბრძანებლები და ტირანები. იქნებ ჯობია სკოლაში პირველი გაცინების, პირველი ტირილის, პირველი კოცნის ისტორია ასწავლონ. ისეთი მომენტები გაიხსენონ, როგორიც ბუბას ჩაძინება იყო ჩემს მხარზე, როცა მე ბედნიერება და სიმყუდროვე ვიგრძენი, და უამბონ ერთმანეთს.

ნაშუადღევს ივოს ჩაეძინა. მე მივუწექი და ვაკვირდებოდი. მის სახეს, მის სხეულს, მის სუნთქვას ჩემსას ვადარებდი. ვათვალიერებდი მის ფრჩხილებს, ისე მოკლედ შეჭრილს, რომ შეხედვაც კი მტკივნეული იყო. მის ტუჩებს, მის გაუპარსავ ნიკაპს, მის ყურებს, ნესტოებს, ნაოჭებს მის შუბლზე, მის ჭიპს. სამუდამოდ მინდოდა ჩამებეჭდა, სამუდამოდ დამემახსოვრებინა ყველაფერი, რაც მას ისეთად ქმნიდა, როგორიც იყო. მინდოდა მეთქვა მისთვის, რომ მის ღვიძლს ჩემ სხეულში ვგრძნობდი, მის მარჯვენა ფილტვს, მისი გულის მარცხენა პარკუჭს, რომ ერთნი ვართ და არასდროს მინანია, ყველაფერს მასთან რომ ვინაწილებდი. თუმცა ზოგჯერ მიჭირდა და საკუთარი სუნთქვა, საკუთარი გულისცემა მენატრებოდა. მაგრამ ეს არაფერს ცვლიდა. სრულიად არაფერს.

მერე ჩამეძინა და ჩვილი ბავშვი დამესიზმრა, და ბუბას თმები. ფრანკი, რომელმაც ვაშლი მომიწყვიტა ჩვენს ბაღში, მარკის ხელები, ფეხებს რომ მითბობდა. დამესიზმრა, რომ ივოს თითები ნიანგებად გადაიქცა, და ქალი, რომელიც მარტო იდგა ზღვასთან და ლექსებს კითხულობდა. ქარი თმას უწეწავდა, საქორწილო კაბა ეცვა, შლეიფი ზღვას დაესველებინა და ნაცრისფერი ჩანდა. იმ ქალს წყლიანი თვალები ჰქონდა და ისეთი ფერმკრთალი იყო, რომ შუბლზე სისხლძარღვები მოუჩანდა. განუწყვეტლივ, ლოცვასავით იმეორებდა რაღაც სტროფებს ჩემთვის გაუგებარ ენაზე. კოჭებზე წყალმცენარეები შემოხვეოდა. ვიღაცას ელოდა, იმედგაცრუებული ჩანდა. მესიზმრა, რომ ნელ-ნელა, ნაბიჯ-ნაბიჯ შედიოდა ზღვაში, სულ წინ იყურებოდა და თან ისევ იმ სტროფებს კითხულობდა. დავინახე, როგორ ჩაყლაპა ზღვამ და როგორ ტივტივებდა მისი შლეიფი წყლის ზედაპირზე. როცა მთლიანად გაქრა, წყლიდან პატარა გოგომ ამოყვინთა. დიდი თვალები ჰქონდა. დედას ეძახდა...

− ყველაფერი კარგადაა. დამშვიდდი, უბრალოდ სიზმარი იყო. − მითხრა ივომ და ნამიანი ხელი შუბლზე დამადო. − გაუთავებლად კვნესოდი! ოფლში ხარ გაწურული. წამო, საჭმელი გავაკეთოთ. ვკვდები ისე მშია.

ივნისის შვიდი ცხელი დღე გავატარეთ ზღვის პირას, მერეკი ისევ თბილისში დავბრუნდით.

ბუბასთან ერთად სასაფლაოზე ავედი, ძველ ქალაქში ვისეირნე. მარკს მეილებს ვწერდი, მაინტერესებდა, თეო როგორ იყო. მშრალად მპასუხობდა. ორი სამი-მოკლე წინადადებით. საქმიანად. ზოგჯერ საღამოობით მასთან დალაპარაკების საშუალებას მაძლევდა. თუმცა მიზეზი არ ელეოდა, ოღონდ ტელეფონთან არ მოეშვა თეო.

ივო ყოველ დილას სადღაც მიდიოდა. ბოდიშს იხდიდა, ლადოს ინტერვიუზე ვმუშაობ და ჩანაწერები მაქვს გასაკეთებელიო. აღარაფერს ვეკითხებოდი. აღარ მაინტერესებდა, რატომ დაიჟინა ასე ჩემი იქ ჩაყვანა. პირიქით, მარტოობა ამ ქალაქში ნამდვილი საჩუქარი იყო ჩემთვის.

ბევრს ვკითხულობდი და დიდხანს ვიწექი ხოლმე ჟანგიან აბაზანაში. ქუჩები შევისწავლე, მათხოვრები გავიცანი, მაწანწალა კატები და ძაღლები. საღამოებს ძირითადად ყანჩელებთან ვატარებდი. მე და სალომეს სიტყვა აღარ დაგვიძრავს იმ ღამის შესახებ ზღვის ნაპირზე. თითქოს აღარაფერი დარჩა სათქმელი, ის თემა ამოიწურა, თითქოს საკმარისი თქვა, ჩემს ნაცვლადაც ილაპარაკა. კითხვებს აღარ ვსვამდი, არც იმაზე, თუ საით მივდიოდი, და არც იმაზე, თუ როდის დამთავრდებოდა ჩემი მოგზაურობა. აღარ დავეძებდი. როცა ვერანდაზე გავდიოდი საღამოობით, ისევ უკვალოდ გამქრალი ივოს მოლოდინში, მხოლოდ მაშინ მეძალებოდა მელანქოლია. იმიტომ, რომ სადღაც შიგნით ჩაბუდებული

შიში თავს არ მანებებდა. იმიტომ, რომ შვილის მონატრება არ მასვენებდა. იმაზეც ვფიქრობდი, რომ ივლისში ლადო სოხუმში უნდა წასულიყო ივოსთან ერთად. დღესაც მიკვირს, როგორ ვერ დავინახე ის, რაც ასეთი თვალნათლივი იყო.

ერთ ძალიან ცხელ ოთხშაბათ დღეს სალომემ დამირეკა და მთხოვა, მერიოტში მოდიო. ბარში კონდიციონერი, პიანინოს ჩუმი ხმა, ლატე მაკიატო და ვენური შნიცელი. ამერიკელები, ჰოლანდიელები, ფრანგები. რამდენიმე გერმანელიც. თავიანთ ლეპტოპებით და Financial Times-ით. ასეთი ადგილები თითქოს მოწყვეტილია ქვეყნის ცხოვრებას და მსოფლიოში ყველგან ერთნაირია. სალომე ფეხი ფეხზე გადადებული იჯდა ლურჯ პრიალა ბლუზაში გამოწყობილი და ანანასის წვენს წრუპავდა. ტუჩზე პომადა ესვა მკრთალად და მუქი თვალები ულაპლაპებდა შუადღის მზეზე. სამსახურიდან მოვიდა-მეთქი, დავასკვენი შეხედვისთანავე. სქელი სწორი თმა გაშლილი ჰქონდა, მუნჯი კინოს მსახიობს ჰგავდა. გადამეხვია და ორი ჭიქა შამპანური შეუკვეთა.
– რას ვზეიმობთ? – ვიკითხე გაკვირვებულმა.
– საკუთარ თავს, – მიპასუხა მოკლედ და პალლ მალლ ს მოუკიდა, რომელიც ასევე მიმტანს შეუკვეთა. – თანაც დამაწინაურეს და გავმდიდრდი. – გაიცინა და ქათქათა კბილები გამოაჩინა. მისი მუქი კანი კიდევ უფრო გამოიკვეთა. – ყოველ შემთხვევაში, შამპანურს გავწვდები, – დაამატა და თვალები ააფახულა.
ისევ მომინდა შევხებოდი. თმაზე, გრძელ ცხვირზე, ლოყებზე. თვალები დავხარე, მეუხერხულა, ასე რომ ვაშტერდებოდი. ცივ შამპანურს ვსვამდი და აღარაფერზე ვფიქრობდი. ის კი თავის სამსახურზე მიყვებოდა, თავის უფროსზე, ფირმის მფლობელზე, რომელიც ამერიკელი იყო და მძიმე ხასიათი ჰქონდა. ივო მოიკითხა, გამომკითხა, როგორ გავატარე დღე, როგორ ხასიათზე ვიყავი. ისეთი აჟიტირებული იყო, კიდეც ვიფიქრე, მართლა დააწინაურეს თუ რაღაც სხვა მიზეზია-მეთქი. მისი შეკითხვები სულ უფრო დაჟინებული გახდა, უფრო პირადული. ვცდილობდი, თავი დამეძვრინა.
– რა გჭირს? – აღმომხდა ბოლოს ისე ხმამაღლა, რომ გვერდით მაგიდასთან მჯდომი ჰოლანდიელი წყვილი ჩვენკენ შემობრუნდა.
გამომცდელად შემომხედა. თითქოს უნდოდა დარწმუნებულიყო, რომ გავუძლებდი. და უეცრად, სრულიად მოულოდნელად, პირი მოექუფრა, ხელები სახეზე აიფარა და ღრმად და მძიმედ ამოიოხრა. ჯერ მეგონა, ხომ არ ტირის-მეთქი. როცა ისევ შემომხედა, მისი მხიარულება, მისი ღიმილი, მისი ეიფორია სადღაც გამქრალიყო. ამის ნაცვლად იმედგაცრუება და შიში აღებეჭდა სახეზე.
– აღარ შემიძლია, – ჩაილაპარაკა მან. – როცა ასე მიყურებ, ყოველთვის... ის ღამე მახსენდება, ზღვაზე. დღეს კი უბრალოდ გახალისება მინდოდა, ისეთი მძიმე სამუშაო მაქვს, წესიერად არც მიხდიან. ვიფიქრე ცოტა გავერთობი-მეთქი შენთან ერთად, ისე, ყოველგვარი მიზეზის გარეშე. მაგრამ როცა ასე მიყურებ, ვგრძნობ, რომ გასართობად არა მაქვს საქმე, ისეთი გამწარებული ცხოვრება მაქვს. და შამპანურს კი არ უნდა ვსვამდე აქ, ცრემლებს უნდა ვღვრიდე ამ უბედურებაზე.
– კი მაგრამ, რა მოხდა? – მისკენ გადავიხარე და თვალებში ჩავხედე, რომლებშიც უკვე მართლა ცრემლები ედგა.
– ეს ყველაფერი უბრალოდ სევდიანი ტყუილია. ძალიან ვცდილობ, თავს ვიკლავ, მაგრამ მაინც არაფერი გამომდის.
– მითხარი, გეხვეწები.
– არ ვიცი. ყველაფერი ერთად, – სიტყვებს ეძებდა, ნელა ლაპარაკობდა, დაფიქრებული, – ისეთი გრძნობა მაქვს, რომ აღარაფერი მესმის. სრულიად გამოშიგნული ვარ, და არც ვიცი, რა უნდა ვქნა. შვილი მენატრება, აღარ მელაპარაკება, საშინელი დედა ვარ. ბუბას კი, რომელსაც შვილივით ვზრდიდი, არ ვუნდივარ. თითქოს ამით მსჯის თავისი დის სიკვდილის გამო. თავისი დედის და მამის გამო. იმის გამო, რომ თავს უფლებას ვაძლევ, მამამისი მიყვარდეს. ყანჩელების ცხოვრებიდან ადრევე რომ გავმქრალიყავი, მათთან დარჩენის ნაცვლად, მათი შვილის მოვლისნაცვლად საკუთარი ცხოვრებისთვის რომ მიმეხედა, უბრალოდ რომ ავმდგარიყავი და წავსულიყავი, შეიძლება ახლაც ერთად ყოფილიყვნენ, ერთი ოჯახი ყოფილიყვნენ, ნანაც ცოცხალი ყოფილიყო და მაიაც. თავიდან არ ამომდის. ლადოს ყოველთვის ემახსოვრება ნანა.

ყოველთვის მხოლოდ იმისთვის დავჭირდები, რომ ეს ავადმყოფური კავშირი არ გაწყვიტოს თავის ცოლთან.
შუა ბერლინში ჩხუბის დროს ამომასხა და დავფქვი ყველაფერი. ალექსეიზე, ნანაზე, იმ წლებზე სოხუმში. საყვედურები დავაყარე, არადა... მერე არც ერთხელ აღარ გვილაპარაკია ამაზე, სანამ... სანამ ივო არ ჩამოვიდა.
მისი Pall Mall ავიღე და მოვუკიდე. ჩემს ფრჩხილებს დავხედე, ცოტა უფრო გრძელს, ვიდრე საერთოდ მაქვს ხოლმე, ნაკლებად დაკვნეტილს, ოდნავ წაწვეტებულს. ვგრძნობდი, რასაც ახლა იტყოდა, ვეღარასდროს დავივიწყებდი. თავს ვიცავდი, თითქოს თითებში ვეძებდი ხსნას.
– აქ კარგად მოვეწყეთ. ლადომ ეს პატარა სახლი იქირავა. მუშაობდა. ისეთი შეპყრობილი აღარ ჩანდა თავისი მკვდარი ცოლით. მომეჩვენა, რომ მზად იყო ცოტა სიყვარული ჩემთვისაც გაენაწილებინა. ამითიც კმაყოფილი ვიყავი, მეტის იმედი არც მქონდა, მოთმინება კი ყოველთვის მყოფნიდა. ვფიქრობდი, ასე თუ გაგრძელდა, ერთ მშვენიერ დღეს ოჯახს შევქმნით-მეთქი, ნამდვილ ოჯახს. ისეთს, როგორსაც მეც ვიმსახურებდი და ლადოც. განა ასე ბევრს ვითხოვდი? მერე ივომ დაიწყო რეკვა. ვიცოდი, რომ დიდი ხნის წინ გაიცნეს ერთმანეთი და ლადო მას ძალიან აფასებდა, მეგობრობდნენ. მაშინ აირია ყველაფერი. რაღაც შეიცვალა, ნამდვილად შეიცვალა. მე კი ვერ ვხვდებოდი, არ მესმოდა. მერე ივო ჩამოვიდა.
– როდის? როდის მოვიდა პირველად ლადოსთან?
– ამ ზამთარს. თებერვალში. ხუთ კვირაზე მეტი დაჰყო აქ. მასთან ლადო პატარა ბიჭს დაემსგავსა. მერე ივომ მეც დამიწყო გამოკითხვა. მარტო მხვდებოდა, თურმე ძალიან ბევრი იცოდა. ჩვენ შესახებ იცოდა ბევრი. ისეთი რამეებიც, რასაც ლადო ვერ მოუყვებოდა. ხშირად მელაპარაკებოდა ნანაზე, კითხვებს მისვამდა. თავიდან მეგონა, რაღაც რეპორტაჟისთვის სჭირდება-მეთქი, მაგრამ მერე დავეჭვდი. ცუდად არ გამიგო, ივო ძალიან მომწონს. მშვენივრად ვიცი, რამდენს ნიშნავს ლადოსთვის, რამდენს აკეთებს ლადოსთვის, მაგრამ რაღაც საეჭვო მეჩვენა ეს გამოკითხვა. არადა მოხერხებულად გამოსდიოდა, პირდაპირ კი არ სვამდა შეკითხვებს, ყოველთვის შორიდან უვლიდა. ასე რომ, თავიდან დაუფიქრებლად ვუყვებოდი ყველაფერს. მაგრამ ბოლოს ნდობა დამეკარგა. მივხვდი, რომ რაღაც სხვა ხდებოდა. რაღაც ისეთი, რასაც მე არ მიმხელდნენ...
ვუყურებდი, მის ყოველ სიტყვას ვიჭერდი და თავს ძალას ვატანდი, რომ ტვინი გამენძრია. მაგრამ ამაოდ. საერთო სურათის დანახვას მაინც ვერ ვახერხებდი, ვერსიაც კი არ გამჩენია. თითქოს არაფერი ვიცოდი, საერთოდ არაფერი. აზრი არ მიჭაჭანებდა თავში.
– ივო მონადირე ძაღლივით დაძრწოდა, ატაცებული, საათობით ლაპარაკობდა ტელეფონით, ვიღაცებს რაღაცებს ეკითხებოდა. ისიც არ ვიცოდი, რას უზიარებდა ლადოს, რამდენად უთანხმდებოდა, და როდის დაიწყო დამოუკიდებლად მოქმედება. ვცადე ლადოსგან მაინც გამეგო რამე, მაგრამ ვერ გამოვტეხე. ისე ეჭირა თავი, თითქოს არაფერი ხდებოდა, ან თუ ხდებოდა, ჩემი საქმე არ იყო. ბოლოს და ბოლოს, დავასკვენი, რომ ივო აქ რაღაც პირადს ეძებს. ამას ვერაფრით დავასაბუთებ, მაგრამ მას მერე ეს ეჭვი არ მასვენებს.
– ივომ ზუსტად იცის, რასაც ეძებს აქ, – ვთქვი მე, – სანამ გზას გაუდგებოდა, სანამ ჰამბურგში ჩამომაკითხავდა, უკვე იცოდა, სადაც მიდიოდა. ეს ყველაფერი მასთან არის დაკავშირებული, და ჩემთან. ბოლომდე მეც არ მესმის. საერთოდ სხვის ცხოვრებაში ასე ჩაღრმავება არ ჩვევია. წარმოდგენა არა მაქვს, ვის დახმარებას ცდილობს, ან საერთოდ ამას თუ ცდილობს. ასე მგონია, ძალიან ახლოს ვარ და სადაცაა დავინახავ მთლიან სურათს, მაგრამ ჯერ რაღაც მნიშვნელოვანი დეტალი მაკლია. იმედია მალე შევძლებ აგიხსნა ყველაფერი. მაგრამ ჯერ თვითონ უნდა გავერკვე, რატომ იყო მისთვის ასეთი აუცილებელი ჩემი აქ ყოფნა, რა უნდა დავინახო, რას უნდა მივხვდე.
– ზოგჯერ შეგეშინდება ისე ჰგავს ერთმანეთს სხვადასხვა სამყაროები, მიუხედავად თავიანთი განსხვავებულობისა, არა? – თქვა სალომემ.
ვერ მივხვდი, რას გულისხმობდა. ლოგიკური აზროვნების უნარი დავკარგე. კიდევ შევუკვეთეთ შამპანური.
– შენ გგონია, რომ შენ გეხება, რაც აქ ხდება? რამით მაინც მიგანიშნა? – გააგრძელა სალომემ.

– რა უნდა მიენიშნებინა?
ისევ ის ფოტო გამახსენდა. სალომემ ერთი წუთი მიყურა და მერე დაბეჯითებით მითხრა:
– დაფიქრდი, სტელა, დაფიქრდი. რას შეიძლება ეძებდეს ჩვენს ცხოვრებაში? რას შეიძლება ეს აგონებდეს? ალექსეისთან აპირებენ გამგზავრებას. ივო რომ არა, ლადოს ძალა არ ეყოფოდა მასთან შესახვედრად. იმედია დამშვიდდება და აღარ დაიბოღმება, – თავის თავზე, თავის ცოლზე, ამ სნეულ სამყაროზე. ალექსეის უნდა დავუკავშირდეთ. აფხაზეთის მთავრობაში მუშაობს. დიპლომატია თუ რაღაც მსგავსი. რამდენადაც ვიცი, ქართველი ცოლი ჰყავს.
– აუცილებლად წავლენ...
– თუ მანამდე თავიდან არ დაიწყება ომი, – თქვა სალომემ ირონიულად. – ვეცდები, ალექსეის დავურეკო და საქმის ვითარება ავუხსნა. გავაფრთხილო. უკეთეს შემთხვევაში დაილაპარაკებენ და ლადო ამით დაასრულებს. უარეს შემთხვევაში იჩხუბებენ. მაშინ ივოს და ლადოს სერიოზული პრობლემები შეექმნებათ. პირველ ყოვლისა, ლადოს, მისი წარსულის გათვალისწინებით.
სანამ მე შამპანურის ჭიქას ვცლიდი, გარეთ თბილი საღამო დგებოდა.
რუსთაველის ფართო გამზირს გავუყევით. დიდხანს ვიარეთ და ბოლოს მივადექით ივოს სახლს. სალომემ საჭმელი მოამზადა. ივო არ იყო. ანიტა ბეიკერს მოვუსმინეთ, სხვა ვერაფერი ვიპოვე.
– საოცარი ქალი ხარ, – ვუთხარი, როცა ვიწრო ვერანდაზე დავსხედით. ქალაქი უკვე ბრდღვიალებდა და ციმციმებდა.
სალომემ გამიღიმა და გვერდზე გადაწია თავი. მერე კი უბრალოდ თავი დამიქნია, თითქოს წინასწარ იცოდა ყველაფერი, რაც უნდა მეთქვა.
მერე ვთხოვე, რამე მიმღერე-მეთქი და უსიტყვოდ დამთანხმდა. მისი ხმით მოჯადოებულს სულ ერთი და იგივე ჩამესმოდა: როგორი ნაგავიც არ უნდა იყოს ეს ცხოვრება, მაინც ყველაფერი კარგად იქნება.
ძილში რაღაც შრიალი შემომესმა. ივო ტანზე იხდიდა. აზრზე არ ვიყავი, რა დრო იყო ან როდის ჩამეძინა. ჩაცმული ვიწექი. შარვალი გამხადა, მერე ტილოს პერანგი, და გვერდზე გადადო. თვალი გავახილე და დავინახე, რომ უკვე გათენებულიყო.
– ისე უდრტვინველად გეძინა, – მითხრა მან. ფხიზელი არ იყო, მაგრამ ნასვამსაც არ გავდა, ალკოჰოლის სუნი არ უდიოდა. ცოტა გავიწიე და შიშველი ჩამიწვა ლოგინში.
– კაიფში ხარ? – ჩავიბუტბუტე.
– გადაბრუნდი.
– მთელი ცხოვრება მალვაში ხომ არ ვიქნებით, ავღშფოთდი მე. ყოველთვის მიკვირდა, როგორ აკონტროლებდა თავს ნარკოტიკების ზემოქმედების ქვეშ. რა იშვიათად გამოდიოდა წყობიდან. როგორ ეჭირა თავი გათიშულსაც კი.
– სულაც არ ვიმალებით, აქ არა ვართ?
მთელი სხეული დამიკოცნა. ჩემკენ გადმოხრილი ჩასრიალდა ქვევით.
– ვერ ვიტან, – ვუთხარი, როცა ფეხები გადამიწია.
– რას?
– ამ დამალობანას, ეგეთ მოქცევას.
პასუხის ნაცვლად ფეხებს შორის გაუჩინარდა.
გვერდზე გადავგორდი და ჩანასახივით მოვიკუნტე, ჯერ კიდევ აღგზნებული, აცახცახებული. დრო უნდა მეხელთა და გამომეჭირა, სანამ მგრძნობიარე და სუსტი იყო. მძიმედ სუნთქავდა და ზურგზე მეფერებოდა. მზის სხივებმა ზეცა გაარღვია და დაბზარა. დილის სუფთა ჰაერი ფანჯარაში შემოიჭრა. თეთრი ზეწარი მივიფარე.
– ის ფოტო ვიპოვე.
– რომელი ფოტო? – იკითხა მოთენთილმა. ზურგზე იწვა, შიშველი, კმაყოფილი, და თავისი გარჯის საფასურს ელოდებოდა.
– ის ფოტო. მე და შენ დედაშენის სიკვდილის წინა დღეს. თვითონ გადაგვიღო. ახლა გამახსენდა.
წარმოვთქვი თუ არა ეს სიტყვები, მაშინვე თვალწინ დამიდგა ყველაფერი. როგორ მოგვეპარა მაშინ ემა ფოტოაპარატით. წვიმიანი დღე იყო. ყველა

დეტალი გამახსენდა, ბაღის ყოველი კუნჭული, სუნი, რომელიც ჰაერში ტრიალებდა, ხმები. იმიტომ რომ იმ დღეს უკანასკნელად ველაპარაკე ივოს. მერე უკვე ბავშვთა კლინიკაში ვნახე, სასამართლოს შემდეგ. სულ მე მეძახდა თურმე და ამიტომ მიმიყვანეს.
ივოს მამა სწორედ იმ დღეს დაბრუნდა სახლში. მამაჩემმა პროდუქტები მოიტანა. საჭმელი ერთად მოვამზადეთ. ბოსტნეულის წვნიანი და შემწვარი კარტოფილი. მერე, როგორც ყოველთვის, ფრანკი და ემა ზემოთ ავიდნენ დერეფნის ბოლოს, საძინებელ ოთახში. მე და ივო ბაღში ვთამაშობდით ძაღლთან ერთად, რომელსაც პიდი ერქვა. ჩემს მოგონებებში სახელი წავართვი, მაგრამ უცებ გამახსენდა, რომ პიდი ერქვა. ნაწვიმარზე მიწა ატალახებული იყო. დავრბოდით და ვიმალებოდით, სანამ ძაღლი არ მოგვაგნებდა ხოლმე ყეფით. ისევ თვალწინ დამიდგა მისი შავი პრიალა სველი ბეწვი, რომელშიც ვებღაუჭებოდი, სველი ცხოველის სუნი ვიგრძენი ისევ, თითქოს გუშინ იყო ეს ყველაფერი.
– ის ფოტო?
წამოჯდა და მუხლები მოკეცა.
– სად ნახე?
რამდენჯერმე გაიმეორა, თითქოს ვერ იჯერებდა.
– სად?
– შენს ლეპტოპში.
– ჩემ ლეპტოპში როგორ შეხვედი?
– შენი პასვორდი გამოვიცანი.
– ჩემს ფაილებში იქექებოდი?
ხმა უხეში გაუხდა, უცებ გამოფხიზლდა. საწოლის ზურგს მივეყრდენი და ზეწარი ავიფარე. ჩემი სიშიშვლე უსუსურს მხდიდა. მისი სიშიშვლე კი ჯავშანივით იყო. მუხლები მჭიდროდ მიიკრა ტანზე, ბრძოლისთვის მოემზადა. ბრძოლა კი ნამდვილად გველოდა. დილის მკრთალ შუქში თვალები აუელვარდა, კუნთები დაეძაბა. სახეზე ეტყობოდა, როგორ იკრებდა ყურადღებას. ასე გამოიყურებოდა ხოლმე, როცა მთელი სამყაროსწინააღმდეგ აპირებდა გალაშქრებას, რისხვისგან თვალდაბნელებული. წამოხტა, სიგარეტს სტაცა ხელი, გააფთრებულმა მოუკიდა. ანთებული სიგარეტი კიდევ უფრო აგრესიულ იერს აძლევდა.
– შენ რაღაც ნაბიჭვრულ თამაშს მეთამაშები, და რა უნდა ვქნა? მშვენივრად იცი, რაც ხდება და არ მიმხელ. დაბრუნდი შვიდი წლის უნახავი, მაიძულე ყველაფერი მიმეტოვებინა, შვილიც კი, და ამის მერე კიდევ რაღაცასმიმალავ. ვინ გგონია შენი თავი? მთელი ცხოვრება დამინგრიე. მართლა ბრმა ვიყავი და შტერი, შენ რომ დაგიჯერე და აქ გამოგყევი. შე ტრაკო, ყოველთვის შენ ჭკუაზე მატარებდი, ჩემ მაგივრად იღებდი გადაწყვეტილებებს, რაც გაწყობდა, იმას მაკეთებინებდი. ღმერთი კი არა ხარ! არა ხარ-მეთქი, გეუბნები! მორჩა, აღარ დაგემორჩილები. აღარ მინდა. შვილი მყავს და არ მინდა მისი დაკარგვა. იმიტომ, რომ მიყვარს ჩემი შვილი. შეიძლება შენთვის სიყვარული უცხო სიტყვაა, მაგრამ მე მიყვარს, და არ ვაპირებ მორიგი დამცირების და იმედგაცრუების ფასად უარი ვთქვა ყველაფერზე, რაც მიყვარს.
– რა სიყვარული? ეგ რა შუაშია?
– გაჩერდი რა! შენ რა იცი, რა არის სიყვარული! რაც შენ სიყვარული გგონია, ეგ მხოლოდ ეგოცენტრული, ავადმყოფური ჟინია!
რაც უფრო ვუწევდი ხმას, მით უფრო თავშეკავებული, მშვიდი და დაფიქრებული ხდებოდა ივო. ყურადღებით მისმენდა, ყოველ სიტყვას იჭერდა. ვერ ვხვდებოდი, გადამწყვეტი დარტყმისთვის ხომ არ ემზადებოდა და იმიტომ ხომ არ ითმენდა.
– რა ჯანდაბის გარკვევას აპირებ აქ, ივო? რატომ არ მეუბნები? მე ხომ ყველაფერი მოგეცი, აღარაფერი დავიტოვე, უკვე შენ ხარჯზე ვცხოვრობ, შენს ფულს ვხარჯავ.
– ნუ იმცირებ თავს, ვერ ვიტან ასე რომ იქცევი.
– მართლა? მე კი იცი რას ვერ ვიტან, რა მძულს შენში? ასეთი თავდაჯერებული რომ ხარ და სულ არ გადარდებს, მე რა მემართება, როგორ ვგრძნობ თავს. რას ფიქრობდი, მთელი შვიდი წლით რომ გადაიკარგე?
– თუ აღარ გახსოვს, გაგახსენებ, რომ საძილე აბები გადაყლაპე, ცხენის დოზა. სიკვდილი გინდოდა. მეტ ცოდვას ვეღარ ავიკიდებდი. არ შემეძლო.

– სიკვდილი კი არ მინდოდა, მინდოდა, რომ გყვარებოდი! რატომ ხარ ასეთი სულელი? რა დანაშაული, რის დანაშაული! მშვენივრად იცი, რომ თუ ვინმეა დამნაშავე, ეს მე ვარ. მთელი ცხოვრება ველოდები, როდის იტყვი ამას. როდის დამდებ ბრალს, თუნდაც დამსჯი, ერთხელ და სამუდამოდ. და ამით დამთავრდეს!
გულს ბაგაბუგი გაუდიოდა. წამოვდექი და ზეწარში გახვეული ფანჯარასთან მივედი სუფთა ჰაერის ჩასასუნთქად. სული მეხუთებოდა. ოთახი და ქვემოთ გადაშლილი ქალაქი ერთიანად აყირავდა და ფანჯრის რაფას ჩავეჭიდე, რომ არ დავცემულიყავი.
მომიახლოვდა, მისი შიშველი ფეხების ხმა გავიგონე. გაშეშებული ვიყურებოდი გარეთ, მის შეხებას ვერ გავუძლებდი. ფანჯრის რაფას ისე ჩავებღაუჭე, რომ ხელი დამეკრუნჩხა.
– ეს არ იყო სასჯელი!
ხერხემალზე ცერა თითი დამაჭირა, სველი და ცივი. გამაზრიალა.
– შენი დასჯა არასდროს მდომებია. აზრადაც არ გამივლია, გესმის? არც იფიქრო ამაზე! დამიჯერე, ყველაფერი ვცადე. მართლა ყველაფერი.
ზეწარზე დამქაჩა. ქსოვილი ძირს დაეცა. არც კი მიცდია, ისევ ამეფარებინა. მზის მჭახე შუქმა დაუნდობლად გაანათა ჩემი ფერმკრთალი სხეული, ყოველი ნაოჭი, ყოველი ნაჩვრეტი, ყოველი ნაიარევი, ყოველი ნაფხაჭნი. ივო კარგად იცნობდა ამ სხეულს. მაშინაც, როცა ექვსის იყო, ათის, თხუთმეტის, ოცდაორის, და ახლაც, ოცდათექვსმეტი წლის ასაკში. იცნობდა ყველა დაფარულ ადგილს და სუსტ წერტილს. იცოდა, როგორ უნდა გავეგიჟებინე და როგორ უნდა დავემშვიდებინე. ყველაფერი იცოდა, რის დამალვასაც ჩემი სხეული ამაოდ ცდილობდა. ჩემ ზურგს უკან იდგა და მაკვირდებოდა. შიშმა ამიტანა, მაგრამ მტკიცედ მქონდა გადაწყვეტილი, რომ ეს ბრძოლა არ უნდა წამეგო, ალერსს არ უნდა დავყოლოდი. მისი შეხება ვერაფერს შეცვლიდა.
თითი ლავიწის ძვლისკენ გამოაცურა, ავკანკალდი.
– ასეთი სიყვარული ვიცი, რა ვქნა. ესა ვარ, რაცა ვარ. მაშინაც ხომ გითხარი, ტანზე რომ გაიხადე ზღვის ნაპირზე. ყოველთვის გიმტკიცებდი, რომ არაფერი გვაქვს მოსანანიებელი, რომ შენ არა ხარ დამნაშავე. შენთვისაც მინდოდა ამის დამტკიცება და საკუთარი თავისთვისაც. ვერ ხვდები, რომ მთელი ცხოვრება დამამტკიცებელ საბუთებს ვეძებ? – ყური ამიტლიკა და გაწებილი თმა სახიდან გადამიწია. წელზე შემომხვია ხელი. მის საშინლად მოკლე ფრჩხილებს დავხედე.
უნდა გამეძლო. არ უნდა დავნებებულიყავი.
ხელი კისერზე მომხვია და მომიჭირა.
რომ მივტრიალებულიყავი და თავი დამეცვა, ვიცოდი, რომ მატკენდა. ოდნავ წინ გადამხარა და თეძოზე დამადო ხელი. გავქვავდი, სუნთქვა შემეკრა. მისი ეს სიმშვიდე, გამოზომილი მოძრაობები კარგს არაფერს მოასწავებდა. ღრმად შევისუნთქე, რომ არ დამენახვებინა ჩემი შიში.
– რატომ დაბრუნდი ჰამბურგში? რატომ? ხომ იცოდი, რაც მოხდებოდა, – ვჩურჩულებდი მე. ივომ ფეხები გამიწია, ხელი თავზე მომხვია და კიდევ უფრო გადამხარა წინ, წელს ზემოთ ფანჯრის გარეთ აღმოვჩნდი. ისე ცუდად გავხდი, მეგონა გული ამერევა-მეთქი.
– მე არც ჰამბურგში დავბრუნებულვარ და არც არსად, არც აქ წამოვსულვარ. უბრალოდ შენთან დავბრუნდი, სტელა.
ტუჩზე ვიკბინე, რომ არ მეყვირა. განზრახ მაყენებდა ტკივილს, იცოდა, რომ შევეწინააღმდეგებოდი. ელოდა, როდისდავნებდებოდი, როდის მოვლბებოდი. მუცელში ფანჯრის რაფა მერჭობოდა, ნეკნები ისე მტკიოდა, თითქოს მჭრიდნენ.
მზე დაუნდობლად დაგვნათოდა. მისი სითბო ისეთი შეუფერებელი იყო ჩემი გაშეშებული ზურგისა და ბრჭყალებად ქცეული თითებისთვის, ივოს გაყინული ხელებისა და იმ ტკივილისთვის, რომელსაც ის მაყენებდა. დამსახურებული სასჯელისგან თავი არ დამიცავს. უბრალოდ მეტირებოდა. მწყინდა, რომ მზე ასე უსინდისოდ, ქედმაღლურად ფენდა შუქს ჩემს დამარცხებას. მაგრამ სიტყვა არ დამიძრავს.
– შენთან. იმიტომ რომ. მე შენ. მიყვარხარ. ალბათ სასაცილოდ არ გყოფნის. ამას რომ გეუბნები. მაგრამ იქნებ როდისმე გაგაგებინო. ახლა ჯერ არ შემიძლია. არა.

მაგრად ვეჭირე, თმაზე მექაჩებოდა.
– იმიტომ რომ. ჯერ ვერ მიხვდები. მართლა გეუბნები. მართლა. აქ ისეთი რამ ვიპოვე, რაც ერთ მშვენიერ დღეს განგვკურნავს ალბათ. მეც და შენც. შეგნებულად ვთქვი ეს სიტყვა განკურნება. იმიტომ რომ. ეს ყველაფერი. ეს მართლა ავადმყოფობაა. რომელიც ჩვენ. შეგვეყარა. მას შემდეგ... რაც იმ საღამოს. მამაჩემი დაბრუნდა.
არც კი მეცოდებოდა, ასე რომ ლაპარაკობდა. თან სულ უფრო მაწვებოდა, უფრო უმატებდა ტემპს. იმ მომენტში ზიზღის მეტს ვერაფერს ვგრძნობდი მის მიმართ.
– ყველაფერს აგიხსნი. ყველაფერს. ამაზე მეტი რაღა უნდა გექნა. ვერც კი წარმოვიდგენდი, რომ აქ ჩამოხვიდოდი, რომ კიდევ ერთ შანსს მომცემდი...
– გაჩერდი!
– არა, არ უნდა გავჩერდეთ. მოდი, ბოლომდე მივიყვანოთ ყველაფერი, კარგი? უნდა შევძლოთ, ამჯერად უნდა შევძლოთ.
შეაკანკალა, და მოეშვა, ზედ გადმომაწვა. მკერდით ჩემ ზურგზე. მე ჩავიკუზე, მისი სხეულის ქვეშიდან გამოვძვერი. აბაზანაში ჩავდექი. ცივი წყალი მოვუშვი. სულ მთლად გამოვფხიზლდი. გიჟივით ვიხეხავდი კანს. ყველაფერი ჩამოვირეცხე წყლით. ღამეც და მზეც.
აბაზანის კიდეზე ჩამომიჯდა, როგორც იცოდა ხოლმე, მაგრამ ყურადღება არ მივაქციე. ისე საგულდაგულოდ ვიბანდი, თითქოს წყალს რამის გამოსწორება შეეძლო.
– ცოტაც და დამთავრდება ყველაფერი. როცა იქიდან დავბრუნდები, ყველაფერი მორჩება იქნება. გპირდები.
  ვითომ ვერ გავიგე.
– არასოდეს დამისჯიხარ, გესმის? შემომხედე, სტელა. მე შენ არასდროს დამისჯიხარ. თუ ვინმე დავსაჯე, ისევ საკუთარი თავი.
– არ მინდა ლაპარაკი.
– სტელა!
ზურგზე შემეხო, ვიფიქრე, ახლა ხელს ვკრავ-მეთქი.
– მიყვარხარ.
– ხშირად დაგიმტკიცებია ეს ჩემთვის. მადლობელი ვარ.
– სტელა.
– ივო. მე ვერ დაგეხმარები, თუ არ მეტყვი, რა ხდება.
– ჯერ არ შემიძლია.
– რატომ?
– იმიტომ რომ შენ თვითონ უნდა დაინახო. უნდა მიხვდე.
– რა უაზრობაა.
დავიხარე და ხელი გავუწოდე. განადგურებული იჯდა, ძალაგამოცლილი. თვალები აწითლებული ჰქონდა, ტუჩები დამსკდარი, მზერა გაყინული. ჩემი ხელი ტუჩებთან მიიტანა და დამიკოცნა. მოვიზიდე და ჩემთან ჩავაყენე აბაზანაში. წყალი გავუნაწილე, ამაზე ძვირფასი არც არაფერი გამაჩნდა იმ დროს. და არც არასდროს ალბათ.
– რა უნდა ქნა იქ? რაში გჭირდება?
პასუხი არ გაუცია.
– არაფერს დავინანებდი, ოღონდ...
– კარგი, დამშვიდდი, ივო. მოდი დავიძინოთ, ძალიან დავიღალე.
ხელები სახეზე აიფარა და გაჩუმდა. აბაზანიდან გადმოვედი, წელზე პირსახოცი შემოვიხვიე. მაგრამ ფეხი ვერ მოვიცვალე.
ივო ისევ წყლის ნაკადში იჯდა და მთელ მსოფლიოს ემალებოდა. პატარა ბიჭივით. რომელსაც ჰგონია, რომ ვერავინ დაინახავს, თუ სახეზე ხელს აიფარებს.
ტირილი რომ შემძლებოდა, შენ მაგივრად ვიტირებდი, ივო. ძალა რომ მყოფნოდა მაშინ, ზღვასავით ძლიერი რომ ვყოფილიყავი, დაგიფარავდი, წამითაც არ დავფიქრდებოდი. ვიცი, რომ კარგი გინდოდა, მაგრამ უარესად გააფუჭე ყველაფერი. უნდა დამენახა იმ დილას შენი სახე, ხელებით რომ იფარავდი. უნდა მეიძულებინე გეთქვა, რა გქონდა ჩაფიქრებული. მაშინ ალბათ აქ იქნებოდი ახლა. ახლა უკვე ვიცი, რისი თქმაც გინდოდა იმ დილას, რას მიზიარებდა შენი სხეული, როცა ტკივილს მაყენებდა. უსიტყვოდ გაგიგე, მაგრამ გვიან, და ყვირილი მინდა.

ისე ხმამაღლა მინდა ვიყვირო, რომ სამყარო გავაჩერო. თხუთმეტი წუთით მაინც. მაგრამ. მაგრამ.
მთელი ჩემი ცხოვრება წყალს ვეძებ. უკიდეგანოს, ალერსიანს, ღრმას დამძიმეს. ყველაფრის ამტანს. ზღვას ვეძებ, ივო.
როცა ჩამეძინა, ისევ ის ფერმკრთალი ქალი დამესიზმრა, რომელიც იმ ბოლო კვირებში ასე ხშირად მევლინებოდა ძილში. ხან ზღვაზე, ხან თულიას სახლში, დაუმთავრებელ მანსარდაზე. ლამაზ ბავშვთან ერთად. ჩემი ძილის განუყრელი მეგობარი გახდა. ხან გესის გავდა, ხან ემას, ხან არავის. ერთხელ მეც მგავდა. ოღონდ ყოველთვის საქორწილო კაბა ეცვა. ისეთი, რომელსაც მეც სიამოვნებით ჩავიცმევდი, გამოპრანჭვის შიში რომ არ მქონოდა. როგორ უნდა გამემხილა, მაგრამ მისი შლეიფიც კი მშურდა, მუდამ სველი და გასვრილი.

22

იმ კაცის გამო წავიდნენ სოხუმში. იმ კაცის გამო, რომელმაც ლადოს მთვარეული ცოლის და მომხიბლველი შვილის სიცოცხლე შეიწირა. იმან ალბათ არც არაფერი იცოდა ან იქნებ იცოდა კიდეც. მას მერე ალბათ ძალიან შეიცვალა, ან სულაც არა. უბრალოდ ომი იყო და უყვარდა ის ქალი, ან არა.
ამაზე ფიქრი ცუდად მხდიდა. ამიტომ დაბნეული ვიყავი, ვღელავდი, ვწუხდი, ვშიშობდი. რისი მეშინოდა? რა მაშფოთებდა, როცა ამ მგზავრობაზე ვფიქრობდი? ოფიციალურად აფხაზეთი ჯერ კიდევ დროებითი ზავის“ მდგომარეობაში იმყოფებოდა საქართველოსთან. ამიტომ საზღვრის გადაკვეთა, განსაკუთრებით ლადოსთვის, მართლა ძალიან სახიფათო შეიძლებოდა გამხდარიყო. მაგრამ ამის გარდა არსებობდა კიდევ რაღაც, რაც ბევრად უფრო მაშინებდა ამ მოგზაურობაში, ვიდრე რეალური საფრთხე.
ისევ წრეზე ვტრიალებდი, წინ ვერ მივდიოდი, პაზლს ჯერ კიდევ აკლდა რამდენიმე ნაწილი, სრული სურათის დანახვას ვერ ვახერხებდი.
ხელ-ფეხი მქონდა შეკრული, ბრმა ვიყავი. თვალწინ რაც მქონდა, იმას ვერ ვხედავდი.
რა ეგონა ივოს, რომ თავისი მეგობრის მეშვეობით საკუთარ შეცდომებს გამოასწორებდა? ან რისი გამოსწორება უნდოდა სხვისი ცხოვრების ისტორიით?
ერთი, რაც ზუსტად ვიცოდი, ის იყო, რომ ივო და ლადო ნამდვილად სხვადასხვა რამეს ეძებდნენ.
ივლისი თბილისს აუტანელი სიცხით დაატყდა თავს. მტვრისა და ცხელი ასფალტის სუნი დააყენა. მშობლები ბავშვებთან ერთად სოფლებში გაიქცნენ, აგარაკებზე, ნაქირავებ სახლებში, ბებიებთან და ბაბუებთან ან ნათესავებთან. სიცხემ ძალა გამოაცალა ქალაქს და მოთენთა.
თეოსთან ტელეფონით დალაპარაკება სულ უფრო რთული ხდებოდა მარკის გამკაცრების ნიადაგზე. არადა საყვედურსაც ვერ ვეუბნებოდი. მალე უნდა დავბრუნებულიყავი, რომ გარემოებები მაინც გამერკვია და თეოზე დავლაპარაკებოდი. უნდა მებრძოლა შვილისთვის. მაგრამ იმ მდგომარეობაში უძლური ვიყავი. ასე მეგონა, ვერაფერს ვიზამდი, სანამ არ გავიგებდი, რას აკეთებდა ივო.
გადავწყვიტე დავლოდებოდი. მათ დაბრუნებას დავლოდებოდი. ბევრი ვეხვეწე ივოს, მაგრამ ამაოდ, თან მაინც არ წამიყვანა.
სამზარეულოს მაგიდასთან ვისხედით, ერთი ბოთლი თეთრი ღვინო გვედგა. ივომ შხაპი მიიღო, ზურგჩანთა ჩაალაგა და გვერდით მომიჯდა.
– სამ დღეში დავბრუნდები. არ იღელვო. იქ მხოლოდ ერთი დღე გავჩერდებით. დანარჩენი დრო გზაში ვიქნებით. ხომ იცი რა გზებია.
ჩაციებული ღვინო ჭიქებში ჩამოვასხი. ივომ ხელზე დამადო ხელი და ორივე გავჩუმდით. ჩუმად ვისხედით. ჩუმად ვსვამდით. ბნელოდა. ღამით სიცხე ისეთი აუტანელი აღარ იყო. ჭრიჭინებს ვუსმენდი. მინდოდა რამე მეთქვა, მაგრამ ხმა ვერ დავიმორჩილე. ჩუმად ვიჯექი.
იმ ღამეს მაგრად ჩავეკარი და მთელი სხეული დავუკოცნე. იმ ღამეს არ მინდოდა ის ფერმკრთალი ქალი დამსიზმრებოდა საქორწილო კაბაში. იმ ღამეს არც ზღვა მინდოდა დამსიზმრებოდა. პირველად ვიწექი ივოსთან ისე, რომ არაფერი

მერჭობოდა ტანში. არაფერი მტკენია, საკუთარი თავისთვის ტკივილი არ მიმიყენებია. ნაზად ვეალერსებოდი, ფრთხილად ვეფერებოდი, ბავშვივით.
ასეთი იქნებოდა ჩვენი სიყვარული, სხეულის ენა რომ გვცოდნოდა მაშინ იმ ბაღში, პორტთან მდებარე იმ პატარა სახლში. ასე ვიქნებოდით ჩახუტებული ბავშვობაში, ასე შევეხებოდით, ასე აღმოვაჩენდით ერთმანეთს, არასდროს მოგვივიდოდა აზრად, ტკივილი მიგვეყენებინა ერთმანეთისთვის. ასეთი იქნებოდა ჩვენი სიახლოვე მის პატარა ოთახში, დერეფნის მარცხენა მხარეს. იმ დერეფნის, რომლის ბოლოშიც ჩვენი მშობლები შიშვლდებოდნენ, ერთმანეთს სისხლს წოვდნენ და ცხოველებივით ილოკავდნენ ჭრილობებს. აღარაფერი იდგა ჩვენ შორის, თეოზე ფიქრიც კი აღარ მიშლიდა ხელს მთელი არსებით ივოსთან ვყოფილიყავი. თითქოს უცებ შესაძლებელი გახდა ერთად მყოლოდა ორივე. დავიჯერე ამ შესაძლებლობის, მინდოდა, რომ ასე ყოფილიყო და იმიტომ დავიჯერე.
გათენებისას გავიგონე როგორ დადიოდა აქეთ-იქით ივო. მაგრამ ისეთი გათიშული ვიყავი, ვერ გამოვფხიზლდი, ვერ ვაიძულე ჩემი სხეული მისი წასვლის მოწმე გამხდარიყო. დაიხარა, ნაზად მაკოცა ტუჩებზე და წავიდა.
უკვე შუადღე იყო, როცა გამეღვიძა სიცხისგან ოფლში ვცურავდი და სწრაფად წამოვჯექი. მიმოვიხედე, ყველაფერი ჩვეულებრივი მომეჩვენა, უკვე ნაცნობი. ავდექი, შხაპი მივიღე. შევეცადე, ყურადღება გადამეტანა, ყავა მოვიხარშე, კვერცხი შევიწვი, რადიო ჩავრთე, ვუსმინე ჩემთვის უცხო ენას და საერთაშორისო პოპმუსიკას, რომელიც ალბათ ყველა ქვეყნის ეთერში ჟღერს. ხელით გავრეცხე სარეცხი და ტერასაზე გაბმულ თოკზე გავკიდე.
მარკს მეილი გავუგზავნე, ჩასვლის შესახებ შევატყობინე. თულიას ვერ დავუკავშირდი. თითქმის შევსებულ ბლოკნოტში რაღაცები ჩავინიშნე. თმა დავიწანი. შევიღებე, თუმცა იმ სიცხეში აზრი არ ჰქონდა. თეოსთვის წერილი დავწერე. ივოს ბალიშზე მივწექი და მისი სუნი შევიყნოსე. მისი პერანგი ჩავიცვი, რომელიც მის ოთახში გათბობის მილზე ვიპოვე გადაკიდებული. ანიტა ბეიკერის სიმღერა ჩავრთე და ვიცეკვე.
ერთი ნაჭერი თაფლიანი პური შევჭამე. ქვევით ჩავედი და ერთი კოლოფი Lucky Strikes ვიყიდე. მოვწიე. მერე დაბნელდა. ტერასაზე გავედი და ქალაქისქუჩებში ლამპიონების ანთებას დაველოდე. ვიყურებოდი ეზოში, ვუსმენდი ბავშვების ჟივილ-ხივილს,ვხედავდი, როგორ დახატეს ასფალტზე ცარცით უჯრედები და როგორ დახტოდნენ. რადიოში ნაცნობ სიმღერებს მოვუსმინე. ვფიქრობდი, ნეტა ახლა სად არიან-მეთქი. კიდევ რამდენი დარჩათ-მეთქი გასავლელი. შეკითხვების დასმა ავუკრძალე საკუთარ თავს. საწერ მაგიდაზე მიწებებული ივოს საღეჭი რეზინა აღმოვაჩინე და იმდენი ხანი ვღეჭე, სანამ პირში არ ჩამეფშვნა. ჩემს ფეხებს დავაშტერდი. ივოს პერანგს. საღამოს მივაშტერდი. მერე წამოვხტი და ოთახში შევარდი. ტელეფონს დავუწყე ძებნა, ყველაფერი მივყარ-მოვყარე, რაც ხელში მომხვდა. სალომეს დავურეკე. სიგარეტი მიკანკალებდა ხელში და ვგრძნობდი, რომ ხმა მიწყდებოდა.
– სტელა? სად დაიკარგე? გამოდი ჩვენთან, რაღაც ვერ ვისვენებ. ან ჩვენ შემოგივლით, ბუბა ამხანაგთან არის. ალექსეის ველაპარაკე, მითხრა, ივო თვეების წინ დამიკავშირდა, ორივეს ველოდებიო. როგორც ხედავ, ყველაფერი კარგად არის.
– ბუბა...
– რა დაგემართა?
– ის ხომ...
– სტელა, არ მესმის, რას ჩურჩულებ?
– არ არის... მისი?
– რა ხდება, გავგიჟდები ახლა, ხმას თუ არ ამოიღებ! რა იყო, დარეკეს?
– ბუბა არ არის... ლადოს შვილი.
– რა?
– იცის?
– რაზე ლაპარაკობ?
– ლადომ იცის?
– არ ვიცი. შენ საიდან გაიგე?

– გავიგე. მთავარი ბავშვებია და არა ლადო. როგორ ვერ მივხვდი აქამდე. ბავშვების გამოა ყველაფერი. მაიამ ხომ გათქვა, დაასმინა დედამისი. ის დაიღუპა, მეორე ბავშვი კი ცოცხალი დარჩა, ბუბა გადარჩა. ვერ გიხსნი, მაგრამ ბავშვები იყვნენ მთავარი მოქმედი პირები მთელ ამ ისტორიაში, და არა უფროსები.
– სტელა, დაწყნარდი, ძალიან გთხოვ. ბუბას დავურეკავ, წამოვიყვან და ამოვალ შენთან.
– არა, ბავშვთან ერთად ნუ მოხვალ. არ შემიძლია.
– რა შუაშია...
– ივოს მოუვიდა აზრად იმ რუსის მოძებნა, რაღაცის გაგება უნდა!
ყურმილი დავდე. სალომემ ბევრჯერ გადმომირეკა, მაგრამ არ ვუპასუხე. გაქვავებული ვიდექი, შუქიც კი არ ამინთია, ყველაზე ბნელ კუთხეს მივაშტერდი ოთახში. ლადო არაფერ შუაში იყო. მთავარი ის ბიჭი იყო, რომელმაც ქალაქის ყველა კუთხე-კუნჭული მომატარა, პანთეონზე ამიყვანა, ბალახზე გვერდით მომიწვა. რომელიც კოკა-კოლას წრუპავდა და თავის დარდებსა და სიხარულს მიზიარებდა. რომელსაც თავზე ხელს ვუსვამდი. რომელიც ჩემი თმით თამაშობდა. რომელიც ასე მომწონდა, იმიტომ რომ თეოს მაგონებდა.
და ის პატარა გოგო, რომელიც ოჯახის წევრებს ხატავდა, რომელიც თავისივე ღალატის მსხვერპლი გახდა. ღალატის, რომელიც გაცნობიერებულიც კი არ ჰქონდა, უბრალოდ იგრძნო. მათ გამო მოხდა ყველაფერი.
ჩემსა და ივოს გამო.
ივო იყო ის ბიჭი, რომელიც ჩემს თმას ეხებოდა, ჩემთან ერთად იწვა ბალახზე, მიმღეროდა და თავის ოცნებებს მანდობდა. ივო იმალებოდა ბუბას აწოწილ სხეულში. ივო მელაპარაკებოდა ბუბას გაბზარული ხმით. მაია კი მე ვიყავი. მე წარმოვთქვი ის დამანგრეველი სიტყვები, რამაც სამუდამოდ შეცვალა ჩვენი ცხოვრება.
კედლის საათი წიკწიკებდა და მახსენებდა დროს, რომელიც ჩემთვის აღარ არსებობდა. მახსენებდა საკუთარ თავს. მახსენებდა, რომ ივო წასული იყო.
როგორც იქნა, დავიძარი ადგილიდან. სამზარეულოში გავედი, შუქი ავანთე და დავიწყე ფიქრი, რა უნდა მექნა. რომც გავდევნებოდი, ივოს ვეღარ დავეწეოდი. ავღრიალდი. იმდენი ვიყვირე, ლამის სული ამომხდა. მაგრამ ეს რას მიშველიდა. მერე იატაკზე ჩავჯექი და მუშტები ვურტყი ფიცრებს, ვფხაჭნე. აქეთ-იქით ვხოხავდი, თითქოს საიმედო ადგილს ვეძებდი. ადგილს, სადაც უსაფრთხოდ ვიქნებოდი. მერე წავედი და არაყი ვიყიდე. იმ ჯიხურში უკვე მიცნობდნენ როგორც უცნაურ გერმანელს, რომელიც ასეთივე უცნაურ გერმანელთან ჩამოვიდა. ყველა მე მომაშტერდა. არც კი დავემშვიდობე, ისე გამოვედი ეზოში, რამდენიმე კიბეს ერთად გადავახტი და ბინაში დავბრუნდი.
ვსვამდი და შუბლში მუშტებს ვირტყამდი. ვერ მოვიფიქრე, როგორ უნდა დამებრუნებინა ივო უკან.
როგორი ბრმა უნდა ვყოფილიყავი, რომ ყველაზე მთავარი ვერ დამენახა!
ბოთლიდან ვყლურწავდი არაყს. რადიოს ისე ავუწიე, რომ აზრებმა ზანზარი დაიწყეს. სიგარეტს მოვუკიდე და ძველ საბჭოურ მაცივართან დავჯექი, რომელიც თითქმის ისევე ხმაურობდა, როგორც ჩემი რადიო. ხელისგულებით იატაკს დავეყრდენი, სხეული დავჭიმე და ძირს გადავიხარე, თითქოს მეჩეთში ვლოცულობდი. რამე მაინც უნდა მეპოვა ხელმოსაჭიდი. ერთი საღი აზრი მაინც.
არ ვიცი, რამდენი ხანი ვფორთხავდი ასე, სანამ მთლიან სურათსდავინახავდი. რადიო საათის ხმას ახშობდა, თუმცა დროის შეგრძნება ისედაც კარგა ხნის დაკარგული მქონდა. კუნთები მიბჟუოდა. რადიოში ვიღაც აშკარად ასაკოვანი ქალი My Funny Valentine-ს მღეროდა მჟღერი ხმით და ყველაფერი გამახსენდა, მთელი ის ცივი დღე. ისევ ჩამესმა ყველა ხმაური. ისევ ვიგრძენი ყველა სუნი, რომელიც იმ დღეს ჰაერში ტრიალებდა. ვიგრძენი, როგორ დაუბერა ნიავმა და ნავსადგურიდან თევზის სუნი და შორეული გემების ხმა მოიტანა. ისევ ვიგრძენი ატალახებული მიწა ფეხქვეშ.
ოქტომბრის ბოლო იყო და უჩვეულოდ ციოდა.აცხადებდნენ, შტორმი იქნება და გაფრთხილდითო. ისიც კი გამახსენდა, რომ იმ დილას, სანამ მე და ფრანკი პორტისკენ გავემართებოდით ველოსიპედით, თულიამ დარეკა. მანქანით არ წახვიდეთ და თბილად ჩაიცვითო. მამა ასეც მოიქცა. მომახურა წითელი შალი,

რომელშიც გესიმ თავისი დანაშაულის გრძნობაც ჩააქსოვა. ჩამაცვა ბოტები, სპეციალურად ჩემთვის რომ ჩამოატანინა გდრ-იდან და მხოლოდ გესის არყოფნაში რომ მაცმევდა ხოლმე. შემომსვა ველოსიპედზე და გავეშურეთ. მიხაროდა, რომ ივოს ვნახავდი, მიხაროდა რომ ამ ცივ საღამოს პიდისთან ვითამაშებდი და ვაშლის ღვეზელს შევჭამდი, რომელსაც ემა ყოველთვის აცხობდა ხოლმე ასეთი ცივი საღამოებისთვის. ჩვეულებრივი, კარგად ნაცნობი დღე მელოდა წინ და ეს სიხარულით მავსებდა.
ფრანკი იმ დღეს ძალიან ჩაფიქრებული იყო. რაღაც პროდუქტები იყიდა, ემამ საჭმელი მოამზადა, ვისადილეთ (ვაშლის ღვეზელი არ გვქონდა). მერე ემამ რატომღაც ფოტო გადაგვიღო მე და ივოს, – ერთადერთი, რომელიც შემოგვრჩა იმ პერიოდიდან. მერე ემას ოთახში ავიდნენ. ჩვენ კი, ერთიანად ამოსვრილები და გასავათებულები, ხეზე ავძვერით კარგა ხნის მერე. ივომ ჰორიზონტი დამანახა და გემებზე დამიწყო ლაპარაკი.
მაშინ მეზღვაურობაზე ოცნებობდა. ვეხვეწებოდი, მეც თან წამიყვანე-მეთქი, ის კი მეუბნებოდა, გოგოებს არაფერი ესაქმებათ შუა ზღვაშიო. მე არ ვნებდებოდი და ტვინს ვუბურღავდი, დარწმუნებული ვიყავი, რომ მაინც დავიყოლიებდი. ამაზე უკეთესი რა უნდა მენატრა. საფრთხით, ვეშაპებით, დელფინებითა და ზვიგენებით სავსე ცხოვრება. ზღვის ავადმყოფობა და მეკობრეები, რომლებიც თავს დაესხმებოდნენ ჩვენს გემს, ჩვენ კი ხმლებითა და დანებით დავიცავდით თავს. მეზღვაურის ქუდი, დურბინდი, ფერხთით მაღალი ტალღები და თვალწინ უკიდეგანო ჰორიზონტი. ეს ჩვენი ოცნება იყო. ამას ვებღაუჭებოდით, ამისკენ მივილტვოდით, ამის მოპოვება გვინდოდა მე და ივოს.
უცებ ძრავის ხმა გავიგონე და ცოტა ხანში მუქი ლურჯი „მერსედესი“ დავინახე. ბაღის ჭიშკართან გაჩერდა.
ივომ პირი დააღო და გაკვირვებულს აღმოხდა: „მამა“. მზად ვიყავი მისი სიხარული გამეზიარებინა, როცა პიდი ყეფით მივარდა ჭიშკარს და იქ ჩამოჯდა. მზად ვიყავი მასთან ერთად ჩამოვმხტარიყავი ხიდან, რომ მამამისს მივსალმებოდი. ალბათ ასეც ვიზამდი, უცებ სასოწარკვეთილება რომ არ აღბეჭდოდა სახეზე ივოს.
მსხვილ ტოტს მოვეჭიდე სუნთქვაშეკრული. ერთიანად შევიკუმშე, თითქოს დამალვა მომინდა. ივო წამოდგა და ხეს აეკრა. მოჯადოებულივით იყურებოდა წინ და ელოდა, როდის გაიღებოდა ჭიშკარი. საძინებლის ფარდები დახურული იყო. როცა პიდიმ ყეფა ატეხა, ერთი ფარდა ოდნავ შეირხა და ემამ გამოიხედა. მერე სწრაფი ნაბიჯების ხმა გავიგონე კიბეზე.
ივოს უყვარდა მამა და აღფრთოვანებული მიყვებოდა, როგორ ესტუმრნენ ზაფხულში, როგორ მოატარა იმან მთები. მე მას არ ვიცნობდი. მის შესახებ მხოლოდ ის ვიცოდი, რომ ნადირობა უყვარდა და თოფებით სავსე კარადა ჰქონდა, მუდამ ჩაკეტილი.
სიყვარული მატყუარა იყო, დაუნდობელი და მოღალატე. ეს გაკვეთილი კარგად ავითვისე იმ თვეებში პორტთან მდებარე სახლში. ამიტომაც მაშინებდა ამ კაცის სიყვარული, რომელსაც ის იყო, ჭიშკარი უნდა გაეღო და უნდა შემოსულიყო. მეშინოდა, რომ ივოს ნახვის უფლებას წამართმევდა. ამიტომაც მოვასწარი მისი შეძულება რამდენიმე წუთში. სანამ ბაღში შემოვიდოდა, უკვე მძულდა. მძულდა იმ თავისი სიყვარულის გამო, რომელიც ჩემს სიყვარულს მართმევდა.
გავიგონე, როგორ გაიღო სახლის კარი, დავინახე, როგორ გავარდა მამაჩემი მკლავზე გადაკიდებული ჟაკეტით სარდაფის გავლით ბაღში და უკანა გასასვლელისკენ გაიქცა. შეშინებული ემა პირზე ხელაფარებული იდგა კიბესთან და უყურებდა, როგორ მეძებდა მამა, დაძახება კი არ შეეძლო. მერე ამ პატარა, სიფრიფანა, დაბნეულმა ქალმა ზემოთ ამოიხედა, ნაღვლიანი თვალები მოგვაპყრო მე და ივოს, და ხელი დაგვიქნია. ჩვენ არ გავნძრეულვართ. მე წასვლისაც მეშინოდა და დარჩენისაც. მეგონა, სამუდამოდ მოგვიწევდა აქედან წასვლა, და ესე იგი, ივოზე უარის თქმა. ამიტომ ისევ დარჩენა ვამჯობინე.
ემას შემოხედვასა და მამას გაუჩინარებას შორის სულ რამდენიმე წამი გავიდა. ეს დრო მეყო იმისთვის, რომ ივო ამერჩია და განზე გამეხედა. აღელვებული ფრანკი კიდევ რაღაცას მანიშნებდა ხელით, ემა ჩემს სახელს ჩურჩურჩულებდა, მე კი ივოს მზერას ვხედავდი მხოლოდ. თვალებით მემუდარებოდა, დარჩი, არ

მიმატოვოო. მეც თავი გავიქნიე. მერე ჭიშკარი გაიღო და ბაღში ხშირწვერიანი უზარმაზარი კაცი შემოვიდა. ჩანთებით დახუნძლულმა მოახერხა და პიდის მიეფერა. ამასობაში ემა შეეგება და მსუბუქად აკოცა ტუჩებზე. იმან კი წელზე მოხვია ხელი და დიდხანს აღარ გაუშვა. რაღაცას ლაპარაკობდნენ, მაგრამ ვერ გავიგონე, რას.
− ორი დღის მერე უნდა ჩამოსულიყო, ორი დღის მერე. ორი დღის მერე,− ჩურჩულებდა ივო და მე მიყურებდა. ტოტს მოვეჭიდე და ვცადე მეორე ხელით ივოს ხელს მივწვდომოდი, მაგრამ ამ დროს კაცმა დაუძახა, ივო მოშორდა ტოტს და სწრაფად ჩაცოცდა ძირს. კაცისკენ გაექანა,იმან პატარა ბავშვივით აიტაცა ხელში. მერე ემამ რაღაც უჩურჩულა ივოს ყურში და როცა ცოლ-ქმარი სახლში გაუჩინარდა, ივო ხესთან მოვიდა და ამომძახა, ჩამოდიო.
ისეთი შეშინებული ვიყავი, განძრევაც კი არ შემეძლო. ცრემლები ვეღარ შევიკავე, ავტირდი. ძლივს ჩამოვძვერი და როგორც კი ძირს აღმოვჩნდი, კიდევ უფრო შემეშინდა. ვერ ვიჯერებდი, რომ მამაჩემმა აქ დამტოვა. კი ვიცოდი, რომ ჩემი ნებით დავრჩი, ივოს გამო, მისი მუდარით სავსე თვალების გამო, მაგრამ მაინც.
სახლში შევყევი ივოს, სხვა რა გზა მქონდა. ვითომ მასთან სათამაშოდ მოსული სკოლის მეგობარი ვიყავი. სამზარეულოში ოთხი კაცისთვის იყო მაგიდა გაწყობილი და ემამ ეს იმით ახსნა, რომ დედაჩემმა, სავარაუდოდ ემას ნაცნობმა, მომიყვანა აქ. მე და ივო თავდახრილები ვისხედით და ველოდით, რა მოხდებოდა. კაცი სადილის ნარჩენებს შეექცეოდა და თავისი მგზავრობის შესახებ ყვებოდა. ხარობდა სახლში ყოფნით და ცოლ-შვილს საჩუქრებს ურიგებდა. ბოლოს ივოს ოთახში გაგვიშვეს. გავიგონეთ, როგორ მიიხურეს დერეფნის ბოლოს მდებარე ოთახის კარი.
ივო საწოლზე ჩამოჯდა თვალგაშტერებული. ხმას არ იღებდა. მეც ჩუმად ვიყავი. ფრჩხილებს ვიკვნეტდი. თამაშის ხალისი დაგვეკარგა, პიდიც გარეთ დავტოვეთ, ბაღში.
უცნაური ხმაური შემოგვესმა და მერე ემას ხმა, რომელიც სლუკუნში გადაიზარდა. მერე კაცის ხმა. მერე საწოლი აჭრიალდა ხმამაღლა და თითქოს მუქარით, ორი სხეულის სიმძიმისგან. ეს ხმაური ჩვენთვის ნაცნობი კი იყო, მაგრამ მაშინ რაღაც ავის მომასწავებლად ჟღერდა. მერე მოკლე ჩახველება და ისევ სლუკუნი. რამდენიმე წუთში რაღაც ნივთი დაეცა იატაკზე და კაცმა ხმას აუწია. ივომ ყურებზე ხელები მიიჭირა და ატირდა. თავს იქნევდა და აქეთ-იქით ირწეოდა. მინდოდა შევხებოდი, მაგრამ მან ხელი მკრა და დამაგდო. კაცის ხმა კიდევ უფრო ხმამაღალი გახდა, აუტანელი. ემამაც აუწია ხმას. ისევ დავარდა რაღაც. ივოსთან მივხოხდი და ისევ ვცადე, შევხებოდი. წყობიდან გამოვიდა, შეშინებულ პატარა ბიჭად იქცა, ნამტირალევი თვალები მომაპყრო და ცემა დამიწყო. ემა ყვიროდა, არ ჩერდებოდა.
ივოს მუხლზე მოუხვდა ფეხი და ისევ უკან გადავარდი. ზედ დამაჯდა და თმებზე მომქაჩა. მე ვიფხაჭნებოდი, ვცდილობდი მის სახეს მივწვდომოდი, რომ მომეშორებინა და თავისუფლად ამომესუნთქა, მაგრამ ის ჩემზე დიდიც იყო და ძლიერიც. უფრო და უფრო მაგრად მიჭერდა ფეხებს ტანზე. ხველა ამიტყდა. მერე ავხრიალდი და დავიყვირე.
მაგრამ ემას ყვირილმა ჩაახშო ჩემი ხმა, ივო კი ისე მირტყამდა, რომ ბოლოს სულ გავჩუმდი. როცა როგორღაც დავიხსენი თავი და ბობღვით მოვშორდი ივოს, უკვე საშინელი წივილ-კივილი იდგა. სასოწარკვეთილი ხმა, გაბმული, უსასრულო ბგერა. ივოს სახე მოექცა, სუნთქვა შეეკრა. ვხედავდი, როგორ უნდოდა იმ ოთახში გავარდნა, მაგრამ შიშს ვერ ერეოდა, ვერ ბედავდა. მერე მე დამინახა, იატაკზე მოკუნტული და ისევ თავს დამესხა გააფთრებული, სახეში მუშტი ჩამარტყა. ტუჩებზე თბილი სითხე ვიგრძენი. ხელი წავივლე და მოვიწმინდე. მერე პატარა ნარინჯისფერი სკამი დავითრიე, რომელსაც კიბის ნაცვლად ვხმარობდით ხოლმე აკრძალული ნივთების მისაწვდომად, და ქნევა დავიწყე. ყველაფერი ძირს ჩამოცვივდა, სათამაშოები, მიკი მაუსიანი ჯიბის ნათურა, ჩვენი პლასტელინი, ჩვენი სახატავი რვეულები, ივოს კომიქსები. ივო დაბნეული მომაჩერდა, პირმოკუმული. ბინდში თვალები ულაპლაპებდა.
− მძულხარ, − მითხრა და თვალი თვალში გამიყარა, − მძულხარ. ყველაფერი შენი ბრალია. შენი ბრალია. აღარ დამენახო.

მის სიტყვებთან ერთად ისევ შიშმა ამიტანა. და ტკივილი გამიჯდა მთელ სხეულში. ასეთი ტკივილი სხვა არაფერს მოუყენებია ჩემთვის. მანამდე არაფერს შეურყევია ჩემი ცხოვრება ისე, როგორც ივოს იმ მზერას. მაგრამ მაინც ვიდექი და ვუყურებდი. გავუძელი მის სიძულვილს.
– უთხარი. მიდი, უთხარი. უთხარი მამაშენს, თუ ეგეთი მაგარი ხარ. უთხარი ვინც ვარ და თავიდან მომიშორებ. – ვიძახდი გაუთავებლად, სანამ არ მოვიდა და პირზე ხელი არ ამაფარა. როცა დარწმუნდა, რომ გამაჩუმა, გამიშვა და ოთახიდან გავარდა.
უკვე სიბნელე იყო, როცა ქალის მსუბუქმა ხელმა გამაღვიძა. იატაკზე მეძინა. ივოს ოთახის ნანგრევებს შორის. ემა მიღიმოდა. თვალები ნაზი და დაბინდული ჰქონდა, როგორც ყოველთვის, იდუმალი.
– ეს რა ჩაგიდენიათ? – მითხრა და თმა გადამიწია. იატაკზე დამიჯდა, მომეხვია.
– ივო სად არის? – ვიკითხე მე.
– ივო მამასთან ერთად წავიდა. სახლში უნდა წაგიყვანო, უკვე გვიანია. მოდი, სახეს მოგბან.
– არ მინდა სახლში.
– უნდა წახვიდე, მამაშენი გელოდება.
– ივოსთან მინდა.
– ახლა არ გამოვა, სტელა. შემომხედე და კარგად მომისმინე: ცოტა ხანი უნდა გავიჭირვოთ, მერე კი ყველაფერი კარგად იქნება. უბრალოდ ცოტა ხანი ვერ ვნახავთ ერთმანეთს. შენც ვერ ნახავ ივოს, მაგრამ მალე ისევ მოხვალთაქ.
–რამდენი ხანი გაგვიჭირდება?
– არ ვიცი, ჩემო კარგო. ჯერ არ ვიცი. ალბათ ცოტა ხანი. როცა გიჭირს, გეჩვენება, რომ დრო ნელა გადის, სინამდვილეში კი არც ისე დიდი ხანი გადის. ადექი, სახლში წაგიყვან.
– შენ რა იცი, სად ვცხოვრობთ?
– როგორ არ ვიცი, სტელა, ვიცი.
აბაზანაში გავჩანჩალდი და სახე მოვიბანე. მერე ემამ მალამო წამისვა გახეთქილ ტუჩზე. როცა ჩემკენ გადმოიხარა, თვალებში ცრემლები ედგა. ისეთი შინაურული და მყუდრო მეჩვენა სახლი. სამზარეულოს მაგიდაზე გასარეცხი ჭურჭელი. წყლის ბოთლები შემოსასვლელში. პიდის ჯამი. ივოს სახლის ფლოსტები და ჩემი შლემი, რომელიც ფრანკმა დატოვა.
– აიღე შენი შლემი, – მითხრა ემამ, თითქოს ჩემს მზერას აყოლებდა თვალს. ჩემი ყვავილებით მოხატული შლემი. დედამ გვიყიდა ერთნაირები მე და ლენის. რამდენჯერ გვიჩხუბია, ერთმანეთისგან ვერ ვარჩევდით.
დიდი მერსედესით“ წავედით ქალაქში. მე უკან ვიჯექი ღვედით შეკრული, და მთელი გზა ემას მივჩერებოდი. ეტყობოდა, რომ კარგად იცოდა ჩვენი სახლის გზა. ძალიან გვიანი იყო. ქუჩები ცარიელი იყო. ქარი ამოვარდა. სანამ მანქანიდან გადმოვიდოდით, ჩანთიდან მზის სათვალე ამოიღო და გაიკეთა, მიუხედავად იმისა, რომ უკუნი სიბნელე იყო. ხელი ჩამჭიდა. უცხოებივით გავჩერდით სახლთან. ერთხელ დარეკა ზარი, მოკლედ. მე მამას ველოდებოდი, მაგრამ კარი დედამ გააღო. პიჟამიანი ლენიც მაშინვე გამოვარდა და დედას უკან დაუდგა. ასე ვიდექით გესი და ლენი ერთ მხარეს, ემა და მე მეორე მხარეს. თითქოს ლენი გესის შვილი იყო, მე კი ემასი, და ცოტა ხნით უნდა დავეტოვებინე უცხო ოჯახში. მის თვალებს ვერ ვხედავდი მუქ სათვალეში, მაგრამ როცა დედაჩემი დაინახა, უკან დაიხია. არ ვიცი, ნანახი ყავდათ თუ არა ერთმანეთი. დედას შევატყე, რომ რაღაც ვერ იყო ისე. არ გაიღიმა, როგორც საერთოდ ჩვეოდა ხოლმე, ემა არ შეიპატიჟა და ხელიც არ ჩამოართვა. ბოლოს თვალი მოაშორა მზის სათვალიან ქალს და ჩემთან ჩაიმუხლა, გადამეხვია.
– ღმერთო ჩემო, სტელა. ღმერთო, ისე ვინერვიულე. რა მოხდა? რა დაგემართა...
– ვწუხვარ, მაგრამ უფრო ადრე ვერ მოვახერხე მოყვანა, – თქვა ემამ ჩუმად.
– ტუჩზე რა მოგივიდა? ღმერთო!
გესი გონზე არ იყო. მე კი სულ ველოდი, როდის გამოჩნდებოდა კარში მამა, მაგრამ არა. მამა არ იყო. ვგრძნობდი, რომ ეს დაუშვებელი იყო, რომ აუცილებლად იქ უნდა ყოფილიყო. ძალიან ცუდად იყო საქმე.
– დავეცი, – ვთქვი მე, სანამ ემა პასუხის გაცემას მოასწრებდა.

– ბიჭს გავხარ! – ახითხითდა კმაყოფილი ლენი. გესიმ თავის ოთახში გაისტუმრა.
– მამამისმა არაფერი გითხრათ?
– დარეკა და თქვა, რომ მოგვიანებით მოიყვანს სტელას სახლში. მისგან სხვას არც ველოდი. ასე რომ ახლა ერთმანეთიც გავიცანით.
– ვწუხვარ.
– გეყოფათ. არ არის საჭირო ამდენი ბოდიში. ამით არაფერი გვეშველება. უბრალოდ წადით. დაუბრუნდით საკუთარ ოჯახს.
ემამ ხელი გამიშვა და ბარბაცით დაიხია უკან. თან ჩვენს მოფილაქნებულ შესასვლელს მისჩერებოდა, პატარა ჩამრთველს კუთხეში, დედაჩემის წინდებს, მის მაღლა აწეულ ქერა თმას, ჩვენს სკოლის ჩანთებს კომოდზე. სურათს, რომელზეც მთელი ჩვენი ოჯახი იყო აღბეჭდილი.
მერე მიტრიალდა და მანქანისკენ გაიქცა. კარი მიიჯახუნა, მკვეთრად დაძრა.
როცა გაზის პედალს მიაჭირა, მივტრიალდი, დედას დავუსხლტი და მისკენ გავიქეცი. მივრბოდი და ვეძახდი. მის სახელს ვყვიროდი და მივრბოდი. დედა კი მე მეძახდა, გავიგონე, როგორ გამომეკიდა სიბნელეში.
წადითო, დედაჩემმა უთხრა. თქვენს ოჯახთან წადითო. მაგრამ მეც მისი ოჯახი ვიყავი მაინც, და ასე იოლად ვერ მიმატოვებდა. უბრალოდ გაზზე ფეხის მიჭერა არ კმაროდა ამისთვის, ამდენს კი ვხვდებოდი.
ემა შუქნიშანთან გაჩერდა, მარჯვნივ უნდა გაეხვია. მე მეზობლის ღობეზე გადავძვერი და ტროტუარზე ჩავხტი. ქუჩის ლამპიონმა თვალი მომჭრა, და ზუსტად იმ წუთას, როცა წამოვხტი და მისი მანქანის წინ ვაპირებდი გადარბენას მის გასაჩერებლად, ზუსტად მაშინ, როცა შუქნიშანზე მწვანე აინთო, დედაჩემმა მტაცა ხელი და უკან გამქაჩა. არ ვიცი როგორ მოახერხა, როგორ დამეწია, მიუხედავად იმისა, რომ გზა არ მოუჭრია.
ის გოგოც მირბოდა.
ის გოგო დაიღუპა.
მე ცოცხალი დავრჩი.
დედაჩემმა გადამარჩინა.
სალომემ ვერ მოახერხა. ომმა აჯობა.
მერე კი ყველაფერი დუმილში დასამარდა. წლები და ათწლეულები. ცხოვრება და ოცნებები.
მე გადავრჩი.
დედა გადამეხვია და ისე მაგრად ჩამეხუტა, რომ სუნთქვა შემეკრა. მე კი ვყვიროდი, ვერ ვჩერდებოდი, მთელი ხმით გავყვიროდი: ივოს ვუთხარი, მიდი და უთხარი-მეთქი. ივოს ვუთხარი, მიდი და უთხარი-მეთქი. ბოლოს დედამპირზე ხელი ამაფარა, ხელში ამიყვანა, ქუჩას აუყვა და სახლში მიმიყვანა.
თავის ლოგინში ჩამაწვინა, გამხადა,საბანი დამახურა. თან სულ ტიროდა. თუმცა არაფერს მეკითხებოდა. არაფრის თავიდან აცილებას არ ცდილობდა. არც მამაჩემი ცდილობდა თავიდან აცილებას, არც დედაჩემი, არც მე.
დედა მკოცნიდა და მეხუტებოდა. ბოლოს გვერდით მომიწვა და ხელები მომხვია.
არყის ბოთლი იატაკზე ჩავდგი და სახეზე ხელები ავიფარე. რადიო ისევ ღრიალებდა, ცოტა ჩავუწიე. რამე ხმის გაგონება მჭირდებოდა დასარწმუნებლად, რომ ჯერ კიდევ ცოცხალი ვიყავი, რომ აწმყო ჯერ კიდევ არსებობდა. მინდოდა მეტირა და თავიდან ამომეგდო ეს მოგონებები, მაგრამ ხმა არ ამომდიოდა. ხელები მაგრად შემოვიჭირე სხეულზე, თითქოს ასე შევძლებდი რამის განდევნას. არც ამან მიშველა. თითები სისხლამდე დავიკვნიტე, კიდევ მოვყლუპე არაყი. ფეხებთან იატაკზე დაქრობილი სიგარეტები მეყარა. ფერფლისა და ნამწვების გროვაში ვიჯექი.
ასეთი ბრმა როგორ ვიყავი, ბავშვები როგორ გამომრჩა?
ივომ საიდანღა იცოდა ეს ყველაფერი, საიდან? მისთვის იმ ღამის შესახებ არაფერი მითქვამს. არასდროს მითქვამს, როგორ გავეკიდე დედამისს. იმიტომ რომ მაშინვე მივხვდი, რაც ჩავიდინე, რისკენაც ვუბიძგე, როცა ვუთხარი, თუ მაგარი ხარ, მოუყევი-მეთქი მამაშენს ყველაფერი. წარმოუდგენელი იყო, რომ ივოსაც ისე ეღალატა ჩემთვის, როგორც მე ვუღალატე დედამისს. მაგრამ ჩემი საქციელის პატიება არ შეიძლებოდა, ეს ნამდვილად ვიცოდი.
ივოსთვის არც ის მითქვამს, რომ დაპანიკებულმა დედაჩემსაც ვუამბე, როგორ

ვუღალატე ემას. არც არასდროს ამიხსნია მისთვის, რატომ ვაიძულე იმ შხამიანი სიტყვების წარმოთქმა.
შეიძლება თვითონ მიხვდა, ან გესიმ გაუმხილა, ბოლოს და ბოლოს. ან უბრალოდ დაემთხვა ყველაფერი ერთმანეთს და იძულებული გახდა, დაბრუნებულიყო და აქ წამოვეყვანე. უცხო ადამიანების ცხოვრება გადამიშალა თვალწინ, რომ ჩემსაში გავრკვეულიყავი. წარსულში დავბრუნებულიყავი და თავიდან განმეცადა ყველაფერი, რისი დავიწყებაც ასე მეწადა.
მაგრამ მე ვერ მივუხვდი. იმ ღამესაც კი, მოზღვავებული მოგონებებით განადგურებულმაც კი ვერ გავიგე, რის ჩვენებას ცდილობდა, რისი იმედი ჰქონდა, როცა ყველაფრის გახსენებას მაიძულებდა.
მეორე დილას ივოს მამამ ემაც მოკლა და ძაღლიც. სანადირო თოფით, რომელიც იმ კარადაში იდო, ახლოსაც რომ არ გვაკარებდნენ; რომელიც ყოველთვის ჩაკეტილი იყო.
იმ საღამოს, როცა ემამ სახლში მიმიყვანა, ივოს მამამისმა დაავლო ხელი და სასეირნოდ წაიყვანა, ელბასთან. დაწვრილებით გამოკითხა შვილი და მისგან პასუხებიც მიიღო. ყველაფერი გაიგო, რაც უნდა სცოდნოდა, რომ მეორე დილას ცოლი მოეკლა. თავის მოკვლაც ცადა, მაგრამ გამბედაობა არ ეყო და ბოლოს პოლიციას გამოუძახა. როცა ივო სახლში მივიდა, ლურჯი შუქებით იყო აელვარებული ბაღიც და ქუჩაც. ადამიანები პირდაღებულები მიშტერებოდნენ, როგორ დებდნენ გადაფარებულ ცხედრებს სასწრაფო დახმარების მანქანაში. მიშტერებოდნენ კაცს, ხელზე ბორკილდადებული რომ წაიყვანეს, მიშტერებოდნენ ბიჭს, რომელიც იდგა იქ გაოგნებული და დამუნჯებული, ამ სიტყვის პირდაპირი გაგებით.
იატაკზე ვიჯექი, მთვრალი, უსუსური, ვკვდებოდი საკუთარი საცოდაობით. არ მესმოდა, რატომ ვერ შევძელი მიტევება. რატომ არ ვთხოვე პატიება ივოს. რატომ ვერ მოვიშორე ეს აუტანელი, საზიზღარი დანაშაულის გრძნობა. რატომ არ მითქვამს არასდროს, რომ სიცოცხლეს არ დავიშურებდი, ოღონდ უკან წამეღო ის სიტყვები, დედამისს სიცოცხლის ფასად რომ დაუჯდა. რატომ არ მითქვამს, როგორი გამწარებული გავრბოდი ემას გასაჩერებლად. ოღონდ ის ყოფილიყო ცოცხალი და თანახმა ვიყავი ივოს სიძულვილი ამეტანა.
იმ დროს, როცა რადიო ვიღაცის ჩახლეჩილ ხმას გადმოსცემდა ეთერში, ჩემთვის ნათელი გახდა, რომ მზად ვიყავი გამეშვა ივო, გამეთავისუფლებინა ჩემგან, ჩემი და მისი დანაშაულისგან. გავუძლებდი, ჩემი გულიც გაუძლებდა და სხეულიც. რა მომავალიც არ უნდა მქონოდა, გავუძლებდი. ოღონდ დედამისი გადარჩენილიყო და ნუ ექნებოდა ივოს ის ცხოვრება, რომელიც ჩემმა მისდამი სიყვარულმა განაპირობა. იქნებ არც არასდროს შევყვარებოდი, მასთან რომ არ დავრჩენილიყავი და მამაჩემს წავყოლოდი იმ საღამოს. როგორც კი ეს გავიფიქრე, როგორც კი გავაცნობიერე და დავუშვი ეს შესაძლებლობა, დაუღეჭავი ლუკმასავით გამეჩხირა ყელში. სახტად დავრჩი.

23

თითქმის ოთხი საათი ვიჯექი იატაკზე და თითქმის მთელი ბოთლი არაყი გამოვცალე. ბოლოს სალომე მომადგა.
სრულიად ფხიზელი ვიყავი. ამდენი ალკოჰოლის მიუხედავად საღად ვაზროვნებდი. მეტისმეტად საღად.
– რა დაგემართა?
სალომე მაგიდასთან დაჯდა და თვალი მოავლო იქაურობას.
– ბუბა სად არის?
– მეგობართან დარჩა. რა ხდება? დაგილევია.
– ასეთი ფხიზელი არასდროს ვყოფილვარ.
– ზეგ უკვე აქ იქნებიან. დაწყნარდი, ძალიან გთხოვ. გუშინ მართლა ვინერვიულე შენზე.
– კი, მალე დაბრუნდებიან. ყველაფერი კარგადაა, ნუ ღელავ.
მართლა მთვრალი ვეგონე თუ უბრალოდ ეშინოდა, რომ ისეთ რამეს ვეტყოდი,

რისი გაგონებაც არ უნდოდა? ამის გარკვევის თავი ნამდვილად აღარ მქონდა და ლოგინში ჩავწექი. ისიც გვერდით მომიწვა, ალბათ მიაჩნდა, რომ ვალდებული იყო ჩემზე ეზრუნა. რამდენიმე წუთში ჩამეძინა.
– ვიცი, ახლა ვერ დამელაპარაკები, მაგრამ არ შემიძლია არ გითხრა, როგორ ვწუხვარ, მაშინ რომ წაგაქეზე მიდი და ყველაფერი უამბე-მეთქი მამაშენს. ძალიან გთხოვ, მაპატიე. და კიდევ ერთი. იმ საღამომ კი არ მიგვაჯაჭვა მე და შენ ერთმანეთს. ეს მხოლოდ იმიტომ მოხდა, რომ მე შენთან დავრჩი და შენ ჩემთან. მე და შენ მოვინდომეთ ასე. ჩვენი ნებით. ესე იგი იმ საზარელმა საღამომ კი არ წარმართა ყველაფერი. იმ საღამომ უბრალოდ ნათელი გახადა ჩემთვის, რომ შენთან მინდა ყოფნა, შენთან ერთად. უკან დაბრუნება რომ შემეძლოს, სხვა არჩევანის საშუალებას მოგცემდი, ჩამოვხტებოდი ხიდან და მამაჩემს გავყვებოდი. ოღონდ ის არ მომხდარიყო, რაც მოხდა. მართლა ასე ვიზამდი, რომ შემეძლოს. მე შენ აგირჩიე და არ ვიცოდი, რომ ეს არჩევანი ყველაფერს გაანადგურებდა. შენც ხომ იგივე გააკეთე. ბავშვები ვიყავით, ივო. გვეშინოდა რომ ოცნებას წაგვართმევდნენ. რომ ერთმანეთს დაგვაშორებდნენ. მაგრამ. მაგრამ. ეს არის რისი თქმაც მინდოდა.
მეილბოქსზე დავუტოვე ეს შეტყობინება და ყურმილი დავკიდე. სალომეს საწოლის იმ მხარეს ეძინა, სადაც ივო იწვა ხოლმე. საათი რვას აჩვენებდა. აბაზანაში შევედი და დავიბანე. საშინლად გამოვიყურებოდი, თვალები ამოშავებული მქონდა. თმა დავივარცხნე და ყავა გავიკეთე. ცოტა მეძინა, მაგრამ ფხიზელმა გავიღვიძე და ძალ-ღონით სავსემ, მიუხედავად იმისა, რომ წინა ღამეს ასე გავტიალდი.
 მთელი დღე სალომესა და ბუბასთან ერთად გავატარე. ბაზარში ვიყავით. საჭმელი გავაკეთეთ ლადოს სახლში და კარტი ვითამაშეთ. ბუბას მეგობრები ეწვივნენ, მე და სალომე ბიჭებს ვუმასპინძლდებოდით შინაბერა დეიდებივით, და თან საკუთარ თავზე გვეცინებოდა.
ლადომ დარეკა და შეგვატყობინა, ამაღამ უკვე წამოვალთო. სალომემ შვებით ამოისუნთქა, მეც მოვახერხე ჩემი დარდების მიჩქმალვა. დივანზე ჩამეძინა, გემრიელი საჭმლით, სახლის ღვინით და ბუბას ოთახში ჩართული ტელევიზორის ხმით გაბრუებულს.
გვიან ღამით უნდა ჩამოსულიყვნენ. მანამდე ყველაფერი დავალაგე, სარეცხი დავრეცხე და უმნიშვნელო რამეებზე ვცადე ყურადღების გადატანა. მერე ტერასაზე მოვკალათდი და ნაყინი ვჭამე, პირდაპირ კოლოფიდან. სიცხემ იკლო და ისეთი უსასრულო სიმსუბუქე ვიგრძენი, ისე მოვეშვი და დავმშვიდდი, თითქოს რაღაც გადავლახე. ქალაქს გადავყურებდი და ვგრძნობდი, რომ მზად ვიყავი თავიდან დამეწყო ყველაფერი. თეოსთან, საკუთარ თავთან, იქნებ ივოსთანაც. ერთი-ორი წლით ზურგი მექცია ევროპისთვის და აქეთ გადმოვსახლებულიყავი. ან გესისთან ჩავსულიყავი და ისევ დამეწყო წერა, მართლა მეწერა, დამოუკიდებლად, ზეწოლის გარეშე. წარმოვიდგინე, რა კარგი იქნებოდა თავისუფალი ჟურნალისტი რომ ვყოფილიყავი, საკუთარი თავის ბატონ-პატრონი. წარმოვიდგინე, როგორ ვიცხოვრებდი ამ ბინაში და როგორ ყვავილებს გავახარებდი ამ აივანზე. თეო ბუბას დაუმეგობრდებოდა, მე ამ ენას ვისწავლიდი და ამათ სიმღერებს. ახალ თვისებებს აღმოვაჩენდი საკუთარ თავში. ვერავინ ვერაფერს მაიძულებდა, ყოველგვარ პასუხისმგებლობას მოვიხსნიდი, ყველაფრის დასრულებას შევძლებდი.
ამ ფიქრებიდან ჩემი ტელეფონის ზარმა გამომიყვანა. სალომემ მითხრა დაიღუპნენო.
იმ ღამეს ალექსეიმ შეიტყო რომ მისი ქართველი შეყვარებული მის მტერთან იყო დაქორწინებული, თანაც მოწინააღმდეგე ჯარის მეთაურთან. ისიც შეიტყო, რომ მისგანაც ეყოლა ნანას შვილი. იმ ღამეს ნანა ეხვეწებოდა გამიშვი, ქმართან უნდა დავბრუნდეო. ალექსეიმ კი არ წახვიდეო, ერთხელ მაინც მაჩვენე ჩემი შვილიო, ან ახალი ცხოვრება დავიწყოთ ერთადო. ნანამ წარმოიდგინა პოეზიის საღამოები, საზეიმოდ მორთული დარბაზები, წარმოიდგინა საკუთარი თავი დეზდემონას როლში, წარმოიდგინა რუსის ალერსიანი, უსაფრთხო, ბავშვური სიყვარული, და დაიჯერა, რომ ასეთი მომავალი შესაძლებელი იყო. სულ ცოტა ხნით დაიჯერა, სასტუმროში გაყვა ალექსეის და გათენებამდე მასთან დარჩა

დარდების განსაქარვებლად.
მაგრამ ალექსეიმ აღარ გამოუშვა, დაპირდა, თუ დარჩები, შენს ოჯახზე ვიზრუნებ, უახლოეს დღეებში საკუთარი მანქანით წავიყვან ბათუმშიო.ბავშვების ხელშეუხებლობა აღუთქვა, მეგობარი ქალის, ქმრისაც კი. ყველანი მშვიდობით ჩავლენ თბილისშიო. შეასრულა კიდეც. იმდენი მოახერხა, რომ ლადოც კი იხსნა სიკვდილისგან. ლადო, რომელსაც ყველა თანამებრძოლი დაეღუპა, თვითონ გადარჩა.ლადო, რომელმაც არც კი იცოდა, რომ საკუთარი ცოლის საყვარლისა და თავისი შვილის ნამდვილი მამის წყალობით შეინარჩუნა სიცოცხლე.
ეს ყველაფერი ივომ გამოქექა. კვირების განმავლობაში ჰქონდა მიმოწერა ალექსეი ნევსკისთან. მაშინ თურმე დაპირებია ნანას, გაგიშვებთ შენც და ჩემ შვილსაც, თუ რამდენიმე საათი კიდევ დარჩებიო. და ნანაც დარჩენილა. დარჩენილა და ამით თავისი ოჯახის გადაურჩენია. დარჩენილა დაბომბვის მიუხედავად, ოკუპაციის მოლოდინში.
სალომემ სოხუმი დატოვა. ერთ-ორ დღეში კი ნანას და ლადოს სახლი გადაწვეს. ზუსტად იმ დღეს, როცა ნანა იქ მიბრუნდა. სრულიად მარტო, თავისი რუსისა და მისი დაცვის გარეშე. ალექსეის აზრადაც არ მოსვლია, რომ ნანას ყველაზე მეტად ჭირდებოდა დაცვა. ამიტომ არც იცოდა, როგორ მოხდა ის ყველაფერი. სამი დღე ეძება, და სამი დღის შემდეგ დამწვარი გვამის ამოცნობაც კი ვერ შეძლო. მხოლოდ კვირების შემდეგ დაადგინა სასამართლო ექსპერტიზამ, რომ ეს ნანა იყო. ის უბრალოდ ალექსეის სახლიდან წამოვიდა და თავის სახლში მივიდა. სამი დღის მერე კი მისი დამწვარი ცხედარი იპოვეს.
ომი იყო.
ცუდი დრო იყო.
რუსმა პირობა შეასრულა: უარი თქვა საკუთარ შვილზე. საკუთარი შვილი ნანას ქმარს დაუტოვა ცოლის სანაცვლოდ. ივო მშვიდობას ეძებდა. მშვიდობა უნდოდა ქართველისთვისაც და რუსისთვისაც. ივოს ყველაფრის გამოსწორება უნდოდა.
უცხო ადამიანებისთვის უნდოდა ეთხოვა პატიება. ჩემ გამოც და თავის გამოც. უცნობ მკვდარ ქალს ჩუქნიდა სიმართლეს და თავის მკვდარ დედას თხოვდა პატიებას. ივოს უნდოდა ლადო იმ კაცთან მიეყვანა, ვინც სძულდა, ვისაც ცოლის სიკვდილში ადანაშაულებდა, თუმცა მან შვილიც აჩუქა და სიცოცხლეც. ივოს უნდოდა, რომ მამაჩემს მამამისი გაეჩერებინა, სიმართლე ეთქვა მისთვის და ამით ის საშინელება აეცილებინა თავიდან. ივოს უნდოდა გაეთავისუფლებინა სალომე, რომ ის თავის ოჯახში დაბრუნებულიყო, ლადოსთვის მოგონებები აღარ ჩაენაცვლებინა. ივოს უნდოდა მეც თავისუფალი არჩევანი მქონოდა, ჩემი ნებით გადამეწყვიტა, წავსულიყავი თუ დავრჩენილიყავი. და არა იძულებით, იმ ერთი საღამოს მოგონების გამო. ივოს უნდოდა ბუბასთვის დანაშაულის გრძნობისგან თავისუფალი მომავალი ეჩუქებინა, როგორზეც თვითონ ოცნებობდა.
ივომ სრულიად უცხო ქვეყანაში სრულიად უცხო ადამიანებს დუმილი დაარღვევინა. შეკითხვები დაუსვა. ეძება და იპოვა. მათი წარსულისა და აწმყოს შერიგება უნდოდა. რადგან თავისთვის და თავისი ოჯახისთვის ვერ შეძლო ამის გაკეთება.
ალბათ პატარა გოგოს შესახებაც უნდოდა ეამბნა, რომელიც იმ ომის დღეებში თავგანწირული მირბოდა, რომ მკვლელობის მიზეზი არ გამხდარიყო. და მეორე გოგოს შესახებაც, რომელიც იმის შესაჩერებლად გარბოდა, რასაც ვეღარ შეაჩერებდა.
ალბათ უნდოდა მივმხვდარიყავი, რომ იმ ღამეს, როცა ემა ნავსადგურთან მდებარე სახლში გაბრუნდა, დედაჩემს პასუხი უნდა მოეთხოვა საკუთარი ქმრისთვის. რომ მამაჩემი როცა შეყვარებულის ქმარს დაეთესა სახლში უნდა წამოსულიყო და მე და ემას დაგვლოდებოდა. ან ივოს მამასთან უნდა მისულიყო და ეთქვა, რომ მის ცოლთან ჰქონდა კავშირი, ან მე მოვეშორებინე იმ საღამოს იქიდან, თუნდაც ძალით წავეყვანე, ჩამოვეყვანე ხიდან და ხელში აყვანილი გავეყვანე. უკანა გასასვლელით. ქუჩაში. გარეთ.
ალბათ ივომ იმისთვის ახადა ფარდა ამ უცხო ადამიანების ისტორიას, რომ ჩემთვის აეხსნა: ამ გარემოებებს ზუსტად ისევე მიუძღოდა ბრალი ჩვენს დანაშაულში, როგორც ომს სალომესა და ლადოს, მაიასა და ბუბას, ნანასა და რუსი დიპლომატის ცხოვრებაში. ჩვენი შეცდომა ის იყო, რომ მარტოებმა

ვიტვირთეთ ეს ცოდვა. საკუთარი თავის დადანაშაულებას და დასჯას ვცდილობდით, უფროსები კი დუმდნენ. შეიძლება იმ საღამომ კი მისცა ბიძგი ჩვენს უბედურებას, მაგრამ არა ჩვენს სიახლოვეს, არა ჩვენს ლტოლვას. ჩვენი ბრალი არ იყო, რომ ერთმანეთი ვიპოვეთ. ალბათ.
ის რუსი დაბერებულიყო ამ წლების განმავლობაში. ისევ უშიშროებაში მუშაობდა, კრიზისულ რეგიონში, სამშობლოს მოწყვეტილი. ასე დაწერა ივომ თავის ფაილში ნევსკყ, სადაც პაზლის დანარჩენი ნაწილები ვიპოვე. ცოლად ისევ ქართველი შეურთავს, უთქმელი და ნაღვლიანი. მკვდარი ქალის ჩრდილში ცხოვრებით დაჩაგრული.
ჩვენც მკვდარი ქალის ჩრდილში ვცხოვრობდით.
რუსი თავის ისტორიას უყვებოდა. თვეების განმავლობაში წერდა წერილებს, რომლებსაც ივო საქაღალდეში ინახავდა. ძალიან ბევრს წერდა. ყველაფერზე, რაც ივოს აინტერესებდა. თითქოს ერთი სული ჰქონდა, როდის იხსნიდა ვინმე დუმილისგან.
ივო კი მისი მონათხრობის მიღმა სულ სხვა რამეს ხედავდა: თავისი ცხოვრების ისტორიას.
როგორც ვიცი, ალექსეი ნევსკიმ ლადოს სიმართლე უთხრა შეხვედრისას. მის ცოლზე და იმაზე, თუ რატომ არ ჩაჯდა იმ დღეს ნანა მანქანაში. ყველაფერი, რაც ივომ უკვე იცოდა მისგან. ბოლოს თავ-თავიანთ მანქანებშიჩამსხდარან. სანაპიროს ბულვართან ყოფილან, უსასრულო ზოლთან, რომელიც ყველაზე პირველად აღუდგენიათ ომის შემდეგ. შეუღებიათ, უბრალოდ დაუფარავთ უამრავი ნატყვიარი.
საჭესთან ლადო დამჯდარა. დარწმუნებული ვარ, ივომ იმიტომ მიუშვა,რომ ჯეროდა, – ის სიმართლე, რომელიც ლადომ შეიტყო, ბედნიერებას თუ არა სიმშვიდეს მაინც მოუტანდა. მაგრამ სიმართლეს ხომ მარტო განკურნება კი არა, მოკვლაც შეუძლია. ეს რამ დაავიწყა?
ლადომ მშვიდად დაქოქა მანქანა, მშვიდად დაატრიალა საჭე და მშვიდად დაიძრა. რუსს გზა დაუთმო. მერე კი, როცა ტრასაზე გავიდნენ, მოულოდნელად მოატრიალა საჭე და ალექსეი ნევსკის მწვანე ნივას დაეწია. გაზის პედალს ფეხი მიაჭირა და პირდაპირ მწვანე მანქანისკენ გაექანა. რუსმა საჭე ვერ დაიმორჩილა, მანქანა მოუცურდა, სანაპიროს ქვის კედელი გაანგრია და ექვსი მეტრის სიმაღლიდან დაასკდა ქვიშას. ივოს ლენდროვერს“ არაფერი არ გაუნგრევია, მხოლოდ რამდენჯერმე ამოტრიალდა და შუა გზაზე გაჩერდა. თეთრმა „მერსედესმა“ დამუხრუჭება ვერ მოასწრო და მარჯვნიდან დაეჯახა ლენდროვერს, რამაც ივოს სიცოცხლე შეიწირა.
ალექსეი ნევსკიმ კიდევ სამი საათი იცოცხლა და მერე გარდაიცვალა შინაგანი დაზიანებებისგან.
ლადოს ფილტვი გაუსკდა და ერთი ორი წუთი იცოცხლა მხოლოდ. ივო იქვე მოკვდა, გული გაუჩერდა.
თეთრი მერსედესის“ მფლობელი ფრანგი იყო. ის გადაურჩა ამ უბედურ შემთხვევას. გაეროს დამკვირვებელი აღმოჩნდა.
სოხუმის მორგში ცხედრის ამოცნობა მე მომიწია. სალომეს მშობლიურ ქალაქში შესვლის უფლება არ მისცეს. ორივე თვითმფრინავით გადმოასვენეს თბილისში.
ლადოს ბალზამირება გაუკეთეს, რომ მართლმადიდებლური წესით დაეტირათ სამი დღე და გამომშვიდობებოდნენ, მე კი ივოს კრემირება ვარჩიე. მისი ფერფლი რომ გამოვიტანე კრემატორიუმიდან, მერე დავრეკე გერმანიაში. უცნაურია, მაგრამ პირველად მამაჩემს დავურეკე. კარგა ხანი ჩუმად იყო, მისი სუნთქვაც კი არ მესმოდა, მერე უცებ აბღავლდა. თავშეუკავებლად, ხმამაღლა, გულამოსკვნით. არ მახსოვს ასე ეტირა როდისმე. ერთი წამით დამავიწყდა კიდეც, რომ ეს მამაჩემი იყო. სწორედ ის კაცი, ვინც ივოს ჯერ დედა წაართვა და მერე სხვა ცხოვრება მოახვია თავს, მასთან და ჩემთან ერთად ცხოვრება. ხმა არ ამომიღია, არც მიცდია მისი დამშვიდება. სანამ ყურმილს დავდებდი, მხოლოდ ის ვუთხარი, რომ ოთხ დღეში უნდა ჩავსულიყავი ჰამბურგში, ივოს ფერფლი ჩამეტანა, მას კი მანამდე ყველაფერი უნდა მოეგვარებინა, ყველასთვის შეეტყობინებინა, გესისთვისაც ნიუარკში.
ისე წარმოვთქვი ეს სიტყვები, თითქოს დავსაჯე იმ ყველაფრისთვის, რაც მან

ჩაიდინა. ვიცოდი, რომ ივო ბრალდების წინააღმდეგი იქნებოდა. მაგრამ ისიც ვიცოდი, რომ სიმართლეს ვეტყოდი, როცა შევხვდებოდი. მიუხედავად იმისა, რომ სიმართლეს მოკვლა შეეძლო.
ლადოს დაკრძალვაზე ასობით ადამიანი შეიკრიბა ბაღიან და კუნძიან სახლში. კუბო შუა ოთახში იდგა, იმ ოთახში, სადაც ასე ხშირად მიჭამია, დამილევია და მიცინია. სკამებზე შავით შემოსილი ქალები ისხდნენ, მომტირალები. შუაში სალომე ირწეოდა წინ და უკან, გაქვავებული სახით და სისხლამდე დაკვნეტილი ტუჩებით. მამაკაცები შესასვლელში იდგნენ. შავებში ჩაცმული ბუბა, კედელს მიყრდნობილი, თავახდილ კუბოს მისჩერებოდა, სადაც მამამისი იწვა. მამა. თითქოს არც არაფერი დამართნია, ისეთი მშვიდი და მოწესრიგებული იყო. რომ დაეტირათ. რომ ვერავის დაენახა ის საშინელება, რაც მისი მანქანის დამტვრევისას მოხდა. არ დაენახათ ის, რაც მან დაინახა სიკვდილის წინ.
ვაკვირდებოდი, როგორ სლუკუნებდნენ კუბოს გარშემო შეკრებილი ადამიანები, ჩურჩულებდნენ, კვნესოდნენ და ერთმანეთს ეხვეოდნენ. შევხედე ფოტოს, რომელიც მის გვერდით დაედოთ. ივოს სურათი იყო. სურათი, რომელიც მანამდე არ მენახა. ივო თბილისში. ზამთარში, სანამ ჰამბურგში ჩამოვიდოდა ჩემს წამოსაყვანად, ჩემთვის მეხსიერების დასაბრუნებლად. გამეღიმა. გამეღიმა, იმიტომ რომ ძალიან ლამაზი იყო, ისეთი ბედნიერი ჩანდა ამ სურათში. რამდენ რამეს აპირებდა, რამდენი საიდუმლოსთვის უნდოდა ფარდის ახდა, რამდენი ადამიანის გაბედნიერებას ცდილობდა. მეც ერთ-ერთი მათგანი ვიყავი. თვალი ვერ მოვაშორე.
იმ დღეებში ერთი ცრემლიც არ ჩამომვარდნია. არ მიტირია. უბრალოდ იქ ვიყავი. ვცდილობდი, სალომე გამემხნევებინა, რომელსაც წუთითაც არ მოუხუჭავს თვალი და ერთგული მცველივით ეჯდა ლადოს კუბოსთან. ვცდილობდი, ბუბას მივფერებოდი. მისი ამბოხი, მისი რისხვა, მისი სასოწარკვეთილება დამეოკებინა, როცა ღრიალს იწყებდა და თავით კედელს აწყდებოდა. ვცდილობდი, გვერდში დავდგომოდი.
აუღელვებლად ავიტანე ყველაფერი. არაადამიანური გამძლეობა აღმომაჩნდა. არ ვიცი, როგორ მეყო ენერგია. არ მეძინა, არ ვჭამდი, არ ვსვამდი, და მაინც ფეხზე ვიდექი.
გავუძელი. ცივი გონებით გავიარე ის დღეები. მიკვირდა კიდეც, საერთოდ ცოცხალი რომ ვიყავი. ან რა მაძლევდა ძალას სიკვდილის პირისპირ დარჩენილს.
ქელეხის სუფრაზეც მე ვიზრუნე და ლადოს საფლავის ქვაზეც. ივოს დამტვრეული ლეპტოპი სახელოსნოში მივიტანე და გადავარჩინე, რისიგადარჩენაც შეიძლებოდა. თვითმფრინავის ბილეთი ვიყიდე. ფრანკს ველაპარაკე და მითითებები მივეცი. ივოს მემკვიდრეობას მივხედე. ლადოს დაკრძალვიდან ოთხი დღის შემდეგ გამოვფრინდი.

გამომშვიდობების ცერემონია თულიასთან უნდა გამართულიყო. ზოგს მიაჩნდა, რომ ნინდორფის სასაფლაოზე უნდა დაგვეკრძალა, ზოგს დედამისის გვერდით, ჰამბურგში. ყველას უნდოდა რაღაც შეხება ჰქონოდა ივოსთან. მე გადაწყვეტილი მქონდა, მისი ფერფლი ზღვაში გამებნია. ურნას ხელიდან არ ვუშვებდი და ახლოს არავის ვაკარებდი.
არ მინდოდა არავითარი სამძიმარი, არავითარი მოფერება, არავითარი თანაგრძნობა. ივოს ტკივილი ხელშეუხებელი იყო. ტკივილი, რომელიც მან დამიტოვა, ერთადერთი იყო, რაც მარტო მე მეკუთვნოდა და ვერავის გავუზიარებდი. ერთადერთხელ ვიტირე, – როცა ჩემს შვილს შევხვდი. კარი გავაღე თუ არა, აცრემლებული თეო ჩემკენ გამოექანა. ჩავეხუტე და ხმა ვერ ამოვიღე. ვერაფერი ვერ ვუთხარი, ან რა უნდა მეთქვა? როგორ უნდა ამეხსნა ჩემი გადაწყვეტილებები? ჩემი წასვლა, ჩემი დაბრუნება? მარკი სამზარეულოში იდგა და შორიდან გვაკვირდებოდა. მე ჩავიმუხლე, ჩემი შვიდი წლის შვილი ყელზე ჩამომეკიდა და ხმამაღლა ასლუკუნდა. ვერაფერს ხვდებოდა, მაგრამ როდისმე მომიწევდა ამეხსნა, რატომ ვერ ვახერხებდი ისეთი დედა ვყოფილიყავი,

როგორსაც ნატრობდა. ჯერ არ ვიცოდი, როგორ, თუმცა დარწმუნებული ვიყავი, რომ მოვიფიქრებდი, როცა დრო მოვიდოდა. მერე მითხრა, სტაფილოები შეგინახეო და ცრემლები წამსკდა.
დიდხანს ვიჯექი მარკთან ერთად იმ დახლთან, რომელიც ყოველთვის სნობური მეჩვენებოდა. ჯერ კიდევ მანამდე, სანამ ივო აღნიშნავდა ამას ჩემთან სტუმრობის პირველივე დღეს. სათქმელი არაფერი მქონდა. თვალები მტკიოდა და მეწვოდა. ქუთუთოებზე ყინულს ვიდებდი. არ ვიცი, შეძლებს თუ არა მარკი როდისმე პატიებას, არც ველი მისგან ამას. თუმცა ერთი კია, – ჩემი ტკივილის, ივოს ტკივილის გამო შვილი აღარ წამართვა. ყოველ შემთხვევაში, სამუდამოდ. მეგონა ბრძოლა მომიწევდა თეოს მოსაპოვებლად, დასაბრუნებლად. მაგრამ მარკს სახეზე შევატყვე რომ არა.
თულია საქანელაზე იჯდა და სადღაც შორს იყურებოდა. გვერდით მივუჯექი და ხელი ხელზე დავადე. პირველად აღმოვაჩინე ჭაღარა მის ყორნის ფრთასავით შავ თმაში. დაბერებული და მოტეხილი მომეჩვენა. მანამდე არასდროს აღმიქვამს, რომ ასეთი მოხუცი იყო. შორიდან ზღვის ხმა მესმოდა. არაფერი მითქვამს, ასე მეგონა თულიამ ისედაც ყველაფერი იცოდა. ყველაფერი. ალბათ ეს თმაშევერცხლილი ქალი ერთადერთი იყო, ვინც გვაპატია. ჩვენ ყველას.
– დედაშენი ხვალ ჩამოდის. უთხარი შენს დას, რომ დახვდეს აეროპორტში. არ მინდა მარტო წამოვიდეს, – მითხრა და ჩაახველა. მერე სიგარეტი მოვწიეთ და ერთად გავხედეთ შორეთს. ფრთხილად შევეხე მის თმას და შუბლს. არ შეიმჩნია. ვეფერებოდი თმაზე, შუბლზე, ლოყებზე და თვალს არ ვაშორებდი. ვუყურებდი და ვხედავდი იმ ტკივილს, რომელიც სამუდამოდ უნდა გამეზიარებინა მასთან. ივოს გამო. მხოლოდ და მხოლოდ თულიასთან. ქალთან, რომელმაც გამოგვზარდა.
ჩვენ მეტი არავინ იყო. ასე მოვინდომე. მხოლოდ ოჯახი. ოჯახი, რომელიც არასდროს არსებობდა. თულია, ლენი, გესი, ფრანკი და მე. ნაპირზე ვისხედით და ზღვას გავყურებდით. ბოლოს ჩავსხედით ჩვენს გასაქირავებელ ნავში და ზღვაში გავედით. სიტყვა არ დაუძრავს არავის, როცა ურნა მაღლა ავწიე და ფერფლი წყალზე მოვაპნიე.
უკანასკნელი უსაზღვრო თავისუფლება ვაჩუქე. მეტი აღარაფერი შემეძლო.
მერე ბაღში ვისხედით. ივლისის თბილი საღამო იყო. ღვინოს ვსვამდით, რომელიც ლადოს სახლიდან წამოვიღე. ივოსთვის.
ღვინოს ვსვამდით და ივოს ვიხსენებდით.
დედაჩემი, მამაჩემი, ჩემი და, ბებიაჩემი. არავითარი „მაგრამ“ და არავითარი „სინამდვილეში“. თითქოს ივომ ისევ ერთ ოჯახად გაგვაერთიანა.
ძალიან ცოტა მოვუყევი, მხოლოდ ის რაც აუცილებელი იყო. კინაღამ თვითონაც დავიჯერე, რომ უბედური შემთხვევა მოხდა. სრულიად ბანალური, აბსურდული, უაზრო ავარია. მაგრამ თულია ისეთი თვალებით მიყურებდა, მივხვდი, რომ არ გამოპარვია ეს ნახევრად სიმართლე.
ალბათ როდისმე მოვუყვები. ყველაფერს მოვუყვები, რის მოყოლასაც ივოც მოინდომებდა.
აგვისტოში მივფრინავ. თბილისში ვბრუნდები. სალომესთან, ბუბასთან. ოჯახთან, რომლის დასახასიათებლად ისევ დამჭირდება სიტყვები „მაგრამ“ და „სინამდვილეში“. გადარჩენილ მასალებს წავიღებ ივოს ლეპტოპიდან და მის რეპორტაჟს ბოლომდე მივიყვან. სალომესთან და ბუბასთან ერთად ვიცხოვრებ იმ სახლში, სადაც ერთად გავატარეთ ზაფხული. სადაც გვიმღერია, გვიკამათია, გვიცინია და ტკივილიც მიგვიყენებია ერთმანეთისთვის. ბუბას არ ვეტყვი სიმართლეს, არ ვეტყვი, რომ ორი მამა დაკარგა ერთად. სალომესაც მხოლოდ ნახევარ სიმართლეს მოვუყვები. მხოლოდ იმას, რაც ცხოვრების გასაგრძელებლად სჭირდება, მეტს არაფერს.
მე და მარკი გავიყრებით. თუმცა ამაზე ჯერ არ გვილაპარაკია. მარკი ცდილობს ნეიტრალურობა და ობიექტურობა შეინარჩუნოს ჩემ მიმართ, ჯიბრში არ მიდგება. რაც არ უნდა იყოს, თავისი ცხოვრების შვიდი წელი ჩემთან გაატარა, შვილიც შეეძინა ჩემთან და გამოზარდა. მაგრამ, დარწმუნებული ვარ, მოგვიწევს ამის გაკეთება. არა უგვიანეს შემოდგომისა გამომიცხადებს, ასე გაგრძელება აღარ შეიძლებაო. ასეა თუ ისე, ახლა შვილის დაკარგვის აღარ მეშინია. თეოს ავუხსენი, რომ მხოლოდ ისეთი დედაშემიძლია ვიყო, როგორიც ვარ,და არა ისეთი,

როგორიც მას უნდა.
აუცილებლად მოვინახულებ იმ ფრანგს, სამსახურის მერსედესით“ რომ იყო. ჟერარი ჰქვია. უბედური შემთხვევის მერე შვებულებაში გავიდა. ხანდახან ტელეფონით ველაპარაკები ხოლმე. დანაშაულის გრძნობა აწუხებს და უნდა რომ ვინმეს გაუზიაროს. ჩვეულ ცხოვრებას ვერა და ვერ დაუბრუნდა. ავუხსნი, რომ მას არ მიუძღვის ბრალი. ჩემს რეპორტაჟში დიდ ყურადღებას არ დავუთმობ.
დანაშაულს ბოლო უნდა მოეღოს. უნდა ამოიწუროს. ვიცი, რომ შეუძლებელია, მაგრამ მაინც მინდა ვცადო. უნდა ვცადო, თუნდაც იმიტომ რომ ივომაც ცადა.
გამგზავრებამდე ერთი-ორი დღე დამრჩა. ახლა ნინდორფის სანაპიროზე ვარ. მე და შენ აქ ვცურავდით ხოლმე. ამ ცივ ზღვაში. ქვიშა გრილია და ნოტიო. ორი დღეა გადაუღებლად წვიმს.
აქ ვისხედით ხოლმე მე და შენ. აქ შემოგთავაზე პირველად ჩემი შიშველი სხეული, საჩუქარივით, მაგრამ წესიერად ვერ შევფუთე, შენ კი წესიერად ვერ გახსენი. წყალს გავყურებ. ჩვენი ყურე. ჩვენი ადგილი, მიუსაფარი, უკაცრიელი. მეტისმეტად ბევრი ნავები დგას, მეტისმეტად ცივია ქვიშა. ვზივარ და ზღვას გავყურებ. უცნაურია, თვითონაც მიკვირს, რატომ არა ვარ ნაღვლიანი, რატომ არ ვდარდობ, რატომ არ ვგრძნობ სიმარტოვეს, რატომ არ ვკვდები.
როგორი ფერმკრთალი ხარ, როგორი მშვიდი. ვუყურებ შენს სახეს და ზუსტად იგივე განცდა მეუფლება, რაც ადრე. ჩემთვის სხვა არაფერი არსებობს ამ სიახლოვის გარდა. ახლაც კი. არ ვიცი. ვერც ვერავის ავუხსნი. ან ვინ დამიჯერებს. შეუძლებელია. წარსულისა და მომავლის გათვალისწინებით, ჩემი მომავლის. მაგრამ ასეა და რა ვქნა. ვეგუები ნელ-ნელა. როგორც ჩანს, ეს გრძნობა ყველაფერს გაუძლებს. ამ წუთებსაც გადაიტანს, როცა შენს სახეს ვუყურებ და საკუთარ თავს ვეკითხები, ეს როგორ დამემართა და რა მინდა აქ.
ხელში ფურცელი მიჭირავს, ჩვენი სურათი. იმ საღამოს გადაღებული, სანამ ისეთები გავხდით, როგორებიც გავხდით. გიყურებ და ვხვდები, რომ მადლობელი ვარ შენი ყველაფრისთვის, რისი მოცემაც შეძელი ან ვერ შეძელი.
იმისთვის რომ ახლა აქ ვზივარ და ზღვა თმაზე მეფერება, რომლის დაწნაც ასე გიყვარდა. ახლა ამ თმას მოვიჭრი, ესეც ერთგვარი დამშვიდობება იქნება. შენთან კი არა, საკუთარ თავთან. ისეთთან, როგორიც ვიყავი და როგორიც ვეღარ ვიქნები. თანაც ქარი ჩემს თმასაც ისევე გააბნევს, როგორც შენს ფერფლს და ერთმანეთს შეგვახვედრებს. სადღაც იქ, ჩემთვის უხილავ და უცნობ წერტილში. ერთი დასასრული გვექნება, ან ერთი დასაწყისი.
შენ დაწყებულ საქმეს მე დავასრულებ. არაფრის ახსნა აღარ მჭირდება.
  იქნებ სიახლოვე ტკივილი არც არის, როგორც ადრე მეგონა. იქნებ არ არსებობს არავითარი ჩვენ“. უბრალოდ მე“ და შენ“. – მხოლოდ ხიდების გაბმა, ეჭვებთან ბრძოლა და მუდმივი მცდელობა. ვინ იცის.
თმას ვიჭრი. ჯერ ბოლოებს, მერე თულიას სამზრეულოდან წამოღებული მაკრატელი ზევით მიიწევს. თმები ძირს ეცემა და ქარს მიაქვს წყლისკენ. ქარის წაღებულ ყოველ ღერს ვხედავ და რაც უფრო ნაკლები მრჩება, მით უფრო მიხარია.
მე მერჩივნა, რომ შენს ჩუმ, სევდიან დედას მიეღო ჩემი მატყუარა, უპასუხისმგებლო მამის სიყვარული და კომპრომისად არ აღექვა, ან პატიებად, ან სასჯელად, უსიტყვო ტანჯვის საფასურად. მერჩივნა უბრალოდ ბედნიერები ყოფილიყვნენ. რამდენიმე წამით მაინც. მერჩივნა რომ ჩვენ, ბავშვებს, არაფერი გვქონოდა იმ ყველაფერთან საერთო. ეფიქრათ ჩვენზე, გვერდი არ აევლოთ ჩვენთვის. ასეთი სიმართლე მერჩივნა.
ვიცი, იმიტომ წახვედი, რომ მაპატიე.
გიყურებ და პირველყოფილი ვნებით ვთვრები. მარტოობის საფლავთან ვცეკვავ. იმიტომ რომ ჩემთვის ლტოლვა ყოველგვარი სიმარტოვის უარყოფაა. და მარტივი, დიონისური ჟინის ზეიმი. რა ვქნა, მეცინება.
მაინც შენი გაიტანე, ივო.
დასასრული დასაწყისად აქციე.
ჩემი სიყვარული შენდამი კარგ ღვინოს ჰგავს; მას მერე რაც ერთხელ გავსინჯე, სულ მენატრება, მაგრამ ვეღარ ვპოულობ, ალბათ ბოლომდე დავცალე.
ჩემი სიყვარული ბიბლიურ სურათს ჰგავს არარსებული ცოდვისა და მიტევების

შესახებ. ჩემი სიყვარული შენ გგავს.
ქარს ჩემი მოჭრილი თმა მიაქვს და თავს მევლება.
ზღვა გაშავდა. მზე გაქრა, ღრუბლების ფარდას მიეფარა. შიშველი თავით უკეთესად ვიგრძნობ, რას ფიქრობ.
შენმა სიკვდილმა შუაზე გამაპო. სამაგიეროდ ახალი სიცოცხლე მაჩუქა. აღარ არსებობს მტყუან-მართალი. აღარ არსებობს „მაგრამ“ და „სინამდვილეში“.
ახლა მე შენ გარეშე ვარსებობ, ივო. ისევ „მე“ ვარ. იმ საღამოს გარეშეც, შენი სიყვარულის გარეშეც, ჩემი ოჯახის გარეშეც, რომელიც არც არასდროს ყოფილა ოჯახი. საერთოდ, ყველაფრის გარეშე, რაც მანამდე ან მას მერე იყო და არის.
სინაზით აღვსილი, ბუმბულივით ფაფუკი ვარ, აბრეშუმივით ალერსიანი. როგორც ნანინანატრი ჩვილი, ხელუხლებელი ნაყოფი, სამყარო თავს რომ ევლება.
სულ მიმეორებდი, აღარც კი გახსოვს ვინ ხარო. ალბათ ასეც იყო.შეიძლება არც არასდროს ვიცოდი. დღემდე,აქამდე. იქნებ მხოლოდ მაშინ მივხვდი, როცა ამ სინაზესთან ბრძოლა შევწყვიტე, როცა გული ვიჯერე ამ ნეტარებით. სამაგიეროდ ვიცი, რომ მე არ ვარ „შენ“, უკვე აღარ ვარ.
შიშველი თავისა და ამ ქარის ანაბარა დავრჩი.
მაგრამ ეს სულ არ მაშინებს. ისევე, როგორც არ მაშინებს მარტოობა, სიჩუმე, შეკითხვები, რომლებიც აუცილებლად დაისმება ამ ყველაფრის შემდეგ, და რომელთაც ალბათ ერთი სიტყვა „მომავალი“ – გააერთიანებს. ვიცი, რომ ტირილი მომიწევს. ყველაფრის ამორწყევა მომიწევს, რაც ვერ მოვინელე, და შუბლსაც არავინ დამიჭერს. ვიცი. მერე რა?
თვალს ვერ ვაშორებ შენს სახეს. რა ლამაზი ხარ. ყოველთვის ლამაზი იყავი. გაღიმებული ვდგავარ. გიყურებ და ვხვდები, როგორი მადლიერი ვარ შენი, ჩემო ალერსიანო, ჩემო მიუწვდომელო. ვიცი, რომ განწირულია ეს სიახლოვე. ამ გრძნობას ვეღარავის გავუნაწილებ, ვეღარასდროს. და მაინც, თვალს ვერ გაშორებ.